თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პიროვნება
კულტურა
საზოგადოება

სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები

ედუარდ კოდუას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენციის

(23-24 ოქტომბერი 2009) მასალები

თბილისი 2010

ანოტაცია

კონფერენციის მასალების კრებული მოიცავს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა და დოქტორანტთა ნაშრომებს, სადაც განხილულია თანამედროვე მსოფლიოს, კერძოდ კი საქართველოსთვის აქტუალური სოციალური და პოლიტიკური პრობლემები,ხშირ შემთხვევაში მოცემულია მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები და საშუალებები.

სტატიათა ავტორები, არა მარტო სხვადასხვა თაობებსა და სოციალურ მეცნიერებათა განსხვავებულ დარგებს განეკუთნებიან, არამედ პრობლემების ხედვის განსხვავებული მანერა და პოზიცია აქვთ, რაც აძნელებს კრებულის ერთიანი სულისკვეთების და სტილის დაცვას. ამიტომ შეიძლება ერთსა და იმავე პრობლემის შესახებ დაპირისპირებული თვალსაზრისები და მიდგომები დაინახოთ. რაც ჩვენი აზრით, კი არ ამცრობს კრებულის მეცნიერულ ღირებულებას, არამედ პირიქით.

ვიმედოვნებთ, რომ კრებული საინტერესო აღმოჩნდება ყველა თაობის ინტელექტუალისთვის და სარგებლობას მოუტანს ქართულ საზოგადოებას.

სამეცნიერო რედაქტორი:
ფილოსოფიის დოქტორი **ამირან ბერძენიშვილი**

რეცენზენტები:

1. ვალერიან რამიშვილი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

2. რევაზ ჯორბენაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

3. მარი წერეთელი, ფილოლოგიის დოქტორი

ISBN 978-9941-0-2969-1

სარჩევი

წინასიტყვა (ამირან ბერძენიშვილის) 7

დონაძე ნათელა

ედუარდ კოდუა როგორც პიროვნება და მეცნიერი 14

ჩიკვილაძე დალი

ედუარდ კოდუა,ქართველ პუბლიცისტთა წიგნების შემდგენელი და რედაქტორი 28

აბაშიძე ზვიადი, დუნდუა სალომე

ეთნიკური იდენტობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში 36

ბელქანია ნოდარი

დეფინიციის პრობლემა და სოკრატეს ლოგიკური მემკვიდრეობა 57

ბერძენიშვილი ამირანი

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია და მისი კულტურული შედეგები 80

ბიჭიკაშვილი ირა

რეალობის ამსახველი ფორმა. რა არის ინფოგრაფიკა? 99

გერსამია მარიამი

თანამედროვე საგაზეთო სტატიის სახეები: ედიტორიალი და ოპედი 106

გოროშიძე გიორგი, ა. სხირტლაძე, ხ. მატკავა

ქართული ორგანიზაციული კულტურის გენდერული თავისებურებანი 118

დანელია როზეტა

ადამიანი და თანამედროვეობა 130

დოლგაია თამარი

თავისუფალი ეკონომიკური ზონების მსოფლიო გამოცდილება და საქართველო 138

ᲓᲝᲚᲘᲫᲔ ᲛᲐᲙᲐ
XX საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური მოვლენების ასახვა ჟურნალში „ერი“ 156

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲘᲐ
სამომხმარებლო არჩევანის ფსიქოლოგიური დეტერმინანტები 165

ᲙᲐᲜᲙᲘᲐ ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲐ
კინო გადაცემა „წითელი ზონა“ 184

ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ
მიგრაცია და ერი – სახელმწიფოს გეოეკონომიკური პრობლემები ტრანსნაციონალიზაციისა და ტრანსლოკალურობის კონცეფციებში 196

ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲐᲒᲝ
საზოგადოებრივი აზრის ცვლილებები საქართველო-რუსეთის ომის შუქზე 218

ᲚᲝᲛᲘᲫᲔ ᲛᲐᲠᲘᲜᲔ
კრიზისული კომუნიკაციის როლი PR– საქმიანობაში 240

ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ ᲒᲣᲒᲣᲚᲘ
დემოკრატიის პერსპექტივები გარდამავალ ქვეყნებში 256

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲛᲐᲪᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ
ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი საკითხები (1919 წელი) 269

ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲓᲐ
გერონტი ქიქოძე და გაზეთი „საქართველო“ (1915-20) 283

ᲝᲡᲔᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲚᲘ
როგორ შეცვალა web-მა სწავლება – პერსონალური ვებ-გვერდიდან LMS-მდე (ჟურნალისტური განათლების მაგალითზე) 294

ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ ᲘᲝᲡᲔᲒᲘ, ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ
„თვითშემოქმედებითი ურბანიზმი“ თბილისში: „მიშენებები“ და სამოსახლო გარემოს გარდაქმნა დედაქალაქის საცხოვრებელ მასივებში 307

სუმბაძე ნანა
აგვისტოს ომი: მოსახლეობის შეფასებები და განწყობები 324
ღვინერია ირინე
მულტიმედიური ფორმების გამოყენების პირველი
შედეგები ჟურნალისტური განათლების სისტემაში 343
წერეთელი ბაადური
ბრენდის როლი რეგიონის კულტურული ლანდშაფტის
ჩამოყალიბებაში და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში
(ბორჯომის მაგალითზე) 356
ყიფიანი გიორგი
სამოქალაქო საზოგადოება მცირეწლოვანთა დაცვა მედიის
მავნე ზეგავლენისაგან საქართველოში 366
ხუტაშვილი მარი
სოციალური ეკოლოგია და სოციოლოგია 389
ჯავახიშვილი ნინო, ხოსიტაშვილი მაია, სირაძე ნინო,
ძაგანია ლიკა, იოჰან შნაიდერი.
ქართველ და გერმანელ მორწმუნეთა შედარება ლოცვის
ასპექტების მიხედვით 399

წინასიტყვა

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის და სოციოლოგის, სოციოლოგიის სპეციალობის თსუ-ში დამაარსებლის, ედუარდ კოდუას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები ისეთივე მრავალფეროვანი და მრავალი მიმართულების მატარებელია, როგორც თავად ედუარდ კოდუას მეცნიერული შემოქმედება. მასში მოცემულია თანამედროვე მსოფლიოს, კონკრეტულად კი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სოციოლოგიური, პოლიტიკური და კულტურული პრობლემების ანალიზი: დაწყებული კონკრეტული სოციოლოგიური კვლევებიდან და თანამედროვე გლობალური ტრანსფორმაციებით დამთავრებული.

პრობლემები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავალაგოთ. პირველი, ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, აქ შეიძლება გამოვყოთ ისეთი საინტერესო მოსაზრება, როგორიცაა: ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი საკითხები, გერონტი ქიქოძე და გაზეთი საქართველო (1915-20) ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა პერიოდში, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის პოლიტიკური მოვლენების ასახვა ჟურნალში „ერი“. ისტორიული მემკვიდერობა გაანალიზებულია დღევანდელი ქართული რეალობის გადასახედიდან და ნაჩვენებია, რომ წარსულში ჩვენი მოაზროვნეების მიერ დასმული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები დღესაც აქტუალურია თანამედროვე ქართული კულტურისთვის.

მეორე ეხება სოციალურ – ეკონომიკურ პრობლემებს, ამ მხრივ საგულისხმოა მკვლევართა დაინტერესება ქართული რეალობის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემებით როგორიცაა: თავისუფალი ეკონომიკური ზონების გამოცდილება და საქართველო, სამომხმარებლო ბაზრის ფსი-

ქოლოგიური სეგმენტაცია, მიგრაციული პრობლემები და ერი-სახელმწიფოს გეოეკონომიკური პრობლემები, ბრენდის როლი რეგიონების კულტურული ლანდშაფტის და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

მესამე ეხება, რუსეთ-საქართველოს ომს და მისდმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას. მოხსენებებში კარგად აისახა თუ რა ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ აზრში ამ ომთან მიმართებაში. მოხსენებებში აღნიშნულია მრავალი საკითხი, რომლებზეც რადიკალური გავლენა იქონია აგვისტოს ომმა. პირველ რიგში ეს არის საქართველოს საგარეო ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში ქართულ საზოგადოებაში, მიზანმიმართულად და შედეგანად შენდებოდა პოლიტიკა, რომელიც ყველაზე სასურველ საგარეო ორიენტაციად საქართველოს ნატოში ინტეგრაციას მიიჩნევს, რასაც 2008 წლის აგვისტომდე ჩატარებული ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებს. ომმა კი მოქალაქეებში ნატოში ინტეგრაციის დომინანტურად მიჩნეული ღირებულების გადაფასება გამოიწვია. ნატოში ინტეგრაციას გაუჩნდა კონკურენტუნარიანი ალტერნატიული სტანდარტი საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების სახით და ნატოში ინტეგრაციას საზოგადოებრივი აზრი აღარ განიხილავს პრიორიტეტულ სტრატეგიად.

ავტორები დაასკვნიან რომ საქართველოში ნატოში ინტეგრაციის ღირებულებამ დევალვაცია განიცადა და გაჩნდა ალტერნატიული პოლიტიკური სტანდარტი – „ნეიტრალიტეტის შენარჩუნება“

ომი ძალზე უარყოფითი და მძიმე გამოცდილება იყო ქართული სახელმწიფოსა და მთელი ქვეყნისათვის, მან რადიკალურად შეცვალა მრავალი ადამიანის ცხოვრების გეზი და მიმართულება, მაგრამ როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ამ ომმა, საბედნიეროდ, არ გამოიწვია ქსენოფობია. როგორც მოხსენებებშია აღნიშული, „ომმა არ გამოიწვია სიძულვილი ოსი და აფხაზი ადამიანების მიმართ, კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგავრების მომხრეთა

რაოდენობა.“ სწორედ ასეთი მეცნიერული გამოკვლევები გვაძლევს შესაძლებლობას გავაცნობიეროთ აგვისტოს ომის მიზეზები, დაშვებული შეცდომები, სწორი შეფასება მივცეთ ომში მიღებულ გამოცდილებას.

მეოთხე ჯგუფი ეხება კომუნიკაციის პრობლემებს, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ, პერსონალურ, ორგანიზაციულ თუ კრიზისული კომუნიკაციების როლზე თანამედროვე საზოგადოებაში. კრიზისული კომუნიკაცია შემეცნების ახალი დარგია, და მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია ჩვენი ტიპის საზოგადოებაში. კრიზისი ხომ არღვევს ყველა აწყობილ საინფორმაციო ნაკადს, რაც საზოგადოების სრულყოფილად ინფორმირებას შეუძლებელს ხდის. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ საქართველოში ყველაზე კრიზისულ სიტუაციებში: ეპიდემიის საშიშროება (ქათმის გრიპი), ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრა), პოლიტიკური ბატალიები (2008 წლის აგვისტოს ომი), კრიზისული კომუნიკაციის დეფიციტი შეინიშნებოდა, რის ახსნასაც მომხსენებლები რამდენიმე ფაქტორს მოშველიებით ცდილობენ – პრობლემის არცოდნა, კრიზისის მართვის სურვილის არქონა, პრობლემის არასათანადო გააზრება ან იგნორირება. ყველა შემთხვევა დაუშვებელია, რადგან ასეთი დამოკიდებულება ზიანის მომტანია ქვეყნისა და მოსახლეობისათვის.

პრობლემების მეხუთე ჯგუფი ეხება, თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს: ადამიანის ბედს თანამედროვე, გლობალურ სამყაროში, ახალი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთიერთობების გაჩენას, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმის „ინფორმაციული საზოგადოების“ წარმოშობას და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ახალ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცვლილებებს. მომხსენებლები ლაპარაკობენ „პოსტადამიანის“ ანუ „ახალი ტიპის ადამიანის“ ჩამოყალიებების იდეაზე, კულტურის ახალი ტიპის „რეალური ვირტუალობის“ კულტურის წარმოქმნაზე, რომელთა საფუძველშიც მე-

20 საუკუნის ბოლო მეოთხედში ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექ-ნოლოგიებში მომხდარი რევოლუციები დევს. მომხსენებლები თამამად ლაპარაკობენ სხვა ტიპის საზოგადოების, „ახალი ტიპის ადამიანის“ წარმოქმნაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვა ტიპის აზრო-ვნება და ცხოვრების წესი რაც იმის მანიშნებელია რომ თანამედროვე საზოგადოება შედის ახალ – ინფორმაციულ – ერაში

ინფორმაციულ ეპოქაში „ცოდნით ახალი ცოდნის მოპოვება“, ცოდნის მენეჯმენტი და მასზე დამყარებული თანამედროვე განათლება წარმოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების გარეშე. ტექნოლოგიები შუამავალია სტუდენტსა და ლექტორს შორის. ინფორმაციულ-კომუ-ნიკაციური ტექნოლოგიები განათლების ამაღლების ყველაზე კარგი საშუალებაა. სწავლების ელექტრონული საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს ინტერაქციის პროცესს და გამორიცხავს პასიურ მონა-წილეობას. სტუდენტს სასურველ დროს (მიუხედავად ლექციასა თუ სემინარზე ვერ დასწრებისა) შეუძლია ჩაერთოს ფორუმზე ამა თუ იმ დავალებაზე გამართულ დისკუსიაში. მართალია, საქართველო და ქარ-თული უნივერსიტეტები საკმაოდ შორსაა დასავლური ინფორმაციული – ღია საზოგადოების განათლების სისტემების მიღწევებისაგან, მაგრამ თუ ჩვენ საზოგადოებას სურს დაიმკვიდროს თავი ახალ ინფორმაციულ ერაში, ინოვაციური მეთოდების გამოყენება და ელექტრონული სწავ-ლების დანერგვა გადაუდებელი და საშური საქმეა. დღეს ახალგაზრ-დებს ძალიან ბევრი ინფორმაციის მოპოვების საშუალება აქვთ, მაგრამ ჩვენს პირობებში მათ აკლიათ ინფორმაციის სისტემაში მოყვანის უნარ-ჩვენები, განათლება კი სხვა არაფერია თუ არა „სისტემაში მოყვანილი ცოდნა“. სწორედ, ინფორმაციულ – კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში ხელს უწყობს თანამედროვე ეპოქის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და „ ცოდნით ახალი ცოდნის მოპოვების“ პროცესს, რაც ქართული საზოგადოების განვითარების საწინდარი გახდება, რითაც იგი ღირსეულ ადგილს

დაიკავებს შრომისა და ცოდნის მსოფლიო დანაწილების გლობალურ ქსელში.

და ბოლოს პრობლემები, რომლებიც სოციალურ ეკოლოგიას ეხება. თანამედროვე მსოფლიოსათვის რთული სოციოეკოლოგიური სისტემების ურთიერთქმედების პროცესებია დამახასიათებელი. შესაბამისად, კვლევის თანამედროვე მიმართულებებს აინტერესებთ ადამიანთა ჯგუფების დამოკიდებულება ურბანიზებულ გარემოსთან, სხვადასხვა სოციალური ჯუფების მიერ ეკოლოგიური პრობლემების აღქმა, გარემოს დაცვის მიზნით საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობის გაცნობიერება, ბუნებათდაცვითი ღონისძიებების პრაქტიკაში გამოყენება და გათვალისწინება, სოციოეკოლოგიური სისტემის კომპონენტების გაანალიზება.

დღევანდელი სოციოეკოლოგიური სიტუაციის სირთულესა და ტრაგიკულობაზე მიუთითებს გამოთქმა „გადავარჩინოთ ადამიანი ადამიანისგან". საცხოვრებელი გარემოს ფორმირება და განვითარება ნებისმიერი ქალაქის სივრცითი ეფექტების, საქალაქო გარემოს ხარისხისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ასევე საცხოვრებელი გარემოს ტიპი და ხარისხი საზოგადოების კეთილდღეობისა და სოციალურ-კულტურული სიმწიფის მიშვნელოვანი ინდიკატორია. მომხსნებელთა ყურადღების არეალში მოხვდა ქ. თბილისში ფართოდ გავრცელებული ე.წ. „მიშენებების" პროცესი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საცხოვრებელი მასივების, მიკრორაიონების, სამოსახლო გარემოს გარდაქმნაზე. მართალია მას დადებითი მიზნები ჰქონდა: საცხოვრებელი ფართის გაზრდა და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესება, მაგრამ სოციოეკოლოგიური ურბანისტული ექსპერტიზის არარსებობისა გამო შედეგი ნეგატიური აღმოჩნდა და მასობრივი საქალაქო და სოციალური პრობლემები შექმნა. პირველ რიგში ეს ეხება ე.წ. „ვერტიკალურ ჯურღმულებს", რომლებსაც „ხშირ შემთხვევებში აქვთ არაესთეტიკური და დეპრესიული ვიზუალური მხარე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქმნიან

არაჯანსაღ და არცთუ უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს“ ყველაზე სამწუხარო კი არის ის დასკვნა, რომელსაც მომხსენებლები აკეთებენ. თბილისში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ აღელვებს იმ გარემოს ხარისხი და მდგომარეობა რომელშიც თავად ცხოვრობს. სწორედ ამიტომ იგი საკუთარ თავს და თანამოქალაქეებსაც ადვილად აძლევს უფლებას ავნოს საქალაქო გარემოს უსაფრთხოებას, სიჯანსაღესა და კომფორტულობას, დაამახინჯოს გარემოს იერსახე საცხოვრებელი ფართის რამდენიმე კვადრატული მეტრით გაზრდის სანაცვლოდ, სამწუხაროდ ეს მიგვანიშნებს მოქალაქეთა დაბალ ურბანულ კულტურასა და ფსევდო ურბანულ ქცევაზე რაც უდავოდ წარმოადგენს თბილისის განვითარების სერიოზულ პრობლემას.

ერთერთი საინტერესო მოხსენება მიეძღვნა ქართული დემოკრატიის განვითარებას. ქართული სახელმწიფოს და მთლიანად საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი ზიგ-ზაგებით მიმდინარეობს, დემოკრატიულობასთან ერთად ხშირად ავტორიტარული და უფრო მეტი ავტოკრატიული მახასიათებლებიც ნათლად ვლინდება,რასაც სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად მრავალი სოციალური,ეკონომიკური თუ კულტურული ფაქტორი განაპირობებს. ხშირად, დემოკრატიულობის ფასადის მიღმა ავტორიტარული რეჟიმი იმალება. დემოკრატიულობის ყველაზე კარგი მაჩვენებელი საზოგადოების კანონებით მართვა და ყოველდღიურ ცხოვრებაში კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვაა. აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი სამართალწარმოება დემოკრატიულ რეჟიმს გულისხმობს და პირიქით. მართალია, ჩვენი ავტორი ცდილობს დაასაბუთოს,რომ ქართული ხელისუფლების მცდელობა დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნისა თუ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოტანისა, ბლეფია,რადგან ორივე ავტოკრატის ძალაუფლების დასასრულია, ამაზე კი ამჟამინდელი ქართული ხელისუფლება არასდროს არ წავა. მაგრამ, ავტორიტარულობის გამოვლენასთან ერთად,არც იმის დაუნახაობა იქნება,რომ დემოკრატიზაციის პროცესი ნელა, მა-

გრამ მაინც აღმავალი გზით მიდის საქართველოში; უბრალოდ, თვალი უნდა გადავავლოთ დამოუკიდებლობის ორი ათწლეულის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში, რათა ნათლად დავინახოთ,რომ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი ვითარდება და მას ალტერნატივა არ აქვს. ასე,რომ,დღეს, საფუძვლები ეყრება დამოუკიდებელ სასმართლოებს, ძნელად,მაგრამ მაინც მკვიდრდება ცხოვრებაში კანონის უზენაესობის პრინციპი, იცვლება ქართველი მოქალაქის მენტალიტეტი, ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა ადგილს უთმობს აქტივისტურ,პარტისიპატიულ-მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურას,რაც იმის მაჩვენებელია,რომ ღია-ინფორმაციული საზოგადოების პრინციპები და მართვის დემოკრატიული რეჟიმი,მართალია მძიმედ,ზიგ-ზაგებით, მაგრამ მაინც მკვიდრდება ქართულ საზოგადოებაში.

ამგვარად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარმა პროფესორებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოში არსებული პრობლემური სიტუაციების მეცნიერულ ანალიზზე და საინტერესო მიგნებები და შედეგები დადეს, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობდა ჩვენს ქყვეყანაში არსებული მრავალი სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის დარეგულირებას და გადაჭრას.

ამირან ბერძენიშვილი

ნათელა დონაძე

ედუარდ კოდუა, როგორც მეცნიერი და პიროვნება

ჩემი წერილი, ძირითადად, არის მოგონება ბატონ ედუარდ კოდუაზე, როგორც მეცნიერსა და პიროვნებაზე, და არა მისი მეცნიერული მოღვაწეობის, მეცნიერული შრომების ანალიზი. იმედია, ამას მისი მოწაფეები გააკეთებენ.

მინდა დავესესხო თავად ბატონ ედუარდს, რომელიც მისი უსაყვარლესი მასწავლებლის კოტე ბაქრაძისადმი მიძღვნილი წიგნის წინათქმაში წერს: „საერთოდ, პიროვნების მოღვაწეობის შეფასება ყოველთვის გადაულახავ სირთულეებს აწყდება, მაშინაც, როდესაც მასთან ურთიერთობის შთაბეჭდილება ჯერ კიდევ ცოცხალია, და მაშინაც, როდესაც გარკვეული დრო გვაშორებს ამ ურთიერთობას“ (ე. კოდუა, „კოტე ბაქრაძე, 1898-1970, ბიბლიოგრაფია“, თბილისი, 1998 წ.,გვ. 3).

მართლაც, არსებობს გარკვეული სიძნელეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შევეცდები, თქვენთან ერთად გადავავლო თვალი ბატონ ედუარდის ცხოვრებისეულ გზას, რომელიც იყო რთული, წინააღმდეგობებით სავსე, ტრაგიკული და, ამასთანავე, ძალიან დინამიური.

პროფ. ე. კოდუას თავის ცხოვრების საზრისად მეცნიერება, სინამდვილის, განსაკუთრებით სოციალური სინამდვილის წვდომა და ანალიზი მიაჩნდა. დეკარტისეული „Cogito, ergo sum“ („ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“) მისი ცხოვრებისეული კრედო იყო. ბატონმა მერაბ მამარდაშვილმა დეკარტეს დებულებას შემდეგი ინტერპრეტაცია მისცა – „ვაზროვნებ, მაშასადამე, თავისუფალი ვარ“. ბატონ ედუარდის დაუოკებელი სწრაფვა მეცნიერებისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ, ვფიქრობ, იყო სწრაფვა პიროვნული თავისუფლებისაკენ, საკუთარი მიკრო სამყაროს შექმნისაკენ.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში, ე. კოდუა, ინტენსიურ სწავლასთან ერთად, აქტიურად ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. მისმა შრომისმოყვარეობამ და მიზანსწრაფვამ მისი ლექტორების ყურადღება დაიმსახურა. მას ქართული მეცნიერების, ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლების კორიფეები კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, ვასილ ფრანგიშვილი და სხვ. ასწავლიდნენ. ისინი, განსაკუთრებით კი ბატონი კოტე ბაქრაძე, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ნიჭიერი და მუყაითი ახალგაზრდის მეცნიერული ინტერესების ხორცშესხმასა და პროფესიულ დაოსტატებას. უნივერსიტეტში სწავლამ მას სულიერი სიმშვიდე და მომავლის რწმენა შემატა. მაგრამ ცხოვრების მკაცრი რეალობის, ოჯახური პრობლემების გამო ე. კოდუამ ვერ შეძლო ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება. იგი იძულებული იყო, გერმანული ენის მასწავლებლად დაეწყო მუშაობა მშობლიურ ქალაქში, სენაკში. ბატონი კოტეს აქტიური ჩარევის შემდეგ იგი დაბრუნდა თბილისში და მისი ხელმძღვანელობით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, ლოგიკის სპეციალობით. 1963 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ისტორიის ნეოკანტიანური მეთოდოლოგიის კრიტიკისათვის“, ხოლო 1968 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სოციალური ისტორიის საზრისის საკითხისათვის“.

ბატონი ედუარდი ძალიან ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში შედიოდა როგორც ფილოსოფია და სოციოლოგია, ისე ფსიქოლოგია, ისტორია, სამართალმცოდნეობა, სოციალური ეკოლოგია და სხვ. იგი იყო თეორიული სოციოლოგიის შესანიშნავი სპეციალისტი. ის, აგრეთვე, გამოირჩეოდა ისეთი დარგობრივი სოციოლოგიების ღრმა ცოდნით, როგორიცაა: პოლიტიკის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, სამართლის სოციოლოგია, დამნაშავეობის სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია და სხვ.

ედუარდ კოდუა ძალიან პროდუქტიული და, ამავე დროს, პრაგმატული მეცნიერი იყო. ის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მას ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია, ნარკვევი, სახელმძღვანელო, სტატია, წერილი. დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, რადგან ყველას აქ ჩამოთვლა შეუძლებელია.

თემატიკის მიხედვით მისი შრომები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად. **ფილოსოფიური შრომები:** „ისტორიის ფილოსოფია“ (1966 წ.), „ისტორიის საზრისის საკითხისათვის“ (1976 წ.), „ისტორიის იმანენტური საზრისის საკითხისათვის“ (1979 წ.), „გერმანულ ექსისტენციალიზმში ფილოსოფიის არსის გაგების კრიტიკისათვის“ (1979 წ.), „ექსისტენციალიზმი ფილოსოფიის არსების შესახებ“ (1984 წ.), „Карл Ясперс об отношени и науки и философии“ (დაიბეჭდა პოლონეთში, ლოძის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სამეცნიერო ჟურნალში, 1979 წ.) და სხვ.

სახელმძღვანელოები: „სოციოლოგიის შესავალი“ (1986 წ.), „სოციოლოგია“ – I ნაკვეთი (I გამოცემა – 1995 წ.,II გამოცემა – 1998 წ.), „სოციოლოგია“ – II ნაკვეთი (I გამოცემა – 1995 წ.,II გამოცემა – 1998 წ.), „სოციოლოგიის ისტორია – I ნაკვეთი“ (1996 წ.), „სოციოლოგიის ისტორია – II ნაკვეთი“ (1996 წ.), „კულტურის სოციოლოგია“ (2001 წ.).

განსაკუთრებით დიდია ე. კოდუას წვლილი მშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემის საქმეში. მის წიგნებზე, სახელმძღვანელოებზე სტუდენტთა მრავალი თაობა გაიზარდა. მისი სახელმძღვანელოები გამოირჩევა მეცნიერული ინფორმაციის სიღრმითა და მრავალფეროვნებით. მათში მოცემულია გამოჩენილ სოციოლოგთა ნააზრევის ყოველმხრივი ანალიზი. ბატონ ედუარდის ცხოვრების მიზანი იყო, თავისი ცოდნა და განსწავლულობა გადაეცა ახალგაზრდა თაობისათვის, სტუდენტებისათვის.

ბატონი ედუარდი აღნიშნავდა: „როგორი რთულიც არ უნდა იყოს ვითარება, ჩვენმა თაობამ უნდა დატოვოს ინფორმაცია დიდი წინაპრების

შესახებ, თუ როგორ ჩანდნენ ისინი იმ ეპოქაში და რამდენად ღირებული იყო მათი მოღვაწეობის შედეგები“ (ე. კოდუა, „კოტე ბაქრაძე, ბიბლიოგრაფია“, თბილისი, 1998 წ.,გვ. 5).

ბატონი ედუარდის ეს სიტყვები არ არის ლიტონი სიტყვები. მან ეს თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა. დიდი ქართველი მოაზროვნეებისადმი პატივისცემითა და სიყვარულით არის გამსჭვალული კოდუას წიგნები მათ შესახებ: „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“ (1997 წ.), „სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი“ (1998 წ.), „კოტე ბაქრაძე – 1898-1970 – ბიბლიოგრაფია“ (1998 წ.), „გრიგოლ რობაქიძის სოციოლოგიური ნააზრევი“ (1999 წ.), „გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებები“ (2000 წ.), „ბიძინა რამიშვილი“ (2001 წ.), „გოგი გელაძე“ (2002 წ.) და სხვ.

ამ შრომებით ბატონმა ედუარდმა პატრიოტული და მეცნიერული ვალი მოიხადა ამ დიდი მამულიშვილების წინაშე, მან ხელი შეუწყო მათ პოპულარიზაციასა და უკვდავყოფას. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლების, სოციოლოგიის დიდი მოამაგე იყო. მიუხედავად ასეთი ღვაწლისა, ბატონი ედუარდი კრიტიკული იყო თავისი თავისა და მისი თაობის მიმართ. იგი თვლიდა, რომ ისინი ვალში იყვნენ თავიანთი მასწავლებლების წინაშე. ამაში ნათლად ჩანს მისი თავმდაბლობა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. კოდუას, როგორც რედაქტორის მოღვაწეობა. მისი ინიციატივით, ძალისხმევითა და რედაქტორობით გამოვიდა არაერთი ქართველი მოაზროვნის შრომები. ამ შრომების მოკლე ჩამონათვალიც კი საკმარისია, რომ წარმოვაჩინოთ მისი ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე: კონსტანტინე კაპანელი – „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში“ (1978 წ.), „ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები“ (1983 წ.), „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ (1996 წ.), კოტე გორდელაძე

– „ორგანიცისტული მიმართულება სოციოლოგიაში“ (1985 წ.), მიხაკო წერეთელი – „ერი და კაცობრიობა“ (1990 წ.), არჩილ ჯორჯაძე – „სამშობლო და მამულიშვილობა“ (1990 წ.), დიმიტრი უზნაძე – „ფილოსოფიური შრომები“ (1984 წ., რედაქტორები ე. კოდუა და თ. ბუაჩიძე; რედაქტორისაგან – ე. კოდუა), ალექსანდრე ჯანელიძე – „ეროვნული შემოქმედება“ (1997 წ., ეს არის გამოჩენილი ქართველ გეოლოგის მიერ სოციალურ პრობლემებზე დაწერილი ერთადერთი შრომა) გიორგი ნანეიშვილი „სამართლის ფილოსოფიის საკითხები (1992 წ.)“, კიტა მეგრელიძე „.აზრის სოციალური ფენომენოლოგია“ (1990 წ. რედაქტორები ო ჯიოევი, ე. კოდუა, მ. მეგრელიძე) და სხვ.

ე. კოდუას სარედაქციო წერილებში ღრმად და დაწვრილებით არის გაანალიზებული ზემოთ დასახელებული ავტორების ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებები. ამასთანავე, ეს წერილები წარმოადგენს თავად რედაქტორის მეცნიერულ ნააზრევს. მათში მოცემულია მისი მსოფლმხედველობა, ფართო ერუდიცია, განსახილველი საკითხების ღრმა ცოდნა და მისი თანამედროვე ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური რეალობისადმი მისი ობიექტური დამოკიდებულება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბატონი ედუარდი მეცნიერული ცოდნით, განსწავლულობითა და ერუდიციით გამორჩეული პიროვნება იყო. სხვადასხვა საკითხის მისეული ღრმა მეცნიერული ანალიზი არა მარტო ჩვენი, ქართველი კოლეგების, აღფრთოვანებას იწვევდა, არამედ უცხოელი მეცნიერების უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. მინდა მოვიგონო რამდენიმე შემთხვევა. არასდროს დამავიწყდება 2001 წლის თებერვალში ლიკანში გამართული ზამთრის სკოლა (თემა: „როგორ ვასწავლოთ სოციალური მეცნიერებები“) და იმავე წლის ივლისში ბაკურიანში ჩატარებული ზაფხულის სკოლა (თემა: „თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“). უშუალო მოწმე ვიყავი, როგორ ვერ მალავდნენ თავიანთ ემოციებს ბატონი ედუარდის ცოდნით აღფრთოვანებული უცხოელი მეცნიერები (ჯერარდ დელანტი – დიდი ბრიტანეთი, არნოლდ ცინგერლე – გერმანია, გაბრიელ კაპაი – გერმანია,

ბარი პარსონსონი – ახალი ზელანდია, ანდრეი დეგტიაროვი – რუსეთი). ვთვლი, რომ დისკუსიების დროს ბატონი ედუარდი არა თუ ტოლს არ უდებდა მსოფლიოში განთქმულ ამ მეცნიერებს, არამედ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბევრ მეცნიერულ სფეროსა თუ საკითხში უფრო მრავალმხრივ, ღრმა ცოდნასა და ერუდიციას ავლენდა. ეს ჩვენი, ბატონ ედუარდის ქართველი კოლეგების, სიამაყეს იწვევდა.

2002 წელს თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე (თემა: „კრიტიკული სოციოლოგია: გამოწვევები და პერსპექტივები“), ჩვენს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც დისკუსიის დროს ბატონმა ედუარდმა გამოამჟღავნა საკითხების ცოდნა ისეთ სპეციფიკურ სოციოლოგიურ სფეროში, როგორიცაა პროსტიტუციის სოციოლოგია.

ბატონ ედუარდს საოცარი მეხსიერება ჰქონდა. ახსოვდა ყველაფერი, რაც ერთხელ მაინც წაეკითხა ან მოესმინა. არ არსებობდა არც ერთი ფილოსოფიური ან სოციოლოგიური საკითხი, რომელზეც მას არ შეეძლო ამომწურავი პასუხის გაცემა.

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ბატონი ედუარდის საჯარო, მეცნიერული გამოსვლები, დაგვეთანხმება, რომ ეს იყო ლოგიკური, კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნების, მეცნიერული ანალიზის, ფართო განათლებისა და ერუდიციის სინთეზი, გამორჩეული მაღალი პროფესიონალიზმით, ორატორობით.

სანამ წარმოგიდგენთ ბატონ ედუარდს, როგორც პიროვნებას, მინდა აღვნიშნო, რომ იგი იზიარებდა გამოჩენილი ფილოსოფოსის ა. ლოსევის შეხედულებას, რომ პიროვნების სიკვდილის შემდეგ ხდება მისი ცხოვრების შელამაზება, გაიდიალიზება. თავად ბატონი ედუარდი ამის წინააღმდეგი იყო. ეს კარგად ჩანს მის ნაწერებშიც.

შევეცდებით, ვაჩვენოთ ბატონ ედუარდის პიროვნების რეალური სახე და არა მისი გაიდეალიზებული სურათი.

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ იგი იყო შინაგანად ორიენტირებული და ავტონომიური პიროვნება (თუ დავეყრდნობით

გამოჩენილი სოციოლოგის დევიდ რისმენის მიერ შემუშავებულ სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგიას). მისი ქმედებები, ძირითადად, განპირობებული იყო მისი საკუთარი ღირებულებებითა და პრინციპებით და არა შემგუებლობით, კონფორმულობით.

ბატონ ედუარდს ჰქონდა დიდი მადლიერების გრძნობა თავისი პედაგოგების მიმართ. ეს გამოვლინდა არა მარტო მათი შრომების გამოცემასა და მათ შესახებ დაწერილი ნაშრომების გამოქვეყნებაში, არამედ ეს განსაკუთრებით მჟღავნდებოდა მათთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, მათზე ზრუნვაში.

საოცარი იყო ბატონ ედუარდის დამოკიდებულება პროფესორ კოტე ბაქრაძის მიმართ. როგორც თავად იგი წერს, კოტე ბაქრაძე მთელი სიცოცხლე მისი მასწავლებელი იყო და ეს ურთიერთობა სიკვდილის გამო შეწყდა. „გაწყდა ის დიდი არტერია, რომლიდანაც უხვად მოედინებოდა ცოდნა და ადამიანობა, გულისხმიერება და მომთხოვნელობა. აღარ არის ის, ვინც ცხოვრებაში თუ სამეცნიერო მოღვაწეობაში იყო კრიტერიუმი და იდეალი“, – წერს ე. კოდუა. ბატონ ედუარდს კოტე ბაქრაძე თავის სულიერ მამად მიაჩნდა. ყოველთვის აღნიშნავდა მის როლსა და წვლილს მისი, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის ჩამოყალიბებაში. არასდროს ივიწყებდა მის სითბოსა და ამაგს. ბატონი ედუარდი განსაკუთრებით ზრუნავდა ბატონი კოტეს ჯანმრთელობაზე. მისთვის რიტუალის ტოლფასი იყო ყოველ წელს ბატონი კოტეს ჩაყვანა აბასთუმანში და შემდეგ მისი ჩამოყვანა თბილისში. სანატორიუმშიც ხშირად აკითხავდა.

ამაზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდი, რომ მეჩვენებინა, როგორ ზრუნავდა ის, როგორც მოწაფე, თავის პედაგოგებზე, მათ მეცნიერულ მემკვიდრეობაზე და არ ივიწყებდა მათ ღვაწლსა და ამაგს.

ეს მაგალითი უნდა იყოს ახალგაზრდა თაობებისათვის.

კიდევ მინდა აღვნიშნო ბატონ ედუარდის ერთი შესანიშნავი პიროვნული თვისება. იშვიათია, როდესაც პიროვნება, განსაკუთრებით, თუ ის აკადემიური წრის წარმომადგენელია, ისე აფასებდეს და პატივს

სცემდეს თავის ზოგიერთ კოლეგას, როგორც ბატონი ედუარდი. ბევრჯერ მომისმენია, როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ის ბატონ თამაზ ბუაჩიძეზე, ზურაბ კაკაბაძეზე, ვახტანგ ერქომაიშვილსა და სხვ. ის ხშირად ხაზს უსვამდა მათ განსწავლულობას, ცოდნას და თვლიდა, რომ მათი აზროვნება და წერის სტილი მისთვის სამაგალითო იყო. ის მეგობრობდა ბატონ გურამ თევზაძესთან, ნიკო ბერძენიშვილთან, ვახტანგ კვარაცხელიასთან, ლერი მჭედლიშვილსა და სხვ.

ე. კოდუა ტრაგიკული ბედის პიროვნება იყო. დედ-მამა ადრე დაეღუპა, ორივე უბედური შემთხვევის გამო. ტრაგიკულად დაიღუპა მისი ქალიშვილიც. თავისი ტრაგედიის შესახებ ლაპარაკი არ უყვარდა. თავის განცდებსა და მწუხარებას არავის ახვევდა თავს, არასდროს წუწუნებდა თავისი სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის გამო. უმძიმეს წუთებში თავის თავში იკეტებოდა და ამ დროს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან უჭირდა. მიუხედავად ბედის უკულმართობისა, ის არ გაბოროტებულა და ძალიან ადამიანური იყო. მას ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა სხვისი გაჭირვება, მწუხარება და ტრაგედია და, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდა. ერთი შეხედვით, არაკომუნიკაბელური, ზოგჯერ უხეში და გარეგნულად მკაცრი ადამიანის უკან გულისხმიერი და თბილი პიროვნება იმალებოდა. მაგრამ მას თავის შინაგანი, ნამდვილი ბუნების გამოვლენა არ უყვარდა, ან, შესაძლოა, არც ეხერხებოდა.

ე. კოდუა წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო: ზოგჯერ კომუნიკაბელური, აქტიური, ხალისიანი, ზოგჯერ კი ჩუმი, თავის თავში ჩაკეტილი, მარტოსული, მელანქოლიური.

როგორც ზოგიერთები ამბობდნენ, ბატონი ედუარდი კვიმატი ენის პატრონი იყო. ეს განსაკუთრებით ვლინდებოდა მწვავე მეცნიერული დისკუსიების, დისერტაციების დაცვისა და მეცნიერული შრომების განხილვის დროს. ზოგჯერ მისი გამოსვლები ძალიან კრიტიკული იყო, რაც მისი ოპონენტების აღშფოთებას იწვევდა. მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მას არ შეეძლო ბოლომდე გაეწირა თავისი დაუძინებელი მოწინააღმდეგეებიც კი, ის ადამიანები, რომლებმაც მას,

არაერთხელ, როგორც იტყვიან, „წელს ქვემოთ“ დარტყმა მიაყენეს და არაკაცურად მოექცნენ. თავად მას შეეძლო სიტყვით „გაენადგურებინა“ მოწინააღმდეგე, მაგრამ ცუდ საქმეს არასდროს გაუკეთებდა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ის არ იყო მებრძოლი პიროვნება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ბატონი ედუარდი მტკივნეულად განიცდიდა იმ ადამიანების უზნეო, უმადურ საქციელს, რომლებზეც მას დიდი ამაგი ჰქონდა. ასევე აღიზიანებდა მისი კეთილგანწყობის ბოროტად გამოყენება. საოცარია, მაგრამ მათ ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდა. ბავშვივით გაიბუტებოდა და არავისთან ლაპარაკი არ უნდოდა. მხოლოდ ასე გამოხატავდა თავის პროტესტს, წყენასა და გულისტკივილს.

ბატონი ედუარდისათვის ადამიანების შეფასების კრიტერიუმები იყო ზნეობა, ერთგულება, მეგობრობა, აგრეთვე, განათლება, ცოდნა და პროფესიონალიზმი. ვერ იტანდა უვიცებს, ზარმაცებსა და უპასუხისმგებლო ადამიანებს. მათ მიმართ იგი საკმაოდ კრიტიკული, თავშეუკავებელი, უხეში და აგრესიულიც კი იყო. ხშირად მათ არც ესალმებოდა. სახეზე, გამომეტყველებაზე ეტყობოდა უარყოფითი დამოკიდებულება იმათ მიმართ, ვინც ცუდ მეცნიერად ან პიროვნებად მიაჩნდა.

განსხვავებული იყო მისი კოლეგების დამოკიდებულებაც მის მიმართ. ბევრს ძალიან უყვარდა ბატონი ედუარდი და მასთან მეგობრობდა. ზოგს არ უყვარდა, ვერ იტანდა, ზოგს კი ეშინოდა მისი და ცდილობდა, მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ასეთ ადამიანებს ის ახლოსაც არ იკარებდა.

როგორც აღვნიშნე, ბატონი ედუარდი წინააღმდეგობრივი ბუნების პიროვნება იყო. ის, საერთოდ, პირდაპირი და ობიექტური ადამიანი იყო. მაგრამ გარკვეულ სიტუაციებში შეეძლო უკან დახევა, ოსტატურად ლავირება, რასაც შემდეგ, ზოგჯერ, თავად განიცდიდა. ამასთანავე, მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, არის სუბიექტი, რეალური და არა იდეალური ადამიანი და შეუძლებელია, ყოველთვის, ყველაფერში და ყველას მიმართ ერთნაირად ობიექტური

იყოს. მართლაც, ზოგჯერ ის ტენდენციური იყო და ეს ხელს უშლიდა, სწორი პოზიცია დაეკავებინა. მიუხედავად მტკიცე ხასიათისა, ბატონი ედუარდი ზოგჯერ სხვების გავლენის ქვეშ ექცეოდა, ამას თავადაც აცნობიერებდა და განიცდიდა.

მინდა აღვნიშნო ბატონი ედუარდის ერთი კარგი თვისება. ის მუდამ ახლის ძიებაში იყო და ცდილობდა თავისი თვალსაწიერის გაფართოებას.

1964 წელს ბატონი ვენორ ქვაჩახიას თაოსნობით ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორია. ე. კოდუა ვ. ქვაჩახიას მოადგილე იყო. ის ცდილობდა, დაუფლებოდა სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს, თუმცა ადრე სკეპტიკურად იყო განწყობილი გამოყენებითი სოციოლოგიის მიმართ. ნებისმიერ საქმეს აკეთებდა დიდი სიყვარულით, უდიდესი პასუხისმგებლობითა და რუდუნებით. არ უყვარდა პომპეზურობა, თავისი საქმიანობის აფიშირება.

ლაბორატორიის ახალგაზრდა თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს ბატონი ედუარდი ყმაწვილური გატაცებით ეზიარებოდა მაშინ მისთვის ნაკლებად ცნობილ სფეროებს – თეატრს, კინოს, საზღვარგარეთულ ლიტერატურასა და რუსულ პოეზიას. უნდა გენახათ, რა სიამოვნებით დადიოდა მათთან ერთად სპექტაკლებსა და კინოჩვენებებზე, როგორი გატაცებით კითხულობდა მისთვის უცნობ ლიტერატურას.

სამწუხაროდ, შემდეგ ბატონი ვენორისა და ბატონი ედუარდის გზები გაიყარა. 1968 წელს, პირველად საბჭოთა კავშირში, ვენორი ქვაჩახიას თაოსნობით შეიქმნა გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრა, რომელსაც მისი სიკვდილის შემდეგ, 1982 წელს, ბატონი ედუარდი ჩაუდგა სათავეში. კათედრას, ე. კოდუას ინიციატივით, სოციოლოგიის კათედრა ეწოდა.

ბატონი ედუარდი გამორჩეული პიროვნება იყო. გამორჩეული იყო მისი ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა (მას შეეძლო დღეში 18-20 საათი ემუშავა) და შრომისნაყოფიერება (რის მაჩვენებელიცაა მისი უამრავი

მეცნიერული შრომა). განსხვავებული იყო მისი ცხოვრების რითმიც და დღის განრიგიც. იგი დგებოდა დილის 5 საათზე და იძინებდა საღამოს 9-10 საათზე. დილას იწყებდა სამეცნიერო ან მხატვრული ლიტერატურის კითხვით, შრომების წერით, შემდეგ სეირნობდა ამხანაგებთან ერთად მისი სახლის წინ მდებარე ბაღში ან კუს ტბაზე. დილიდანვე მიდიოდა უნივერსიტეტში, კათედრაზე, კითხულობდა ლექციებს და ხვდებოდა თავის კოლეგებს; საღამოთი ისევ მეცნიერული მუშაობა და ა.შ.

მისი ყოველდღიური დაძაბული მუშაობა, საქმის სიყვარული, ალბათ, მისი ტრაგედიის, სულის ტკივილის შემსუბუქების მცდელობა იყო. ეს ასულდგმულებდა მას, ამაში პოულობდა გარკვეულ სულიერ სიმშვიდესა და შვებას. იგი მისთვის უმძიმეს ტრაგიკულ წუთებშიც კი არ წყვეტდა მუშაობას.

მაგრამ ბატონი ედუარდი არ იყო ე.წ. „წიგნის ჭია". უყვარდა იუმორი, ამხანაგებთან, მეგობრებსა და თანამშრომლებთან ერთად ყოფნა, ნარდის თამაში, ქეიფი, ქართული სუფრა. არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ იყო. იგი ძალიან კარგი მეოჯახე იყო. უყვარდა ბაზარში სიარული. ამბობდა, ასე უკეთ ვგრძნობ ხალხის მაჯისცემასო.

მას განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება ჰქონდა თავისი ოჯახის წევრების მიმართ. უნდა გენახათ მისი უსიტყვო სიამაყე, გაბრწყინებული თვალები, როდესაც მისმა ვაჟმა თემურმა შესანიშნავად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მედიცინაში; იგი სიამოვნებით უსმენდა ვაჟიშვილის პროფესიონალიზმით აღფრთოვანებულ პაციენტებსა და მეგობრებს.

ბატონ ედუარდს რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებას უმსუბუქებდა მისი ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონი ანა მახარაძე, ერთგული, დიდებული და კეთილშობილი ადამიანი. იგი მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილის ცხოვრებით ცხოვრობდა. ედუარდის სიკვდილი მისი ცხოვრების დასასრული აღმოჩნდა. ერთ წელიწადში ანიაც გარდაიცვალა.

ბატონი ე. კოდუა ძალიან ძლიერი პიროვნება იყო. მან შეძლო უკურნებელი სენის დამარცხება. მისი ამტანობა და შეუპოვრობა თვით მისი მკურნალი ექიმების გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა. მან შეძლო, აგრეთვე, ქალიშვილის დაღუპვით გამოწვეული წარმოუდგენელი, მუდმივი, ღრმა სულიერი ტკივილის უდრტვინველი ტარება. მაგრამ შეძლო კი?!

ცხოვრების ბოლო პერიოდში ბატონი ედუარდი განსაკუთრებულად ნაღვლიანი, ჩაფიქრებული და სევდიანი იყო. სულ ჩაიკეტა თავის თავში. შეიძლება, გრძნობდა თავისი აღსასრულის მოახლოებას.

ნიშანდობლივია, ბატონ ედუარდის სიკვდილი სხდომაზე, უნივერსიტეტში, რომელსაც მან მთელი ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა მიუძღვნა, უნივერსიტეტში, რომელიც უანგაროდ უყვარდა, ეთაყვანებოდა და რომლის სიწმინდისა და სახელის დასაცავად ყოველთვის იბრძოდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ის გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, ისევე, როგორც ბატონი კოტე, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში.

დიდი ილია ამბობდა: „კაცურ კაცს, ხალხისთვის თავდადებულ მოღვაწეს, ორი სახელი უნდა ჰქონდეს. ერთი აქ დასატოვებელი, მეორე – თან გასაყოლი“. ასეთი კაცური კაცი იყო ბატონი ედუარდი, ნამდვილი მეცნიერი, თავის საქმეზე შეყვარებული, ახალგაზრდების აღმზრდელი. აქ მან დატოვა ზნეობრივი, ვალმოხდილი ადამიანის სახელი, ნათელი ხსოვნა და მოგონება, იქ კი გაიყოლა ჩვენი გულისტკივილი და სინანული მისი გარდაცვალების გამო.

როგორც ამბობენ, გარდაცვლილები ცოცხლობენ მანამ, სანამ ჩვენ, ცოცხლებს გვახსოვს ისინი. მათი სიცოცხლე ჩვენს მეხსიერებაში გრძელდება.

დარწმუნებული ვარ, ბატონი ედუარდის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, თანამშრომლებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

abstract

Natela Donadze, TSU assistant Professor

Edward Kodua as a seientist and a pesson

The paper deals with the life and activities of Professor Eduard Kodua, a well – known Georgian philosopher and sociologist.

Science, understanding and analyzing the reality, especially the social reality, was the essence of E. Kodua's life. Keen aspiration for the truth was stniving for personal freedom, creation of his own micro world.

Professor Kodua wasa scientist of a wide range. The sphere of his scientific interests mainly included philosophy and sociology, also psychology, history, science of law, social ecology, etc. He was a leading specialist both of theoretical sociology and various branches of sociology, such as: political sociology (sociology of politics), sociology of religion, sociology of science, sociology of law, sociology of crime, etc.

Eduard Kodua was a very productive and pragmatic scientist. He was an author of more than hundred scientific works. His scientific inheritance includes many monographs, manuals, articles, essays.

According to subjects, his scientific works may be divided into following groups: philosophical works, sociological works and manuals, books, dedicated to the outstanding scientists, thinkers.

At is a noteworthy his activity as an editor. On his initiative and by his great effort, many works of some Georgian celebrated thinkers were published.

Professor Eduard Kodua's lectures and scientific speeches were marvelous. They were full of logic, analytical thinking. They showed

his wide, deep education and erudition, high professionalism and discourse.

E. Kodua was a special person. Special was his strength of will, diligence, capacity for work. But he never was so called „a bookworm“. His sense of humur was good. He enjoyed meeting with his friends and colleagues, travelling and feasting. Nothing human was alien for him.

He was a very tragic person, but he never used to speak about his tragedy, never complained of his physical or inner suffering. He did not like expressing his inner, real human nature or, may be, could not.

Eduard Kodua was a person of a contradictoru character. Sometimes he was very social, active, full of humor, amiable, but sometimes – very quiet, reserved.

Professor E. Kodua’s contribution to the development of sociology in Georgia was valuable. His colleagues, disciples and former students will never forget him, his role in Georgian science and culture.

დალი ჩიქვილაძე

ედუარდ კოდუა – ქართველ პუბლიცისტთა წიგნეგის შემდგენელი და რედაქტორი

წიგნების შედგენა და მისი რედაქტორობა საპატიო და კეთილშობელური საქმეა, თანაც შედგენას ნაწერებისას განათლებასთან ერთად გემოვნებაც ჭირდება, გემოვნება დახვეწილი, დროის მოთხოვნებს რომ გაუძლებს, რედაქტორობა კი მრავალმხრივ ცოდნას მოითხოვს. ამიტომ შედგენაც და რედაქტორობაც როცა ერთდროულია, გაორმაგებულ პასუხისმგებლობას და ტვირთის ზიდვას აკისრებს ოსტატს, დაბეჭდილი წიგნი ხომ წლების სიმძიმეს „უძლებს“.

1990 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა არჩილ ჯორჯაძის კრებული – **„სამშობლო და მამულიშვილობა“** . ეს წიგნი ერთ-ერთი პირველია ამ სახელოვანი მოაზროვნისა და ერუდიტის აკრძალული მემკვიდრეობის სამზეოზე გამოტანის პროცესში. მისი შემდგენელი-რედაქტორი (ასეა აღნიშნული წიგნის თავფურცელზე) გახლავთ ედუარდ კოდუა, რეცენზენტები – ზ. ანჯაფარიძე, ვ. ერქომაიშვილი;

დარბაზში მყოფთაგანს ეგებ გაუჩნდეს სამართლიანი კითხვა, – რა საჭიროა ამ წვრილმანზე საუბარი, ეს ინფორმაცია წიგნს ახლავს თანო... მართალია მავანის ეს უნებლიე საყვედური, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ოცი წლის წინ გამოცემული არჩილ ჯორჯაძის წიგნი, რომელსაც დართული აქვს ედუარდ კოდუას რამდენიმე უაღრესად საინტერესო გამოკვლევა (“არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნააზრევი“, „მოკლე ბიოგრაფია“, „არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობა“, „არჩილ ჯორჯაძის სოციოლოგიური შეხედულებები“, რაც პეტიტით აწყობილ 50 გვერდს შეადგენს) – ჯორჯაძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნააზრევის ერთ-ერთი პირველი

ინტერპრეტაციაა. „ამდენად, საყურადღებო და ანგარიშგასაწევი დღეს არის არა ოდენ არჩილ ჯორჯაძის ნაფიქრალი, არამედ **მეგზურობა**, იმ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, სოციოლოგიური დარგის მესვეურად ჯორჯაძეს რომ წარმოაჩენს და მის ფილოსოფიურ ნააზრევს გასაგებს გახდის, რამაც ჯორჯაძის პუბლიცისტიკას სულ სხვა ხიბლი და ძალა მიანიჭა.

მინდა გავიხსენო ილია ჭავჭავაძის ჯორჯაძისეული შეფასება: „ილიამ **სიტყვით** შექმნა ერთიანი საქართველოო“. „დიახაც, ქართველების დიდი ხნის ოცნების მწვერვალი – ერთიანობა და სამშობლოს სიყვარული ილიამ მოახერხა სიტყვით, რომელიც გულსა და სმენას მისძრავს-მოსძრავს ხოლმე და საფიქრალს გაუჩენს ადამიანს. „პუბლიცისტურ სიტყვას რომ დიდი ძალა აქვს, იგი ქართული ეროვნული ენერგიის, ისტორიული მეხსიერების, სამშობლოს სიყვარულის ასახვის უტყუარი სივრცე რომ არის, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ცნობილია, რომ არჩილ ჯორჯაძე თავისი შემოქმედებით და ფილოსოფიური ხედვით 70-წლიანი ბატონობის ჟამს ტაბუდადებული გახლდათ, მისი ნააზრევით ტვინის „ვარჯიში“ აკრძალული იყო. უნდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი: საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას ავტორეფერატის დაბეჭდვის ნებართვა შეყოვნდა, მითხრეს, არჩილ ჯორჯაძის გამონათქვამს იყენებთ და ამიტომაც დაგიგვიანდათ ნებართვაო (ცენზორი გახლდათ იმხანად ფრიად ცნობილი ქალბატონი ციალა ამაშუკელი, მისი სიმღერები განთქმული იყო იმდროინდელ პურობებზე). არადა, მომწონდა ჯორჯაძის სხარტი დახასიათება: „60-იან წლებში ორი საქართველო შეეჯახა ერთიმეორეს. საქართველო ახალი, მომავალი, მშობიარობის პროცესში მყოფი და საქართველო მიმავალი, ძველი, ბატონყმური“. ყველაზე „უვნებელი“ გამოსავალი მოვძებნეთ, – სქოლიშო მითითებული არჩილ ჯორჯაძის სახელდება ამოვიღეთ, ხოლო ეს სიტყვები ავტორის მიუთითებლად წინწკლებში დავტოვეთ.

მეორე ეპიზოდი: ჟურნალისტიკის კათედრის მაშინდელმა გამგემ პროფესორმა დავით გამეზარდაშვილმა XX საუკუნის 70-იან წლების ბოლოს რამდენიმე კათედრის წევრს გაგვანდო, რომ არჩილ ჯორჯაძის ნაწერების 5 წიგნის შეერთებას და კომენტარებით გამოცემას აპირებდა. ჩვენ კომენტარების შევსებაში უნდა დავხმარებოდით. ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ ეჭვი მაინც გაჩნდა, დაგვრთავენ ნებას?! მიუხედავად ამისა კომენტარებისთვის გავინაწილეთ საფიქრალი. ბედნიერმა შემთხვევამაც ხელი შეგვიწყო. ბ-ნ დავით გამეზარდაშვილს მისმა ერთმა მეგობარმა (რომლის სახელს იგი საგანგებოდ არ ამხელდა, ჩემი გუმანით, ეს პროფესორი აკაკი გაწერელია უნდა ყოფილიყო, რომელიც მის სახლში ცხოვრობდა) „ათხოვა“ 1913 წელს გამოცემული არჩილ ჯორჯაძის ხუთი ტომი, რამაც საოცნებო საქმე გაგვიადვილა. ნაწერები აწყობილი იყო, როდესაც კათედრაზე მობრძანებულმა „კგბ“-ს ორმა წარმომადგენელმა გამზადებული მასალა წაიღო, ხოლო დ. გამეზარდაშვილი „საცა ჯერ არს“ იქ დაიბარეს, მასალები „დააპატიმრეს“, ხოლო მის გამომცემელს პირობა დაადებინეს, რომ არჩილ ჯორჯაძის ნაწარმოებების დაბეჭდვაზე არ იოცნებებდა. ძნელი იყო პროფ. დ. გამეზარდაშვილისთვის ამ პირობის აღსრულება, მაგრამ სხვაგვარად მაშინ ვერ მოიქცეოდა. ეს ეპიზოდი იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ჩრდილი მივაყენო ედუარდ კოდუას სახელს... დრო მიდის, ცისქვეშეთში ბევრი რამ იცვლება, შეუძლებელი შესაძლებლად იქცევა ხოლმე და ოცი წლის შემდეგ დადგა დრო არჩილ ჯორჯაძის მემკვიდრების სამზეოზე გამოტანისა. ეს საპატიო მოვალეობა პროფ. ე. კოდუამ პირნათლად შეასრულა.

წიგნის – „სამშობლო და მამულიშვილობა“ წინათქმაში შემდგენელი და რედაქტორი შემდეგს წერს: „წინამდებარე კრებული შედგება ავტორის მიერ ერის სოციოლოგიური პრობლემების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებისგან. ავტორმა მის სიცოცხლეში ერის პრობლემებზე გამოქვეყნებული ნაშრომები მოათავსა საკუთარ თხუზელაბათა პირველ ტომში. ზოგიერთი შრომა აღმოჩნდა

მეორე ტომშიც, ჩვენ ისინი გავაერთიანეთ და მკითხველი ამ წიგნით მიიღებს სრულ წარმოდგენას იმაზე, როგორ ესმოდა არჩილ ჯორჯაძეს ერის სოციოლოგიური პრობლემატიკა“. შემდგენელ-რედაქტორის ტონი მშვიდი, საქმიანი და პროფესიის – სოციოლოგიის მსახურებისათვის არის გამიზნული. დართული გამოკვლევის შინაარსიც ამას მოწმობს, – ჯორჯაძის ნააზრევის შესწავლის შედეგად დაწერილი ორი წერილი – „არჩილ ჯორჯაძის საციოლოგიური შეხედულებანი“, „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნააზრევი“ – იმის დასტურია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, მხარდაჭერას და რაობის განმარტებასაც მოითხოვდა. ედუარდ კოდუა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, მსახური გახლდათ. ალბათ, შემთხვევითი არ გახლავთ პროფ. მერი ჭელიძის საგანგებო ხაზგასმა, რომ ედუარდ კოდუა სოციოლოგიის დარგის ლიდერი იყოო (მ.ჭელიძე, ხსოვნის სიტყვა, 2005, გვ.53). ფედერალისტთა მედროშე და „საერთო ნიადაგის“ თეორიის შემქმნელი არჩილ ჯორჯაძე წერდა: „დოგმატის და სხვისის აზრის უარყოფა და შეუწყნარებლობა ნიშანია დიდის სისუსტისა და უბედურებისა და უნდა აღვიაროთ, ეს ნაკლოვანება ჩვენი საერთო სენია“ /გვ.271/ ამ სენს, ვფიქრობთ, ედუარდ კოდუა გადურჩა. ის იყო ღრმად ერუდირებული მეცნიერი საკუთარი ხედვით, სიახლის შეცნობის გუმანით და ნიჭიერთა გამორჩევის უნარით.

2003 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა მეოცე საუკუნის ქართული პუბლიცისტური სიტყვის მეტრის – გერონტი ქიქოძის წიგნი „პატარა ერის ხვედრი“. შემდგენელები – მანანა ქიქოძე, ლევან ასათიანი, ედუარდ კოდუა; რედაქტორი – ნიკო ბერძენიშვილი; რეცენზენტები – ა. ბერძენიშვილი, ა. აბრამიშვილი.

დაკვირვებული მკითხველისათვის ნათელია, რომ ოჯახის წევრებთან ერთად შემდგენელთა შორის ედუარდ კოდუას სახელი და გვარი ბევრზე მეტყველებს. სტატიების შერჩევა და სათაურის ამგვარად გა-

მოკვეთა – „პატარა ერის ხვედრი“ – ვფიქრობთ, ედუარდ კოდუასი უნდა იყოს. წიგნის ფორმატზე შემდგენლები შემდეგს აუწყებენ მკითხველს: „კრებულში თავმოყრილია გამოჩენილი ქართველი მოღვაწის – გერონტი ქიქოძის შემოქმედების მნიშვნრლოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს 1905-1917 წ.წ. მოღვაწეობის პერიოდს. იგი შედგება მწერლის მიერ სხვადასხვა დროს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებისგან, რომელთა დღის სინათლეზე გამოტანაც ძვირფასი საჩუქარი იქნება ქართული ისტორიული, ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის. ავტორისეული ტექსტი იბეჭდება უცვლელად“.

პუბლიცისტურ წერილებს უძღვის ედუარდ კოდუას ვრცელი „წინათქმა“, რომელიც გერონტი ქიქოძისადმი მიძღვნილ ერთ საუკეთესო ესსედ შეიძლება ჩაითვალოს.

ამონარიდი ამ გამოკვლევიდან: გერონტი ქიქოძე წერდა: – „ჩვენი დღევანდელი კულტურა არსებითად უპიროვნო და საგნობრივი ხასიათისაა. ჩვენ ძლიერნი ვართ ობიექტური კულტურის ასპარეზზე, მაგრამ ღარიბნი კეთილშობილი ადამიანების სფეროში. ჩვენი წიგნთასაცავები სავსეა წიგნებით, ჩვენი მუზეუმები – სურათებით, ჩვენი ქალაქები – სხვადასხვა სტილის შენობებით, მაგრამ ჩვენ ხშირად გვაკლია ის ინტიმური, იდუმალი, პირადი დამოკიდებულება მეცნიერებასთან და ხელოვნებასთან, რომელიც ასე დამახასიათებელია ბერძნებისა და აღორძინების დროის ადამიანებისთვის. და ეს იმიტომ, რომ **ჩვენ პიროვნების კულტურა გვაკლია**“/გვ.3/. ამ ესსეს მიხედვით გერონტი ქიქოძე წარმოჩინდება სიბრძნით, ერუდიციით, ჰუმანიზმით, ევროპული კულტურის ცოდნით, და რაც მთავარია, ქართული სულით, ქართული დვრიტით, რომელსაც ბევრი რამ ასაზრდოებს, შენ- პატარა ერის შვილს, გმუხტავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის სიყვარულით, გინერგავს რწმენას, რომ საქართველოს ხვედრი, ხვალინდელი დღე – საიმედოა!

ერთი ამონარიდიც უნდა მოვიხმოთ: „საჭიროა განისაზღვროს საქართველოს მომავალი გზა, – წერს 1917 წელს გერონტი ქიქოძე, – იგი უნდა იყოს ანალოგიური გზისა, რომელიც განვლო ევროპამ“. გერონტი ქიქოძე კრიტიკულად ეკიდება საქართველოში სომხური და რუსული ბურჟუაზიის გავლენას, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს საკუთარი კაპიტალი არ გააჩნია და იძულებულია ამ გზით იაროს. აქ დახასიათებული ვითარება, – აღნიშნავს ედუარდ კოდუა, – „ძალზე ჰგავს თანამედროვეობას. საქართველოს სახალხო მეურნეობა დღეს უცხოური ინვესტიციების გზით ვითარდება. საკუთარი კაპიტალი და ტექნიკა არა გვაქვს, მაგრამ მთავარია, რამდენად რაციონალურად იქნება გამოყენებული უცხოური კაპიტალი და ტექნიკა. თუ გაგრძელდა უკანასკნელი წლების ანტიეროვნული საქმიანობა, თუ ჩვენ სიმდიდრეს მთლიანად გავიტანთ და გავყიდით, თუ ფერადი ლითონებისა და ჯართის შემსიყდველი და უცხოეთში გამტანი ორგანიზაციები ისე იპარპაშებენ, როგორც ამჟამად ხდება, თუ ჩვენს მიერ მოკლულ ილიას ხელახლა მოვკლავთ იმით, რომ მის ძეგლს მოვიპარავთ და ჯართად გავყიდით, თუ პატარა უფლისწულში ჯართის მეტ ღირებულებას ვერ დავინახავთ და ვერ გავაცნობიერებთ, რომ ძეგლები ჩვენი წარსულის ისტორიულობაა, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ, ეროვნული სიამაყისთვის არავითარი საფუძველი არ გვექნება და დავემსავსებით კრილოვის იგავ-არაკის ღორს, რომელიც მუხას ფესვებს უთხრიდა, როგორც მისთვის უსარგებლოს“/გვ.8-9/.

ეს სიტყვები 2003 წელს იბეჭდება. იგი დღესაც დაფიქრებისთვის ძლიერ მუხტს შეიცავს, რადგან განვლილ ექვს წელიწადში არაფერი შეცვლილა.

ერთიც: გერონტი ქიქოძისადმი მიძღვნილ ესსეში ედუარდ კოდუა წერდა: „გერონტი ქიქოძე ხედავდა სიღარიბის ანატომიას და იცოდა, სად ეძებნა მისი მიზეზები. ქიქოძეები და კრიტიკული ცნობიერების მქონე ქართველები გადაშენდნენ, სამაგიეროდ, კლაკვისტები მომრა-

ვლდნენ... კორუფცია და ყოველგვარი კრიმინალი ყვავის დღეს, თუმცა არც ანტიკორუფციული ორგანიზაციები და არც სადამსჯელო ორგანოები გვაკლია. თითქოს ყველაფერზე ვახდენთ რეაგირებას, ფაქტობრივად კი არაფერს ვაკეთებთ. ყველაფერი ფორმალური ღონისძიების სახეს იღებს".

ედუარდ კოდუა საგანგებოდ გამოყოფდა გერონტი ქიქოძის შემდეგ აზრს: „მან კარგად გაანალიზა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სულიერს. ეკონომიკურად ღარიბებს შეუძლიათ დიდი სულიერი ღირებულებები შექმნან. ეკონომიკური ძლიერება სულიერი სიძლიერის მაჩვენებელი არაა"/გვ.23/.

პუბლიცისტური წერილების ამ კრებულში შემდგენელმა ქიქოძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მცირე ნაწილიც შეიტანა, „უფრო ცხადი გახდება გერონტი ქიქოძისა და მისი მეგობრების ურთიერთსიყვარული, ადამიანთა ამ წრემ შეჭირვების ჟამს ურთიერთზრუნვა რომ გამოიჩინა"/გვ.24/.

დიახ, „ურთიერთზრუნვის სასწაულის" დეფიციტს გრძნობდა, უთუოდ, ედუარდ კოდუა. მან მეცნიერული პაექრობისა და ბრძოლის პერიპეტიები ისე გამოიარა, ურთიერთდაცვის მცდელობა, ნაკლებად უგრძვნია. გვინდა სტენდალის საფლავის ქვის წარწერა მოვიხმოთ და ედუარდ კოდუას გახსენებაც ამით დავასრულოთ: „ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა" (ამ სიტყვებით დაასრულა ედუარდ კოდუამ ესსე გერონტი ქიქოძეზე).

Abstract

Dali Chikviladze, TSU Associated Professor

Eduard Kodua – Designer and Editor of Georgian Publicists Books

This paper is dedicated to Professor Edward Kodua's 80th birth anniversary. In this paper is discussed the actuality of two collected articles of Georgian publicists, that were published by Edward Kodua. Editing these collected articles he showed the priorities in Sociology field.

ზვიად აბაშიძე, სალომე დუნდუა

ეთნიკური იდენტობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში

საქართველო ტრადიციულად იყო და რჩება მრავალრელიგიურ და მრავალეთნიკურ სახელმწიფოდ. შესაბამისად მისთვის მეტად აქტუალურია, სულ მცირე საჯარო დონეზე მაინც, საზოგადოების განსხვავებული სეგმენტების მიერ ერთი პოლიტიკური სივრცის ფარგლებში მშვიდობიანი ურთიერთთანაცხოვრების განხორციელების პრობლემა.

კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ წესრიგის ის გარეგნული, ფასადური მხარე, რომელიც შიშსა და ტერორზე იყო დაფუძნებული მთლიანად მოიშალა და შესაბამისად, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად თავი იჩინა რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილმა ბევრმა პრობლემამაც. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ამგვარ დაძაბულობებს არა საკუთრივ ეთნო-კონფესიური ფესვები აქვს ხოლმე, არამედ იგი სულ სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული და მისი კონფესიური და ეთნიკური შეფერილობა მხოლოდ მისი გარეგნული მხარეა, ან უკეთეს შემთხვევაში ცალმხრივი ხასიათისაა. ჯერ კიდევ სუსტი დემოკრატიის ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოების ერთ მთლიან სამოქალაქო სივრცედ გარდაქმნას. შესაბამისად, ქართულ რეალობაში ეთნო-კონფესიური (უმეტესად ეთნიკური, რადგანაც ხშირად ეთნიკური იდენტობა რელიგიურ ნიადაგზე ყალიბდება) გაუცხოების ხარისხი საკმაოდ მაღალია.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია კონკრეტული ემპირიული კვლევევის საფუძველზე წარმოაჩინოს ის სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც წარმოიშობა ეთნო-რელიგიური იდენტობები საქართველოში და შემდგომში რა პროცესები მიმდინარეობს მათი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში დაახლოების და ინტე-

გრაციის თვალსაზრისით. კვლევა არ მოიცავს საქართველოში არსებულ ყველა ეთნო-კონფესიურ ჯგუფს. იგი ემყარება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად მოსახლე აზერბაიჯანელ და სომხურ ეთნიკურ უმცირესობებს.

ა) თანამედროვე საქართველო ეთნო-კონფესიური ფრაგმენტაციის თვალსაზრისით

საქართველო ეთნო-კონფესიური თვალსაზრისით მრავალწევრიანი და ფრაგმენტირებული ქვეყანაა. მისი ერთი-ერთი უმთავრესი ამოცანა იმგვარი საჯარო სივრცის შექმნაა, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა ეთნო-კონფესიურ ჯგუფს მოცემული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობა და მისი თანაზიარობის შეგრძნება გაუჩნდება. რაც მთავარია, თუ კი საქართველოს სურს ერთი მხრივ – მოახერხოს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და მეორე მხრივ – სრულფასოვან, კონსოლიდირებულ ლიბერალურ-დემოკრატიად გადაქცევა – მას მოცემულ პრობლემასთან გამკლავება მოუწევს.

დღევანდელი საქართველოს საჯარო-პოლიტიკური სივრცე და დისკურსი ეთნიკური კატეგორიების სიმრავლით გამოირჩევა და რთულია მას კონსოლიდირებული, ფართო სამოქალაქო მონაწილეობაზე დაფუძნებული, აქტიური სამოქალაქო კულტურა ეწოდოს, რომლის საფუძველი, თავის მხრივ, ფართო სოციალური და პოლიტიკური კონსესუსია. საქართველოს პოლიტიკური კულტურა უფრო ფრაგმენტული ხასიათის და კონფლიქტოგენური ტენდენციების მატარებელია, რომელშიც მრავალადაა წარმოდგენილი პრიმორდიალური და პრემოდერნული ყაიდის სოციალ-პოლიტიკური ელემენტები, რომელნიც თავის მხრივ არც თუ მთლად შესაბამისობაში მოდიან თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებს და მიზნებთან.

რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეების ჩამოყალიბებაში ბევრ რამეში შეიძლება დავადანაშაულოთ პოლიტიკური ელიტები (მათ შორის ეთნო-პოლიტიკური ელიტები), რომლებიც ქვეყნის სვე-ბედის

განსაზღვრის მთავარი მოქმედი პირები არიან, მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოცემული ელიტები ფუნქციონირებენ გარკვეული ისტორიული მემკვიდრეობის და არსებული სოციალ-პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით, რომელიც არც თუ ისე ძლიერ გვიბიძგებს წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციისკენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საბჭოთა მემკვიდრეობა გამოირჩევა, რომელმაც სხვა ათასგვარ უკეთურებასთან ერთად სოციუმის მეტად მძლავრი ეთნიკური სტიგმატიზაცია მოახდინა, რომლის დაძლევაც ფრიად გაუჭირდა ყველა ეთნიკურად მრავალწევრიან პოსტ-კომუნისტურ ქვეყანას. საქართველო კი მათ შორის საკუთარი ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობის პრობლემების გადაულახაობით განსაკუთრებით გამოირჩევა. ყველა იმ დაღს და ლაქას შორის, რაც კი დიადმა საბჭოეთმა გვიანდერძა, ყველაზე უარესი ეთნიკური დაღი აღმოჩნდა. ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობის დაძლევას ქვეყნის ურთულესი საგარეო პოლიტიკური პირობები და მძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარება განსაკუთრებით აძნელებს. საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს, არა მხოლოდ სუსტი პოლიტიკური და კულტურული კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მეტად სუსტად არიან შეკავშირებულნი. არსებული საერთო ეროვნული ეკონომიკური ბაზარი არ ხდება მათი ინტენსიური შეხების, კონკურენციის და თანამშრომლობის წყარო. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ სახეზე გვაქვს ეთნიკურ უმცირესობათა ფაქტობრივი იზოლაციონიზმი (უმეტეს შემთხვევებში მაინც), რომლის რადიკალურად უკეთესობისკენ ცვლილებაც უახლოეს მომავალში არც თუ მთლად პერსპექტიულად გამოიყურება. იმის მიუხედავად რომ საქართველოში ყველა საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია სამოქალაქო თანასწორობის ფორმალური მხარე და ქვეყანა მიერთებულია ყველა იმ ფუძემდებლურ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, საქმე არსობრივად წინ მეტად ზანტი ტემპებით მიიწევს. ფაქტია, რომ მხოლოდ ფორმა-

ლიზებული სამოქალაქო თანასწორობა ვერ უზრუნველყოფს აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას და ინტეგრაციას, თუმცა მის გარეშე იგი საერთოდ წარმოუდგენელია.

სამოქალაქო ინტეგრაციას ხელს უშლის აგრეთვე მოსახლეობის უმრავლესობის წარმოდგენებში ფესვგადგმული ეთნონაციონალისტური ტენდენციები და მითოლოგიები. არა და მოცემული ეროვნული მითოლოგიები და წარმოსახვები ეროვნულ თვითდადგენას და იდენტობის ფორმირებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. ეთნონაციონალისტური ტენდენციები ძლიერია არა მხოლოდ ეთნიკურ ქართველებში, არამედ ეთნიკურ უმცირესობებშიც (უმცირესობებში შეიძლება კიდევ უფრო მეტი დოზით). საქართველოში ეთნონაციონალიზმის გაჩენას რამდენიმე ფაქტორი უზრუნველყოფდა. ეს არის როგორც ძველი ისტორიული წარსულის და საბჭოთა ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობა, ასევე არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარების შედეგიც. ამ მხრივ საბჭოთა მემკვიდრეობა განსაკუთრებით ქმედითია, რომელმაც თითქოსდა ძველი საუკუნეების და მის წინაშე რეალობის სინთეზი მოახდინა და ერთიანი მზა პროდუქტის სახე მისცა, ოღონდ უფრო რეგრესული სახის. საბჭოთა დანატოვარმა მართლაც რომ წარუშლელი კვალი დაამჩნია არსებულ ვითარებას, თუმცა არც მანამდელი მდგომარეობა უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ალბათ ამ ორი გამოცდილების გადააზრება უფრო უკეთ გაგვცემს პასუხს მასზედ, თუ რატომ იყო შესაძლებელი საქართველოში ეთნონაციონალისტური განწყობების გაჩენა და რატომ შეიძლება მუხრუჭდებოდეს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია. რასაკვირველია, სამოქალაქო ინტეგრაციის დამუხრუჭებაში დიდი როლი ეკისრება მოქმედ პოლიტიკურ ელიტებს, მაგრამ, როგორც, წესი ნებისმიერი პოლიტიკური აქტორი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური პროექტის დამკვიდრებას ლამობს, ცდილობს რომ საკუთარ ქმედებას გარკვეული ლეგიტიმურობა შესძინოს და შესაბამისად ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერაც მოიპოვოს. ამიტომაც, ხშირ შემთხვევებში ისინი მოცემული რეალობის ტყვეები

არიან და ცდილობენ იმგვარ იდეებს დააფუძნონ საკუთარი პოლიტიკური პროექტები, რომლებიც მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის კარგადაა ნაცნობი და შესაბამისად მათ მიერ უფრო მეტად გაზიარებული და მხადაჭერილია.

ბ) იდენტობის ფორმირების ძირითადი საკითხები ეთნო-რელიგიურ თემებში

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია სოციოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მასალა, რომელიც ჩვენი ნაშრომის გამოტანილი დასკვნებისა და რეკომენდაციების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი გახდა. აღნიშნული ემპირიული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ მასზედ, თუ რა ძირითადი განწყობების მატარებელნი არიან ეთნიკურ ურთიერთობების და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკაზე საქართველოში მოსახლე უმთავრესი ეთნიკური ჯგუფები.

რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მიზნით მოხდა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით რესპოდენტთა დაყოფა. სამცხე-ჯავახეთის, მარნეული-ბოლნისის, და მცხეთა-თბილისის რეგიონებში გამოკითხულ იქნა 600 მოქალაქე.

გამოკითხული მოსახლეობის ასაკი მეტ-ნაკლებად გაშუალედებულია. რესპონდენტთა დიდი ნაწილი სასოფლო ან რაიონული ტიპის დასახლებებში ცხოვრობს. გამოკითხულ მართლმადიდებელ ქართველთა დიდი ნაწილი ურბანიზირებულია, რითაც შეიძლება აიხსნას ის, რომ მათ დიდ ნაწილს საშუალოზე მაღალი დონის განათლება აქვს მიღებული. არამართლმადიდებელ ქართველებსა და ეთნიკურად არაქართველ რესპონდენტთა უდიდეს ნაწილს საშუალო სასკოლო განათლება აქვს მიღებული.

შრომითი აქტივობით – ბიზნეს საქმიანობა, ყიდვა-გაყიდვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულობა – ანუ, არასავალდებულო სექტორში საქმიანო-

ბის მაღალი დონით გამოირჩევიან აზერბაიჯანელი რესპონდენტები – 72,5%. რაც შეეხებათ მართლმადიდებელ ქართველებს, გამოკითხულტა დიდი ნაწილი – 23,5 % საჯარო სფეროშია დასაქმებული. საგულისხმოა ისიც, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა საკმაო ნაწილი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს.

ძალიან დაბალია საჯარო სფეროში აქტივობის დონეც. შედარებით მაღალი აქტივობით გამოირჩევიან მართლმადიდებელი ქართველები. ანუ, როგორც ჩანს სამოქალაქო საზოგადოების და აქტივობის დამკვიდრების ისედაც დაბალი ტემპი, უფრო მეტად დაბალია და შეიძლება ითქვას თითქმის ნულის ტოლია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამგვარი სოციალური ექსკლუზიიდან გამომდინარე (რომელიც როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორებითაა განპირობებული), ნამდვილად არაა გასაკვირი ეთნიკური უმცირესობების ჩაკეტილობა და ინტერვიუს პროცესში მათი შედარებით ნაკლები გულწრფელობა.

რესპონდენტების საშუალო შემოსავალი საქართველოს სტანდარტებითაც კი დაბალია. ამგვარ დაბალ საშემოსავლო მაჩვენებელს შესაძლებელია ისიც განაპირობებს, რომ რესპონდენტებმა საკუთარი მატერიალური შემოსავლების თაობაზე არ გასცეს ზუსტი პასუხი. არა და, მაგალითად, აზერბაიჯანლების დიდი უმრავლესობა, მათი პასუხების მიხედვით, კერძო ბიზნესითაა დაკავებული და ბუნებრივია ფინანსური შემოსავლებიც იმაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე მათ ეს დაადასტურეს ინტერვიუს დროს.

გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარ ჯგუფობრივ იდენტობას ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე განსაზღვრავს. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენენ ქვემო ქართლში გამოკითხული აზერბაიჯანელი რესპონდენტები, რომელთა დიდი ნაწილი უპირატესობას რელიგიურ ფაქტორს ანიჭებს. ამ შემთხვევაში სახეზეა ფაქტი, თუ როგორ შეიძლება რელიგიამ განსაზღვროს ეთნიკური იდენტობა. ამავე დროს აქ გასათვალისწინებელია ისლამის ტრადიციული

მოძღვრებაც, რომელიც საერო და სასულიერო სფეროებს ერთმანეთისგან არ მიჯნავს და რწმენის საფუძველზე ცდილობს ჩამოაყალიბოს სოციალური თუ პოლიტიკური ჯგუფი/თემი. როგორც ჩანს ამ მხრივ გამოკითხულ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ისლამური ტრადიციები საკმაოდ ძლიერია.

კითხვაზე, „ქორწინების შემთხვევაში, რომელი ეროვნების ადამიანთან ამჯობინებთ ოჯახის შექმნას?“ ეთნიკური ქართველების უმრავლესობა უპირატესობას ეთნიკურ ქართველთან ქორწინებას ანიჭებს. ანალოგიური მდგომარეობაა აზერბაიჯანელებთანაც, რომელთა უმრავლესობაც ანალოგიურად, თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ამჯობინებს ოჯახის შექმნას. თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ იმ ფაქტორს, რომ აზერბაიჯანელისთვის უპირატესობა ენიჭება აღმსარებლობის ფაქტორს-მუსლიმთან ქორწინებას, ხოლო მეორეს მხრივ კი აზერბიჯანული თემის გარკვეულწილად იზოლირებულობას, მოცემული შედეგები ადვილად ახსნადი გახდება.

გამოკითხულ რესპონდენტებს შორის განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ადამიანებთან ქორწინების შესაძლებლობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლი ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებში გვხვდება. ქორწინებისას ეროვნებას „არა აქვს მნიშვნელობა“ – ასე მიიჩნევს გამოკითხული სომეხი რესპონდენტების 60,3 %. საინტერესოა, რომ ეთნიკურ ქართველთან ქორწინებას გამოკითხული სომხების 11 % ისურვებდა. ამ შემთხვევაში ალბათ გადამწყვეტ როლს თამაშობს რელიგია – მიუხედავად გარკვეული კონფესიური სხვაობისა (მართლმადიდებლობა-გრიგორიანელობა), ქართველები და სომხები ქრისტიანები არიან. ამას გარდა, აღნიშნული პასუხი გვაძლევს იმის საბაბს ვიფიქროთ, რომ სომხური თემი უფრო გახსნილიც ჩანს.

საინტერსეო მაჩვენებლებია კითხვაზე – „რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობა?“

მოცემულ კითხვაზე პასუხით: „ცხოვრობდე სამშობლოში მკვეთრად მაღალია დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის სა-

მივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან – აზერბაიჯანელებთან (83,6%) და სომხებთან (87,3%) და მართლმადიდებელ ქართველებთანაც, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ყველა ეთნო-კონფესიური ჯგუფი საქართველოს უპირობოდ საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევს.

„აქტიურად ვიყო ჩართული ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში“ – ამ კითხვაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლელი – 0,7 % აქვთ აზერბაიჯანელებს. ამის მიზეზად შესაძლებელია მივიჩნიოთ ის, რომ ეთნიკურ აზერბაიჯანელთა თემი ჩაკეტილი თემია და შესაბამისად მათთვის დამახასიათებელია იზოლაციონიზმი. პოლიტიკური ჩართულობის მაჩვენებლი საკმაოდ მაღალია ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ სომხებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური მოძრაობა სამცხე-ჯავახეთში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საკმაოდ აქტიურია და მასში აქტიურ თუ პასიურ დონეზე ჩართულია ეთნიკური სომხების გარკვეული ნაწილი (სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის თუ პოლიტიკური გაერთიანების სახით), აგრეთვე ისიც, რომ მთელი საბჭოთა მმართველობის მანძილზე უკანასკნელ პერიოდამდე სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სამხედრო ბაზები, გასაგები გახდება თუ რა იწვევს სომეხი ეროვნების ადამიანებში პოლიტიკური პროცესებში ჩართულობის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს.

სიმბოლოებთან მიმართებით, გამოკითხული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დადებით განწყობილებას გამოხატავს. ფაქტობრივად, რესპონდენტები დადებითად არიან განწყობილნი ქვეყნის სამივე სიმბოლოს – დროშის, გერბის და ჰიმნისადმი. თუ ჩვენ პროცენტულ მაჩვენებლებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ რომ გამოკითხულთა შორის სახელმწიფოს სიმბოლოებისადმი დადებითი დამოკიდებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (92% ეთნიკური სომხები, 94,3 % ეთნიკური აზერბაიჯანელები%) – 83, 2% მართლმადიდებელ ქართველ რესპონდენტებზე მოდის. ერთი შეხედვით, თითქოს სა-

პირისპირო პასუხები უნდა მიგველო, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, ვფიქრობთ შესაძლებელია რამოდენიმე ასპექტის გამოყოფა:

ა) ერთი მხრივ ის, რომ სახელმწიფო სიმბოლოების ირგვლივ საკმაო ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი და დისკუსია, რომლის პროცესშიც სრულიად საპირისპირო მოსაზრებები და შეხედულებები გამოითქმებოდა. როგორც წესი, ამ საკითხის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში მხოლოდ (ან უმეტესწილად) ეთნიკური ქართველობა ღებულობდა მონაწილეობას და დღემდე ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არც თუ დადებითი განწყობაა სახელმწიფო სომბოლოების მიმართ.

ბ) მეორე მხრივ კი კითხვის ფორმულირებამ „მისაღებია"-თი და არა ვთქვათ, „მოსაწონია"-თი, ასევე შესაძლოა განსაზღვრა პასუხების სავარაუდო შედეგები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ ეთნიკურად არაქართველი თემები გარკვეულ იზოლიაციონიზმში იმყოფებიან, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ამის გამო ისინი ერიდებიან გამოხატონ საკუთარი ნაკლებ პოზიტიური ან სულაც ნეგატიური დამოკიდებულება სახელმწიფო სიმბოლოებისადმი. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ რთულია ავხსნათ, თუ რატომ შეიძლება იყოს ქრისტიანული სიმბოლოებით დატვირთული სახელმწიფო სიმბოლიკა უფრო მისაღები მუსლიმი აზერბაიჯანელისთვის ვიდრე მართლმადიდებელი ქართველისთვის.

გამოკითხვის მიხედვით, აზერბაიჯანელ და სომეხთა დიდ უმრავლესობას (64,4 % და 86,4%) ყოველდღიური შეხება აქვს სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან (სავარაუდოდ ქართველებთან); რაც შეეხებათ ქართველებს, მათ ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ 37,2%-ს აქვს ხშირი ან ყოველდღიური შეხება სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. მოცემულ შემთხვევაში ვფიქრობთ შესაძლოა ორგვარი ახსნა მოინახოს:

პირველი ის, რომ ქვეყანაში ქართველები დომინირებადი ეთნიკური ჯგუფია და მის ხელშია ქვეყნის რესურსების პრაქტიკულად უდიდესი ნაწილი, შესაბამისად საჯარო საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელებს ურთიერთობა უწევთ ქართველებთან.

მეორე მხრივ, ქართველი რესპონდენტების დიდი ნაწილის იშვიათი კონტაქტი არაქართველ მოქალაქეებთან შესაძლებელია იმითაც იყოს განპირობებული, რომ გამოკითხულ ქართველებთან ბუნებრივ მდგომარეობაში არ თანაცხოვრებენ სხვა კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები, ხოლო რაც შეეხება საჯარო-პოლიტიკურ და სხვა ტიპის საქმიანობას, აქ მას (ეთნიკურ ქართველებს) სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შეხება საკუთარი დომინანტური მდგომარეობის გამო არც (ან ძალიან იშვიათად) უწევს.

რაც შეეხება სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ერთმანეთთან ურთიერთობების ხასიათს, ყველა რესპონდენტთან, ჩამოთვლილ ურთიერთობათა ტიპებიდან სჭარბობს მეზობლურ – მეგობრული ურთიერთობები – 70 % და მეტი.. ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი მოდის ოჯახურ ურთიერთობებზე. ამ შემთხვევაში მოცემული ტიპის ურთიერთობა ყველაზე ხშირად სომხებს აქვთ -5,9%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათთან შედარებით უფრო ხშირია შერეული ქორწინებები და რაც ასევე, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ ეთნიკური სომხები აზერბაიჯანელებთან შედარებით უფრო გახსნილი და ნაკლებ იზოლირებული თემია და მათთვის უფრო მისაღები და დასაშვებია ეთნიკურად არა სომეხ წარმომადგენელთან ოჯახის შექმნა.

დაახლოებით ანალოგიური მაჩვენებლებია მიღებული კითხვაზე „გექმნებათ თუ არა პრობლემა თქვენი ეროვნების გამო საზოგადოებრივ ცხოვრებაში“. ამ ორ კითხვაზე მიღებული პასუხები დაახლოებით ერთმანეთის მსგავსია. რესპონდენტთა იმ ნაწილს, რომელიც მუშაობს, არც საზოგადოებრივ და არც სახელმწიფო სამსახურში პრაქტიკულად

პრობლემა საკუთარი რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების გამო არ ექმნება (აქაც გამორჩეულად მაღალია ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო სამსახურის შემთხვევაში პრაქტიკულად აზერბაიჯანელების აბსოლუტურ უმრავლესობას, თითქმის 100%, არ ექმნება პრობლემა საკუთარი ეთნიკური კუთვნილობის გამო). შესაძლებელია ვივარაუდოთ ისიც, რომ მათი თემობრივი ჩაკეტილობის გამო მათ არ სურთ ისაუბრონ პრობლემებზე.

ქორწინების და პოლიტიკური არჩევანის გაკეთების პროცესში რელიგიურ და ეთნიკურ ასპექტებზე ყურადღების მიქცევის მხრივ აშკარად დომინირებენ ქართველი რესპონდენტები. გამოკითხული ქართველი მოქალაქეების საკმაო ნაწილი – 49,7 % მიიჩნევს, რომ ქორწინებისას და პოლიტიკური არჩევანის გაკეთების პროცესში (56,4 %) ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ კუთვნილებას.

მართლმადიდებელ ქართველთა მხოლოდ 47,8 % მიიჩნევს რომ კარგად იცნობს საკუთარ კულტურას და ტრადიციებს და ეს იმ ფონზე, როდესაც აზერბაიჯანელებისა და სომხების აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ კარგად იცნობს საკუთარ ტრადიციებს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? აქ შესაძლებელია გამოსჭვიოდეს ის მოსაზრება, რაც ხშირად ისმის ხოლმე ქართულ საჯარო დისკურსში, რომ არცთუ სათანადოდ იცნობს, საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას და უფრო ღრმა ცოდნაა საჭირო, ვიდრე ეს რეალობაშია. უმეტეს შემთხვევებში ამგვარი განცხადებები გადაჭარბებული ხასიათისა უნდა იყოს და ეთნონაციონალისტური განწყობების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ეთნონაციონალიზმი ხომ უმეტესად საკუთარი „ეროვნული ღირებულებების“ საფუძვლიან ცოდნას და გასიგრძეგანებას ქადაგებს. ვფიქრობთ მოცემული შემთხვევაც ამგვარი პრაქტიკის დადასტურებაა. სხვა შემთხვევებში გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იცნობდნენ ეთნიკური უმცირესობები საკუთარ კულტურას უკეთ, როცა მათი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის რესურსი გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს ეთნიკურად ქართველების შემთხვევაშია.

აქაც ნათლად დასტურდება ზემოთ მოყვანილი მოსაზრება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოჯგუფების კულტურისა და ტრადიციების ცნობადობის შესახებ სომხურ ეთნიკურ ჯგუფს აქვს. ეთნიკური უმცირესობები უკეთ იცნობენ სხვის კულტურას (ამ შემთხვევაში სავარაუდოდ ქართველებისას) იმის გამო, რომ ისინი იმ გარემოში ცხოვრობენ, სადაც საჯარო და შესაბამისად, ხშირად ყოველდღიურ ურთიერთობებშიც დომინირებადი ეთნიკური ქართველია. ქართველი ისევ, როგორც საკუთარი კულტურის შემთხვევაში, ისევ ყველაზე ნაკლებ მიიჩნევს, რომ სხვის კულტურას იცნობს. ერთი მხრივ აქ მოქმედებს ის ფაქტორიც, რომ ქართველი დომინანტი საჯარო დისკურსის შემოქმედია და ამ დისკურსში მას მიაჩნია, რომ არა თუ სხვის, არამედ საკუთარ კულტურასაც კი არ იცნობს კარგად; მეორე მხრივ, შესაძლოა ქართველებს ისევ და ისევ მისი დომინირებადი მდგომარეობის გათვალისწინებით, რეალურად მართლაც არა აქვთ ინფორმაცია უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ; ნაკლებია ცნობადობა და არც სახელმწიფო პოლიტიკაა მიმართული ამ საკითხის პოპულარიზაციისკენ. რაც შეეხებათ სომეხ რესპონდენტებს, გამოკითხულ მოქალქეებს შორის მათ ყველაზე მეტად მიაჩნიათ, რომ იცნობენ სხვების კულტურულ მემკვიდრეობას. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთში შედარებით მეტია პოლიტიკური განათლების დონე (ქვემო ქართლის გამოკითხულ რაიონებთან შედარებით), მათ უფრო იციან სახელმწიფო ენა ვიდრე აზერბაიჯანელებმა და შესაბამისად, სომეხთა თემიც უფრო გახსნილია.

საინტერესოა მონაცემები მშობლიური ენის შესახებ. სომეხთა 4,5 % ქართულ ენას მიიჩნევს მშობლიურ ენად. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს წინა კითხვის პასუხებს. რუსული რესპოდენტ სომეხთა 10% მიაჩნია მშობლიურ ენად.

ამ კითხვის გაგრძელებაა და შესაბამისად, წინა კითხვებიდან გამომდინარე სრულიად ლოგიკური შედეგებია მიღებული კითხვაზე,

რომელიც ინფორმაციის მიღების საშუალებებსა და ინფორმირების ენას ეხება.

აზერბაიჯანელების გარდა გამოკითხული მოსახლეობის საკმაო ნაწილის ინფორმირების წყარო ნაცნობ-მეგობრებისგან მიღებული ინფორმაციებია. ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ გვევლინება ტელევიზია. რაც შეეხებათ ჟურნალ – გაზეთებს, ამ გზით ყველაზე ნაკლებად ინფორმაციას ღებულობს აზერბაიჯანელი მოსახლეობა. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული წერა-კითხვა და შესაბამისად, მათთვის პრობლემას წარმოადგენს ჟურნალ – გაზეთების ქართულ ენაზე გაცნობა. ამავე დროს, რომც იცოდნენ სახელწიფო ენა, სავარაუდოდ ბეჭდური მედია მაინც ნაკლები პოპულარობით ისარგებლებდა, რადგანაც ბეჭდური მედია ზოგადად ნაკლები გავლენით და ნდობით სარგებლობს ქართულ მედია სივრცის რეალობაში და გავრცელების არეალიც, რეგიონების შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულია. რაც შეეხება ინტერნეტით მიღებულ ინფორმაციას, აქ გამოკვეთილად დაბალი მაჩვენებელია ყველგან, გარდა მართლმადიდებელი ქართველებისა. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხული ქართველების უდიდესი ნაწილი ან ურბანული ზონის მაცხოვრებელია, ან კი საჯარო და პიროვნულ დონეზე აქვს ურბანულ ზონაში კონტაქტები, სრულიად ლოგიკურია ინფორმაციის ამ მეთოდით მიღების 18,7% მაჩვენებელი.

აქაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეთნიკური სომხები ენობრივადაც უფრო ინფორმირებულია, გახსნილია და იციან ქართული, რაც მას აძლევს იმის საშუალებას, რომ დიდწილად (86,4%) ინფორმაცია ქართულენოვანი წყაროებიდან მიიღოს (თუმცა ამ მხრივ უფორ ახალციხის რაიონის სომეხი მოსახლეობა გამოირჩევა, ვიდრე ახალქალაქის). უმთავრეს ლინგვისტურ იზოლაციონიზმში კი აზერბაიჯანელები წარმოგვიდგებიან. აღნიშნული კითხვაზე მიღებული პასუხები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გამოკითხულმა სო-

მეხმა მოსახლეობამ უკეთ იცის ქართული ენა და შესაბამისად, მას უადვილდება ამ ენაზე ინფორმაციის მიღება და სხვა.

მართალია გამოკითხული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ არ იყენებს ქართულ ენას სამსახურეობრივი მოვალეობების დროს, მაგრამ ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი, არც მუშაობს სახელმწიფო სამსახურში. ხოლო მოქალაქეების შედარებით მცირე რაოდენობა, რომლებიც საჯარო სამსახურში არიან დაკავებულნი, იყენებენკიდეც სახელმწიფო ენას.

გამოკითხული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა. აზერბაიჯანელ მოსახლეობაში აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხი მთლიანად გამოკითხულ რესპონდენტთა შორის ყველაზე დაბალია – 83,8 % მიიჩნევს ქართული ენის შესწავლის სავალდებულობას მისაღებად. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მათ რესპონდენტებს შორის ყველაზე ნაკლებ იციან ქართული და, შესაბამისად, მათთვის გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს მისი შესწავლა.

რესპონდენტთა საშუალოზე ოდნავ მეტი რაოდენობა მიიჩნევს, რომ მათ სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც ეხმარებათ სახელმწიფო ენის შესწავლაში.

გამოკითხულთა შორის ყველაზე ნაკლებად ქართული ენის ერთადერთ სახელმწიფო ენად გამოცხადებას აზერბაიჯანელი რესპონდენტები უჭერენ მხარს. როგორც ჩანს ამ შემთხვევაში მათი პასუხები განპირობებულია ქართული ენის მოკრძალებული ცოდნით და შესაბამისად ენობრივი ბარიერი მათში მეტია.

გ) ეთნიკური დაახლოების პერსპექტივები

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პოსტ-კომუნისტურმა სახელმწიფოებრივმა მშენებლობამ ვერ უზრუნველყო სახელმწიფოს ორი უმთავრესი ფუნქციის ფორმირება: ტერიტორიული სუვერენიტეტის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი

ხელშეკრულების განხორციელება. ამიტომ, არცაა გასაკვირი, რომ მან ჯეროვნად ვერ უზრუნველყო ფრაგმენტული სოციალური სივრცის კონსოლიდირება და ინტეგრაცია და მისი ქმედით სამოქალაქო სივრცედ გარდაქმნა. არაქართული ეთნიკური ჯგუფები (გარკვეული ცვლილებებისდა მიუხედავად), უმეტეს შემთხვევებში გარიყულნი არიან საჯარო-პოლიტიკურ სივრცისგან და ფაქტობრივი იზოლაციონიზმის და ეთნიკური იერარქიის სტრატეგიით განაგრძობენ არსებობას. ვითარება საკმაოდ არასახარბიელოა. ისინი არსებობენ დომინანტი ქართული ეთნიკური ჯგუფის გვერდიგვერდ, ისე რომ მასთან თანამშრომლობის იმპულსები ძლიერ უმნიშვნელოა. ფაქტობრივად, დომინანტი და უმცირესობაში მყოფი ჯგუფები ერთ სოციალურ სივრცეში ორ, ერთმანეთისგან გაუცხოებულ, ჩაკეტილ, პარალელურ საზოგადოებებს ქმნიან, რომელთა შორისაც სოციალური მობილობის და კომუნიკაციის დონე დაბალი ინტენსივობისაა; და თუ კი ამგვარი მობილობის საჭიროება ჩნდება, იგი უფრო ვერტიკალური, იერარქიული ხასიათისა, ვიდრე ღია და ჰორიზონტალური. ეთნიკური უმცირესობები ძალიან სუსტად არიან აღჭურვილნი საჯარო-პოლიტიკური სივრცეში ინტეგრაციის ინსტრუმენტებით, (იგულისხმება სახელწიფო ენის ძალიან სუსტად ცოდნა, სუსტი ინფორმაციული უზრუნველყოფა, საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში სუსტი წარმომადგენლობითობა, საერთო ეკონომკურ ბაზარზე სუსტად ჩართულობა და ქვეყნის საერთო დოვლათის წარმოებაში მათი მოკრძალებული წილი, პოლიტიკურ პარტიებს და სამოქალაქო გაერთიანებებში მათი უმნიშვნელო მონაწილეობა და ა.შ.) რომელთა ფლობამაც, პერსპექტივაში, უნდა მოახერხოს მათი მოცემულ სივრცეში ჩართულობის ინტერესის წახალისება და სახელმწიფოებრივი ლოიალობის გაძლიერება, რამაც მათგან საბოლოო ჯამში საქართველოს აქტიური მოქალაქეები უნდა ჩამოაყალიბოს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფთა განსახლების არეალი ძირითადად სასოფლო ტიპის დასახლებებია და ძლიერ სუსტი ურბანიზაციით ხასიათდება. ის ეთნიკური

ჯგუფები, რომელნიც შედარებით მსხვილ ურბანულ ცენტრებში არიან განსახლებულნი, ოღონდ დისპერსიულად (მაგ. თბილისში, ქუთაისში ან ბათუმში) ქართულ სახელმწიფოსთან ადაპტაციის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. სასოფლო თემები კი, სადაც კომპაქტურად მოსახლეობენ ეთნიკური უმცირესობები, ქვეყნის სუსტი ინსტიტუციონალიზაციის და დაბალი ეკონომიკური განვითარების წყალობით, თითქმის მთლიანად მოწვეტილნი არიან ქვეყნის განვითარების ძირითად ღერძს. ეს თავის მხრივ აისახება ეთნიკურ უმცირესობათა ყოფას და განწყობებზე. მით უმეტეს, რომ ისინი სასაზღვრო რეგიონებში მოსახლეობენ და პირდაპირი სახელმწიფო საზღვარი ჰყოფს საკუთარ ეთნიკურ სამშობლოსგან და მოცემული ეთნიკურ სამშობლოსთან მათი ლოიალობა და კომუნიკაცია უფრო ინტენსიურია მათ პოლიტიკურ სამშობლოსთან შედარებით. პოლიტიკური სამშობლო, სამწუხაროდ ვერ ახერხებს მათში ეთნიკურ იდენტობასთან ერთად ძლიერი, სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას.

ეთნონაციონალური განწყობები ეთნიკურ უმცირესობებზე მეტად თუ არა, დომინანტ ეთნიკურად ქართველებში საკმაოდ ძლიერია. ამას გამოკითხულ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი ადასტურებდა ზეპირი ინტერვიუების დროსაც. ამავე დროს, უმეტეს შემთხვევებში მათთვის „ქართული იდენტობის“ დასადგენად, მართლმადიდებელი რელიგია უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები. როგორც ჩანს ეთნკურად მართლმადიდებელ ქართველებში, სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი და საერთო თანაცხოვრების ფორმა ჯერ კიდევ სუსტად ლეგიტიმურია და ნდობა მის მიმართ არც თუ ისე დიდია. პარადოქსია, მაგრამ გამოკითხულ ეთნიკურ უმცირეობათა წარმომადგენლები გაცილებით უფრო მისაღებად მიიჩნევდნენ ქრისტიანული სიმბოლოებით დატვირთულ სახელმწიფო სიმბოლიკებს (რომელიც ქართულ ეთნოისტორიასთან ძლიერ არის დაკავშირებული), ვიდრე ეთნიკური ქართველები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრობლემა არა მხოლოდ ეთნიკურ

უმცირესობათა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაშია, არამედ იგი საკმაოდ პრობლემატურია ეთნიკურად ქართველებშიც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს და პოლიტიკური ინსტიტუტებისგან, როგორც ეთნიკურად არა ქართველები, ისე ეთნიკური ქართველებიც თითქმის ერთნაირად გაუცხოებულნი არიან. ამიტომაც, ალბათ წარმატებილი სამოქალაქო ინტეგრაციის და ეთნო-ურთიერთობების ნორმალიზაციის საფუძველთა საფუძველი, უპირველესად სახელმწიფოს ლეგიტიმურობის ზრდას და პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანობაზეა დამოკიდებული.

ჯერ კიდევ მძლავრია, ეთნიკურ უმცირესობათა ე.წ. „სახელისუფლებო რესურსად" გამოყენების მახინჯი ტრადიცია, რომელიც საფუძველშივე კლავს ყოველგვარ სამოქალაქო დაახლოებას და თავისუფალ წარმომადგენლობითობას. ამასთანავე, მოცემული სისტემა ეფუძნება ძლიერ პატრონ-კლიენტელიზმს და ეთნიკურ ურთიერთობებს მხოლოდ ვერტიკალურ სიბრტყეზე ტოვებს.

დასკვნა

ჩატარებული კვლევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ეთნიკური უმცირესობები, ფორმალურ დონეზე მაინც საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ და არ არიან ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობის იდეასთან გაუცხოებულნი. ეს რა თქმა უნდა ფრიად მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ამავე დროს ისინი ძალზე სუსტად არიან აღჭურვილნი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციის და სამოქალაქო დაახლოების ინსტრუმენტარიებით. ხშირად ეთნიკურ უმცირესობათა გაუცხობაში ენობრივ ბარიერს უფრო ადანაშაულებენ ხოლმე. რა თქმა უნდა თავისთავად ენის ცოდნა მართლაც რომ სოციალური კომუნიკაციის და დაახლოების უდიდესი ინსტრუმენტი და საშუალებაა, თუმცა მხოლოდ ენის ცოდნა ნამდვილად არ კმარა ეთნო იზოლაციონიზმის გასაქრობად. ამის მაგალითები მრავლად იცის მსოფლიო პოლიტიკურმა პრაქტიკამ, როდესაც ენობრივმა ფაქტორმა ვერანაირად

ვერ მოახდინა სამომავლო ეთნიკური შეფერილობის დაძაბულობების აღმოფხვრა. ეთნიკურ უმცირესობებს უპირველესად ალბათ სტიმული უნდა მიეცეთ, რათა მათი მხრიდანაც მძლავრი იყოს მოთხოვნა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეს მხოლოდ სახელმწიფოს ცენტრალიზებული პოლიტიკის წარმართვის პროდუქტი არ უნდა გახლდეთ. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან კარგად ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობები ფრიად სუსტად არიან ჩართულნი ზოგადად სამოქალაქო ცხოვრებაში და მთლიანი ეროვნული დოვლათის წარმოქმნაში მეტად სუსტ მონაწილეობას იღებენ. შესაბამისად, მათი დომინანტ ეთნიკურ ქართველებთან დაახლოების ინსტიტუციური ქსელიც (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური) მეტად მოიკოჭლებს. ეთნიკურ ქართველებს და არაქართველებს შორის ურთიერთობები ძირითადად მაინც არაფორმალურ მეგობრულ-მეზობლური ურთიერთობების სურვილებით თუ შემოიფარგლება, რაც თავის თავად ეთნიკური დაახლოების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ნამდვილად ვერ იქნება მათი საჯარო-პოლიტიკურ დონეზე ინტეგრაციის და საერთო ეროვნული ინტერესების წარმოქმნის საფუძველი. ამავე დროს, კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობები, საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში კომუნიკაციას ჯერაც მხოლოდ უმეტესად ეთნო ელიტების საშუალებით ახერხებენ და ჰორიზონტალურ სოციალურ მობილობას ნაკლები გასაქანი აქვს. ეთნიკური უმცირესობები სოციალური კაპიტალის ქმნადობაში მეტად მოკრძალებული წვლილის შემტანნი არიან. კვლევა გვიჩვენებს, რომ კომპაქტურად დასახლებული მსხვილი ეთნიკური უმცირესობები უპირატესად საკუთარ ეთნო-კაპიტალის წარმოებას თუ ეწევიან და გარე სოციალური იმპულსებისგან უმეტესად განდგომილ ვითარებაში იმყოფებიან. ეთნიკური უმცირესობების უპირატესად ჩაკეტილი სოციალური სივრცე არ იძლევა კომუნიკაციის ჰორიზონტალური ხაზების განვითარების საშუალებას. ეს კი განსაკუთრებით იმ უმცირესობებს ეხებათ, რომელთა ეთნიკური იდენტობის თვითგანსაზღვრაში გადამწყვეტი ფაქტორი რელიგიას ენიჭება. ეთნიკური აზერბაი-

ჯანელები, რომელნიც უდიდეს ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს საქართველოში, რიცხოვნობით მეორე ადგილზე მყოფ სომხურ თემთან შედარებით მეტ ჩაკეტილობას ამჟღავნებს, ამასთანავე, მათი პოლიტიკური ამბიციებიც ნაკლებია. თუმცა, როგორც პირად საუბრებში აცხადებდნენ ორივე ეთნიკური ჯგუფის წევრები, ისინი ქართულ სახელმწიფოს უმეტესად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო უჩივიან და არ მიაჩნიათ, რომ საკუთარი ეთნიკური მოკუთვნებულობის გამო რაიმე დისკრიმინაციას განიცდიან.

კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკურ უმცირეობათა ინტეგრაციის პროცესი უპირველესად სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობით უნდა წარიმართოს და მასზედ უნდა აიგოს შემდგომში მათი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სტრატეგია. გაუცხოება და გახლეჩილობა უპირველსად სოციალური თანამშრომლობის და დაახლოების დონეზე არსებობს და სწორედ მისი შედეგია სამოქალაქო-პოლიტიკური ინტეგრაციის ნაკლებობა. სოციალური გახლეჩილობის და უნდობლობის პირობებში შეუძლებელია ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი სამოქალაქო ჩართულობა მოხერხდეს პოლიტიკური პროცესების წარმოქმნის პროცესში.

Abstract

Zviad Abashidze, TSU assistant professor
Salome Dundua, TSU assistant professor

Ethnic Identity and Civic Integration Issues in Georgia

The aim of the given article is to present the foundations of ethno-religious identity formation and civic-public integration process in Georgia. The answers of the research questions have been based on empirical research. The research does not include all the ethno-religious groups of the country and has been done only according to the compact populated Azeri and Armenian minorities of Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti region.

Georgia as multicultural Polity, according to its ethno-religious composition suffers from sustainable civic integration and successful nation-building process. The different ethno-religious segments of the society are isolated from each other in practice and do not participate in democratic state-building and civic society formation. According to the given research, we conclude that, the lack of civic-public integration has been determined by the weak societal cooperation and little portion of social capital. Successful civic-public integration requires relatively high dagree of cooperation and participation firstly on societal level. Weak civic integration has been the articulation of societal cleavages, mainly coming from lack of modernization, Soviet past and turbulent 90th. Additionaly, Georgia as halfly modernised country should full fil the reqirements of Modernity. Thus, the lack of

civic integration maturity has been determined by the lack of modernisation and strong social cleaveges. Therefore, for successful modern nation-building, country should construct its political project on a base of requirments of modernity, cooperation of societal level and democratic participation.

ნოდარ ბელქანია

დეფინიციის პრობლემა და სოკრატეს ლოგიკური მემკვიდრეობა

ადამიანის აზროვნებას აქვს თავისი ისტორია. ამ ისტორიაში მნიშვნელოვანი საფეხურია ლოგიკის როგორც მეცნიერების დაბადება. ეს, როგორც ცნობილია, მოხდა ძველ საბერძნეთში და დაკავშირებულია არისტოტელეს სახელთან, რომლის ლოგიკასაც, ყველაზე ცოტა, კანტის ეპოქამდე მაინც, კანტისვე მოწმობით, არაფერი დამატებია თვისებრივად ახალი.[1] ამ წერილში ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ აზროვნების და ლოგიკის განვითარებაში ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპის გენეზისს როგორიცაა ცნების დეფინიცია.

ისტორიული სოკრატე და პლატონისეული სოკრატე

ძველ საბერძნეთში ცნების დეფინიცია სრულყოფილებამდე მიიყვანა იმავე არისტოტელემ. მისგან მომდინარეობს დეფინიციის ყველაზე გავრცელებული ხერხი – დეფინიცია უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით (definitio per genus proximum et differentiam specificam). მაგრამ ცნების დეფინიციის ასეთი სრულყოფა შეუძლებელი იქნებოდა წინამორბედ ფილოსოფოსთა დიდი ძალისხმევის გარეშე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოკრატეს და პლატონის წვლილი. პლატონის დიალოგებში თუ რა ეკუთვნის სოკრატეს და რა თავად პლატონს, ამის შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს ფილოსოფიის ისტორიაში და ავტორები ხშირად არ ეთანხ-

[1] იხ. Kant, I., Kritik der reinen Vernunft. Hamburg 1990. Vorrede zur zweiten Auflage. გვ. 14.

მებიან ერთმანეთს. ეს საკითხი უკავშირდება სოკრატეს ისტორიულობის პრობლემას, კერძოდ იმას, თუ როგორ უნდა გავიგოთ ფაქტი, რომ პლატონის დიალოგებში, როგორც წესი, სოკრატეს მიჰყავს საუბარი და ის გამოთქვამს ძირითად აზრებს. ანტიკური ფილოსოფიის ისტორიკოსებში არსებობს ამ საკითხის სამგვარი გაგება: ინგლისური სკოლა (J. Burnet, A. E.Taylor და სხვები) მიიჩნევს, რომ ყოველივე, რასაც სოკრატე ამბობს დიალოგებში უნდა ჩაითვალოს ისტორიული სოკრატეს აზრებად.[1] ამ მოსაზრებას პოლარულად უპირისპირდება მეორე (მაგ., O. Gigon), რომლის მიხედვითაც სოკრატე საერთოდ არ არის ფილოსოფიურად რელევანტური ფიგურა და პლატონი მას მხოლოდ საკუთარი აზრების გადმოსაცემად იყენებს.[2] მესამე, შუალედური მოსაზრება თავის დროზე ცნობილმა ფილოსოფოსმა და პლატონის გერმანულ ენაზე მთარგმნელმა ფრიდრიხ შლაიერმახერმა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ადრეული დიალოგები ისტორიული სოკრატეს აზრებს გადმოსცემენ, ხოლო გვიანდელ დიალოგებში პლატონი სოკრატეს საკუთარი აზრების გადმოსაცემად იყენებს.[3] თუმცა, ამ უკანასკნელ მოსაზრებას ბევრი, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემა ახლავს თან, ის უფრო ნაყოფიერია ისტორიული სოკრატეს წარმოსაჩენად და მკვლევართა უმეტესობაც მას იზიარებს. ჩვენც ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვეყრდნობით და მიგვაჩნია, რომ პლატონის ადრინდელ დიალოგებში უფრო სოკრატეს აზრებია გადმოცემული, ხოლო შუა პერიოდიდან მოკიდებული პლატონი უპირატესად საკუთარ აზრებს ავითარებს.

---

1 იხ. Burnet, J., Platonism. Berkeley 1928 და Taylor, A. E., Socrates. London 1935.

2 იხ. Gigon, O., Sokrates. Sein Bild in Dichtung und Geschichte. Tübingen Basel [3]1994.

3 ამაზე უფრო დაწვრილებით იხ.Martin, G., Platon. Reinbek 1969.გვ. 57-63.

ბოლო პერიოდში კი, როგორც ცნობილია, სოკრატე საერთოდ ქრება პლატონის დიალოგებიდან როგორც პერსონაჟი. პლატონის დიალოგების ამგვარი განვითარებაც, ჩვენი აზრით, უკანასკნელი მოსაზრების სისწორეზე უნდა მიუთითებდეს.

არისტოტელე ლოგიკის წინაშე სოკრატეს უდიდეს დამსახურებად მიიჩნევდა მის მიერ ინდუქციური მეთოდის (ძველბერძნ. ἐπαγωγή) შემოღებას და ცნებათა დეფინიციას (ὁρισμός). თუმცა ანტიკური ფილოსოფიის ზოგიერთი მკვლევარი (Heinrich Maier, Ingemar Düring და სხვ.) უარყოფს სოკრატეს მიერ დეფინიციის სრულყოფას, ხოლო ისეთი ავტორიტეტული ფილოსოფოსი როგორიც კარლ პოპერია, საერთოდ არ ეთანხმება არისტოტელეს ამ დებულებას,[1] მაგრამ ზოგადად არავისთვისაა სადავო, რომ სწორედ სოკრატე იდგა ცნების დეფინიციის სათავეებთან.

ცოდნა და წარმოდგენა

სოკრატესთვის ნამდვილი ცოდნა (σαφής, ἀλήθεια, მოგვიანებით ἐπιστήμη), რომელიც საგანთა არსებას წვდებოდა, ძირეულად განსხვავდებოდა მოსაზრებისგან, წარმოდგენისგან (δόξα). და მისი დიალექტიკის მიზანიც სხვა არაფერი იყო, თუ არა წარმოდგენიდან ცოდნამდე მისვლა. წარმოდგენები ყველა ადამიანს აქვს, ხოლო ცოდნა ბრძენის, ფილოსოფოსის ხვედრია. მაგრამ, ვინაიდან სოკრატე ღრმად იყო დარწმუნებული ცოდნის, სიბრძნის ისევე როგორც სხვა დანარჩენი სათნოებების დასწავლადობაში და იმაში, რომ ცოდნა, იდეები ყველა ადამიანშია ჩადებული, ის ცდილობდა თავისი დიალექტიკით წარმოდგენიდან ცოდნამდე მიეყვანა თანამოსაუბრე. მისი მიზანი იყო

---

[1] იხ. Popper, K. R., Die Welt des Parmenides. Die Ursprung des europäischen Denkens. München Zürich 2005. გვ. 27-28.

ნამდვილი ცოდნის, ჭეშმარიტების დიალოგური ძიება თანამოსაუბრის აქტიური მონაწილეობით, რაც ძირეულად განსხვავდებოდა სწავლების სოფისტური მეთოდისგან, რომელიც წინასწარ მომზადებული მასალის მოწაფისთვის გადაცემას და ამ უკანასკნელის მიერ მის შემდგომ დასწავლას გულისხმობდა. თავისი მიზნის მისაღწევად სოკრატეს ჰქონდა მეთოდი – „მაიევტიკა“ (μαιευτική τέχνη, ბებიაქალის ხელობა), რომლის წყალობითაც ის ხელს უწყობდა ახალი ადამიანის დაბადებას, ადამიანის გამოღვიძებას ცოდნის – იდეების და ცნებების – მიმართ. ის, მისივე სიტყვებით, დაბადებამდე სულიერ სამყაროში ნასწავლს ან წინა ცხოვრებებიდან გადმოყოლილ ცოდნას ახსენებდა (ἀνάμνησις, ანამნეზისი) თანამოსაუბრეს, – პლატონის „მენონში“ მენონის მონას – რომელსაც არასოდეს უსწავლია ცხოვრებაში, მაგალითად, გეომეტრია. მანამდე მენონის მონას ეგონა, რომ იცოდა ის, რაზეც სოკრატე ესაუბრებოდა. მაგრამ სოკრატემ დიალექტიკური კითხვებით ის იქამდე მიიყვანა, რომ მონამ გააცნობიერა საკუთარი არცოდნა. არცოდნის გაცნობიერების ეს მომენტი სოკრატეს ტრიუმფი იყო, რადგან ის მიიჩნევდა, რომ წარმოდგენიდან ცოდნაზე, ცნებაზე გადასასვლელად აუცილებელია საკუთარი არცოდნის გაცნობიერება. ის თავადაც ხშირად ამბობდა, რომ მან „მხოლოდ ის იცოდა, რომ არაფერი იცოდა“. სოკრატე (და მასთან ერთად პლატონი) აქ ცოდნაში წმინდა აზროვნებას, იდეას, წმინდა ცნებებს გულისხმობს, ე. ი. ისეთ ცნებებს, რომლებიც გარე სამყაროდან, აღქმის სამყაროდან კი არ გამოიყვანება, არამედ თავად ადამიანის სულში, მის აზროვნებაში იღებს დასაბამს. ასეთი წმინდა ცნებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მათემატიკური, გეომეტრიული ცნებები, რომელთა ჭეშმარიტებაც აპრიორულად, ცდამდე მტკიცდება და არა ცდის შედეგად, თუმცა შიგნიდან მოპოვების მიუხედავად ისინი ცდაში, პრაქტიკაში ყოველთვის ადასტურებენ

თავიანთ ჭეშმარიტებას.[1] ამ კატეგორიას ეკუთვნის, მაგალითად, კეპლერის ასტრონომიული კანონები, რომლებიც მან გონებით გამოთვალა, გარეგნული ცდის გარეშე, მაგრამ მათ დაამტკიცეს თავიანთი ჭეშმარიტება ცდაში, პრაქტიკაში. ეს ცნებები, რომელთაც კანტი აპრიორულს უწოდებს და რომელთა წყაროც მისთვის უცნობია, სოკრატესთვის (და პლატონისთვის) ყოველ ადამიანს აქვს დაბადებამდელი ცხოვრებიდან და სწორედ ამას ახსენებს ის თავის მოწაფეებს მისი ცნობილი ე. წ. სოკრატული საუბრის მეთოდით.

სოკრატული ირონია და სოკრატული აპორია

დეფინიციის საკითხში სოკრატეს წვლილის გასარკვევად აუცილებელია შევეხოთ სოკრატულ ირონიას და სოკრატულ აპორიას. როგორც ბევრი რამ სოკრატესთან დაკავშირებული, ეს ორი საკითხიც დავას იწვევს პლატონის მკვლევართა შორის, ვინაიდან მთლად ცალსახად გამოკვეთილი არ არის მის დიალოგებში. ზოგი მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს მათ არსებობაზე სათანადო პასაჟებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, ერთი მხრივ ის, რომ კირკეგორემ მთელი ნაშრომი მიუძღვნა სოკრატულ ირონიას, მეორე მხრივ კი, ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს სოკრატული ირონიის არსებობას (მაგ. Landmann-ი).[2] და ეს მაშინ, როდესაც თავად პლატონი სიტყვას εἰρωνεία რამოდენიმეჯერ იყენებს სოკრატეს დახასიათებისას, მაგალითად, „სახელმწიფოში“ (337 ა / III, 79.) და „კრატილოსში“ (383 ბ-384 ა /II, 126.). თუმცა შლაიერმახერი თავის თარგმანებში ამ სიტყვას თავს

---

[1] ამ და პლატონის „მენონში“ განხილულ სწავლის მეტაფიზიკის სხვა საკითხებზე იხ. იულიუს შტენცელის (Julius Stenzel) საინტერესო ანალიზი მის წიგნში: Platon der Erzieher. Leipzig 1928. გვ. 147-179.

[2] დისკუსია ამის შესახებიხ. Martin, G., Sokrates. Reinbek 2004.გვ. 127 და შემდ.

არიდებს, სხვა მთარგმნელები სათანადო პასაჟებში სიტყვა „ირონიას“ იყენებენ. ასევე გვხვდება ეს სიტყვა „ნადიმში“ ალკიბიადეს მიერ სოკრატეს დახასიათებისას. ასე რომ, პლატონი ღიად ლაპარაკობს ირონიაზე სოკრატესთან. მით უმეტეს, რომ თავად პლატონი სრულიად მოკლებული იყო ირონიის უნარს და მას თავის დიალოგებში მხოლოდ სოკრატეს მიაწერს. აღსანიშნავია ისიც, რომ არისტოტელეც ლაპარაკობს სოკრატულ ირონიაზე „ნიკომაქეს ეთიკაში“ (1127 ბ 25). სოკრატე ირონიას, როგორც წესი, იყენებს ცნებების გარკვევისას. ხშირად დიალოგის დასაწყისში თანამოსაუბრეს თითქოს უპირატესობა აქვს სოკრატესთან შედარებით, ვინაიდან მას ჰგონია რომ კარგად იცის განსახილველი საგანი, სოკრატე კი არ არის ასე თავდაჯერებული. საუბრის მსვლელობაში ეს მოჩვენებითი უპირატესობა თანდათან ქრება და ბოლოს თითქმის ყოველთვის სოკრატე გამოდის გამარჯვებული, თანამოსაუბრე კი დაბნეული დგას და იძულებულია დაეთანხმოს სოკრატეს, რომ მისი ცოდნა მოჩვენებითია და არა ნამდვილი. სოკრატეს ეს ერთგვარ კმაყოფილებას გვრის და ეს არის სწორედ მისი ირონია. ამ ირონიის მიზანია, თანამოსაუბრემ გააცნობიეროს საკუთარი არცოდნა, რაც სოკრატეს ნამდვილი ცოდნის ძიების აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა. ასე რომ, სოკრატულ ირონიას არაფერი ჰქონდა საერთო თანამოსაუბრის დაცინვასთან. ის პედაგოგიური წარმატებით გამოწვეული კმაყოფილება იყო, თუმცა თანამოსაუბრეს ხშირად გვარიანი უმწეობის გრძნობას უჩენდა.[1]

ირონიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული აპორიის საკითხი. პლატონის ადრეულ დიალოგებს აპორეტულს უწოდებენ, ანუ ისეთ დიალოგებს, რომლებიც ამა თუ იმ ცნების დეფინიციის მცდელობისას სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ამ დიალოგებში კარგად ჩანს სოკრატეს

---

[1] სოკრატეს ირონიაზე შეად. ს. დანელიას საყურადღებო ნაშრომი „სოკრატის ფილოსოფია“. თბილისი 1936. გვ. 54 და შემდ.

ფილოსოფიის მთავარი კითხვა – ე. წ. „რა არის ეს“-კითხვა („Was ist das“ – Frage)[1] – მაგალითად, რა არის სიმამაცე? (“ლახეზი“) რა არის კეთილგონიერება? (“ქარმიდე“) რა არის ღვთისნიერება? (“ევთიფრონი“) და ა. შ. სხვა სიტყვებით, ის ცდილობდა იდეათა და საგანთა არსის წვდომას და მათ დეფინიციას, ეძებდა ზოგადს. ნიცშე თავის „ტრაგედიის დაბადებაში მუსიკის სულიდან“ საგანგებოდ აღნიშნავს ლოგიკურის აღმოჩენას სოკრატეს მიერ. თუ ამას დავუმატებთ არისტოტელეს და ჰეგელის ანალოგიურ მოსაზრებებს, მაშინ სოკრატე იმავდროულად მეცნიერების აღმომჩენიც გამოდის, ვინაიდან მეცნიერება სწორედ ლოგიკას ეფუძნება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერების დაფუძნებაში შეუძლებელია უარვყოთ სოკრატეს წინამორბედების და მის თანამედროვეთა (მაგ., სოფისტების) როლიც. სოკრატეს მიერ ზოგადის, ლოგიკურის ძიების მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონის აპორეტული დიალოგები, სადაც სოკრატე უშედეგოდ ცდილობს თანამოსაუბრეები მიიყვანოს ამა თუ იმ ცნების დეფინიციამდე.

„ლახეზი“ როგორც მაგალითი

საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ყველა პრობლემა კარგად ჩანს პლატონის ადრეულ დიალოგში „ლახეზი“: ორი წარჩინებული ათენელი, რომელთაც სურთ თავიანთ ვაჟებს ასწავლონ სრული აღჭურვილობით ბრძოლის ხელოვნება, ეკითხება სახელგანთქმულ ათენელ მხედართმთავრებს ლახეზს და ნიკიას, უნდა მიაბარონ თუ არა მათ თავიანთი შვილები სასწავლებლად ასეთი ბრძოლის ოსტატს. ლახეზს და ნიკიას ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. საუბარში ერთვება სოკრატე. ის კონკრეტული საკითხის – ბრძოლის ხელოვნებაზე საუბრის – ნაცვლად, ზოგადი საკითხის განხილვას სთავაზობს

[1] იხ. მაგ., Martens, E., Sokrates. Stuttgart 2004. გვ. 65 და შემდ.

თანამოსაუბრეებს, კერძოდ უსვამს მათ კითხვას იმის შესახებ, თუ რა არის ზოგადად სიქველე. მაგრამ ვინაიდან ეს ძალზე ზოგადი და ამდენად ძნელად დეფინირებადი საკითხია, თანამოსაუბრეები იწყებენ სიქველეთაგან ერთ-ერთი უმთავრესის – სიმამაცის – განხილვას, ვინაიდან მამების პირვანდელი ინტერესიც – სრული აღჭურვილობით ბრძოლის შესწავლა – სწორედ სიმამაცესთანაა დაკავშირებული. სიმამაცის აღზრდის წინაპირობა კი არის ცოდნა იმისა, თუ რა არის სიმამაცე. ასე მიდის სოკრატე თავის ცნობილ კითხვამდე: რა არის სიმამაცე? პასუხობენ ლახეზი და ნიკია, რომელთაც სიმამაცეზე მართლაც ბევრი რამ ეთქმით. ისინი ასახელებენ სიმამაცის სხვადასხვა ნიშანს, მაგრამ სოკრატე ყოველთვის უჩვენებს თანამოსაუბრეებს, რომ მათი განსაზღვრებები ზედმეტად ვიწრო და მაშასადამე არაზუსტია. მაგალითად, ისინი ხან ჰოპლიტების, ხან მხედრების სიმამაცეს გულისხმობენ. სოკრატეს კი აინტერესებს სიმამაცე როგორც ასეთი. სიმამაცე მხოლოდ ომში არ ვლინდება. ის არანაკლებ იჩენს თავს სიღარიბისას, ავადმყოფობისას, პოლიტიკურ ცხოვრებაში და სხვ. სოკრატეს სურს დაადგინოს, თუ რა არის სიმამაცის ზოგადი ნიშნები ამ განსხვავებულ სიტუაციებში. დაბნეულ ლახეზს სოკრატე შედარებისთვის სიჩქარის მაგალითს მოუყვანს: სიჩქარეც მრავალგვარია: სირბილში, საუბარში და ა. შ. მაგრამ საინტერესოა, თუ რა არის სიჩქარე როგორც ასეთი და სოკრატე იძლევა შემდეგ პასუხს: „სიჩქარე არის უნარი, მოკლე დროში შეასრულო ბევრი“. და ამით ის იძლევა ზოგადი განსაზღვრების მაგალითს. ამის შემდეგ ლახეზი სიმამაცეს განმარტავს როგორც სამშვინველის სიმტკიცეს. მაგრამ სოკრატე მას ამ განსაზღვრებასაც უწუნებს, ვინაიდან სიმტკიცე შეიძლება ისეთ სულელურ საქმეშიც გამოიჩინოს ადამიანმა როგორიცაა მაგ., მფლანგველობა ან სიძუნწე. შემდეგ ლახეზი სიმამაცეს განსაზღვრავს როგორც გონივრულ სიმტკიცეს. მაგრამ სოკრატე ამ დეფინიციასაც იწუნებს იმ მიზეზით, რომ ის ზედმეტად ფართეა და შეიძლება იმ შემთხვევებზეც გავრცელდეს,

რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სიმამაცესთან. საუბარში ერთვება ნიკია და ორივე მხედართმთავარი ახალ განსაზღვრებებს სთავაზობს სოკრატეს. ეს უკანასკნელი ყოველ მათგანს ამოწმებს და ასკვნის, რომ ისინი ან ზედმეტად ფართეა ან ზედმეტად ვიწრო. საუბარი აპორიით მთავრდება, ანუ თანამოსაუბრეთა ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოაქვს – ისინი ვერ ახერხებენ სიმამაცის როგორც ასეთის დამაკმაყოფილებელ დეფინიციას. ამას მოწმობს სოკრატეს სიტყვები: „მაშასადამე, ჩვენ ვერ ვიპოვეთ, ჩემო ნიკია, თუ რა არის სიმამაცე?“ და ნიკიას პასუხი: „როგორც ჩანს, ვერა“ („ლახეზი“ 199, e).[1]

მიუხედავად უარყოფითი შედეგისა, ეს დიალოგი ასახავს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ეტაპს აზროვნების განვითარებაში: ზოგადის გაცნობიერების მომენტს. და ეს გამოხატულია უკვე სოკრატულ კითხვაში „რა არის ეს?“ აი რას წერს ამის შესახებ სოკრატეს ცნობილი მკვლევარი გოტფრიდ მარტინი (Gottfried Martin): „მაგრამ სოკრატეს ამ ნეგატიურობაში იმავდროულად შეფარულია გადამწყვეტი პოზიტიურობა: სოკრატეს კითხვაში აღმოჩენილია ზოგადი როგორც ასეთი. კითხვა: რა არის სიმამაცე? ჟღერს ასე უბრალოდ და ამასთან ესოდენ გადამწყვეტია. სოკრატეს და პლატონის შემდეგ ჩვენ ზოგადი ცნებებით ვცხოვრობთ და ჩვენთვის ძნელია ჩავწვდეთ ამ კითხვის გადამწყვეტ მნიშვნელობას მის პირველადობაში. მაგრამ ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ სოკრატე იყო პირველი, ვინც ასეთი კითხვა დასვა, რომ ეს კითხვა გაუგონარი რამაა და რომ ეს კითხვა მანამდე არ არსებობდა და ვერც იარსებებდა.“[2]

აპორეტული დასასრული დამახასიათებელია ყველა სოკრატული საუბრისთვის პლატონის ადრეულ დიალოგებში. „ლახეზშიც“ არ იცის

---

[1] აქ ჩვენ მივყვებით გოტფრიდ მარტინის დალაგებას. იხ. მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომი სოკრატეზე გვ. 94-101.

[2] Ibid. გვ. 102.

სოკრატემ, თუ რა არის სიმამაცე. ეს თანამოსაუბრეებმაც არ იციან. მაგრამ სწორედ სოკრატეა ის, ვინც მათ აჩვენებს, რომ მათ ეს არ იციან.

ორიოდე სიტყვა სოკრატულ არცოდნაზე: სოკრატული არცოდნა გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელი მოწაფეს მზა შედეგს კი არ სთავაზობს, არამედ კითხვებით იქეთკენ უბიძგებს, თავად მიიღოს შედეგი საკუთარი შემეცნების საფუძველზე (ამიტომაც მიიჩნევს ლოგოთერაპიის დამაარსებელი ვიქტორ ფრანკლი სოკრატეს თანამედროვე ფსიქოთერ-აპიის წინამორბედად). ამგვარი მეთოდის მკაფიო მაგალითია დიალოგი „მენონი". მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი სოკრატული მეთოდი თითქოს გულისხმობს, რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს კითხვაზე პასუხი. ამ გაგებით აპორეტული დიალოგები, სადაც სოკრატე და მისი თანა-მოსაუბრეები ვერ მიდიან ცნების დეფინიციამდე მკვლევართა ნაწილის აზრით, არ არის ტიპური სოკრატული დიალოგი, სხვა შემთხვევაში მას უნდა სცოდნოდა რა არის სიმამაცე. თუმცა ეს საკითხი სადავოა და მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითად, სოკრატეს ცნობილი მკვლევარი ჰაინრიხ მაიერი (Heinrich Maier) მი-იჩნევდა, რომ ამგვარი სოკრატული არცოდნა მხოლოდ პედაგოგიური მეთოდია.[1] გოტფრიდ მარტინი კი დარწმუნებულია იმ შეხედულების სისწორეში, რომელიც ამტკიცებს, რომ სოკრატემ მართლა არ იცის, თუ რა არის სიმამაცე.[2] ამ თვალსაზრისის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ აპორეტული დიალოგების მიზანია, დაარწმუნოს თანამოსაუბრე თავისი მოსაზრების მცდარობაში, უფრო ზუსტად იმაში, რომ მისი მოჩვენ-ებითი ცოდნა სინამდვილეში არცოდნაა.

---

[1] იხ. მისი კლასიკური მონოგრაფია: Sokrates. Tübingen 1913. გვ. 368 და შემდ.

[2] Ibid. გვ. 129.

არისტოტელე „მეტაფიზიკის“ ისტორიული ნაწილში (წიგნი I, თ. 3-6) ამბობს სოკრატეზე, რომ მას ბუნება არ აინტერესებდა (იხ. ამაზე თავად სოკრატე პლატონის „ფაიდროსში“, 230), რომ მისი ინტერესის საგანი იყო მხოლოდ ადამიანი, რომ ის უპირველესად ეთიკის სფეროში ეძებდა ზოგადს და ეთიკური ცნებების დეფინიციას ცდილობდა. ამიტომაც მისი ლოგიკა ეთიკის წიაღშია ჩასახული.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არისტოტელე ასევე მიიჩნევდა, რომ სოკრატე იყო პირველი მოაზროვნე, რომელმაც გააცნობიერა ცნებათა განსაზღვრების ანუ დეფინიციის აუცილებლობა (“მეტაფიზიკა“ 987 ბ 1-4). თუმცა სოკრატეს მიერ მოპოვებული შედეგი ჯერ კიდევ შორს იყო სრულყოფილებისგან. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ, თუ როგორი განვითარება ჰპოვა სოკრატეს მიერ ცნებათა დეფინიციისკენ მიმართულმა ძალისხმევამ პლატონთან და არისტოტელესთან.

პლატონის წვლილი

იდეების შესახებ საკუთრივ პლატონის მოძღვრება გადმოცემულია დიალოგებში, რომლებიც მისი მოღვაწეობის შუა პერიოდს ეკუთვნის (დაახლ. 388-367 წწ. ქრისტემდე).[1] ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია „ფაიდონი“, სადაც სიკვდილმისჯილი სოკრატეს უკანასკნელი დღეა აღწერილი. აქ პლატონი სოკრატეს პირით სიკვდილზე მსჯელობს, ცდილობს დაასაბუთოს სიკვდილისშემდგომი ცხოვრება და ამის ფონზე იდეათა თეორიას ავითარებს. საკუთრივ ცნების დეფინიციის სრულყოფის მხრივ უფრო საყურადღებოა მისი გვიანდელი დიალოგები როგორებიცაა „სოფისტი“ და „პოლიტიკოსი“. სწორედ ამ დიალოგებში

[1] იხ. Neumann, U., Platon. Reinbek 2001. გვ. 24 და 35.

(„თეეტეტოსთან“ ერთად) იყენებს პლატონი უფრო სრულყოფილად ცნების დეფინიციის მისეულ მეთოდს.

ინდუქციის და დეფინიციის სოკრატულ მეთოდზე დაყრდნობით პლატონმა მრავალი თვალსაზრისით სრულყო ლოგიკის ხელოვნება. ლოგიკის ცნობილი ისტორიკოსი ფრიდრიხ იუბერვეგი (Friedrich Überweg) გამოყოფს შემდეგ ასპექტებს: 1. პლატონმა ის გაამდიდრა გაყოფის (διαίρεσις) და დედუქციის (άπαγωγή) მეთოდით; 2. მან პირველმა გაიყვანა ლოგიკა ეთიკის ფარგლებიდან და ფილოსოფიური აზროვნების ყველა სფეროზე გაავრცელა; 3. საოცარი გონებამახვილობით, თანმიმდევრულობით, გულმოდგინებით და საფუძვლიანობით გამოიყენა ეს მეთოდები თავის დიალოგებში.[1] იუბერვეგის აზრით, პლატონმა ლოგიკა თუმცა გაათავისუფლა ეთიკისგან, მაგრამ არ გაუმიჯნავს ის მეტაფიზიკისგან. მასთან ლოგიკური და მეტაფიზიკური მეთოდურად და საგნობრივად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და თითქმის ერთ მთლიანობას შეადგენს, თუმცა პლატონი მათ ბოლომდე არ აიგივებს.[2]

ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ რთულ საკითხს პლატონთან იდეების და ცნებების ურთიერთმიმართების შესახებ, რაც დავას და უთანხმოებას იწვევს მკვლევართა შორის[3] და აღვნიშნავთ მხოლოდ

---

[1] ამაზე იხ. Fr. Überweg, System der Logik und Geschichte der logischen Lehren. Bonn [3]1868. გვ. 21 და შემდ.

[2] Ibid. გვ. 23.

[3] ამ საკითხს ეხება მრავალი ავტორი, რომელთა შორის რამოდენიმეს დავასახელებთ: ჰაინრიხ მაიერის ზემოთ მითითებული ნაშრომი სოკრატეზე. Zeller. E., Die Philosophie der Griechen. Bd. II, 1. Leipzig 1875. Natorp, P., Platons Ideenlehre. Hamburg 2004. Hoffmann. E., Die Sprache und die archaische Logik. Tübingen 1925. Stenzel, J., Studien zur Entwicklung der Platonischen Dialektik von Sokrates zu Aristoteles. Berlin [2]1931. მისივე, Zahl und Gestalt bei Platon und Aristoteles. Leipzig und

იმას, რომ „მითოსიდან ლოგოსისკენ“ (W. Nestle)[1] ბერძნული აზროვნების სვლაში იდეა მითსა და ცნებას შორის დგას და სწორედ ეს უკანასკნელია აბსტრაქციის უფრო მაღალი საფეხური და, შესაბამისად, აზროვნების უფრო გვიანდელი ფორმა. პლატონის ცნობილი მკვლევარი იულიუს შტენცელი ასე ახასიათებს პლატონთან იდეის და ცნების ურთიერთმიმართების ჩვენთვის საინტერესო ასპექტს: პლატონი „იდეისთვის კი არ იბრძვის – იდეა მისი სულის ბუნებრივი ნაწილია – არამედ ცნებისთვის, ჩვენ რომ ბევრად უფრო მარტივი გვეჩვენება.“[2] ანუ პლატონის აზროვნების გენეზისი იდეიდან ცნებისკენ იყო მიმართული. სწორედ ამიტომ შეძლო სოკრატეს გავლენიდან გამოსულმა პლატონმა მასთან შედარებით წინ წაეწია ცნების დეფინიციის საკითხი, თუმცა ის არისტოტელესეულ სრულყოფილებამდე ვერ მიიყვანა.

„დიაირესისი“ პლატონს ესმის როგორც ცნების (resp. იდეის) გაყოფა ორ დაქვემდებარებულ ცნებად, შემდეგ ამ დაქვემდებარებულ ცნებათა კვლავ ორ დაქვემდებრებულ ცნებად და ა. შ. ცნებათა (იდეათა)

Berlin 1933. Kapp, E., Der Ursprung der Logik bei den Griechen. Göttingen 1965. Hare, R. M., Plato. Oxford 1982. ფრიდრიხ იუბერვეგი ასე წყვეტს ამ საკითხს: „მას შემდეგ რაც სოკრატემ პირველმა გააცნობიერა შემეცნებისთვის ცნებათა მნიშვნელობა, პლატონმა სცადა გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის რეალობა იყო საკუთრივ ცნებითი შემეცნების ობიექტი. ასეთად ის *იდეას* მიიჩნევს და მკაფიოდ განასხვავებს მას როგორც რეალურ არსებას, რომელიც ცნების მეშვეობით შეიმეცნება, თავად ცნებისაგან როგორც შესაბამისი სუბიექტური წარმონაქმნისაგან ჩვენს სამშვინველში. პლატონის ნაწერების მთელ სივრცეში შეუძლებელია ერთი ადგილის მოძებნაც კი, სადაც ის εἶδος-ს ან ἰδέα-ს თუნდაც მინიშნებით მაინც იყენებდეს სუბიექტური ცნების მნიშვნელობით და ეს ინტერპრეტატორთა შეტანილი არ იყოს“. იხ. მისი დასახელებული ნაშრომი გვ. 116.

[1] Nestle, W., Vom Mythos zum Logos. Stuttgart [2]1942.

[2] Stenzel, J. Studien... . გვ. 28.

გაყოფის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ ცნებათა ურთიერთკავშირს და მათ შინაგან დიფერენციაციას. ნათელია, რომ გაყოფის ეს მეთოდი ზოგადიდან კერძოსკენ და, პირიქით, კერძოდან ზოგადისკენ სვლის საშუალებასაც იძლევა. ზედა მხარეს გვექნება უზოგადესი ცნება, ქვემოთ კი ყველაზე კონკრეტული, ყველაზე ვიწრო ცნება. გაყოფის ამ მეთოდს, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სისტემურის გარდა პედაგოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა და მას ზედმიწევნით ასწავლიდნენ პლატონის აკადემიაში.[1] ამ მეთოდს ფართოდ იყენებს პლატონი თავის გვიანდელ დიალოგებში და ამას გარდა მოიპოვება ერთი საინტერესო ტექსტი, რომელიც ასევე გაყოფის მეთოდზეა დაფუძნებული. იგულისხმება წიგნი, რომლის სათაურია „განსაზღვრებანი“ და რომელიც შეიცავს 186 სხვადასხვა ცნების დეფინიციას. ამ დეფინიციათა ღირებულება განსხვავებულია, თუმცა მათი ნაწილი საკმაოდ სრულყოფილია და აშკარად პლატონურ ხასიათს ატარებს.[2] მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ ეს ნაშრომი პლატონის სკოლიდანაა გამოსული, თუმცა, როგორც ჩანს, ის თავად პლატონს არ ეკუთვნის.

პლატონური დიქოტომიური გაყოფის მეთოდის ყველაზე მკაფიო მაგალითებია მისი ზემოთ დასახელებული გვიანდელი დიალოგები „სოფისტი“ და „პოლიტიკოსი“. პირველში ნაცადია სოფისტის ცნების დადგენა, მეორეში კი პოლიტიკოსის ცნების დადგენას ცდილობს პლატონი. „პოლიტიკოსში“ პოლიტიკოსის ცნების გასარკვევად დიქოტომიური გაყოფა იწყება ცოდნის ცნებით და მთავრდება იმით, რომ ადამიანი გამოდის „ორფეხა, უფრთო არსება“. ცხადია, რომ ასეთი დეფინიცია შორსაა იმ სრულყოფილებისგან, რასაც ცნების დეფინიციის მხრივ არისტოტელემ მიაღწია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ

---

1 Martin, G., Platon. გვ. 53.

2 იხ.Лосев, А. Ф.,Ранние диалоги Платона и сочинения платоновской школы. В кн.: Платон, Диалоги. Москва 1986.

არასრულყოფილების მიუხედავად, პლატონის მიერ ცნების დიქოტომიური გაყოფის მეთოდის შემოღება არისტოტელეს ლოგიკის მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა.[1] არისტოტელე ამ მეთოდს ზედმიწევნით კარგად იცნობდა აკადემიიდან, სადაც ის 17 წლის ჭაბუკი მივიდა და 20 წელი სწავლობდა.

არისტოტელეს ლოგიკა

პლატონის იდეათა თეორიის მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, არისტოტელეს ბევრად მეტი აქვს აღებული თავის მასწავლებლისგან,

---

[1] ლოგიკის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მკვლევარი როგორიც იოზეფ ბოხენსკია (Joseph M. Bochenski) არისტოტელეს „ტოპიკის“ და „ანალიტიკების“ საფუძვლად პლატონის „დიაირესისის“ მეთოდს მიიჩნევს, თუმცა იქვე აღნიშნავს არისტოტელეს მიერ მის აყვანას ლოგიკურ სრულყოფილებამდე, რომელიც პლატონის მეთოდს აშკარად აკლია. იხ. მისი ფუნდამენტური ნაშრომი Formale Logik. Freiburg München 2002. გვ.46. საპირისპირო აზრისაა ლოგიკის ისტორიის კლასიკოსი კარლ პრანტლი (Carl Prantl), რომელიც ამ საკითხში თავად არისტოტელეს ეყრდნობა. როგორც ცნობილია, არისტოტელე არ აღიარებდა პლატონის „დიაირესისის“ მეთოდის მნიშვნელობას სილოგისტიკისთვის და მას მხოლოდ პედაგოგიურ ღირებულებას მიაწერდა (იხ. მაგ., Analytica pr. I, 31 და II, 21). იხ. ამაზე Prantl, C. Geschichte der Logik im Abendlande. Band I. Bristol Sterling (Virginia) 2001. Reprinted from the 1855-70 edition. გვ. 83 და მისივე Über die Entwicklung der Aristotelischen Logik aus der Platonischen Philosophie. Sonderausgabe. Darmstadt 1968. გვ. 78 და შემდ. მიუხედავად ისეთი დიდი ავტორიტეტის საპირისპირო მოსაზრებისა როგორიც არისტოტელეა, ზოგადად, აზროვნების განვითარების თვალსაზრისით და კერძოდ, ლოგიკის ისტორიის ჭრილში დანახული, მაინც უდავოა ცნებათა გაყოფის პლატონური მეთოდის წვლილი არისტოტელესეული ლოგიკის და საერთოდ აზროვნების განვითარებაში.

ვიდრე ეს ჩვეულებრივ მიაჩნიათ. ლოგიკის თეორიაშიც არისტოტელე პლატონიდან ამოვიდა და კრიტიკულად გარდაქმნა, განავითარა და სრულყო მასწავლებლის მიერ მოპოვებული შედეგები, რამაც მას შეაძლებინა ლოგიკის მეცნიერების შექმნა და სისტემური დალაგება. არისტოტელეს პლატონთან განსაკუთრებით მეთოდური ამოცანა აერთიანებდა. სხვა სიტყვებით, ორივე მწვავედ განიცდიდა ისეთი საიმედო მეთოდის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც მეცნიერების საფუძველი გახდებოდა და რომელიც მხოლოდ აზროვნების მოწესრიგებას კი არ დაისახავდა მიზნად, არამედ იმავდროულად დასაბუთების ძალას შეიძენდა და აზრთა მსვლელობას აპოდიქტიკურ ხასიათს მიანიჭებდა.[1] არისტოტელემ სრულყო ლოგიკის ყველა ნაწილი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მან ლოგიკის სფეროში მიაღწია და რაშიც მას არ ჰყავდა პირდაპირი წინამორბედი, არის სილოგიზმის და დასაბუთების თეორია, რომელიც გადმოცემულია მის „ანალიტიკებში“ (τά άναλυτικά– აზროვნების, რთული აზრობრივი წარმონაქმნების დანაწევრება-დაშლა საწყის ელემენტებად, პრინციპებად – ნ. ბ.).

არისტოტელე პლატონს იმითაც ჰგავს, რომ მასწავლებლის მსგავსად მისთვისაც აზროვნების ფორმები ობიექტურ რეალობას არაა მოწყვეტილი, როგორც ეს თანამედროვე ფორმალურ-სუბიექტური აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მჭიდრო კავშირშია მასთან. პლატონსაც და არისტოტელესაც ჭეშმარიტება ესმოდათ როგორც აზრის სინამდვილესთან შესაბამისობა. ისინი აზროვნების კანონებს მხოლოდ იმისთვის კი არ სწავლობდნენ, რათა შეექმნათ ახალი მეცნიერება, არამედ ისინი იმიტომ სწავლობდნენ აზროვნების კანონებს და ქმნიდნენ ახალ მეცნიერებას, რათა შეემეცნებინათ სინამდვილე და

---

[1] იხ. Maier, H., Die Syllogistik des Aristoteles. Band II, 2. Hildesheim New York 1970. Reprografischer Nachdruck der Ausgabe Tübingen 1900. გვ. 56-57.

სხვებისთვისაც მიეცათ ინსტრუმენტი სინამდვილის შესამეცნებლად. არისტოტელესთვის სწორად ფორმულირებული ცნება საგნის არსებას გადმოსცემს. თუმცა საინტერესოა, რომ არისტოტელეს ლოგიკა იმდენად ზუსტი და დახვეწილია, რომ მისი ფორმალურ-ლოგიკური წაკითხვაც შესაძლებელია და თანამედროვე ლოგიკოსები მას პირველ ფორმალურ ლოგიკოსადაც კი მიიჩნევენ. აი რას წერს ბოხენსკი: „... ფორმალურმა ლოგიკამ არისტოტელეს ცხოვრების მოკლე პერიოდში აშკარად იმაზე მეტად წაიწია წინ, ვიდრე რომელიმე სხვა ეპოქაში. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არისტოტელეს ლოგიკის ისტორიაში უჭირავს უნიკალური ადგილი რამდენადაც ის 1. პირველი ფორმალური ლოგიკოსი იყო, 2. ფორმალური ლოგიკა ერთდროულად ***ორი*** (შესაძლოა, სამი) სხვადასხვა ფორმით მოგვცა, 3. მათ შორის ზოგიერთი ნაწილი საოცრად სრულყოფილი სახით დაგვიტოვა."[1] ამას მოსდევს სიტყვები, რომლებიც ნათლად ასახავს არისტოტელეს მნიშვნელობას ლოგიკის და საერთოდ აზროვნების ისტორიაში: „ამას ისიც ემატება, რომ ორიათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ლოგიკის ისტორია მის გადამწყვეტ გავლენას განიცდიდა, ის ხშირად განმსაზღვრელიც კი იყო მისთვის და დღესაც ბევრი რამ, რასაც ლოგიკაში ასწავლიან, მისგან იღებს სათავეს. აქედან გამომდინარე, ლოგიკური აზრის განვითარების ადექვატური გაგება არისტოტელესთან გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საერთოდ ლოგიკის პრობლემათა ისტორიის შესასწავლად, რასაკვირველია, განსაკუთრებით დასავლური ლოგიკისთვის." ასეთია არისტოტელეს ლოგიკის ზოგადი შეფასება თანამედროვე ფორმალური ლოგიკის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ისტორიკოსის მიერ.

ძალიან მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ არისტოტელეს ლოგიკის ძირითადი ელემენტები:[2] მის ბირთვს ქმნის *დასკვნის* და *დასაბუ-*

---

[1] Ibid. გვ. 47.

[2] არისტოტელეს ლოგიკის ამ მოკლე, სქემატური მიმოხილვისას მისი *ორ-*

თების თეორია. ორივე მათგანი ეყრდნობა *მსჯელობებს*, რომელთა არსი ისაა, რომ ისინი ან ჭეშმარიტია, ან მცდარი. არისტოტელეს განსაზღვრებით მსჯელობა არის აზრი, რომელიც რაიმეს ადასტურებს ან უარყოფს. ორი *მსჯელობა*, რომელიც სამ *ცნებას* შეიცავს (რომელთაგან ერთი ე. წ. საშუალო ტერმინი – არისტოტელეს გენიალური აღმოჩენა – ორ დანარჩენ ცნებას ერთმანეთთან აკავშირებს) ქმნის *დასკვნას* (სილოგიზმს). სილოგისტიკა აღწერს წესებს, რომელთა მიხედვითაც მოცემული წინადადებებიდან – წანამძღვრებიდან – ახალი წინადადებები მომდინარეობენ. სილოგიზმის დღემდე გამოყენებული ოთხი ფიგურიდან სამი არისტოტელეს ეკუთვნის. დასკვნები საფუძველს ქმნიან *დასაბუთებისთვის*. ამ უკანასკნელს ორი ამოცანა აქვს: (1) კერძო დასკვნის მიღება ზოგადი პრინციპებიდან, რომელთაც უშუალოდ წვდება გონება, ანუ *დედუქცია* და (2) მისი საპირისპირო – *ინდუქცია,* ანუ უკვე ნაცნობი კერძოდან ჯერაც დასადგენი ზოგადის მიღება. ასეთი ინდუქციური დასკვნა არისტოტელეს სიტყვებით `უფრო დამაჯერებელი, თვალსაჩინო, გრძნობადი აღქმისთვის მისაწვდომი და უმრავლესობისთვის ახლობელია, სილოგიზმი (= დედუქციური დასკვნა – ნ.ბ.) კი უფრო მკაცრი და კამათისას უფრო ქმედითი“ (“Topica“ 105a, 10ff).

არისტოტელეს ლოგიკის ერთ-ერთი მონაპოვარია ცნების განსაზღვრების ანუ *დეფინიციის* სრულყოფა. დეფინიციის მიზანია საგანთა არსების განსაზღვრება ცნებათა საშუალებით. სწორი დეფინიციისთვის

განონის გარდა გამოვიყენეთ შემდეგი ლიტერატურა: ბაქრაძე, კ., ლოგიკა. თბილისი 1955. Fischer, K., System der Logik und Metaphysik oder Wissenschaftslehre. Heidelberg [3]1909. Vorländer, K., Geschichte der Philosophie I: Philosophie des Altertums. Reinbek 1963. Glockner, H., Die europäische Philosophie von den Anfängen bis zur Gegenwart. Stuttgart 1958. Bächli, A., Graeser, A., Grundbegriffe der antiken Philosophie. Ein Lexikon. Stuttgart 2000 და ბოხენსკის დასახელებული ნაშრომი.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ გვარები (γένη) და სახეები (εἴδη). გვარი მიჯნავს საგნებს სხვაგვარი საგნებისგან, სახე კი დანარჩენ საგნებს იმავე გვარის საგნებისგან. გვარები და სახეები ქმნიან ცნებების ერთგვარ პირამიდას, რომელსაც წვეროც აქვს და ფუძეც. ცნება მაშინ ითვლება დეფინირებულად, როდესაც მას სწორი ადგილი აქვს მიჩენილი პირამიდის წვეროსა და ფუძეს შორის. ამოცანას შეადგენს, განვასხვავოთ ესა თუ ის ცნება უახლოესი გვარეობითი ცნებისგან მისთვის დამახასიათებელი სახეობითი ნიშნის დადგენით. ეს არის არისტოტელესეული დეფინიციის ცნობილი ხერხი, რომელიც წერილის დასაწყისში იყო ნახსენები: დეფინიცია უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების საშუალებით. ეს ხერხი დღემდე გამოიყენება მეცნიერებაში, თუმცა, ის არ არის უნივერსალური და სრულად ვერ ასახავს საგანთა თავისებურებებს. ის ვერ ასახავს, მაგალითად, საგანთა ყველა კავშირს და მიმართებას, არაფერს ამბობს მათი წარმოშობის შესახებ და ა. შ. მაგრამ დეფინიციას ეს არც მოეთხოვება. არისტოტელესეული დეფინიციის მაგალითია: „კვადრატი არის სწორკუთხედი ტოლი გვერდებით“. აქ „სწორკუთხედი“ უახლოესი გვარია. „ტოლი გვერდები“ კი – სახეობითი თავისებურება. ამ დეფინიციას სხვა კუთხით თუ შევხედავთ, „კვადრატი“ არის ე. წ. *განსასაზღვრი საგანი* (ლათ. definiendum) ხოლო „სწორკუთხედი ტოლი გვერდებით“ – *განმსაზღვრელი ცნება* (definiens). მათ შორის განსხვავება ორგვარად შეიძლება გავიგოთ. მაგალითად, თუ „ადამიანის“ განმსაზღვრელია „რაციონალური არსება“, მაშინ ეს დეფინიცია შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ აქ განმსაზღვრელი ჩვენს რეალურ შემეცნებას გადმოსცემს ადამიანის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი. ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ „რეალურ დეფინიციაზე“. მაგრამ თუ მოცემულ დეფინიციას რეალურ შემეცნებად კი არ გავიგებთ, არამედ მხოლოდ იმის გამოხატულებად, თუ რა მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ სახელი „ადამიანი“, მაშინ ლაპარაკობენ „ნომინალურ დეფინიციაზე“. ამ უკანასკნელს ნაკლები მიმართება აქვს

რეალურ სინამდვილესთან და უფრო კონვენციურის სფეროში რჩება. ძირითადად დეფინიციის სწორედ ეს მეორე გაგება გამოიყენება დღეს ემპირიულ მეცნიერებებში, მაშინ როდესაც არისტოტელე მას მეცნიერულად არარელევანტურად მიიჩნევდა. ჩვენ ვხედავთ, რომ არისტოტელე ამ საკითხშიც სოკრატეს და პლატონის ხაზის გამგრძელებელია აზროვნების ისტორიაში და მათ მსგავსად რეალიზმის პოზიციაზე დგას, რაც ამ კონტექსტში აზროვნების სინამდვილესთან კავშირს და მასთან შესაბამისობას გულისხმობს.[1] არისტოტელესთვის აზროვნების კანონების დადგენა სინამდვილის კანონების დადგენასაც და, შესაბამისად, მათ შემეცნებასაც ნიშნავდა. „მეტაფიზიკაში“ (II, 1) ის ფილოსოფიას განსაზღვრავს როგორც ჭეშმარიტების შესახებ მეცნიერებას.

სოკრატე როგორც გზის გამკვალავი

ასე დააგვირგვინა არისტოტელემ ის, რაც თავის დროზე სოკრატემ დაიწყო. „სოფისტური დარღვევების“ ბოლოში არისტოტელე მინიშნებით ეხება საკუთარ წვლილს ლოგიკის განვითარებაში და წინამორბედთა, განსაკუთრებით გზის გამკვალავთა, წვლილსაც არ ივიწყებს. ამ უკანასკნელთა შესახებ ის ამბობს: „დასაწყისი, როგორც ამბობენ, მაინც საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია და ამიტომაც ყველაზე ძნელი. რამდენად დიდიცაა ის შესაძლებლობის მიხედვით, იმდენად მცირეა მოცულობის მიხედვით და ამიტომ შესაცნობადაც უფრო ძნელი. მაგრამ თუ დასაწყისი ნაპოვნია, მისი შევსება და გაფართოებაც უფრო იოლია“ (Soph. El. 34, 183b 23-26). ეს სიტყვები თითქოს სოკრატეზეაო ნათქვამი.

ძალზე საინტერესოა სოკრატესადმი ნიცშეს დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება ნიცშეს მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში გან-

---

[1] რეალური და ნომინალური დეფინიციის ფილოსოფიურ რეალიზმთან და ნომინალიზმთან კავშირის შესახებ იხ. Bächli-ს da Graeser-ის ზემოთ დასახელებული ანტიკური ფილოსოფიის ლექსიკონი, გვ. 46-51.

სხვავებული იყო. „ტრაგედიის დაბადებაში მუსიკის სულიდან“ ნიცშეს დამოკიდებულება სოკრატესადმი ამბივალენტურია. აქ მიღება და უარყოფა თითქოს წონასწორობაშია – ერთი მხრივ, ის ძველი ბერძნული სულიერების, ბერძნული ტრაგედიის ხელოვნების დამანგრეველია, მეორე მხრივ კი, ადამიანის სულის ახალი შესაძლებლობის – მეცნიერების – გზის გამკვალავი. „კერპების დაისიდან“ მოყოლებული კი აშკარად უარყოფა სჭარბობს. აქ ის სოკრატესა და პლატონზე ამბობს: „სოკრატე და პლატონი მე შევიცანი როგორც დაცემის სიმპტომები, საბერძნეთის დაშლის იარაღი, როგორც ფსევდობერძნები, როგორც ანტიბერძნები.“[1] და მიუხედავად ამისა, ნიცშეს ღრმად ესმოდა სოკრატეს მნიშვნელობა მეცნიერების განვითარებისთვის. ამას მოწმობს მისი სიტყვები სოკრატეზე „ტრაგედიის დაბადებიდან“: „ის ჩვენ წარმოგვიდგება როგორც პირველი, ვინც შეძლო მეცნიერების ამ ინსტინქტით არა მარტო ეცხოვრა, არამედ – რაც ბევრად მეტია – მომკვდარიყო. და ამიტომ *მომაკვდავი სოკრატეს* სახე, როგორც ცოდნის და არგუმენტების წყალობით სიკვდილის შიშისგან თავისუფალი ადამიანისა, არის მეცნიერების კარიბჭეზე აღმართული გერბიანი ფარი, რომელიც გვახსენებს მის დანიშნულებას – გასაგები გახადოს და ამით გამართლებულად წარმოაჩინოს ყოფიერება.“[2] მართალია, ნიცშესთვის სოკრატეს მიერ დაფუძნებული მეცნიერების გზა მიუღებელი იყო, მაგრამ ეს მისი ამ სიტყვების ობიექტურობას არაფერს აკლებს.

სოკრატეს მიერ დასმული „რა არის ეს“ – კითხვის, ცნებათა დეფინიციისკენ მიმართული მისი ძალისხმევის და ზოგადად მის მიერ ლოგოსის ძიებაში გაკვალული გზის გაგრძელებით და განვითარებით

---

[1] Nietzsche, Fr., Götzen-Dämmerung, oder: Wie man mit dem Hammer philosophiert. In: Werke in zwei Bänden. München 1981. Band II. S. 332.

[2] Nietzsche, Fr., Die Geburt der Tragödie aus dem Geiste der Musik. Ibid. Band I. S. 70.

პლატონმა და არისტოტელემ იპოვეს და განახორციელეს მეცნიერების იდეა და ამით მყარი საფუძველი შეუქმნეს თანამედროვე ცივილიზაციას.

ბოლოს დავამთავრებთ გოტფრიდ მარტინის სიტყვებით, რომლის საყურადღებო წიგნიც სოკრატეზე არერთხელ გამოვიყენეთ წინამდებარე წერილში: „სოკრატეს დაუცხრომელი წევა ლოგოსისკენ შემობრუნების წერტილია კაცობრიობის ისტორიაში. მისი შეფასება, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგადად მეცნიერებას და ლოგოსს, როგორც ასეთს. თუ აზროვნების გზას მეცნიერებისა და ლოგოსისკენ განიხილავენ როგორც მცდარ გზას – ასე ფიქრობდა გვიანდელი ნიცშე და ასევე ფიქრობს ჩვენს დროში გვიანდელი ჰაიდეგერი – მაშინ სოკრატე შეცდომის და დაცემის დასაწყისი იქნება. მაგრამ, თუ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ მეცნიერებასა და ლოგოსში იმალება ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი შესაძლებლობა – და სწორედ ასე სწამდათ პლატონს და არისტოტელეს, ასე სწამდათ დეკარტს და ლაიბნიცს, კანტს, ჰეგელს და უაიტჰედს – მაშინ სოკრატე არის ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი შესაძლებლობის სათავე და ბიძგის მიმცემი.“[1]

[1] Martin, G., Sokrates. გვ. 138

abstract

Nodar Belkania,TSU full professor

Problem of Definition and the Logical Legacy of Socrates

The article discusses Socrates' efforts in defining the notion as well as Platon's and Aristotle's subsequent development of definition by analysing sources and relevant literature. Based on this analysis, it shows Socrates' contribution to the history of logic and the importance of this contribution for science and the development of Western thought in general.

ბერძენიშვილი ამირანი

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია და მისი კულტურული და სოციალური შედეგები.

მეოცე საუკუნეში მეცნიერებაში მომხდარმა სამმა დიდმა კვანტურმა, ბიომოლეკულურმა და კომპიუტერულმა რევოლუციამ მსოფლიოს სამი დიდი „აღმოჩენა“ – ატომი, გენი და კომპიუტერი შესძინა. მაგრამ თავისთავად აღმოჩენა შეიძლება „წმინდად აკადემიური“ იყოს, დარჩეს აბსტრაქციისა და თეორიის სფეროში და უმნიშვნელო გავლენა იქონიოს დანარჩენი მსოფლიოს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. საკმარისია მეცნიერული აღმოჩენის ტექნოლოგიად ქცევა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენება, რომ მან უზარმაზარი სოციალური და პოლიტიკური აზრი შეიძინოს. ასევე დაემართა აზროვნებისა და ინფორმაციის სფეროში მომხდარ რევოლუციას. ინფორმაციულმა (კომპიუტერულმა) რევოლუციამ შექმნა ციფრული სამყარო, რამაც ადამიანი თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებამდე მიიყვანა, ახალმა ტექნოლოგიებმა კი კომუნიკაციების წარმოუდგენელი შესაძლებლობები შექმნა, ისე, რომ მეცნიერული ფანტასტიკა და რეალობა თითქმის გააიგივა. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ისევე და იმდენადვე დიდი ისტორიული მოვლენაა, როგორც 18-ე საუკუნის ინდუსტრიული რევოლუცია, რომელმაც გარდატეხა გამოიწვია საზოგადოების, ეკონომიკისა და კულტურის საფუძვლებში.

ტექნოლოგიურ რევოლუციათა ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი ყოვლის მომცველი გავლენით ხასიათდებოდნენ – იჭრებოდნენ რა ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, ისინი გარეგან ზემოქმედებას კი არ ახდენდნენ, არამედ იქცეოდნენ იმ ქსოვილად, რომელშიც ასეთი საქმიანობაა ჩაწნული. ანუ, ახალი პროდუქტების ინდუცირების (წარმოების) გარდა იგი თავად პროცესზეა ორიენტირებული.

ინფორმაციული ეპოქისა და განვითარების ინფორმაციული წესის მკვლევარის მანუელ კასტელსის აზრით „ყველა სხვა სახის ტექნოლოგიური რევოლუციისაგან განსხვავებით, იმ ტრანსფორმაციების – ცვლილებების ბირთვი, რომლებსაც დღეს მსოფლიო განიცდის – ინფორმაციისა და კომუნიკაციის დამუშავების ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული“. (3,გვ.147)

ელექტრონიკაზე დაფუძნებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მეხსიერების შეუდარებელ მოცულობას, ინფორმაციული ბითის შერწყმისა და გადაცემის შეუდარებელ სისწარფეს ფლობს. ვისაც კი Word- პროცესორზე უმუშავია, ყველა აღიარებს, რომ სწორედ ელექტრონული ტექსტი გვაძლევს ტექსტის უკუკავშირების, ურთიერთქმედების და გადამუშავება-გარდაქმნის დიდ და არსებით მოქნილობას, ანუ სხვაგვარად, რომ ვთქვათ თავად კომუნიკაციის პროცესს ცვლის.

ინფორმაციული რევოლუციისათვის ინფორმაციული ტექნოლოგია იგივეა, რაც ენერგიის ახალი წყაროები იყო ინდუსტრიული რევოლუციისათვის. მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიის არსებითად უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ მტკიცებას ხშირად ურევენ იმასთან, რომ დღეს მიმდინარე რევოლუცია არსებითად ახალი ინფორმაციასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. ეს ნაწილობრივ მართალაია მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური ცვლილებების მიმდინარე პროცესზე ვსაუბრობთ, მაგრამ მ. კასტელსის სწორი შენიშვნით, ასეთი რამ დამახასიათებელი იყო წინამორბედი პირველი და მეორე ინდუსტრიული რევოლუციებისათვის. „დღეს მიმდინარე ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს არა იფორმაციის და ცოდნის ცენტრალური როლი, არამედ ასეთი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება ისეთი ცოდნისა და მოწყობილობების გენერირებისათვის, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციებს და ახორციელებენ კომუნიკაციებს ინოვაციებსა და ინოვაციების გამოყენების მიმართულებებს შორის უკუკავშირის კუმულაციურ ყულფში.“ (3,გვ.57)

ეს იმას ნიშნავს, რომ გამომყენებლები არა მხოლოდ სწავლობენ ტექნოლოგიებს, არამედ ქმნიან მათ, ამდიდრებენ და გარდაქმნიან ქსელებს, თავად პოულობენ გამოყენების ახალ სფეროებს. ახალი ტექნოლოგიების შემოყვანას, მის გამოყენებასა და ახალ სფეროებში წინ წაწევას შორის უკუკავშირი ახალ ტექნოლოგიურ პარადიგმაში ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ტექნოლოგიის გავრცელება უსასრულოდ აფართოებს მის ძლიერებას იმ ზომით, რა ზომითაც ეს ტექნოლოგიები აითვისება და ახლებურად განისაზღვრება მისი მომხმარებლის მიერ.

ამგვარად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები უბრალოდ გამოსაყენებელი ინსტრუმენტები კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ პროცესებს, რომელთა შემუშავებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი და გამომგონებელი (შემქმნელი) ერთ პიროვნებაში შეიძლება გაერთიანდეს. მაგალითად, როგორც მ. კასტელსი შენიშნავს, მომხმარებელმა შეიძლება ხელში ჩაიგდოს ტექნოლოგიებზე კონტროლი, როგორც ეს ინტერნეტის შემთხვევაში მოხდა. (3, იხილე V თავი). ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუციის შედეგად შეიძლება თამამდ ითქვას, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ადამიანის აზრი უშუალო საწარმოო ძალა გახდა და არა უბრალოდ წარმოების სისტემის გადამწყვეტი მნიშვნელობის ელემენტად დარჩა.

ამგვარად, კომპიუტერები, საკომუნიკაციო სისტემები, გენეტიკური დეკოდირება და პროგრამები – ადამიანური აზრის გაძლიერებას და გაფართოებას ემსახურება. ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ და როგორადაც ვფიქრობთ გამოხატულებას საქონელს, მომსახურებასა და ინტელექტუალურ პროდუქციაში – იქნება ეს საკვები, ბინა, სატრანსპორტო თუ საკომუნიკაციო სისტემები, კომპიუტერები, რაკეტები, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა თუ გამოსახულებები – პოულობს.

როგორც მ. კასტელსი შენიშნავს, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად მანქანებსა და აზრებს შორის მზარდი ინტეგრა-

ცია, დნმ-ის მექანიზმის ჩათვლით, აუქმებს და ლიკვიდაციას უკეთებს, „მეოთხე განზომილებას“ ანუ განხეთქილებას ადამიანებსა და მანქანებს შორის, ამგვარი ინტეგრაცია კი ფუნდამენტურად ცვლის იმას თუ როგორ ვიბადებით, ვცოცხლობთ, ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვქმნით, ვაწარმოებთ, მოვიხმართ, ვიბრძვით თუ ვკვდებით.

ამ ახალ ტექნოლოგიურ სისტემებს საკუთარი მყარი ლოგიკა აქვს, რომელიც მასში შეტანილი მთელი ინფორმაციის საერთო ინფორმაციულ სისტემაში გადაყვანის და ასეთი ინფორმაციის პოტენციურად ყოვლისმომცველ საძიებო და გამანაწილებელ ქსელში მზარდი სისწრაფით დამუშავების, მზარდი ძლიერებითა და კლებადი დანახარჯებით ჩართვის უნარით ხასიათდება.

ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ამ ახალ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას ახასიათებს: ესაა საკუთარი თავის განვითარებისათვის მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიების დაუყოვნებლივ გამოყენება, რითაც მსოფლიოს ერთიან მთელად აკავშირებს. რასაკირველია, მსოფლიოში ჯერ კიდევ რჩება დიდი სფეროები და მოსახლეობის მნიშვნელოვანი სეგმენტები, რომლებიც არ არიან ჩართულნი ახალ ტექნოლოგიურ სისტემაში, მაგრამ დედამიწის დომინანტური ტერიტორიები, ფუნქციები და სოციალური ჯგუფები, მკვლევართა აზრით, უკვე 1990 წლების შუა ხანებში ჩართულნი იყვნენ ახალ ტექნოლოგიურ სისტემებში, რომლებმაც ფორმირება მხოლოდ 1970-იან წლებში დაიწყო.

ამგვარად, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციის საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ბიძგი მისცა ისეთი სოციალური ურთიერთობების განვითარებას, ისეთი საზოგადოების ფორმირებას, რომლის განვითარების ძალა გახდა არა მატერიალური პროდუქციის, არამედ ინფორმაციული პროდუქციის წარმოება. მატერიალური პროდუქცია სულ უფრო მეტი ინფორმაციისა

და თეორიული ცოდნის მომცველია, რაც ინოვაციების, დიზაინის და მარკეტინგის წილის გაზრდას ნიშნავს მის ღირებულებებში.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუციის შედეგად არა მხოლოდ წარმოება, არამედ თვით ადამიანთა ცხოვრების წესი, ღირებულებათა სისტემა იცვლება, იზრდება კულტურული, პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების მნიშვნელობა მატერიალურ ღირებულებებთან შედარებით. მის საფუძველზე ყალიბდება ახალი სოციალური სისტემა – ინფორმაციული საზოგადოება, სადაც პრიორიტეტულია არა საქონლის წარმოება და მომსახურება, არამედ ცოდნისა და ინტელექტის წარმოება და მოხმარება, რასაც გონებრივი შრომის წილის გაფართოებასთან მივყავართ. ინფორმაციული საზოგადოება სადაც ადამიანისაგან მოითხოვება შემოქმედების უნარი, და იზრდება ცოდნაზე მოთხოვნილება.

ყალიბდება საზოგადოების ახალი ფორმა და სტრუქტურა, სადაც ადამიანთა საქმიანობა ძირითადად ინფორმაციის დაუშავებაზე იქნება მიმართული. ინფორმაციულია საზოგადოება – სადაც დასაქმებულთა უმრავლესობა ინფორმაციის და განსაკუთრებით მისი უმაღლესი ფორმის – თეორიული ცოდნის გენერირებით, შენახვით, გადამუშავებითა და რეალიზაციითა დასაქმებული.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელება არაორდინალურად სწრაფად მიმდინარეობს მთელს მსოფლიოში. ბევრ დასავლურ ქვეყანაში ის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა სულ ცოტა 20 წლის განმავლობაში. თუ გავითვალისწინებთ Word wide web არ იყო შექმნილი 1991 წლამდე, მაშინ როდესაც ის უკვე მოიხმარება მსოფლიოს 180 ქვეყანაში და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 100 მილიონზე მეტი მომხმარებელი ყავს.

ახალი თაობისათვის, დღეს შეიძლება თვით ჩვენთანაც საქართველოშიც კი ამ თაობას ქსელური თაობა ვუწოდოთ, პერსონალური კომპიუტერით სარგებლობა და ინფორმაციული ტექნოლოგიები უკვე

ბუნებრივი პროცესია. ეს თაობებს შორის უზარმაზარ სივრცეს წარმოშობს, რადგან ბავშვებს აქვთ უამრავი ინფორმაცია, რომელიც მათმა მშობლებმა და მასწავლებლებმა შეიძლება არც კი იცოდნენ. „მომხმარებელთა“ უმრავლესობა არიან ახალგაზრდები, მამაკაცები და მდიდარი ოჯახის შვილები. მათ ხშირად „ციფრულ ბავშვებსაც“ კი უწოდებენ. თუმცა დღეს ქალებიც აქტიურად ერთვებიან ამ პროცესებში, უფრო მეტიც საქართველოში დღეს კომპიუტერული მომსახურებით უფრო მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სარგებლობენ, განაკუთრებით მოზარდები ვიდრე მამაკაცები. კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიები ყველგან და ყოველთვის გვხვდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტები გახდნენ.

კულტურული და სოციალური ცვლილებების თვალსაზრისით სოციოლოგები რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებაზე საუბრობენ:

1. „დიგიტალიზაცია – ანუ ენა შეცვლილია ანალოგიური ციფრული სისტემით, რომელიც ყველგან მუშაობს, ყველაფერს აქვს თავისი კოდი და ინფორმაცია. მალე ისიც გახდება შესაძლებელი, თუ უკვე არ გახდა, რომ ჩვენი სხეულიც კოდირებული იქნას – მაგალითად ჩვენი თვალების დასკანერება აეროპორტში პასპორტის ნაცვლად.
2. – პერსონალური კომპიუტერი უკვე ყველგან შეიძლება შეგვხვდეთ სახლში, სამსახურში, სამზარეულოსა და აბაზანაშიც კი. ეს რა თქმა უნდა განვითარებულ ქვეყნებს ეხება.
3. ყველა სისტემა ემსგავსება ერთმანეთს, რადგან ყველა მათგანი ერთნაირად მუშაობს.
4. კომპიუტერის ეკრანი გახდა ის საგანი, რომელსაც ყველაზე ხშირად ვუყურებთ, ის არის ჩვენი დროის მეტაფორა.

5. მსოფლიო ნაკლებ დამოკიდებული ხდება ფიზიკურ რეალობაზე. ხდება დროისა და სივრცის სხვაგავარი აღქმა. ვირტუალური რეალობა უკვე წარმოიშვა.
6. იცვლება სოციალური ჯგუფების ბუნებაც (6,გვ. 619)"

ინფორმაციული ტექნოლოგიების სოციალური გავლენა.

ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები, რომლებსაც ახლა განვიხილავთ გავლენას ახდენენ ცხოვრების ყველა სფეროზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე, პოლიტიკაზე და ა.შ. მართალია ძნელი მისახვედრი არ არის, დავინახოთ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები არის რისკის საზოგადოების ნაწილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია განვაცხადოთ თუ რა შედეგებს მოიტანს ციფრული სამყარო. მსოფლიო დღეს გახდა უფრო სწრაფი, რადგან არსებობს ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდები, მობილური ტელეფონები და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების საფრთხე უკვე გაჩნდა, ამიტომ ასეთ ქვეყნებში ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად შეიზღუდება.

– **ციფრული ეკონომიკა.** მოხდა ეკონომიკის ელექტრონიზაცია. ისიც ციფრული გახდა. გლობალური ფინანსური ეკონომიკა მთლიანადაა დამოკიდებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. როგორც მ. კასტელსმა აღნიშნა: კაპიტალის მართვა ხდება საათივით გლობალურად ინტეგრირებულ ფინანსურ ბაზარზე, რომელიც ისტორიაში პირველად მუშაობას ასე: მილიონობით დოლარის ღირებულების ტრანსაქცია ხდება ელექტრონულად სულ რამდენიმე წამში" (6, გვ. 619). ამის კარგი მაგალითია ერაყ-კუვეიტის ომი, როდესაც კუვეიტის ბანკებმა სულ რამდენიმე წამში გადაისროლეს თავიანთი აქტივები მსოფლიოს სხვა ბანკებში.

ინფორმაციული რეოლუცია ცვლის როგორც სამუშაო ადგილს, ასევე თვითონ მუშაობასაც, შრომასაც. ეს ცვლილებები მკვლევართა აზრით, გამოიხატება შემდეგში:

1. სულ უფრო მეტ „გადაწყვეტილებებს იღებს“ კომპიუტერული მოდელი, რომელიც წყვეტს შეიძინოს თუ არა კომპანიამ ესა თუ ის პროდუქტი.

2. სამუშაო და შრომა უფრო აბსტრაქტული ხდებ. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მუშებს მეტი კონტაქტი ჰქონდათ თავიანთი პროდუქტებთან, მაშინ პოსტ-ინდუსტრიულ-ინფორმაციულ ერაში ამას აგვარებს აბსტარქტული სიტყვები და სიმბოლოები დახვეწილი კომპიუტერის მეშვეობით.

3. სამუშაო ადგილზე ინტეგრაცია იზღუდება, ინფორმაციულმა რევოლუციამ ხალხი კომპიუტერს მიაჯაჭვა, რაც ნიშნავს, რომ მათ საკუთარი თავის წარდგენა კომპიუტერისათვის უწევთ და შესაბამისად ნაკლები კონტაქტები აქვთ ერთმანეთთან.

4. კომპიუტერის საშუალებით ზედამხედველს შეუძლია მუდმივად აკონტროლოს მუშები, ამიტომაც კომპიუტერს აღარ თვლიან სოციალურად ნეიტრალურ რაიმედ, უფრო მეტიც ის განსაზღვრავს სოციალურ წესრიგს, აყალიბებს იერარქიულ დამოკიდებულებას დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის.

– **ციფრული დემოკრატია,** პოლიტიკა ნელ-ნელა იღებს ფორმას. სხვადასხვა სოციალური მოძრაობები გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, ეს მოძრაობები კი ქსელის საშუალებით ყალიბდება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებ-სივრცე ცვლის სოციალურ სფეროს, უფრო და უფრო მეტი ადამიანი იწყებს საუბარს მისთვის საინტერესო თემებზე Chat–ში და ა.შ.

– **ციფრული ურთიერთობები.** გაცნობის ახალი საშუალებები ჩნდება მობილური ტელეფონის, ელექტრონული-ფოსტისა და ინტერნეტის მეშვეობით. ამის ერთი ასპექტი არის ონ-ლაინ პაემანის გაჩენა.

არსებობს უამრავი ვებ-გვერდები გაცნობისა და ინტერესების მიხედვით პარტნიორის შერჩევისათვის. ეს ქსელები უკვე ანგრევს საუკუნეების გამძლე ტრადიციებს: „როდესაც გოგოებს ინტერეტით ელაპარაკები მნიშვნელოვანი ხდება ის თუ რას გრძნობ რას ფიქრობ და არა ის, თუ რამდენი გაქვს ფული, არც ის სიმბოლოები და სტატუსებია მნიშვნელოვანი, რომლებიც ასე დიდ როლს თამაშობს გარე-სამყაროში“ (6, გვ. 621). განაცხადა ერთერთმა სტუდენტმა.

– ინტერნეტში ახალი კულტურებისა და სოციალური სამყაროს შექმნა. ინტერნეტის, ვებ-გვერდების და ელექტრონული ფოსტის სოციოლოგებისთვის ყველაზე შემაშფოთებელი არის ის ფაქტი, თუ როგორ აყალიბებს ის ახალი კომუნიკაციის ქსელებს და ახალ კულტურებს. ყველზე მარტივად, რომ ვთქვათ პერსონალური ვებ-გვერდები ხდება საკუთარი თავის პრეზანტაციის ახალი საშუალება. ადამიანებს შეუძლიათ გაუკეთონ თავიანთ ვებ-გვერდებს ისეთი დიზაინი, როგორიც მათ სურთ. ინტერესის ჯგუფებს უკვე გააჩნიათ საკუთარი ვებ-გვერდები როგორც სხვადასხვა ჰობის, ისე სერიალებსაც კი. მსახიობებს შეუძლიათ საკუთარი შრომის ვებ-გვერდებზე წარმოჩენა – არა მხოლოდ ფოტოები – არამედ სადისკუსიო სივრცეც მსახიობებს შორის. დიდი რაოდენობით იქმნება სექსუალური ინტერესების მქონე ვებ-გვერდები, წარმოუდგენლად მრავალფეროვანი მიმდინარეობებით, ყველანაირი გამოცდილებისათვის. მსოფლიოს ყველა წამყვან რელიგიას და აგრეთვე ახალ რელიგიურ მიმდინარეობებს, აბსოლუტურად ყველას გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც საკმაოდ დეტალურადაა ყველაფერი აღწერილი. სულ პატარა ტომებსაც კი აქვთ საკუთარი ვებ-გვერდები, რათა უკეთ წარმოაჩინონ საკუთარი იდენტურობა და გააძლიერონ ტომობრივი კავშირი. ასე ჩნდება ვირტუალური რეალობა ანუ ციფრული სამყარო, სადაც კომუნიკაცია, რელიგია და პოლიტიკა მჭიდროდაა გადაჯაჭული ერთმანეთზე.

ციფრული სამყაროს რისკი: რა რისკების გამოწვევა შეუძლიათ ამ ტექნოლოგიებს? ეს რისკები განსხვავდება წარსული დროის რისკებისაგან, რასაც ბუნებრივი კატასტროფა წარმოადგენდა. ჩვენ არ ვიცნობთ ამ რისკებს, ისინი ბუნდოვანი და დაფარულია. მოკლედ რომ ვთქვათ რა შედეგს მოიტანს ეს ტექნოლოგიური სამყარო? დღეს სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ატარებს მეტ დროს ტექნოლოგიებთან „ურთიერთობაში", ხომ არ შეცვლის ეს მათ ინდივიდუალურობას, კომუნიკაციებს, წერის მანერასაც კი? იგი, ხომ, წიგნის და პრესის ჩამნაცვლებელიც კი ხდება.

ძალაუფლება, კლასები და სტრატიფიკაცია ციფრულ სამყაროში.

– ერთი სცენარის მიხედვით ესაა სტრატიფიკაცია, რომელიც მიმდინარეობს მათ შორის ვისაც „აქვს" ან „არ აქვს" ინფორმაცია. ჩვენ უკვე შეგვიძლია ამის დანახვა ქართულ სინამდვილეშიც კი, სადაც მოხუცები, რომლებიც არ იცნობენ კომპიუტერულ ტექნიკას, ისე კარგად როგორც მათი შვილები ან შვილიშვილები თავს უკვე გარიყულად გრძნობენ საზოგადოებისაგან. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექნოლოგიებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეაღწია მას მაინც არ მიუღწევია 6 მილიარდი მოსახლეობის ყველა წევრთან. არსებობს გლობალური ციფრული დაყოფა-გახლეჩა. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული სამყარო ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, იგი მაინც გამოიწვევს ციფრულ კლასებს, ანუ სტრატიფიკაციას, რომელიც დამოკიდებული იქნება ინფორმაციის „ქონა-არ ქონის" მაგალითზე.

საქმე ისაა, რომ ციფრული სამყარო დასავლური განვითარებული საზოგადოებების გარდა ძალიან პატარა ჯგუფისთვისაა ხელმისაწვდომი. კომპიუტერის მომხმარებელთა 84%-ი ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ ევროპაში ცხოვრობს. აქედან 69% მამაკაცია, რომელთა საშუალო ასაკი 33 წელია, შემოსავალი (ოჯახის) კი შეადგენს 60.000 დოლარს წელიწადში პირველი ოცეული კომპიუტერების მოხმარების საკითხში წარმოდგენილია უმეტესად ჰომოგენური ქვეყნებით. დედა-

მიწის მოსახლეობის 80%-ი ჯერ კიდევ კომუნიკაციების გარეშეა, აზიაში, 1.5 მილიონი მომხმარებელია, რაც იაპონიის მომხმარებელთა 1/3 ერთ მესამედს შეადგენს. მანჰეტენზე სატელეფონო ხაზი უფრო მეტია, ვიდრე საჰარის აფრიკის ქვეყნებში, აშშ-ში ას კაცზე 35 კომპიუტერზე მეტი მოდის, იაპონიაში 60, ტაივანში 9, განაში კი 1 კომპიუტერი 1000 კაცზე. ჯერ კიდევ ადრეა იმის თქმა თუ რას მოგვიტანს ციფრული სამყარო, მაგრამ საინტერესოა იმით სპეკულირება, თუ საით მივყავართ ციფრულ სტრატიფიკაციას.(6. გვ. 622)

– ინფორმაციით გადატვირთვა. მეორე სცენარს წარმოადგენს ფაქტი, რომ ახალი საზოგადოება გადატვირთულია ინფორმაციით. ინტერნეტის მეშვეობით ვიღებთ არა მხოლოდ ინფორმაციის, არამე ძალიან ბევრ ინფორმაციას. კვლევის შედეგად, შეიძლება წავაწყდეთ მილიონობით ვებ-გვერდს და მივიღოთ უამრავი ინფორმაცია. საჭიროა ახალი უნარები იმისა, რომ შეძლო ამ უზარმაზარი ინფორმაციიდან საჭირო მასალების ამოკრეფა, თორემ სხვა შემთხვევაში ჩვენ გადავიტვირთებით ინფორმაციით.

– ციფრული დანაშაულობები. – ყალიბდება ახალი ციფრული კრიმინალური – ჰაკერობა (კომპიუტერულ სისტემაში პატრონის ნებართვის გარეშე შესვლა).

– ახალი ვირუსების შექმნით მსოფლიო კომუნიკაციის სისტემის პარალიზება.

– ნარკოტიკების, ბავშვებისა და ხალხის ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობა. უმეტესობა „ვირტუალურია“ – შესაბამისად მათი გაკონტროლება და მართვა გაცილებით რთულია.

ციფრული სამყაროს კიდევ ერთი ფუნქცია – ციფრული სამყაროს მიერ გამოწვეული ზოგიერთი ცვლილება გაცილებით ღრმა სოციალური ხასიათისაა. დღეს ბევრი ლაპარაკობს „პოსტ-ადამიანურ საზოგადოებაზე“. ადამიანები სცილდებიან საკუთარ ადამიანობას. ჩვენ ვქმნით ცხოვრების ახალ ფორმებს – დროის შეგრძნების ახალ-ახალ

ფორმებს: „უდროო დრო,“ ვანგრევთ კლასიკური ცხოვრების რიტმს. ინტერნეტის მეშვეობით შესაძლოა, რომ არავინ იცოდეს თუ ვინ ხარ სად ხარ, რამდენი წლის ხარ და ა.შ. ზოგიერთისთვის ეს არის რეალური სამყაროდან გაქცევის, დამალვის, საკუთარი თავის შენიღბვისა და ახალ ცხოვრებაზე გადასვლის შესაძლებლობა.

1. რადგან მთავარი ხდება ქსელში ჩართულობა, ამდენად კომპიუტერული ქსელი თავის მხრივ ბოლოს მოუღებს კომუნიკაციის ისეთ მასობრივ საშუალებას როგორიც ტელევიზიაა (ანუ ცენტარლიზებული მაუწყებლობა ჰომოგენური აუდიტორიისთვის). ვინაიდან მათი მეშვეობით კომუნიკაციები ინდივიდუალური და ინტერაქტული ხდება. ამიტომ კულტურისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ქსელის მისაწვდომობა ხდება. ვინაიდან იგი გვაძლევს ვისთანაც გვინდა კომუნიკაციისა და ინტერაქტული ურთიერთობების შესაძლებლობას.

2. ინტერნეტი ხელს უწყობს საზოგადოების ფრაგმენტაციას, თვით დღეს არსებული საკაბელო და თანამგზავრული ტელევიზია მიზნობრივ აუდიტორზეა მორგებული და წინასწარ შერჩეული ინფორმაციით აცალკევებს მაყურებლებს. საშუალება თავად იქცევა მესიჯად (გზავნილად) ხდება აუდიტორიის განსხვავებული ბაზრების უზრუნველყოფა კასტომიზირებული და დივერისიფიცირებული პროგრამებითა და არხებით.

3. შემაშფოთებელია ისიც, რომ იზრდება და ყალიბდება ცხოვრების საშინაო წესი, რომელიც დასვენებასა და გართობაზეა ორიენტირებული მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვასთან არის დაკავშირებული, ეს გვემუქრება საერთო კულტურის დაკარგვით, რომელსაც იცავს და ამაგრებს ეროვნული ტელემაუწყებლობა, მიუხეავად იმისა, რომ ახლა მედია ერთმანეთს შორის გლობალური მასშტაბით არის დაკავშირებული, ჩვენ ვცხოვრობთ არა გლობალურ სოფელში,არამედ იზოლირებულ,

გამოყოფილ, კასტომიზირებულ კოტეჯებში, როლმელთა წარმოებაც და განაწილებაც ლოკალიზებულია.

4. არის მეორე ტენდენცია ინტერნეტი (ინტერაქციებისა და ინდივიდუალიზაციის) ხელს უწყობს ელექტრონული საზოგადოებების შექმნას, რომლებიც უფრო დააკავშირებენ ადამიანებს ერთმანეთთან,ვიდრე გააცალკევებენ. ხდება „ვირტუალური თანასაზგადოებების“ შექმნა ქსელში.

5. ყალიბდება „რეალური ვირტუალურობა“, რომელიც მოიცავს ტექსტის, აუდიო, ვიდეო, ვიზუალური ფორმების შენადნობს, ანუ მულტიმედიას. ფაქტობრივად, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით დაძაბულ ქსელურ ურთიერთობებში, და შესაბამისად შევდივართ ურთიერთობებში სხვებთან, ჩვენ გამოცდილებით ვიყენებთ ერთადერთ რეალობას – მედის რეალობას. ამგვარად, ეს სისტემა, რომელშიც თავად რეალობა ... მთლიანად მოცულია და ჩაფლულია ვირტუალურ სამყაროში, გამოგონილ სამყაროში, რომელშიც გარეგანი ანარეკლები არა მხოლოდ გვამცნობენ, რომელღაც გამოცდილების შესახებ, არამედ თავად იქცევიან გამოცდილებად.“ (3, გვ. 345).

XXI საუკუნეში პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ცოდნა და ინფორმაციის გენერირების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ტექნოლოგიები ე.წ. „ინტელექტუალური“ ტექნოლოგიები გახდა. ახალი მსოფლიო – ეს კომპიუტერებისა და ინტერნეტის, მობილური ტელეფონებისა და ფაქსების სამყაროა, ქსელებისა და ტელევიზიის მსოფლიოა, რომელთა გამოყენების მასშტაბებსა და ეფექტურობაზე პირდაპირაა დამოკიდებული ხალხების (ერების) და სახელმწიფოების კეთილდღეობა. დღეს იგებს ის, ვინც ინფორმაციისა და ცოდნის წარმოებაზე აკეთებს აქცენტს.

ძველი დროებისაგან განსხვავებით ცოდნა, ახალ-ახალი ინფორმაციების მოპოვება და გაცვლა აღარ არის რჩეულთა პრივილეგია. სახელმწიფოს ძლიერება და სიმდიდრე განისაზღვრება არა ცოდნის

იმ ჯამით, რომელიც „მკვდარ ტვირთად“ დევს სადღაც ფუნდამენტალური მეცნიერებების საფუძველში, არამედ ამ ცოდნისა და ინფორმაციის მაქსიმალურად ფართო დაუფლების შესაძლებლობებით და მაშასადამე, მათი გავრცელების სიჩქარით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკაციის ქსელთა ქმედითუნარიანობით. რაც უფრო მაღალია ინფორმაციის (ცოდნის) წარმოების, განაწილების და გავრცელების ტემპები, რაც უფრო სწრაფად გარდაიქმნებიან ისინი ახალ ტექნოლოგიებად, სასარგებლო გამოგონებებად, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის ზრდის ტემპები.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჩვენი თემისათვის ისაა, რომ კომუნიკაციის სისტემებისა და კავშირების ახალი საშუალებები ამცირებენ ადამიანთა გამთიშველ მანძილსა თუ სხვა ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს. უფრო მეტიც, მათ არ იციან (არ ცნობენ) ქვეყნებისა და ხალხების გამყოფი საზღვრები. ახალი ინფორმაცია, ახალი ცოდნა წარმოებული ერთი ინტელექტის მიერ, მყისიერად ხდება ყველას მონაპოვარი და მსოფლიო ჯერ კიდევ არასდროს არ ყოფილა ამდენად ერთნაირი. იგი „გლობალურ სოფელს“ ემსგავსება, სადაც ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ. ყალიბდება გლობალური ინფორმაციული საზოგადოება, რომლის ერთიანობა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინტელექტუალური ტექნოლოგიებით. ინფორმაციულია საზოგადოების განვითარების ეტაპი, რომელზეც ინფორმაცია და მეცნიერული ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და წარმოების ნაყოფიერების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება. ცოდნის მოცულობის ექსპონენტური ზრდა, ცოდნის გაორმაგების დროის სწრაფი შემცირება; (თუ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ცოდნის გაორმაგებას დასჭირდა 1750 წელი, მაშინ მეორე გაორმაგება უკვე 1900 წელს, ხოლო მესამე – 1950 წელს მოხდა). დღეს ინფორმაციის მოცულობა უკვე ყოველწლიურად ორმაგდება, ადგილი აქვს „ინფორმაციულ აფეთქებას“, მაგრამ მთავარი მხოლოდ ინფორმაციის რაოდენობრივი ზრდა არ არის, მთავარია ის

ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად არევოლუციონირებენ საკუთარ თავს და „ცოდნით ცოდნის“ მოპოვების გზით ინფორმაციას და ცოდნას აქცევენ ერთერთ ისეთ მთავარ სოციალურ ღირებულებად, რომელიც საზოგადოებას აერთიანებს და მას წარმოების ძირითად პროდუქტად და საქონლად აქცევს.

თავისი განმსაზღვრელი თვისებით – რაც კომუნიკაციურობით გამოიხატება, ინფორმაციული სფერო უპირისპირდება სხვა სფეროებს (ეკონომიკურს, პოლიტიკურს, სამხედროს და ა.შ.). ამ სფეროში ადამიანური საქმიანობის მთავარი დანიშნულებაა – ინფორმაციის გავრცელება, ან მისი გადაცემის დაუშვებლობა სივრცეში, დროში (შენახვა), ადამიანთა ჯგუფებში და წრეში(გავრცელება), აგრეთვე ინფორმაციის დამუშავება მითითებული ქმედებების ეფექტების ასამაღლებლად. კომუნიკაციური მხოლოდ ის ინფორმაციაა, რომელიც ექვემდებარება გადაცემას, შენახვას და დამუშავებას. სწორედ ამით შეესატყვისება იგი თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების მოთხოვნებს.

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს ახალი გლობალური სოფელი – სულაც არ არის ახალი ედემი და სამოთხე. ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების და ახალი ინფორმაციული მაგისტრალების განვითარება არა მხოლოდ აერთიანებს მსოფლიოს, არამედ აცალკევებს კიდეც მას და უფრო მეტიც, ერთი ქვეყნის შიგნითაც კი იწვევს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და რეგიონებს შორის გათიშვას, რასაც „ციფრული განხეთქილების“ ცნება უკეთ გამოხატავს – მაგრამ, ეს სხვა საკითხია და უშუალოდ ჩვენს თემას არ უკავშირდება. მე აქ მინდა ყურადღება გავამახვილო ისეთი კომუნიკაციური საშუალების შესახებ, როგორიც ინტერნეტია. ეს მსოფლიო აბლაბუდა მის ყველა წევრს თუ მას კომპიუტერი აქვს, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ჩარევისა და ცენზურის გარეშე შეუძლია იკონტაქტოს ერთმანეთთან, შექმნან ვირტუალური საზოგადოებები, დაუახლოვდნენ, მოხსნან გაუცხოება ერთმანეთში, გაერთიანდნენ საერთო ინტერესებისა და ღირებულებე-

ბის ირგვლივ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელება არაორდინალურად სწრაფად მიმდინარეობს მთელს მსოფლიოში. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ისინი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა სულ ცოტა 20 წლის განმავლობაში... მართალია ჩვენი ქვეყანა ტოლს ვერ დაუდებს განვითარებულ ქვეყნებს, მაგრამ კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია საკმაო სწრაფი ტემპებით მიდის, ეს განსაკუთრებით ბოლო ხუთი წლის მანძილზე შეიმჩნევა; ახალი თაობისათვის პერსონალური კომპიუტერის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება უკვე ბუნებრივ პროცესად იქცა. თინეიჯერები უკეთ ამყარებენ კავშირებს სხვა ადამიანებთან ამ ტექნოლოგიების მეშვეობით, ვიდრე უფროსი თაობის ადამიანები, სწორედ ეს ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ხელოვნური ბარიერებით გათიშულმა ახალგაზრდებმა დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი და შექმნან ვირტუალური საზოგადოებები, რომლებიც საერთო ღირებულებებისა და ინტერესების საფუძველზე ჩამოყალიბდება. ინტერნეტი ხელს უწყობს პოლიტიკაზე გავლენის შემძლე სოციალური მოძრაობების წარმოშობას, ვინაიდან ეს მოძრაობები სწორედ რომ ქსელის საშუალებით ყალიბდება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებ-სივრცე ცვლის სოციალურ სფეროს, უფრო და უფრო მეტი ადამიანი იწყებს საუბარს მისთვის საინტერესო თემებზე chat-ში და ა.შ. დაახლოებისა და გაცნობის ახალი საშუალებები ჩნდება მობილური ტელეფონის, ელექტრონული ფოსტისა და როგორც უკვე ვთქვით ინტერნეტის მეშვეობით. არსებობს უამრავი ვებ-გვერდი გაცნობისა და ინტერესების მიხედვით პარტნიორების შერჩევისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური მედიის – „facebook“ ქსელი, რომელსაც საქართველოში თითქმის მილიონამდე მომხმარებელი ყავს. სწორედ ამ სექციების გამოყენებითაა შესაძლებელი ახალი „ბერლინის კედლების“ დანგრევა და გაუფასურება. ჩვენი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტობა, მართალია ნელა, მაგრამ მაინც ახერხებს კომუნიკაციების დამყარებას აფხაზ თუ ოს თანატოლებთან. მართალია,

ჯერ ეს მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ამ ონ-ლაინ ურთიერთობებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ჩვენი ახალგაზრდების დაახლოების და ურთიერთგაუცხოების მოხსნის საქმეში. სწორედ ინტერნეტის მეშვეობითაა შესაძლებელი აფხაზეთსა და შიდა ქართლში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრ დარჩენილ ნათესავთან, მეგობართან, ყოფილ მეზობელთან თუ უბრალოდ ნაცნობთან დაკავშირება და საერთო უნდობლობის დაძლევა და არა მხოლოდ აფხაზებთან და ოსებთან, არამედ ამიერკავკასიის ყველა ხალხებთან, ანუ ჩვენს მეზობლებთან: ჩრდილო კავკასიელებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან... ურთიერთობების დამყარება და ვირტუალური მოძრაობების შექმნით, კონფლიქტის დაძლევის სახალხო საფუძველის შექმნა.

ამგვარად, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიური რევოლუცია თვისებრივ ცვლილებებს იწვევს თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი, დასავლური საზოადოებების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებში. ამ რევოლუციით გამოწვეული ტრანსფორმაციები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისეთი განვითარებადი ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე როგორიც საქართველოა. სწრაფად იზრდება და ფართოვდება ინტერნეტ კომუნიკაციები, ჩართულობა სოციალურ ქსელებში, რაც იმის საწინდარია, რომ ქართული საზოგადოება ღირსეულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე, ღია, ინფორმაციულ სამყაროში და მოიპოვებს მოქალაქეობის უფლებას.

Abstract

Amiran Berdzenishvili, TSU Associated Professor

Information Technology Revolution and its Cultural Results

The research analysis the changes caused by the Information Technology Revolution in the leading Western society in the field of economic, social and cultural relations. The author relying on the views of M. Castells, D. Bell and F. Webster shows how the transformations caused by the revolution are reflected in the developing country like Georgia by influencing its social, political, economic and cultural fields. Specifically the paper elaborates how the Information and Communication Technologies can assist and foster the resolution of the conflicts in the country by strengthening the public diplomacy.

During the highly developed Information and Communication Technologies (most importantly internet) it becomes purposeless to build new „Berlin Walls“ for the aim of dividing people. Accordingly the author hopes that the intensive usage of the Information and Communication Technologies will assist the rapprochement of the people on different sides of the conflict and play an important role in the process of conflict resolution.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა:

1. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. М.: Academia, 1999. Пред. к русскому изд. 1999. с. CXX-CXXIV.
2. Эеляков А.Д. Современная информационная революция. Социологические исследования. 2003. №10,

3. Кастельс М. Иформационная эпоха: экономика, общество и культура. М.: 2000.
4. Уэбстер Ф. Теории информационного общества./ Пер с. англ.-М.: Аспект-Пресс.2004.
5. Роберт Кан: эксклузивное интервью журналу << Информационное общество>> . В журнале << Информационное общество>> 2009 № 4-5
6. John. Macionis, Ken Plummer Sociology A Global Introduction / Third Edition Published 2005 Person Prentce Hall.

ირა ბიჭიკაშვილი

რეალობის ამსახველი ფორმა. რა არის ინფოგრაფიკა?

დასავლეთში ტერმინი ინფოგრაფიკა ორ ათეულ წელზე მეტია იხმარება. ზოგიერთი ინფოგრაფიკას ახალ ჟურნალისტურ ჟანრადაც თვლის. ჩვენში ეს ტერმინი სხვა ცნებებთან ასოცირდება: გვაგონდება „საგაზეთო გრაფიკა“(სქემა, ტაბულა, გრაფიკი), „საგაზეთო ნახატი“(პორტრეტი, ვინიეტი, კომიქსი, კარიკატურა). ის, რასაც ჩვენი მეხსიერება გვახსენებს, გახლავთ მხატვრის ნამუშევარი, ინფოგრაფიული ნაშრომები კი თვით ჟურნალისტის, ინფოგრაფის მიერ იქმნება. იმ ადამიანის მიერ, ვისაც აქვს უნარი წარმოაჩინოს საზოგადოებრივი პრობლემა არა მარტო აქტუალური ტექსტის მეშვეობით, არამედ მხატვრულ-ასოციაციურ ჭრილშიც – გრაფიკულად. ლაპარაკია არა მარტო სქემების, გრაფემების გამოყენებაზე, არამედ მათ შერწყმაზე გაზეთისა და ჟურნალისთვის ჩვეულ მასალებთან – ფოტოსთან, ანიმაციურ ნახატთან. უხეშად რომ ვთქვათ, ინფორმაციის, პრობლემის ვიზუალიზაცია – არის ინფოგრაფიკა. ჩვენი აზრით, ამგვარი უნარისთვის ჟურნალისტი უნდა ფლობდეს არამარტო შინაარსობრივად ძლიერი ტექსტის დაწერის ნიჭს, არამედ ამ შინაარსის მხატვრულად მიწოდების ხერხებსაც.

შორეულ 1982 წელს ამერიკაში გამოიცა იან უაითის წიგნი „დიზაინი როგორც რედაქტორის ინსტრუმენტი“, რომელიც იქცა ბესტსელერად და დღემდე აქტუალურია საგამოცემო წრეებში. ავტორი, რომელიც მუშაობდა კორპორაცია Time-ის არტ-დირექტორად, წერდა:“გამოცემების რედაქტორებმა ბევრი უნდა იფიქრონ ჟურნალის გამოცემის ვიზუალურ მხარეზე -შრიფტის შერჩევაზე, მასალის გან-

ლაგებაზე, ფოტოგრაფიის, ილუსტრაციის და ფერის გააზრებულ გამოყენებაზე. კულტურათაშორისი კონფლიქტი ჟურნალისტებსა და დიზაინერებს შორის ვნებს ჟურნალს. საუკეთესო გამოსავალია შევაჩვიოთ თვით ავტორი იმას, რომ იფიქროს ვიზუალიზაციაზე, მოსინჯოს საკუთარი ძალები წარმოსახვის სფეროში. ილუსტრაცია არ არის ტექსტის დასამშვენებელი ხერხი, ის აძლიერებს სიტყვის ძალას. ორივე თანასწორუფლებიანია. საჟურნალო დიზაინი – გამოყენებითი დისციპლინაა, ის არ არის აბსტრაქტული ხელოვნება. ჟურნალების დიზაინერები არიან ვიზუალური ჟურნალისტები, რომლებსაც შეუძლიათ იმ იდეის გამოსახვა, რომელიც დევს პუბლიკაციაში. დიზაინერის საბოლოო მიზანია შექმნას გვერდი როგორც ერთიანი პროდუქტი".

ეს ვრცელი ციტატა მეტყველებს, რომ სადიზაინერო საქმემ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია კომპიუტერული საგამოცემო პროგრამების შექმნის პერიოდისთვის – მე-20 საუკუნის 80-ანი წლების მიწურულისკენ. შეიძლება ითქვას, რომ სადიზაინერო საქმიანობა ზუსტად კომპიუტერმა გადაიტაცა „სხვა განზომილებაში", უხვად შესთავაზა კომპიუტერული გრაფიკის განუსაზღვრელი რესურსები და წარმოქმნა ახალი ბეჭდური ჟანრი – ინფოგრაფიკა.

ნებისმიერი გამოსახულება, მითუმეტეს მრავალმხრივად, კომპლექსურად წარმოდგენილი – არის კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელსაც ძალუძს იდეის მძლავრად წარმოჩენა. გამოსახულება ხდის იდეას მრავალი მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელს. ამიტომაც ინფოგრაფიკის ერთ-ერთმა მკვლევარმა გამოთქვა შემდეგი აზრი:

„ერთი სრულყოფილი გამოსახულება 1.000 სიტყვის ტოლფასია". დავამატებთ, რომ ის, ამავე დროს, არ საჭიროებს თარგმნას.

უნივერსალურ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელსაც ეკისრება კონცეპტუალური ინფორმაციის გავრცობა, პირველ რიგში, სჭირდება ჟურნალისტ-ინფოგრაფის ნიჭი. ტექსტში ასახული იდეის პლუს

გამოსახულების წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია მიზნის სიცხადეზე, რისკენაც მიისწრაფის ჟურნალისტი – ინფოგრაფი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, შინაარსი, იდეა, რა თქმა უნდა, წამყვანია ამ პროცესში. ინფოგრაფიკა მხოლოდ დამატებაა ტექსტური ინფორმაციისთვის. ინტერნეტ-რესურსი გვაწვდის უამრავ წარმატებულ და გასაგებ ინფოგრაფიულ მაგალითებს. ისინი შეიცავენ ორგანიზებული სახით დიდი მოცულობის ინფორმაციულ მაგალითებს. მათი განლაგება ძალზე მოხერხებულია მნახველისთვის, რაც ჩვენს პრაგმატულ დროში დიდ შეღავათს წარმოადგენს მაძიებლისთვის.

თანამედროვე ბიზნეს-სამყაროში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობენ დიზაინერთა სკოლები, სადაც სწავლობენ სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები, მათ შორის ჟურნალისტებიც. აქ სწავლობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმიანობის სფეროებში აღწევენ წარმატებებს და ცდილობენ საკუთარი იდეების ვიზუალიზაციის ტექნიკის შესწავლას, ინფოგრაფიკის ათვისებას.

სახელგანთქმულია მუმბაის(ინდოეთი) ინდუსტრიული დიზაინის ინსტიტუტი. მისი წამყვანი პროფესორი ტრივედი ირწმუნება, რომ „ადამიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვერბალურ ინფორმაციას, არადა ვიზუალიზაცია ხელს უწყობს რეალობის უკეთ აღქმას. ჩვენ უნდა გამოუნახოთ მატერიალური ანალოგი იმას, რასაც არ გააჩნია ფორმა. ვიზუალიზაცია ეს არის კარნახი ტვინისთვის, რომელსაც ზოგჯერ უჭირს ვერბალური ფორმით მოწოდებული უბრალო ინფორმაციის აღქმა: ჯონს მისცა ხმა 345 ადამიანმა, მაიკლს კი 423-მა“.

ერთ-ერთმა მოსწავლემ ჰკითხა ტრივედის, ვიზუალურად როგორ ავსახოთ ისეთი ცნებები, როგორებიცაა: ბაზრის წილი, დოუ ჯონსის ინდექსი, მათ ხომ არ გააჩნიათ მატერიალური ფორმა? პროფესორმა ასე უპასუხა კითხვას:“ეს მაჩვენებლები ასახავენ ზრდას და აყვავებას. უნდა გაიხედ-გამოიხედოთ ირგვლივ და მოუძებნოთ უფორმოს ფორმა.

აყვავებას, მაგალითად, მოეძებნება მატერიალური თანამგზავრები: გაგზავნილი ე-მაილ-ის რაოდენობა, დალეული ყავის ერთჯერადი ჭიქები. ამგვარად, ნებისმიერი ცნება ბადებს ვიზუალიზაციას, ახდენს მისი მთავარი იდეის გენერირებას. საჭიროა მხოლოდ ამის დანახვა".

ინფოგრაფიკას მრავალი ავტორი უწოდებს ყველაზე მოდურ, ახალგაზრდა ჟურნალისტურ ჟანრს. ამას ალბათ აქვს თავისი ახსნა, ვინაიდან ის, რამაც დახვეწა საგაზეთო გრაფიკა – ინტერნეტი და კომპიუტერული პროგრამები, თავადაც ძალზე ახალგაზრდა და მოდური, განუმეორებელი ტექნიკური მონაპოვარია. თავისი 20 წლიანი ისტორიის მანძილზე ინტერნეტმა გააადვილა და განავითარა მრავალი ჩვეული შემოქმედებითი უნარი, რომლითაც ხასიათდებოდა სხვადასხვა პროფესია.

ჟურნალისტიკის ისტორია ადასტურებს იმ ცნობილ ფილოსოფიურ აქსიომას, რომ შინაარსი და ფორმა განუყრელია, შინაარსი – ტექსტი ყოველთვის ითხოვდა დამატებით აქტუალიზაციას, რაც ხორციელდებოდა დასაწყისში შრიფტის ზომის და მოხაზულობის დახმარებით, შემდეგ ფოტოთი და მასალის განლაგებით. კომპიუტერულმა სადიზაინერო პროგრამებმა დიდი რევოლუცია მოახდინეს საგამომცემლო სამყაროში: ბეჭდური მედიის გამოცემის გამარტივება, ფოტომასალის ხარისხის ამაღლება(ფოტოშოპი).

გავიხსენოთ იან უაითის აზრი: ტექსტის ავტორმა თავად უნდა იფიქროს მის ვიზუალიზაციაზე. თუ ოცი წლის წინ ეს მოთხოვნა ძნელად აღსრულებადი იყო (ფოტოზე და ილუსტრაციაზე ზრუნავდა რედაქციის მხატვარი), დღეს რედაქციის ყოველი მუშაკი ფლობს ინტერნეტ-პროგრამებს და მაღალი კვალიფიკაციის შემთხვევაში ადვილად ითვისებს ინფოგრაფიულ ხელოვნებას, ახლა თავად წყვეტენ, თუ რა სახის ილუსტრირება სჭირდება მათ სტატიებს. ტექსტისა და გამოსახულების თანაბრად ხარისხიანად მომზადება ერთი ავტორის მიერ ად-

ვილად ხორციელდება დასავლურ მედიასივრცეში, სადაც კომპიუტერული პროგრამები დიდი ხანია ათვისებულია. ამიტომ, ინფოგრაფიაზე საუბარი იქ ორი ათეული წლის წინ დაიწყო; ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში მრავალი საგაზეთო და საჟურნალო დიზაინის ასოციაცია არსებობს. ჩვენთან კი სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაცია ახლახანს დაიწყო. სარედაქციო მუშაკები არ ფლობენ ინფოგრაფიკის უნარებს, არაფერი სმენიათ ამ მიმართულების შესახებ. გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის აზრით ინფოგრაფიკა ძვირადღირებული ფუფუნებაა და მისი ფართოდ გამოყენება არ არის ხელსაყრელი. ფოტოჟურნალისტის რჩენაც კი პრობლემაა, ვინაიდან ექსკლუზიური ფოტო დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამიტომაც ქართულ გაზეთებში ტექსტის აქტუალიზაცია ძველი ხერხებით ხდება: სასათაურო შრიფტი, მისი შინაარსი, დიდი ქვესათაური და რიგითი ფოტო ინტერნეტიდან.

სამწუხარო რეალობა, რომელიც არსებობს ქართულ ბეჭდურ მედიაში, მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან ინფოგრაფიკა არ დამკვიდრდა და ალბათ არც დამკვიდრდება, ვინაიდან წამყვან ქვეყნებშიც გაჩნდა მრავალი სიმპტომი, რომელიც მიუთითებს ამ ჟანრის არაჯანსაღ მდგომარეობაზე. რა სიმპტომებია ეს?

პირველ რიგში, ლაპარაკია იმ გადახრებზე, რომლებიც აღინიშნება ინფოგრაფიკით გატაცებულ ჟურნალისტთა შორის. ლაღი და ფილიგრანული გრაფიკული „ტილოების“ შექმნა იმდენად იპყრობს ჟურნალისტთა გონებას და სულებს, რომ მათ უკვე ეზარებათ ვრცელი, არგუმენტირებული ტექსტის შექმნა. ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ გამოსახულებას, ტექსტს კი კომენტარის სახით იყენებენ. ეს კი მთლიანად ბეჭდური მედიის თავდაყირა დაყენებაა. ვინაიდან შინაარსი – პირველადია, ფორმა კი შინაარს მოსდევს.

ცნობილი ესპანელი დიზაინერი ხავიერ ერეა ამასწინათ წერდა თავის ვებ-საიტზე:“ინფოგრაფიკის მიზანია არა ლამაზი პუბლიკაცია,

არამედ ფაქტების მკაფიო, გააზრებული წარმოჩენა, როდესაც ხარისხობრივ კრიტერიუმად ითვლება ტექსტის ლოგიკური წყობა და მისი ადვილად აღქმა. ზუსტად ადვილად აღქმას აძლიერებს ინფოგრაფიკა. გახსოვდეთ, უფრო მნიშვნელოვანია ზუსტი ფაქტი, ვიდრე კარგი ნახატი. ჩვენ გაზეთში ვმუშაობთ. ჩვენი ამოცანაა საქმის არსის უზუსტესად ახსნა, ამიტომ ამჯობინეთ ერთი ნახატით ილუსტრირება. დაივიწყეთ დიდი ფორმები".

ვნახოთ, რით დასრულდება ეს ჭიდილი. ჩვენი აზრით ის, რაც საუკუნეების მანძილზე იხსნებოდა ურყევი ფორმულით – „შინაარსი, იდეა პირველადია, ფორმა კი მეორადი", დარჩება შეუცვლელი და რაოდენ მაცდუნებელიც არ უნდა იყოს გარესამყაროს ასახვა ფორმის მეშვეობით, დაუტოვოთ სიტყვას, აზრს პრიორიტეტული ადგილი კაცობრიობის კულტურაში და მაშინ ადვილად გამოიძებნება უვნებელი გამოსავალი ნებისმიერი ჩიხიდან.

Summary

Ira Bichikashvili, TSU assistant professor

Lobbying and Spindoctorism in Journalism

Despite the fact that the report is written from the angle of journalism and discusses the examples from the Georgian press, the author is not limited to the fact and analysis from the Georgian reality. Lobbying as a implementation tool of the theory of governance is connected with the various issues of the modern socio-political life. The example of this fact is the Government Relations which is quite recent phenomenon for the post soviet countries.

Spindoctorism is the highest level of Public Relations (PR). The person specializing in this field – a Spin Doctor- is promoting favorable interpretation of rough and improvident expressions of officials.

During the spindoctoring process the specialists of the field involve the public figures, such as university professors, economists, political scientists and so on. There is a special term for referring to such speakers; they are called Surrogate Speakers.

მარიამ გერსამია

თანამედროვე საგაზეთო სტატიის სახეები: ედიტორიალი და ოპ-ედი

ნებისმიერი კარგი რედაქტორი და ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს, რომ შექმნას ისეთი ჟურნალისტური პროდუქტი (იქნება ეს ცალკეული პუბლიკაცია თუ მთლიანად გამოცემა), რომელიც იქნება მკითხველზე ორიენტირებული. გაზეთის სტრუქტურირებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარედაქციო პოლიტიკის ჩვენებას და ინფორმაციის დაბალანსებას საპირისპირო მოსაზრებებით. ამოცანებიც ერთი შეხედვით დივერსიფიცირებული, თუმცა მაინც თანმიმდევრულია. ერთია, დაუკავშირდე მკითხველს, რომელსაც აქვს განსხვავებული მოსაზებები და მეორე ამოცანაა დაასაბუთო საკუთარი არგუმენტების სისწორე.

ედიტორიალის საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელიც ჩვეულებრივ ედიტორიალის საპირისპირო გვერდზეა განთავსებული ეწოდება ოპ-ედი (შემოკლებით – ოპოზაით-ედითორიალისგან). ამერიკელები რედაქტორის გვერდის, როგორც „მონეტის მეორე მხარის“ ვერსიას OP-Ed-ს (ოპ-ედ-ს) უწოდებენ, რომელიც წარმოადგენს სწორედ „ოპოზაიტ ედიტორიალის“ აბრევიატურას. ეს სახელწოდება იმ ტრადიციის გამო დამკვიდრდა, რომ რედაქციის პოზიციისგან განსხვავებული მასალები ჟურნალ-გაზეთებში როგორც წესი, სარედაქციო გვერდის საპირისპიროდ იბეჭდებოდა. **ოპ-ედი:** ქართულად თარგმნისას ეს ტრანსკლიპციური იდენტიფიკაციაა მისაღებია.

რა განსხვავებაა სარედაქციო გვერდსა და ოპ-ედის გვერდს შორის გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთის საპირისპიროდაა დაკბადონებული? განვიხილავთ ედიტორიალს და ოპ-ედს, როგორც სარედაქციო პოლიტიკის გამოხატვისა და გაზეთში ინფორმაციის დაბალანსების საშულებებს.

ედიტორიალის განსაზღვრება: ინტერნეტ რესურსებში ედიტორიალი განმარტებულია როგორც ლიდერი/წამყვანი სტატია გაზეთსა თუ ჟურნალში, რომელიც რედაქტორის/სარედაქციო საბჭოს ან გამომცემლის მოსაზრებას გამოხატავს (en.wikipedia.org/wiki/Op-Ed)

ედიტორიალებისთვის ჩვეულებრისამებრ გამოყოფილია სპეციალური გვერდი. ედიტორიალი ასევე, შეიძლება დამარკერებული იყოს სვეტში. ნებისმიერ შემთხვევაში, სტატიაზე მინაწერის სახით ყოველთვის მითითებულია, რომ ეს ედიტორიალია.

ჟურნალები, გაზეთების მსგავსად, ბეჭდავენ ედიტორიალებს, რომლებსაც ძირითადად წერენ რედაქტორები ან გამომცემლები. უმეტესობას ამ ედიტორილებისა, როგორც წესი მოსდევს სექცია „წერილები რედაქტორს“ (Letters to the Editor“).

ედიტორიალის წერისას სარედაქციო პოლიტიკას და ამოცანებს, სტატიის მიმართულებას და ტონს განსაზღვრავს სარედაქციო ბორდი ან/და რედაქტორების ჯგუფი. უმეტესწილად ინგლისურენოვან პრესაში ედიტორიალებს არ წერენ ჩვეულებრივი რეპორტიორები, არამედ ის ინდივიდები, რომლებიც აქვეყნებენ ხელმოუწერელად. ედიტორიალებში გამოხატულია გაზეთის ოფიციალური პოზიცია.

გაზეთის ედიტორიალის გვერდი არ არის განკუთვნილი ნიუსებისთვის. უმეტესად, გაზეთებს აქვთ პოლიტიკა, რომ „სარედაქციო“ და „ახალი ამბების“ თანამშრომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ. ედიტორიალი ხშირად აიგება კონკრეტულ მოვლენაზე ან ისეთ თემაზე, რომელზეც მიმდინარეობს საზოგადოებრივი დისკუსია. როცა საკამათო/სადისკუსიო საკითხების გაშუქება ხდება, როგორიცაა საარჩევნო დებატები, იქმნება სივრცე ბალანსისა და მეტი დისკუსიისთვის. ასეთ დროს, ზოგიერთი გვერდის რედაქტორი „ეჯიბრება“ ედიტორიალებს და გამოკვეთავს თემის საპირისპირო მხარეს. უმეტესობა გაზეთებისა ასევე იწვევს კალამნისტებს, რომლებიც ოპ-ედის გვერდის შინაარს თავისი მოსაზრებებით ამყარებენ.

როგორც ამერიკელი მკვლევარები ტომ ი. რილნისკი, ს. დოუ ტეიტი და შერი ტეილორი აღნიშნავენ, ბეჭდვით მედიაში საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად ყველაზე ძლიერი იარაღი სწორედ ედიტორიალის და მოსაზრების გვერდებია. ფაქტების და საპირისპირო შეხედულებების წარმოჩენა ახალ ამბებშიც ხდება, თუმცა რედაქტორს შეუძლია მეტად დაარწმუნოს მკითხველი საკუთარი პოზიციის სისწორეში სწორედ ედიტორიალის და/ან მოსაზრების სვეტების დახმარებით. სწორად აგებულ არგუმენტში ზუსტად შერჩეულ სიტყვებს შეუძლია ბევრი რამის შეცვლა.

ედიტორიალი გაზეთის „ხმაა“ – აღნიშნავენ ავტორები – და იმის და მიუხედავად, რომ ის შეიძლება ერთი ჟურნალისტის დაწერილი იყოს, ყოველთვის ხელმოუწერელია. ედიტორიალის ავტორები იყენებენ პირველი პირის მრავლობით რიცხვს, სადაც ფიგურირებს: „ჩვენ“. ეს მას განასხვავებს მოსაზრების სვეტისგან, რომელიც ერთი პიროვნების მოსაზრებას აჩვენებს. მოსაზრების სვეტი იწერება პირველი პირის მხოლობით რიცხვში, სადაც ფიგურირებს: „მე“. სწორედ ეს პირის ნაცვალსახელები არის სიგნალი მკითხველისთვის, რომ წერილი არის არა მარტო ფაქტების კონსტატაცია და ფაქტებზე აგებული რეპორტაჟი (fact-based reporting), არამედ შეიცავს ანალიტიკური წერის ელემენტებს [1. 134-135].

ედიტორიალის დაწერისას ძალიან მნიშვნელოვანია თემის სწორად შერჩევა. იმისთვის, რომ მიიზიდოს მკითხველი ედიტორიალის ავტორი (რედაქტორი) კარგად უნდა იცნობდეს იმ მასალებს, რომელიც გაზეთის სხვა გვერდებზეა (განსაკუთრებით, პირველ გვერდზე) განთავსებული. ამგვარად ის შეძლებს სწორად განსაზღვროს/აარჩიოს პრიორიტეტული და მიმზიდველი თემა ედიტორიალისთვის.

გამონაკლის შემთხვევებში ედიტორიალის თემა არ უკავშირდება გაზეთის სხვა გვერდებს, თუმცა უმეტესად ედიტორიალი მაინც არის გაზეთში განთავსებული თემების შემაკავშირებელი რგოლი, სადაც ფაქტების ინტერპრეტაცია ხდება ანალიზზე დაყრდნობით. ნებისმიერ

შემთხვევაში თემა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ის ეხმიანებოდეს სამიზნე აუდიტორიის ინტერესებს. რედაქტორმა თემა ახლობელი უნდა გახადოს მკითხველისთვის და აუნდა აუხსნას აუდიტორიას, რატომ არის ეს თემა მათთვის მნიშვნელოვანი და რა შეუძლია ცალკეულ მკითხველს გააკეთოს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით [1, 133].

სხვადასხვა წამყვან გაზეთებს აქვთ განსხვავებული ედიტორიალის გვერდი. მაგ: „უოლ სტრით ჯორნალის“ სარედაქციო გვერდი უფრო კონსერვატიულია (ედიტორიალის გვერდი მრავალჯერ დაჯილდოვდა პულიცერის პრემიით. ამ გაზეთის სარედაქციო საბჭოს აქვს საკუთარი სატელევიზიო პროგრამა „ედიტორიალ რეპორტი“, რომელიც ამჟამად Fox News Channel-ზე გადის). „ვაშინგტონ პოსტის“ ედიტორიალის გვერდები უფრო ლიბერალური და საშუალო მასებზე გათვლილია, ვიდრე „ნიუ-იორკ თაიმსისა“. (www.answers.com/topic/editorial).

ედიტორიალში დამაჯერებლობისთვის გამოიყენება სხვადასხვა ელემენტები: სტატისტიკა, ექსპერტების რეკომენდაციები, ემოციური პათოსი, ბენდ-ვეგონი (იმ არგუმენტების გამოყენება, რომლებიც „ყველას სჯერა“), მკითხველის მოქმედებისკენ მოწოდება, პროგნოზი (რა შედეგები იქნება კონკრეტული მოქმედებების შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში) და სხვ. (www.sd129.org/teachers).

ტომ ი. რილნისკი, ს. დოუ ტეიტი და შერი ტეილორი ედიტორიალის შექმნის შემდეგ გვთავაზობენ შევამოწმოთ, თუ რამდენად პასუხობს ედიტორიალი მთავარ პარამეტრებს [1. 248]. მაგალითად, ე.წ. ჩექლისტის მეშვეობით უნდა შევამოწმოთ: უბიძგებს თუ არა ედიტორიალი მკითხველს ფიქრისკენ, არის თუ არა გამოყენებული სიტყვები, რომლებიც იწვევს დისკუსიას/პოლემიკას, ედიტორიალში არჩეული პოზიციის მხარდაჭერა არის თუ არა მკითხველისთვის საუკეთესო გზა და სხვ.

ედიტორიალის სახეები: სხვადასხვა წყაროებში ვხვდებით ედიტორიალის სხვადასხვა სახეებს, ამათგან შერჩევისას საერთო კრიტერიუმი არც ერთგან ჩანს. მაგალითად: გამოყოფენ ედიტორიალის 4

სახეობას. ესენია: ხელმოუწერელი ედიტორიალები, ხელმოწერილი მოსაზრებები, რომლესაც წერენ ფრილანსერები, წერილი რედაქტორს, კარიკატურული/სატირულ-იუმორისტული ედიტორიალი (editorial cartoon); თავისთავად, მოსაზრებები, რომლებიც ხელმოწერილია, არ შეიძლება ჩაითვალოს ედიტორიალის სახეობად. ასევე, არ ჩაითვლება ედიტორიალის სახეობად „წერილი რედაქტორს". ამასთან პირველ ორ სახეობაში შერჩევის კრიტერიუმი არის ავტორიზაციის არსებობა, რასაც ვერ ვიტყვით კარიკატურულ ედიტორიალზე.

„წერილი რედაქტორს"ესაა მოკლე ღია წერილი (დაახლ. 200 სიტყვიანი), რომელიც რედაქტორის სახელზე იწერება და არის მკითხველის გამოხმაურება რომელიმე პუბლიკაციაზე. შესაბამისად, ეს ედიტორიალის სახეობა არ არის. ზოგიერთი ბეჭდვური ასევე გამოცემა აქვეყნებს ედიტორიალს და/ან „წერილს რედაქტორისგან" (Letter from the Editor), რომელსაც მოსდევს სექცია „წერილები რედაქტორს", სადაც მკითხველი წერს თავის კომენტარებს ედიტორილებსა და სხვადასხვა პუბლიკაციებზე. „წერილები რედაქტორს" იგზავნება მთელი მსოფლიოდან.

რედაქტორის გვერდი არ ეწოდება მაინც და მაინც პირველს. მაგალითად, გაზეთ „ტაიმსში" მე-19-ე გვერდზე ვხვდებით მოწინავე სტატიას (იგი წარმოდგენილია, როგორც leading article), ამ გვერდს, რუბრიკით კომენტარი (comment) აქვს თავისი ლოგო, რომელიც პირველი გვერდის ლოგოს მსგავსია. თითქოს ესაა მინიშნება, რომ პირველი გვერდის თავიდან ათვლა დაიწყო. ლოგო№2 სწორედ მოწინავე სტატიის/ედიტორიალის (leading article-ის) სათაურის გასწვრივაა, თუმცა სექციით 3 მასალას აერთიანებს. ასეთი გზავნილი 96 გვერდიან „ტაიმსში" მხოლოდ მე-19-ე გვერდს აქვს. თემატურად იგი პირველი გვერდის წამყვანი მასალის გამოძახილია. ასე, ენტონი ბროუნის სტატია „ბრძოლა კონსტიტუციის გადასარჩენად, მას მერე რაც გერმანიამ ხმა მისცა „არას", იწყება პირველ გვერდზე და მე-6 და მე-7 გვერდებს იკავებს. მე-19-ე გვერდის მასალა კი ხელმოუწერელია. სათაურია

„Dutch courage~, ქვესათაური: „ნიდერლანდებმა ევროპის კონსტიტუციის დისკრედიტაციაში საფრანგეთს აჯობა“. ამავე თემის გამოძახილია მე-18 გვერდი რუბრიკით: წერილები რედაქტორს. წერილების უმეტესობა ვარიაციებია ევროკონსტიტუციის თემაზე. რედაქცია ამით მიანიშნებს, რომ ლიდერი მასალების არჩევა არა შემთხვევითობის, არამედ აუდიტორიის ნაკარნახევია. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ედიტორიალები, როგორც წესი იბეჭდება 22-24 გვერდებზე.

ტომ ი. რილნისკი, ს. დოუ ტეიტი და შერი ტეილორი გამოყოფენ ედიტორიალის 6 სახეობას: ედიტორიალი მხარდასაჭერად (ე.წ. საადვოკატო ედიტორიალი), ედიტორიალი პრობლემის გადასაჭრელად, ედიტორიალი სარეკომენდაციოდ, მოკლე სარედაქციო კომენტარი, ედიტორიალი მოკლედ (ე.წ. ედიტორიალ-შორტი, კარიკატურული ედიტორიალი [1, 135]. საკამათოა, საერთო დაყოფის კრიტერიუმის არსებობა, რადგან სახეობებში დაყოფის კრიტერიუმად გამოყენებულია ერთის მხრივ ედიტორიალების დაწერის მოტივაცია (ბუნებრივია, ედიტორიალი შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო დაიწეროს), მეორეს მხრივ, პუბლიკაციის მოცულობა.

ტომ ი. რილნისკი, ს. დოუ ტეიტი და შერი ტეილორი აღნიშნავენ, რომ თუ რედაქტორების აზრი გაიყოფა, გადამწყვეტი ხდება უმრავლესობის პოზიცია. ამის შემდეგ, თუ გადაწყდება გაზეთში ედიტორიალისგან განსხვავებული პოზიციის დაფიქსირება, რედაქცია იწვევს ჟურნალისტს, რომელიც არ არის გაზეთის თანამშორომელი, რომელიც წერს ე.წ. გესტ-ედიტორიალს (guest editorial). ასევე, შეიძლება ასევე დაიწეროს მოსაზრების სვეტი რედაქციის რომელიმე წევრის მიერ [1, 134]. თავისთავად, საკამათოა ეს მოსაზრება, რადგან ე.წ. გესტ-ედიტორიალი ცალკე სახეობად ვერ ჩაითვლება.

შეცდომაა ისიც, რომ მოსაზრების სვეტს და ედიტორიალს ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილავენ. მიუხედავად იმისა, რომ არ არის მართებული არც მოსაზრების სვეტის და ოპ-ედის გაიგივება, არის მათ შორის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები. რადგან ორივე

მოსაზრების გვერდზე იბეჭდება, ამ ორივე სახეობას შევაპირისპირებთ სარედაქციო (ედიტორიალის) გვერდთან.

არსებითი განსხვავებები	
მოსაზრების სვეტი, ოპ-ედი	ედიტორიალი
ხელმოწერილია ერთი ავტორის მიერ, რომლის მოსაზრებაცაა წარმოდგენილი	ხელმოუწერელია და წარმოადგენს თანამშრომელთა შეხედულებებს, მაშინაც კი, როცა ერთი ადამიანი წერს.
მოსაზრება წარმოდგენილია პირველ პირში, მხოლობით რიცხვში	უმეტესად იწერება I პირში, მრავლობით რიცხვში
მოცულობით ედიტორიალზე მცირეა	მოცულობით მოსაზრების სვეტზე დიდია
ავტორს მეტი თავისუფლება აქვს იდეების წარმოსაჩენად	იკვეთება სარედაქციო პოლიტიკა და ტენდენციები
იკვეთება ერთი პიროვნების ხმა, რომლის აზრსაც შეიძლება არ იზიარებდნენ რედაქციის სხვა თანამშრომლები	მთელი რედაქციის აზრია დაფიქსირებული, ავტორი ან ავტორები რედაქციის სახელით წერენ
საერთო მახასიათებლები	
მოსაზრების სვეტი, ოპ-ედი	ედიტორიალი
შეიცავენ სუბიექტურ ანალიზსა და მოსაზრებებს;	
ახასიათებთ კომპოზიციური აგების იდენტურობა (ქრონოლოგიური მეთოდი, გადმობრუნებული პირამიდის მეთოდი და სხვ.)	
ავტორი იმოწმებს სარწმუნო წყაროებს, ციტატებს, სტატისტიკას და სხვ.	
მოსაზრება წარმოდგენილია პირველ პირში.	

რა არის ოპ-ედი? ეს არის თანამედროვე საგაზეთო სტატია, რომელიც გამოხატავს იმ მწერლის მოსაზრებებს, რომელიც ჩვეულებრისამებრ არ არის სარედაქციო ბორდის წევრი. ოპ-ედი განსხვავდება ედიტორიალისგან, რომელიც ჩვეულებრივ ხელმოუწერელია და დაწერილია სარედაქციო ბორდის რომელიმე წევრის მიერ (www.allwords.com/word). ოპ-ედ-ში წარმოდგენილია მოვლენის შესახებ მოსაზრებები, პრობლემის გადაჭრის გზები და არის მოწოდება საზოგადოებრივი მხარდაჭერისა (www.luminafoundation.org)

ოპ-ედი ცალკეული ინდივიდების მოსაზრებას გამოახტავს, და არა გაზეთის პოზიციას; უმეტესობა გაზეთებისა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ოპ-ედი იყოს არაუმეტეს 750 სიტყვისა.

ოპ-ედის ისტორია და განსაზღვრება: სტანდარტული სარედაქციო გვერდი მრავალი საუკუნეა არსებობს გაზეთებში, პირველი თანამედროვე ოპ-ედი შეიქმნა 1921 წელს ჰერბერტ ბეიარდ სვოუფის (Herbert Bayard Swope) მიერ `The New York Evevning World~-ისთვის. როგორც კი სვოუფი რედაქტორი გახდა 1920 წელს, მან აღმოაჩინა, რომ სარედაქციო გვერდის საპირისპირო გვერდი იყო ადგილი, სადაც იბეჭდებოდა წიგნის რეცენზიები, ნეკროლოგები, აისახებოდა საზოგადოებრივი სტერეოტიპები. ჰერბერტ ბეიარდ სვოფი ამბობდა: *„აღმოვაჩინე, რომ არაფერია უფრო საინტერესო, ვიდრე საინტერესო მოსაზრება. მე გამოვიგონე მეთოდი. ახლა გავასუფთავებ ედიტორიალის საპირისპირო გვერდს იმისთვის, რომ ის გახდეს ამერიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი... გადავწყვიტე დავბეჭდო მოსაზრებები, ფაქტების იგნორირებით...“* (www.thefreedictionary.com)

ამის შედეგ, თითქმის საუკუნე გავიდა და ახლა უკვე სხვადასხვა ონლაინ-ლექსიკონებში ვხვდებით ოპ-ედის იდენტურ განსაზღვრებებს. თითოეულ მათგანში ხაზგასმულია, რომ ოპ-ედის გვერდები ფოკუსირებულია განსხვავებულ მოსაზრებების წარმოჩენაზე და არის პერსონიფიცირებული (შესაბამისად, ხელმოწერილი). • ედიტორიალების და ოპ-ედის გვერდები მეტწილად ფოკუსირებულია პოლიტიკურ მოვლენებზე (www.wordwebonline.com)

დღესდღეისობით, ოპ-ედი შეგვიძლია ჩავთვალოთ დემოკრატიული პრესის ერთ-ერთ მონაპოვრად.

მკითხველმა კარგად იცის, რომ ედიტორიალი არის გარკვეულ პიროვნებათა, ან თუნდაც ერთი ადამიანის დაწერილი პუბლიკაცია. ოპ-ედით კი რედაქცია, მკითხველის თვალში თავს იზღვევს, იზიდავს მკითხველს და საპირისპირო აზრის ფორმირებაში მონაწილეობს. მოკლედ, დემოკრატიული პრესა ერთის მხრივ, წარმოაჩენს განსხვავებულ

აზრს, მეორეს მხრივ მკითხველის მაგივრად „ტვინს იჭყლეტს“, ხსნის ბარიერს. თავისთავად, მკითხველი, რომელიც ოპ-ედს წაიკითხავს შეიძლება აზრი შეიცვალოს და ედიტორიალის მოსაზრება მისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდეს. რედაქციისთვის პრიორიტეტული ინფორმაცია/მთავარი მესიჯი შესაძლოა ორივე მასალაში გაჟღერდეს და სხვადასხვა კატეგორიის და განწყობის აუდიტორიაზე იყოს გათვლილი. ედიტორიალსა და ოპ-ედს შორის დისტანციაც დაახლოებით იგივეა, რაც ანტირეკლამისა და რეკლამის ეფექტს შორის.

საქართველოში ჯერჯერობით ოპ-ედის წერის პრაქტიკა არ არსებობა, ამიტომ ჟურნალ-გაზეთებში სტატიის ამ სახეობას ვერ ვხვდებით.

ეტიმოლოგია: ხშირად ოპ-ედის აბრევიატურას არასწორად შიფრავენ: როგორც ოპინიონ-ედიტორიალ-სგან (მოსაზრების ედიტორიალისგან). ოპ-ედი არის `opposite of editorial~-ის აბრევიატურა. უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემის ძირითად წესებს თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ T ინგლისურიდან წარმოითქმის, როგორც ტ. მაგალითად, Hamlet-ჰამლეტი, Toledo-ტოლედო. ასოთშეთანხმება th წარმოითქმის, როგორც თ. მაგალითად theater. ასო-ბგერა p–პ. მაგ: port-პორტი. ასოთშეთანხმება ph-ით კი ვღებულობთ ფ-ს. მაგ: philosophia–ფილოსოფია [2]. ამგვარად სწორია ედი**ტ**ორიალი და არა ედი**თ**ორიალი, ოპ-ედიტორიალი და არა ოფ-ედითორიალი, ოპ-ედი და არა ოფ-ედი.

ზოგიერთი ჟურნალისტური ვიწროსპეციალური ტერმინი საერთოდ არაა შემოსული ქართულ სამეტყველო პრაქტიკაში, მათი გაცნობა მაინც აუცილებელია. ესენია: ედიტორიალისტი, კალამნისტი, ოპ-ედი, ედიტორიალი, კალამნისტი და სხვ.

უტყუარია, რომ ეს სიტყვები უკვე მოხვდა ტერმინოლოგიურ ველში და ცალსახად ვერ ჩაითვლება ბარბარიზმებად. ეს ტერმინები, როგორც სპეციალობის ლექსიკიდან შემოსული ნასესხები სიტყვები შეგვიძლია მივიჩიოთ პროფესიონალიზმებად და საერთაშორისო ლექსიკის მაგალითებად, რომელიც მკვიდრდება ჟურნალისტიკის ვიწროსპეციალურ ტერმინებად. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია ამ ტერმინების ადგილის მონიშვნა, პირველ ყოვლისა, პროფესიულ ლექსიკონსა და პრაქტიკაში. ტერმინების იმპლემენტაციის შედეგებს კი დრო უკეთ გამოავლენს, რომელიც ახალ მიგნებათა სასარგებლოდ მოძრაობს.

Abstract

Mariam Gersamia, TSU, TSU Associated Professor

ON WRITING MODERN ARTICLES:
EDITORIALS AND OP-EDS

The job of any good editor and journalist is to produce a reader-oriented journalistic product (including both a separate article and the whole newspaper). Finding a balance between editing policy and Fact-based information plays a vital importance while constructing the newspaper. Different types of newspaper articles are being used for this purpose.

The research below draws comparison between the editorials and opinion columns, it also discusses etymology issues. The research looks at the op-ed as an accomplishment of democratic press. Editorials are not often published in Georgian newspapers.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა:

1. Tom E. Rolnicki, C.Dow Tate, Sherri Tailor, Scholastic Journalism, tenth edition, USA, 2001. p.133-150 (writing editorials and opinion columns)

2. ინგლისურ ქართული ლექსიკონი, თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები, თბ., 1975, გვ. 232-237.

3. www.wikipedia.org/wiki/Op-Ed;

4. www.answers.com/topic/editorial;

5. www.sd129.org/teachers;
6. www.allwords.com/word;
7. www.luminafoundation.org;
8. www.thefreedictionary.com;

გ. გოროშიძე, ა. სხირტლაძე, ხ. მატკავა

ქართული ორგანიზაციული კულტურის გენდერული თავისებურებანი

კულტურა ორგანიზაციაში არსებული არაფორმალური მოვლენების – ღირებულებების, თვალსაზრისების, განწყობების, ზნე-ჩვეულებების და ა.შ. ერთობლიობას წარმოადგენს.ზოგადად ორგანიზაციულ კულტურას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე მრავალი მიმართულებით ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა გააჩნია: იგი ამყარებს და აძლიერებს კავშირებს თანამშრომელთა შორის, ზემოქმედებს ორგანიზაციის მუშაკებსა და ქვედანაყოფებს შორის ურთიერთობებზე, ქმნის ხელსაყრელ ფსიქოლოგიურ კლიმატს, იძლევა ღირებულებით ორიენტირებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციული კულტურის ძირითადი მიზანია ორგანიზაციის სოციალური და ეკონომიკური თვითორგანიზების სრულყოფა პერსონალის მეშვეობით. ამ მთავარი მიზნის მიღწევა შესაძლებელი ხდება ორგანიზაციის შრომითი რესურსების სწორი მიმართულებით განვითარების საფუძველზე [1], [2]. განვითარების ხასიათის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ „ქალური“ და „მამაკაცური“ კულტურები. მამაკაცური კულტურები მიილტვიან დინამურობისკენ, მუდმივი განახლებისკენ, ცვლილებებისკენ. კულტურაში მამაკაცური საწყისის დომინირებისას ორგანიზაციაში მუდმივად იქნება მისწრაფება ინოვაციებისა და თვისობრივი ცვლილებებისკენ. ქალური კულტურები უზრუნველყოფენ ორგანიზაციის მდგრად ფუნქციონირებას, მიისწრაფიან მიღწეული შედეგების შენარჩუნების, გამყარებისა და გაფართოებისკენ [3]. ეს თავისებურებანი მკაფიოდ ვლინდება კომუნიკაციურ აქტივობებში, რომლებიც, როგორც ბაზისური მოვლენა, განაპირობებენ სხვა დანარჩენ აქტივობებს და თანამშრომელთა შორის შრომის განაწილების ხასიათს [4], [5].

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართო კვლევა მამაკაცების და ქალების ფსიქოლოგიური თვისებების განსხვავებულობასთან დაკავშირებით ჩაატარეს ჯონ უილიამსმა და დებორა ბესტმა [6]. მათ აინტერესებდათ იმის დადგენა, თუ რომელი ფსიქოლოგიური თვისებები ითვლება მამაკაცებისათვის უფრო დამახასიათებლად და რომელი – ქალებისათვის. გამოიკვლიეს მრავალი რესპონდენტი 25 ქვეყნიდან, რომლებსაც მოეთხოვებოდათ მიეთითებინათ ჩამოთვლილი 300 ზედსართავიდან რომელი უფრო მეტად მიესადაგებოდა ქალებს და რომელი – კაცებს.

შედეგების მიხედვით 300 თვისებიდან მამაკაცებთან ასოცირდებოდა 48 თვისება, ხოლო ქალებთან ასოცირდებოდა 25 თვისება. ზედსართავების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ თითოეული მათგანის გასწვრივ გამოკვლეული ქვეყნების რაოდენობის მითითებით:

მამაკაცებთან ასოცირებული თვისებები:

აგრესიული	24	დახელოვნებული	19	კრიტიკული	20
აქტიური	23	კერკეტი	24	რაციონალური	20
ამბიციური	22	ზარმაცი	21	რეალისტური	20
მიუკერძოებელი	20	ლოგიკური	22	თავდაჯერებული	21
ძალაუფლებიანი	24	ბრძენი	23	სერიოზული	20
ხმამაღალი	21	მამაკაცური	25	ძლიერი	25
უხეში	23	მიმწოლი	20	რისკიანი	25
უტიფარი	24	არაკეთილი	19	მრისხანე	23
დომინანტური	25	დამოუკიდებელი	25	საღად მოაზროვნე	21
სასტიკი	21	არაორგანიზებული	21	შტერი	21
გულქვა	21	არაფრთხილი	20	დამარწმუნებელი	25
დიდგულა	20	გაუთლელი	21	თავდაჯერებული	19
გამომგონებელი	22	აუტანელი	19	ტრაბახა	19
ინიციატივიანი	21	ულმობელი	24	გაბედული	23
ეგოცენტრული	21	არაემოციური	23	მიზანდასახული	21
ენერგიული	22	ოპორტუნისტული	20	მასხარა	19

ქალებთან ასოცირებული თვისებები

მშიშარა	23	რბილი	21	სენტიმენტალური	25
კეთილი	19	გულჩვილი	23	სუსტი	23
პრანჭია	20	ნაზი	24	მშვიდი	21
ქალური	24	არაჩვეულებრივი	20	ცრუმორწმუნე	25
დამოკიდებული	23	მხდალი	25	მშფოთვარე	19
მორცხვი	19	მიმზიდველი	23	მგრძნობიარე	24
მშვიდი	19	სასიამოვნო	19	ემოციური	23
ცნობისმოყვარე	21	მოსაუბრე	20		
მეოცნებე	24	სექსუალური	22		

წყარო: J.E. Williams & D.L Best. Measuring Sterotypes: A Multinatio n study. Copyright 1990, by Sage publication, Inc.

პერსონალის ეფექტიანი მართვისთვის და ორგანიზაციის სტაბილური განვითარებისთვის აუცილებელი ხდება ორგანიზაციაში კომუნიკაციური პროცესების მთლიანობითი შესწავლა ორგანიზაციული კულტურის და, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციული კლიმატის კუთხით. თავის მხრივ, ორგანიზაციული კლიმატი დიდწილად ვლინდება შრომით ურთიერთობებში, რომლებშიც, საკითხის შეუსწავლელობის გამო, ყურადღებას იპყრობს გენდერული ასპექტი.

ორგანიზაციული კლიმატის საკვლევად ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა რ. ლაიკერტის ადაპტირებული კითხვარი [7]. კითხვარი შედგება 16 კითხვისგან, რომელთაგან თითოეული 4 საფეხურიან შეფასების სკალას წარმოადგენს და შეიცავს შემდეგ 6 ფაქტორს: 1. ლიდერობის სტილი; 2. მუშაკთა მოტივაცია; 3. კომუნიკაცია; 4. თანამშრომელთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში; 5. ორგანიზაციის მიზნების დასახვა; 6. სამუშაოს კონტროლი.

გამოკვლევაში მონაწილეობას ღებულობდნენ ორი სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციის შრომითი კოლექტივები 200 რესპონდენტის შემადგენლობით და გენდერული თანაფარდობით: 138 ქალი – 62 კაცი. მიღებული მონაცემები მოყვანილია №1 ცხრილში:

ცხრილი №1

ორივე გენდერული ჯგუფის მიერ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეფასებებს შორის სხვაობები.

	კაცები	ქალები	*t*-კრიტერიუმი და სტატისტ. სანდოობა *p*	
ლიდერობის სტილი	– 1,8	1,0	*t*= 1,78	*p*<0,05
კომუნიკაცია	–0,6	1,21	*t*= 1,69	*p*<0,05
თანამშრომელ. მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში	–0,45	1,5	*t*=1,85	*p*<0,05
ორგანიზაც მიზნების დასახვა	–1,25	0,5	*t*= 1,67	*p*<0,05

როგორც შედეგებიდან ჩანს, მოცემულ ორგანიზაციაში კაცები ხელმძღვანელთა ლიდერობის სტილს უფრო უარყოფითად აფასებენ, ვიდრე ქალები, რომლებიც ღებულობენ ხელმძღვანელობას ისე, როგორიც ის არის და მეტად ხდებიან ორიენტირებულები მიცემული დავალების ზუსტ შესრულებაზე. მაშინ როდესაც კაცებისთვის უფრო ჩვეული გამოდის თანამდებობრივი იერარქიის ვერტიკალზე ყურადღების გამახვილება და მისი გაუმჯობესების გზების ძიება. ეს მათ განასხვავებს ქალებისგან, რომლებიც ამჯობინებენ ყურადღების გამახვილებას ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე. იმ სამსახურებრივ პოზიციებზე, რომლებიც განეკუთვნებიან იერარქიაზე ორიენტირებულ პოზიციათა კატეგორიას, მამაკაცები ამჟღავნებენ უკეთეს შედეგებს, ხოლო იმ პოზიციებზე, რომლებიც ორიენტირებულები არიან ჰორიზონტალურ კავშირებზე, უკეთეს შედეგებს იძლევიან ქალები. რაც შეეხება ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობას, კაცებისთვის ესეც უფრო მისაღები და სასურველი აქტივობაა, ვიდრე ქალებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ქალები უფრო ადვილად კმაყოფილდებიან საშემ-

სრულებლო ფუნქციების განხორციელებით, ვიდრე კაცები და უფრო სასურველ კადრებადაც მიიჩნევიან ხელმძღვანელობის მიერ. მათი სიმრავლე ორგანიზაციებში ალბათ ამითაც არის განპირობებული.

ზემოთმოყვანილი მსჯელობების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს შრომითი კმაყოფილების ემპირიული შესწავლა სხვადასხვა გენდერული კატეგორიებისთვის. ამ მიზნით ჩვენ გამოვიყენეთ პ. სმიტის, ლ. კენდოლის და უ. ჰალინის კითხვარი. მეთოდიდან გამოყენებული იქნა 4 ფაქტორი: 1. სამუშაოთი კმაყოფილება; 2. ხემძღვანელობით კმაყოფილება; 3. დაწინაურებით კმაყოფილება და 4. თანამშრომლებით კმაყოფილება. გამოკითხვა ჩატარდა იგივე კონტინგენტზე, რომელთანაც ვიკვლევდით ორგანიზაციულ კლიმატს. გამოკვლევის შედეგები მოყვანილია ქვემოთ №2 ცხრილში:

ცხრილი №2

ორივე გენდერული ჯგუფისთვის სამუშაოთი კმაყოფილების შეფასებებს შორის სხვაობები.

	კაცი	ქალი	*t*-კრიტერიუმი და სტატ. სანდოობა *p*	
სამუშაოთი კმაყოფილება	5,83	11,21	*t*= 3,24	*p*<0,005
ხელმძღვანელობით კმაყოფილება	6,46	8,87	*t*= 2,51	*p*<0,05
დაწინაურებით კმაყოფილება	5,66	6,81	*t*= 1,12	*p*<0,1
თანამშრომლებით კმაყოფილება	9,98	12,26	*t*= 2,73	*p*<0,005

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ზოგადად ქალების შრომითი კმაყოფილების მაჩვენებლები უფრო მეტია, ვიდრე კაცების. ქალები არჩევენ უფრო კონკრეტული და საშემსრულებლო საქმიანობით დაკავებას. ისინი ორიენტირებულები არიან ჰორიზონტალურ კომუნიკაციაზე, რის გამოც უკეთ გამოდგებიან თანამშრომლების და ჯგუფების კოორდინატორების როლში. ზემოხსენებულ ერთ-ერთ ორგანიზაციაში ჩვენ მიერ 100 რესპონდენტზე (58 ქალი, 42 კაცი) ჩატარებული იქნა გამოკვლევა ორგანიზაციაში არსებული 10 სამსახურებრივი პოზიცი-

ისადმი თანამშრომელთა გენდერული შესაბამისობის შესახებ. შეფასებათა სიხშირეების განაწილების ხასიათი ეთანხმება იმ ზოგად ტენდენციებს, რომლებიც იქნა გამოკვეთილი კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილ უფრო დიდ პოპულაციაში. მიღებული შედეგები მოყვანილია №3 ცხრილში:

ცხრილი №3

ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ ათივე სამუშაო პოზიციის მიმართ გაკეთებული შეფასება გენდერული თვისებების მიხედვით

	კაცური თვისებები	ქალური თვისებები	გენდერული პრევალირება
იურისტი	42	58	16% – ქალური
ადმინისტრატორი	66	34	32% – კაცური
მაღაზიის მენეჯერი	61	39	22% – კაცური
კონსულტანტი	68	32	36% – კაცური
გაყიდვების მენეჯერი	51	49	2% – კაცური
კადრების თანამშრომელი	22	78	56% – ქალური
მარკეტოლოგი	70	30	40% – კაცური
ოპერატორი	25	75	50% – ქალური
ბუხჰალტერი	23	77	54% – ქალური
კოორდინატორი	33	67	43% – ქალური

მოცემულ ცხრილში მოყვანილია სიხშირეები, რომლებიც ასახავენ იმას, თუ ორგანიზაციის რამდენი თანამშრომელი მიაკუთვნებს ამა თუ იმ სამუშაო პოზიციას ან კაცურ ან ქალურ თვისებებს. სიხშირეთა შორის სხვაობით მოცემულია ამა თუ იმ გენდერული თვისების გამოხატულობის სიძლიერე. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად კაცურ თვისებებს ითხოვს შემდეგი პოზიციები: ადმინისტრატორი, კონსულტანტი, მარკეტოლოგი და მაღაზიის მენეჯერი. ხოლო ყველაზე უფრო ქალურ პოზიციებად კოლექტივის მიერ მიჩნეულია: კადრების თანამშრომელი, ოპერატორი და ბუხჰალტერი.

გარდა ხსენებული შეფასებების სიხშირული განაწილებისა გასარკვევია აგრეთვე ამ შეფასებების აბსოლუტური მნიშვნელობების განაწილებაც, რომელიც მოვახდინეთ თანამშრომელთა მიერ წარმოებული შეფასებების საშუალო სიდიდეებს შორის სხვაობების დადგენით (სტატისტიკური სანდოობის ჩვენებით). შედეგები მოყვანილია №4 ცხრილში:

ცხრილი №4

სამუშაო პოზიციების გენდერული შეფასებების საშუალო სიდიდეებს შორის სხვაობების სტატისტიკური სანდოობა.

	კაცური თვისებები (M_1)	ქალური თვისებები (M_2)	***t***-კრიტერიუმი და სტატ. სანდოობა***p***	
იურისტი	2.40	3.88	*t*= 1,48	*p*<0,10
ადმინისტრატორი	3.57	1,85	*t*= 1,72	*p*<0,05
მაღაზიის მენეჯერი	3.66	2.10	*t*=1,56	*p*<0,10
კონსულტანტი	3,52	1,56	*t*= 1,96	*p*<0,05
გაყიდვების მენეჯერი	3,43	2,45	*t*= 0,98	*p*<0,20
კადრების თანამშრომელი	2,24	4,57	*t*= 2,33	*p*<0,025
მარკეტოლოგი	4,14	2,00	*t*= 2,14	*p*<0,025
ოპერატორი	4,39	2,57	*t*= 1,82	*p*<0,05
ბუხჰალტერი	4,71	2,60	*t*= 2,11	*p*<0,025
კოორდინატორი	2,17	4,08	*t*=1,91	*p*<0,05

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო შეფასებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები აღინიშნება შემდეგი პოზიციების შეფასებების დროს: ადმინისტრატორი, კონსულტანტი, კადრების თანამშრომელი, მარკეტოლოგი,

ოპერატორი, ბუხჰალტერი, კოორდინატორი. გენდერული ნიშნების პრევალირების ვექტორი ემთხვევა №3 ცხრილში მოყვანილ მონაცემთა სურათს. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ იურისტის პოზიციის შემთხვევაში შეინიშნება მასში ქალური თვისებების სტატისტიკურად არასანდო, მაგრამ გამოკვეთილი უპირატესობა, ხოლო მაღაზიის მენეჯერის შემთხვევაში – სტატისტიკურად არასანდო, მაგრამ კაცური თვისებების უპირატესობა. გენდერულ ასპექტში თითქმის ნეიტრალური რჩება გაყიდვების მენეჯერის პოზიცია.

აღნიშნული კოლექტიური შეფასებები ორგანიზაციის პერსონალის მიერ გარკვეული მიახლოებით ობიექტური შეფასების ტოლფასად შეიძლება იქნეს მიჩნეული მოცემული ორგანიზაციისთვის. ამის შემავსებლად უნდა იქნეს გააზრებული აგრეთვე სამუშაო პოზიციებზე კადრების რეალური განაწილება ორგანიზაციის პერსონალის მართვის სამსახურის მიერ. გენდერულ ასპექტში მათ შორის განსვლის შემთხვევაში მუშაკებისთვის შეიძლება იქმნებოდეს ისეთი ვითარება, რაც მათ შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფითად აისახება. გამოკვლეული კონტინგენტის განაწილება ხსენებულ პოზიციებზე ნაჩვენებია №5 ცხრილში:

ცხრილი №5

სამუშაო პოზიციებზე განაწილებული კადრების სამუშაოსადმი შესაბამისობის ხარისხი გენდერულ ასპექტში 1.

	სამუშაოსადმი კაცების გენდერული შესაბამისობა პროცენტებში (%)		სამუშაოსადმი ქალების გენდერული შესაბამისობა პროცენტებში (%)		გენდერული პრევალირება % -ში
იურისტი	8 კაცი	61,5%	5 ქალი	38,5%	23% კაცური თვისებები
ადმინისტრატორი	3 კაცი	100%	0 ქალი	0%	100% კაცური თვისებები
მაღაზიის მენეჯერი	2 კაცი	100%	0 ქალი	0%	100% კაცური თვისებები
კონსულტანტი	8 კაცი	36,4%	14 ქალი	63,3%	26,9% ქალური თვისებები
გაყიდვების მენეჯერი	3 კაცი	30%	7 ქალი	70%	40% ქალური თვისებები
კადრების თანამშრომელი	3 კაცი	23%	10 ქალი	77%	54% ქალური თვისებები
მარკეტოლოგი	5 კაცი	55,6%	4 ქალი	44,4%	11,2% კაცური თვისებები
ოპერატორი	4 კაცი	28,6%	10 ქალი	71,4%	42,8% ქალური თვისებები
ბუხჰალტერი	1 კაცი	14,3%	6 ქალი	85,7%	71,4% ქალური თვისებები
კოორდინატორი	5 კაცი	28,6%	2 ქალი	71,4%	42,8% ქალური თვისებები

ცხრილი №6

სამუშაო პოზიციებზე განაწილებული კადრების სამუშაოსადმი შესაბამისობის ხარისხი გენდერულ ასპექტში 2.

	გენდერული პრევალირება % -ში კოლექტივის შეფასების მიხედვით	გენდერული პრევალირება % -ში კადრების ფაქტიური განაწილების მიხედვით
იურისტი	23% კაცური თვისებები	16% ქალური თვისებები
ადმინისტრატორი	100% კაცური თვისებები	32% კაცური თვისებები
მაღაზიის მენეჯერი	100% კაცური თვისებები	22% კაცური თვისებები
კონსულტანტი	26,9% ქალური თვისებები	36% კაცური თვისებები
გაყიდვების მენეჯერი	40% ქალური თვისებები	2% კაცური თვისებები
კადრების თანამშრომელი	54% ქალური თვისებები	56% ქალური თვისებები
მარკეტოლოგი	11,2% კაცური თვისებები	40% კაცური თვისებები
ოპერატორი	42,8% ქალური თვისებები	50% ქალური თვისებები
ბუხჰალტერი	71,4% ქალური თვისებები	54% ქალური თვისებები
კოორდინატორი	42,8% ქალური თვისებები	43% კაცური თვისებები

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაკავებული პოზიციებისთვის გენდერულ პრევალირებათა მაჩვენებლების პროცენტული სხვაობა შედარებით უფრო მაღალ მნიშვნელობებს აღწევს ძირითადად ოთხი პოზიციისთვის. ესენია: იურისტი, კონსულტანტი, გაყიდვების მენეჯერი და კოორდინატორი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ორგანიზაციული პროცესებისთვის საკვანძო პოზიციებს წარმოადგენენ და სრულიად აუცილებელია, რომ მათ საქმიანობაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილის მოთხოვნებისადმი მუშაკთა გენდერული ადეკვატურობა. ამის მიღწევა კი შეიძლება კადრების შერჩევის ეტაპზე პროფესიულ უნარჩვევებთან, პიროვნულ თვისებებთან ერთად პერსონალის მართვის სამსახურების მიერ გათვალისწინებული იყოს აპლიკანტთა გენდერული თავისებურებებიც.

Abstract

G. Goroshidze, A. skhirtladze, Kh. Matkava

Gender features of the Georgian organizational culture

In this article specificity of the gender factor in the Georgian organizational culture is investigated. On an empirical material it is revealed preferentially orientation of women to horizontal communications and the relation between employees, and also preferentially orientation of men to vertical communications and the relation between statuses. Interdependence of the gender factor and distribution of employees of the organisation on 10 official positions is shown. The available divergence between desirable and existing distribution of employees to official positions is established in the conditions of some reduction of efficiency of the organisation, that gives the grounds to prove necessity of the adequate account of the gender factor for management of the organisation personnel.

ციტირებულიდაგამოყენებულილიტერატურა:

1. Тихомирова О.Г. Организационная культура: формирование, развитие и оценка. Санкт-Петербург, 2008.
2. Лютенс Ф. Организационное поведение. Москва, 1999.
3. Бендас Т.В. Гендерная психология. Питер, 2006.
4. Шёкин Г.В. Теория и практика управления персоналом. Киев, 2003.
5. Шейн Э.Х. Организационная культура и лидерство. Питер, 2002.
6. Williams, J.E.,&Best, D.L. Measuring sex stereotypes: A thirty nation study . Berkeley, CA: SagePublications,1982.
7. Чарквиани Д. Структурные и функциональные особенности трудовых установок личности. Тбилиси, 1988.

როზეტა დანელია

ადამიანი და თანამედროვეობა

თანამედროვეობასთან მიმართებით არაერთ მეცნიერს, თეორეტიკოსსა და ფილოსოფოსს გამოუთქვამს თავისი აზრი. ცნობილია, ისეთი დიდ გერმანელ მოაზროვნეთა კონცეფციები, როგორებიც არიან – ჰერბერტ მარკუზე (დაიბადა 1898წ.ქ.ბერლინში, გარდაიცვალა 1979 წ. სან-დიეგოში), ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი(1929 წ.), იურგენ ჰაბერმასი (1929 წ.). ისინი უკეთესი მერმისისათვის, კაცობრიობის ხსნისათვის და კონფლიქტების დასარეგულირებლად გზების დასახვისათვის გვთავაზობდნენ თავიანთ მოსაზრებებს. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აყალიბებდა აზრს, კონცეფციას, რაც „ახალი ტიპის“ ადამიანის შექმნის იდეას უკავშირდება, სრულიად განსხვავებული ადამიანისა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნებოდა სხვა ტიპის აზროვნება, სხვა ცხოვრების წესი, სხვაგვარი ქცევა, სხვა მოქმედება და, რაც მთავარია, ის სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო აგრესიისაგან. ბევრ შემთხვევაში, მსგავსი კონცეფციები ილუზიად შერაცხილა, თითქოს მას რეალობასთან არაფერი აკავშირებდა. გამოირკვა, რომ არც ასეა საქმე. ამ იდეის ხორცშესხმა და განვითარება სინამდვილეში მოხდა, მართლაც არსებობს ასეთი ხალხი და ქვეყანა, სადაც არათუ უტოპია ან ილუზიაა ეს კონცეფცია, არამედ ეს არის ურყევი, მტკიცე რეალობა. საქმე ეხება ადამიანის განსაკუთრებული ტიპის არსებობას, რომელსაც პირობითად შვედური ტიპი შეგვიძლია ვუწოდოთ. ალბათ ასეთი ტიპის ადამიანს თუ გულისხმობდნენ მარკუზე და ენცენსბერგერი „ახალი ტიპის“ ადამიანში. ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ რას მიაღწია ადამიანის შვედურმა ტიპმა.

დღეისათვის, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და განვითარებული ქვეყანა შვედეთი ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ, ევროპაში ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მოსახლეო-

ბის უმეტესი ნაწილი სოფლის დასახლებებში, ფიცრულ სახლებში და უბადრუკ პირობებში ცხოვრობდა. სუპერთანამედროვე ქვეყნის ეს წარსული მყარადაა ფესვგადგმული შვედების მენტალიტეტში, პირველყოფილი ბუნების მთელი არსებით სიყვარულში, რაც ზოგიერთი ადამიანის გაოცებასაც კი იწვევს. ბევრი უცხოელისათვის მაგალითად, გაუგებარი და მიუწვდომელია ეგზოტიკური ბუნებისადმი ეგზომ დიდი სიყვარული, ასეთი ძალისხმევა, თავდადება ქვეყნის წინსვლისათვის, ერთმანეთის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რაც, შვედის განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს. ყოველივე ამას კი თან კულტურული მემკვიდრეობის სისადავეც ერთვის.

თითოეული შვედის თავდაპირველი მიზანი იყო, სიღარიბიდან ამოეყვანა შვედეთი და ისეთი საზოგადოება აეშენებინა, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, კლასობრივი კუთვნილებისა, სოციალური სტატუსისა თუ სხვა რაიმე მემკვიდრეობითი წინაპირობისა, გარანტია ექნებოდა კეთილდღეობის მინიმალური დონის უზრუნველყოფისათვის. შვედეთში ასეთი პრეცედენტი მოხდა და ჩამოყალიბდა კიდეც საზოგადოება, სადაც კლასებს შორის ეკონომიკური სხვაობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ასეთივე დონის განვითარების რომელიმე სხვა ქვეყანაში. ასეთი საზოგადოების აშენება შვედეთში 1930 წლიდან დაიწყო.

საქმე ისაა, რომ შვედეთის განაწილების პოლიტიკაში გამოყენებული იყო სოციალიზმის ელემენტები, ვინაიდან როგორც ცნობილია 1930 წლიდან 2006 წლამდე ქვეყანას სათავეში სოციალ-დემოკრატები ედგა. სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდიდან იწყება ახალი საზოგადოების აშენება, რასაც მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა პიერ-ალბინ ჰანსენმა „სახალხო სახლი“ უწოდა. დღეს შვედეთი ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანაა მყარად ფესვგადგმული საბაზრო ეკონომიკით. ქვეყანაში პრეცედენტი ნამდვილად დაიშვა იმისა, რომ წლების მანძილზე დაგროვილი და შექმნილი სიმდიდრე შვედეთის მთელ მოსახლეობაზე გადანაწილებულიყო.

ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს ქვეყანა, მისი განვითარების კონცეფციები და ფუნდამენტური პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების განვითარებისაგან. შვედეთის „სახალხო სახლის“ განვითარების კონცეფციის მიხედვით, „სახალხო სახლის“ აშენება არ უნდა დაქვემდებარებოდა ფინანსურ დახმარებას გარედან. ის არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ქველმოქმედებაზე. მისი ფინანსირება მხოლოდ საგადასახადო სისტემის სრულყოფის ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო, როცა ძირითადი ეკონომიკური სიმძიმე უზრუნველყოფილი ადამიანების ზურგზე გადიოდა. ეს იყო „მესამე გზის“ პოლიტიკა, რომელიც ასე აუცილებლად მიაჩნდა ჰანს მაგნუს ენცენსბერგერს ქვეყნის განვითარებისათვის და, რომელიც მაშინ მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ოპონენტების მიერ. ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „კურსბუხი“ წლების მანძილზე ემსახურებოდა საზოგადოების შესახებ არსებული თეორიების შეჯერებას, აუდიტორიამდე მიტანასა და საზოგადოების განვითარების „მესამე გზის“ კონცეფციის ცხოვრებაში გატარებას. ენცენსბერგერის მსოფლმხედველობა და „მესამე გზის“ კონცეფცია გასული საუკუნის 50-60-იანი წლების მოაზროვნეთა, განსაკუთრებით კი მარკუზეს ფილოსოფიურ შეხედულებებზეა დამყარებული. მის დებულებებში არსებული სისტემების იდეოლოგიურ-კრიტიკული განხილვა დემოკრატიული სოციალიზმის იდეის დამკვიდრებას ემსახურება (1). არადა, სწორედ შვედეთი დაადგა ამ გზას და გაიკვლია კიდეც, ვიწრო, ჯერ კიდევ გაუვალ გზაზე, რომელიც კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდო, იმ გზაზე, რომელსაც დღეს „ოქროს შუალედად“ მოიხსენიებენ. ამერიკული პროპაგანდის მიხედვით კი, შვედეთი 1950-70 წლებში ნახევრად კომუნისტური ქვეყანა იყო და იქ თითქოს უკიდურესად იზღუდებოდა ადამიანის უფლებები. მაშინ, როდესაც ქვეყანა მსოფლიოში სოციალური დაცვის ყველაზე მაღალი ხარისხითაა გამორჩეული და მან არაერთი სიახლის შემოთავაზება შეძლო თავისი მოქალაქეებისათვის.

ცხადია, უკვალოდ და უმტკივნეულოდ არც გაუგონარ ეკონომიკურ აღმავლობას ჩაუვლია, ვინაიდან რეფორმებს, როგორც ვიცით, თავი-

სთავად თან სდევს სირთულეები. მიუხედავად ამისა, შვედი ეგუებოდა ამ სირთულეების გადალახვას საბოლოო მიზნის მისაღწევად, კეთილდღეობის უზრუნველყოფამდე.

შვედეთი გააზრებულად და რაციონალურად ვითარდებოდა. ამ ქვეყნის ხალხმა შექმნა ისეთი კანონები, რომლებიც ბევრ ქვეყანას აოცებს. აოცებს მათი სიღრმე და, რაც მთავარია, აღსრულების ხარისხი. შემუშავებულ იქნა ფუნდამენტური პრინციპები, რომლებმაც სათავე დაუდო ქვეყნის აღმშენებლობას.

შვედური პოლიტიკის მთავარი პრინციპი – თანასწორუფლებიანობა, გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ მისი ისტებლიშმენტი, ადმინისტრაციული მმართველობა თანაბარი რაოდენობით შეადგენს მამაკაცებსა და ქალებს, თანასწორუფლებიანობა მდგომარეობს იმაშიც, რომ როგორც მამაკაცი, ასევე ქალი უნდა იყოს ეკონომიკურად დამოუკიდებელი და, შეძლებისდაგვარად თანაბრად ზრუნავდეს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფისათვის და ბავშვების აღზრდაზე.

ქვეყანაში მოქმედი ძლიერი კანონმდებლობის მიხედვით იკრძალება ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა დისკრიმინაცია და მათდამი ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლენა, ასევე ფიზიკურ თუ ფსიქიურ უნარშეზღუდულთა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირთა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება. არსებობს კანონები, რომლებიც ემსახურება ბავშვთა დაცვას, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში.

შვედეთის საზოგადოების ურყევი პრინციპი – გამჭვირვალება და გახსნილობა ბევრი ქვეყნისათვის გახდა ძნელად შესაგუებელი. შვედეთში ნებისმიერ მოქალაქეს მიუწვდება ხელი საჯარო დოკუმენტებზე და უფლება აქვს განახორციელოს ხელისუფალთა უფლებამოსილების სრული კონტროლი. პრესისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპი ხელშესახებს ხდის ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტაციის თუ, კორესპონდენციის გაცნობას, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ელექტრონული ფოსტის ჩათვლით. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამის გამო შვედებს არაერთი დაბრკოლება

ხვდათ წილად. ის კი არა, ევროკავშირში შვედეთის წარმომადგენლობის სწრაფვა მეტი გამჭვირვალებისაკენ, ხშირად წინააღმდეგობებს აწყდება და შესაბამისად გაუგებარი და უცხოა ბევრი სხვა ქვეყნისათვის. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იოლი არ არის სხვებისგან გამოირჩეოდე, მათ ნორმატიულ პრინციპებში არ ჯდებოდე. მაგრამ შვედეთი თავისი განვითარების დონის წყალობით, მიუხედავად ყველაფრისა, ინდივიდი-ქვეყნის სტატუსის შენარჩუნებას მაინც ახერხებს.

შვედეთი არც საგარეო პოლიტიკით ჩამოჰგავს რომელიმე სხვა ქვეყანას. მისი საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპს განსაზღვრავს თავდაცვითი დოქტრინა, რაც გამორიცხავს რომელიმე სამხედრო ბლოკში გაწევრიანებას. რაც შეეხება მშვიდობის პოლიტიკასთან მის მიმართებას, ის იმთავითვე იბრძოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. შვედეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, ვინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. თუმცა ჯერ კიდევ მაშინ იცავდა ნეიტრალიტეტის პრინციპს.

ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნიდან თანამედროვე ინდუსტრიულ ერად გადაქცევის წინაპირობად უსათუოდ სახელდება ტყის უდიდესი მარაგი, რკინა, ჰიდროენერგია, რაც შვედეთის მთელ ჩრდილოეთ ნაწილშია განლაგებული. მაგრამ ეს ალბათ არ იკმარებდა ქვეყნის წინსვლისათვის, თუნდაც გამომგონებლობასა და მეწარმეობაში უდიდესი ტრადიციითა და პოტენციალით ვერ გახდებოდა შვედეთი მაღალტექნოლოგიური განვითარების ქვეყანა, ვერ მიაღწევდა ამდენს, რომ არა შვედის, როგორც ინდივიდის დაუოკებელი ბუნება, ხასიათი, ცნობიერება და გამჭრიახობა. „ჩვენ, შვედები ვერ შევეგუებოდით მსოფლიო კულტურის რუქაზე უმნიშვნელო, ანონიმური, უსახური ადგილის დაკავებას“ (2) – ამტკიცებენ შვედები და ამით ხაზს უსვამენ თავიანთ შინაგან ბუნებას შეუპოვრობას. რაც შეეხება შვედების კულტურას მათი, კულტურის თითოეული სფეროს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას გაოცებაში მოჰყავს საერთაშორისო სპეციალისტები. ეს არის ფერწერა, არქიტექტურა, პოეზია, ოპერა, თანამედროვე დიზაინი და მრავალი სხვა, რისი გაკეთებაც შეძლო ევროპის კიდეზე მობინადრე ამ პატარა

ერმა. ერი, რომელიც დღესაც უკიდურესი თავმდაბლობით გამოირჩევა, თვითონ ახასიათებს თავის კულტურას და ამბობს, რომ მათი ნაციონალური კულტურა სხვა, უფრო დიდი კულტურების დასესხებით, გააზრებულად, ნიჭიერად განვითარდა, მაგრამ მის ფესვებში შვედეთის სულია ჩაბუდებული (3). შვედეთის სულში კი მხოლოდ უბრალოება, ბუნებრივი გამჭრიახობა, მარადიული სიყვარული მოიაზრება მოკრძალებული, უბიწო ფესვებისადმი.

შვედეთი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში ბიო-მედიცინასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ამიტომაცაა, რომ ბევრი შვედური მსხვილი კომპანიები ტრანსნაციონალური კორპორაციების გაერთიანებაშია შესული. მაგრამ მისი პოტენციალი ამით არ ამოიწურება. შვედეთის ინდუსტრია ისევე როგორც ათეული წლების წინ, ახლაც უკავშირებს მომავლის იდეებსა და გეგმებს – ახალ იდეებსა და მეწარმეობას და უნარიანად ითვალისწინებს ახალი რეალობის პირობებში ახალი გზების დასახვის ამოცანებს.

თანამედროვე ეპოქასთან, გლობალიზაციასთან, ინფორმაციულ საუკუნესთან მიმართებით, მომავლის ინდუსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი – ინფორმაციული ტექნოლოგიებია, კერძოდ კი, ტელეკომუნიკაციური წარმოება, ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომელთა ლიდერად ძველებურად ერიქსონი რჩება. პირველ რიგში, ეს ნიშნავს, რომ შვედეთს შეუძლია სხვა ქვეყნის საინფორმაციო პოლიტიკისაგან თავის დაღწევა, რომელთა ექსპორტი დაბალხარისხოვანი პროდუქციითაა გაჯერებული, რაც უპირველესად აუდიტორიის კულტურული დონის დაცემას, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაქვეითებას ემსახურება. შვედეთმა, ისევე როგორც სხვა წარმატებულმა ქვეყანამ (მათ შორის, იაპონია) ამ პროცესებისაგან იხსნა თავისი ქვეყნის მედია-სივრცე, თვითონ შექმნა მედია-ექსპორტი და ამ პროცესებს დაუპირისპირდა თავისი მაღალგანვითარებული ეკონომიკითა და ინდუსტრიული ბაზით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით, რაც ინფორმაციულ საუკუნეში თანამედროვე განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა.

მარკუზეს მსგავსად, ენცენსბერგერიც გამოსავალს რეპრესიებისაგან თავისუფალი საზოგადოების, „ახალი ტიპის“ ადამიანის ჩამოყალიბებაში ხედავს. თუ მარკუზეს კონცეფციის მიხედვით „ჭარბმწარმოებელი საზოგადოება“, ასევე ტოტალიტარული სოციალისტური საზოგადოება ყოველივე ინდივიდუალურს სპობს, იმასაც არ უარყოფს, რომ სოციალიზმი საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განვითარებით და რესურსების რაციონალური გამოყენებით გამოირჩევა, რაც შემდგომში მისი აზრით, გათავისუფლების წინაპირობადაც შეიძლება ჩაითვალოს (4). მოგვიანებით ენცენსბერგერი თანაბრად აკრიტიკებს როგორც კაპიტალიზმს ისე სოციალიზმს, საკმაოდ ობიექტურად აფასებს ორივე სისტემის დადებით თუ უარყოფით მხარეებს და გამოსავალს ორივე მათგანის დადებითი მომენტების გაერთიანებაში ხედავს. მაგრამ შიშობს, რომ მისი დებულებები და დასკვნები „მესამე გზის“ პერსპექტივის შესახებ იდილიურ ოცნებად დარჩება (5). ცნობილ გერმანელ თეორეტიკოს იურგენ ჰაბერმასს კომუნიკაციის სიბრტყეში გადააქვს საზოგადოების განვითარების იდეა. ის გმობს საკუთარი ინტერესების უპირობო გატარებას. მისი მსჯელობის საგანია საკუთარი ინტერესების სხვათა ინტერესებთან შესატყვისობის აუცილებლობა. კომუნიკაციის საყოველთაო მიზანს იგი თანაცხოვრების ორგანიზაციაში, სასიცოცხლო ურთიერთობების დამყარებაში ხედავს. ჰაბერმასის დებულებათა ამოსავალი წერტილია თითოეული ადამიანის შემეცნება და სიღრმისეული აზროვნება, რომელიც თანაბარი უნივერსალობით განისაზღვრება და აიძულებს საკუთარი პერსპექტივის დეცენტრალიზაციას, საკუთარი თვალსაზრისის სხვათა თანასწორი უფლებების მქონე შეხედულებებთან გათანაბრებას და ხალხების თავისუფალი განვითარებისა და იდენტურობის პრინციპის დაცვას ემსახურება(6).

დაბოლოს, ეტალონი ქვეყნის – შვედეთის მაგალითზე ნათლად ჩანს დიდ მოაზროვნეთა შეხედულებების შეუმცდარობა და მათი დებულებებისა თუ კონცეფციების ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობა.

ABSTRACT

Rozeta Danelia – assistant professor,
TSU The faculty of Social and Political Sciences,

Human and Modernity

In the modern World there are a number of concept connected with the idea of creation „The New Type" of human. Swedish Style is taken for example in this article which is coincided with the conceptios of prominent theorists. H. Marcuse, H.M. Enzensberger and J. Habermas great German scholars offered us their opinions for better future. Each of them independently formulated own conception connected with the idea of formation „ the New Type "of human and to the „The Third Way ". Such conceptions were considered as illusion but it turned out to be a strong reality. It concerns existence of a new type of human called Swedish style . In this article is underlined truth worth point of views of these great scholars and the ability of their ideas to come true in contemporary reality.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. დანელია. „ჰანს მაგნუს ენეცენსბერგერი და „მესამე გზის" კონცეფცია". გელათის მეცნ. აკადემიის ჟურნალი, 2008-4. გვ. 56
2. შვეცია და შვედები. სტოკჰოლმი. 2007. გვ. 3.
3. კლას ბრაიტონ და შვედური ინსტიტუტი. 2007.
4. რ. დანელია. „საღი აზრის ზეობა". მარკუზე და ფილოსოფიური საფუძვლები. თბ., 2008, გვ, 15-28.
5. იქვე, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი. გვ. 52-75.
6. იქვე, იურგენ ჰაბერმასის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი. გვ. 36-52.

თამარ დოლგაია

თავისუფალი ეკონომიკური ზონების მსოფლიო გამოცდილება და საქართველო

გლობალურ-ეკონომიკურ სივრცეში ნაციონალური მეურნეობების ინტეგრაციამ, მათ მიერ ღია ეკონომიკის ძირითადი პრინციპების რეალიზებამ და საექსპორტო სპეციალიზაციის დარგების დომინირებამ მიგვიყვანა წარმოების ორგანიზაციის ისეთ ახალ ფორმამდე, როგორიცაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ).

მისი შექმნის მთავარი მიზანია ნაციონალური მეურნეობების უფრო ღრმად ჩართვა შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულ დანაწილებაში, შიდა ბაზრის მაღალხარისხიანი პროდუქციით გაჯერება, სამამულო წარმოებაში უახლესი სამეცნიერო ტექნოლოგიების დანერგვა, დასაქმების გაზრდა, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა „ზრდის პოლუსების“ მეშვეობით (1).

თეზების რაოდენობა მსოფლიოში 2000-ზე მეტია. მათში დასაქმებულია 43 მლნ. კაცი. მოქმედებს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში და მათი წილი მსოფლიო საქონელბრუნვაში გაიზარდა 8%-დან 1960 წელს, 35% -მდე 2007 წელს(3).

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეს არის ქვეყნის ნაწილი, ტერიტორია, სადაც სახელმწიფო ამყარებს მართვის განსაკუთრებულ რეჟიმს, რომელიც უფრო მეტად ხელსაყრელია უცხოელი და სამამულო მეწარმეთა საქმიანობისათვის, გარე და შიდა ინვესტიციების მოზიდვისათვის. ეს რეჟიმი ჩვეულებრივ გულისხმობს განსაკუთრებულ შეღავათებს სავაჭრო ოპერაციების განხორციელებაზე (ექსპორტ-იმპორტული ბაჟის გაუქმება), საგადასახადო (დაბეგვრის გაუქმებამდე), ფინანსურ და ადმინისტრაციულ ტრანსაქციებს, რაც ამსუბუქებს ტვირთის მიმოქცევის პროცედურებს, საწარმოთა რეგისტრაციებს და

სხვ. ერთერთი უმთავრესი პირობა თეზის წარმოქმნისათვის არის ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა.

თეზების კლასიფიკაციის საფუძველია ოთხი მთავარი კრიტერიუმი: 1) საქმიანობის ხასიათი და ფუნქციური დანიშნულება, 2) მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხი, 3) დარგობრივი ხასიათი, 4) საკუთრების ფორმა (2).

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყოფა 25-მდე ტიპის თეზი. მათ შორის: საბაჟო ზონები, დაუბეგრავი ზონები, თავისუფალი საექსპორტო, თავისუფალი საექსპორტო-სამრეწველო, ეკონომიკური კეთილდღეობის, ერთობლივი მეწარმეობის, ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების სამეცნიერო-სამრეწველო ზონები და სხვ.

ყველაზე მნიშვნელოვანია:

1) სავაჭრო თეზი – მისი ყველაზე ადრეული ფორმა წარმოიქმნა XVI–XVII საუკუნეებში. მათ მიეკუთვნება თავისუფალი საბაჟო ზონები, სავაჭრო-სასაწყობო ზონები, თავისუფალი პორტები, თავისუფალი ვაჭრობის ზონები, რომლებიც ყველაზე გავრცელებულია და იქმნება საზღვაო და ავია პორტებში, ან მათთან ძალიან ახლოს. ისინი სარგებლობენ საბაჟო ექსტერიტორიალურობით.

2) სამრეწველო-საწარმოო თეზები – ორიენტირებულნი არიან ექსპორტ-იმპორტულ ოპერაციებზე და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და სავალუტო შემოსავლების ზრდაზე. ბევრი მათგანი სავაჭრო თეზების ტრანსფორმაციის შედეგად წარმოიშვა.

3) სამეცნიერო-ტექნოლოგიური თეზები – მათში კონცენტრირებულია ეროვნული და უცხოური საპროექტო, კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო ფირმები, რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო და ფინანსური შეღავათებით. მათი ფუნქცია უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და შემუშავებაა. ესაა ინოვაციური და სამეცნიერო ცენტრები, კვლევითი და ტექნოპარკები.

4) სერვისული თეზები – რომლებიც მომსახურების დარგებზე სპეციალიზირებულ ფირმებსა და საწარმოებს ანიჭებენს შეღავათიან

პირობებს. ესენია ოფშორული ზონები, ფინანსური ცენტრები, საბანკო, ტურისტული და სხვ. მომსახურების ფორმები.

თეზი მსოფლიოში ასახავს ეკონომიკის ლიბერალიზაციის სხვადასხვა ფორმებს, რომელთა პრიორიტეტული მამართულებები ისტორიულად იცვლებოდა. როცა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (სეუ) საფუძველი იყო ვაჭრობა, დაიწყო უბაჟო ვაჭრობის ზონების განვითარება (პორტო ფრანკო), თავისუფალი სავაჭრო ქალაქებისა და კავშირების (ჰანზის კავშირი) შექმნა. როცა სეუში მნიშვნელოვანი გახდა ერთობლივი (შერეული) წარმოება, რომელიც აძლიერებს კავშირებს ნაციონალურ ეკონომიკებს შორის და არის გარანტი სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, განვითარება დაიწყო საექსპორტო-სამრეწველო ზონებმა. როგორც წესი, ისინი იქმნებიან განვითარებად ქვეყნებში, სადაც წარმოების განლაგების ძირითადი ფაქტორებია დაბალი საარენდო გადასახადი მიწაზე, იაფი მუშა ხელი და ეკოლოგიური შეზღუდვების არარსებობა. სეუ-ში ფინანსური კაპიტალის როლის გაზრდისას განვითარება დაიწყო საბანკო ზონებმა და ოფშორულმა ცენტრებმა, სადაც პირველ ადგილზე უკვე წარმოება კი არ არის, არამედ კომერციული, საფინანსო, მმართველობითი და სადაზღვევო საქმიანობა. სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის ეპოქაში წარმოიშვა თეზების შემდგომი, ახალი თაობა, რომელმაც გააერთიანა მეცნიერება და მაღალი ტექნოლოგიების წარმოება, ანუ შექმნა სამეცნიერო-ტექნიკური ზონები და ტექნოპოლისები.

განსხვავებულია თეზები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

განვითარებულ ქვეყნებში წარმოდგენილია თეზების ყველა სახეობა, რადგანაც ეს ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი მსოფლიო სამეურნეო კავშირებში და სხვადასხვა ინტეგრაციულ დაჯგუფებებში. მარტო აშშ-ის თავისუფალი ვაჭრობის ზონებში, რომლებიც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის, 3000-ზე მეტი კომპანია მუშაობს. დასავლეთ ევრო-

პაში რაოდენობრივად ჭარბობს თავისუფალი ვაჭრობის ზონები. ისინი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წარმოიშვნენ და XX ს-ის 90-იან წლებში მათი რიცხვი 150-მდე გაიზარდა. ასეთი ზონები ფორმირდებოდა საზღვაო და სამდინარო პორტებში და სარკინიგზო კვანძებზე: გერმანიაში (ჰამბურგი, ბრემენი, კილი, ემდენი), დანიაში (კოპენჰაგენი), ფინეთში (ჰელსინკი, ტურკუ), ავსტრიაში (ლინცი, გრაცი). თავისუფალი სამრეწველო ზონის ქრესთომათიული მაგალითია XXს. 50-იან წლებში ირლანდიის აეროპორტ შენონში შექმნილი საერთაშორისო თავისუფალი სამრეწველო ზონა, სადაც ათასობით ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, ქვეყნის ეკონომიკა აღორძინდა და წლიურმა ექსპორტმა 1 მლრდ. დოლარს გადააჭარბა (3). ფართოდ გავრცელდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური ზონები და ოფშორული ბიზნეს-ცენტრები. ინგლისში თეზები შეიქმნა დეპრესიული რეგიონების ასაღორძინებლად. ევროპული თეზების განვითარების პერსპექტივაა, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება ევროკავშირის შიგნით.

აფრიკაში თეზები არ ვითარდება ფინანსებისა და ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო. იქ არის მხოლოდ საექსპორტო-საწარმოო ზონები (ტუნისი, ეგვიპტე).

თითქმის ყველა განვითარებადმა ქვეყანამ აიღო თეზის საექსპორტო-სამრეწველო ფორმა, ორიენტირებული საზღვაო პორტებსა და აეროპორტებზე, რომლის მიზანია მრეწველობის პრიორიტეტული დარგების ფორსირებული განვითარება, ექსპორტის სტიმულირება, უცხოური კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოზიდვა, შრომატევად დარგებზე ორიენტაცია, რაშიც უცხოელი ინვესტორებიც არიან დაინტერესებული. თუმცა ბევრ მათგანში პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ფაქტორების გამო თეზებმა შეწყვიტეს მუშაობა (ლიბერია, სენეგალი, გვატემალა, შრი-ლანკა).

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ცენტრალიზებული-გეგმიური ეკონომიკის პირობებში თეზები განიხილებოდა, როგორც საბაზრო ეკონომიკის ელემენტები, რომლებიც მოიზიდავდნენ უცხოურ ინვე-

სტიციებს. XX ს. 60-იან წლებში თეზები შეიქმნა იუგოსლავიასა და უნგრეთში, 80-იანი წლებიდან კი მთელს პოსტსოციალისტურ სივრცეში.

რუსეთში თეზების შექმნა დაიწყო XX ს. 80-იან წლებში. ჭარბობს თავისუფალი ვაჭრობისა და კომპლექსური ზონები, თუმცა ბევრმა ვერ გაუძლო დროის გამოცდას, რადგანაც მათი სისუსტეა ტერიტორიის დიდ მასშტაბებზე მოდება და შეღავათების გავრცელების ბუნდოვანი მექანიზმი, რომელსაც კანონმდებლობის ბოროტად გამოყენებამდე მივყავართ.

ჩინეთს, რომელიც თეზების საშუალებით ეკონომიკის განვითარების საუკეთესო მაგალითია, ამ ტიპის გამოცდილება აქვს 1980 წლიდან, როცა შეიქმნა 5 განსაკუთრებული ეკონომიკური რაიონი. 1984 წელს საგარეო ვაჭრობისათვის გაიხსნა ყველა მსხვილი საპორტო ქალაქი, რომლებიც გახდა ქვეყნის „ფანჯარა“ საგარეო ბაზარზე. მოგვიანებით შეიქმნა კიდევ 13 უბაჟო ზონა, 32 ზონა ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარებისა და 52 ზონა-სახელმწიფო მნიშვნელობის მაღალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის. ჩინეთმა უფლება მისცა 13 სასაზღვრო ქალაქს თავიანთ ტერიტორიებზე შეექმნათ საზღვრისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის ზონები. ქვეყნის „განსაკუთრებულ ეკონომიკურ რაიონებში“ წარმოებული პროდუქციის 50% საექსპორტოა, მათი სპეციალიზაციაა გადამამუშავებელი მრეწველობა და სავაჭრო ქსელის განვითარება. უცხოელებისთვის შექმნილია შეღავათიანი საბაჟო და საგადასახადო გარემო, მოზიდული კაპიტალის მოცულობა რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარია. თავად ჩინელებს კი საშუალება ეძლევათ შეისყიდონ ტექნიკა-ტექნოლოგიების ყველაზე სრულყოფილი ფორმები, მოიპოვონ მართვის თანამედროვე მეთოდები, მიიღონ ინფორმაცია მსოფლიო სასაქონლო და საფინანსო ბაზრებიდან და მოამზადონ მაღალკვალიფიციური კადრები (3).

რა გამოცდილება გვაქვს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თეზის შექმნას საქართველოში?!

1821 წელს საქართველოში გაიხსნა ყულევის, ანუ რედუტ-კალეს პორტო-ფრანკო პორტი, პერიფერიებში სხვა ქვეყნებიდან საქონლის შემოტანისათვის ხელშეწყობის, ასევე რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის ირანისა და თურქეთის ბაზრების დაქვემდებარების მიზნით. ყულევში უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესდა 5%-იანი საშელავათო ტარიფი, მაშინ როცა რუსეთის შავიზღვისპირა პორტებში უცხოური ნაწარმი იბეგრებოდა 25%-ით. შელავათიანი ვაჭრობის დაწყებისთანავე, ყულევი მთელი ამიერკავკასიისთვის საქონლის ერთადერთი საწყობი გახდა, ხოლო თბილისი მსოფლიო მნიშვნელობის სასაწყობო და საქონლის გამანაწილებელი ცენტრი. ტრანზიტი ყულევი – თბილისის გზით ხელს უწყობდა ევროპული საქონლის ირანულ ბაზრებზე გაბატონებას.

საშელავათო ტარიფი მოქმედებდა 1821-1831 წლებში და ამ პერიოდში საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან საქართველოში გაიზარდა 3-ჯერ, გატანა კი 7-ჯერ 1812-1821 წლებთან შედარებით. ირანში, თურქეთსა და რუსეთში საქონლის გატანისას კი საქონლის 25% საქართველოსა და ამიერკავკასიაში რჩებოდა(4).

ვაჭრობის განვითარებამ საქართველოში გამოიწვია ფეოდალური კარჩაკეტილობის რღვევა, საკრედიტო საქმიანობის გააქტიურება, კომერციული ბანკის დაარსება და საქალაქო ცხოვრების განვითარება, რაც შელავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის გაუქმებისთანავე შეფერხდა და შემდგომ დაეცა კიდეც.

ბათუმი 1878 წელს პორტად გამოცხადებიდან მთელი 5 წელი პორტო ფრანკო იყო, მაგრამ ამ პერიოდში პორტს არ ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია და ტვირთი.

XX საუკუნეში, საბჭოთა საქართველოში დანარჩენი მსოფლიოსგან მოწყვეტილი და ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში ძირითადი ეკონომიკური კავშირები ხორციელდებოდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის სახმელეთო სივრცის მეშვეობით.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, სსრკ-ის დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველო ახალი რეალიების წინაშე დააყენა. დაირღვა ძველი ეკონომიკური კავშირები, დაიკარგა გასაღების ბაზრები, დაეცა ეკონომიკა, გაჩნდა უმუშევრობა. განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო და თითქმის განადგურდა მრეწველობა.

რადგანაც თეზი მსოფლიოში აღიარებულია ღია საზოგადოების შექმნის გზაზე ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროგრესულ ფორმად, იგი პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის ეფექტურ ინსტრუმენტად იქცა და საქართველოშიც ეკონომიკის კოლაფსიდან გამოყვანის ერთერთ გზად სწორედ თეზის შექმნა იქნა მიჩნეული, თუმცა მსჯელობიდან საქმეზე გადასვლა მხოლოდ 2007 წლისთვის მოხდა, თანაც დეკლარირებიდან კიდევ სამი წელი გავიდა. მსოფლიოში ოფშორული ზონების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს და ამიტომაც ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ ეს არ იქნება ოფშორი და დასახელებაშიც კი გამოიტანა სიტყვა „ინდუსტრიული". ფოთის პორტი და თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზი) ერთიანი მენეჯმენტის ქვეშ განიხილება. არაბულმა კომპანია „რაკ ინვესტმენტმა" იყიდა ჯერ პორტის 51%, მოგვიანებით დანარჩენი 49%-იც და ნავსადგურის მიმდებარე შენობა-ნაგებობები, რასაც დაემატა თავად თეზისთვის ნაყიდი 300 ჰა მიწის ნაკვეთი, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო მიწას იჯარით აძლევს თეზებს, საიდანაც დამატებითი შემოსავალი შედის ბიუჯეტში. ასევე დიდი შეცდომაა პორტის გაყიდვა, რითაც ფაქტიურად ქვეყნის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის გასხვისება ხდება. ინვესტორი აცხადებს, რომ ზონის მოწყობაზე 25 მლნ უკვე დახარჯა და კიდევ 300-400 მლნ. დოლარს მოიზიდავს (6). ფოთის თიზის ძირითადი მიზნებია: ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარება, დასაქმების გაზრდა. მისი მთავარი მახასიათებლებია: ანგარიშსწორების განხორციელება

ნებისმიერი ვალუტით; გარკვეული საქმიანობის გათავისუფლება ლიცენზიისა და ნებართვისაგან; უცხოური საქონლის შეტანისა და თიზში განხორციელებული ოპერაციების დღგ-სგან გათავისუფლება; ქონების გადასახადის ნულოვანი რეჟიმის ამოქმედება; თიზში წარმოებული და საქართველოში შემოსული საქონლის გათავისუფლება საბაჟო გადასახადისგან და სხვ.

თიზში ნებადართული საქმიანობაა ნებისმიერი საქონელის წარმოება იარაღის, საბრძოლო მასალის, ბირთვული ნივთიერებების და ნარკოტიკების გარდა.

თიზის მართვას ახორციელებს ინვესტორი, რომელიც ასევე იღებს ვალდებულებას ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ. ინვესტორს დახვდება კარგად შერჩეული ადგილი, ნაკლები სატრანსპორტო და საწარმოო ხარჯებით, პროდუქციის რეალიზების არხებითა და გეოგრაფიით, გარემომცველი გარემოს ხელსაყრელი მდგომარეობით, მართვის სისტემის საიმედოობითა და სიმარტივით. ხოლო თუ რა სარგებელი და შემოსავალი ექნება ქალაქს თიზისგან უცნობია. მით უფრო, რომ მიწა ინვესტორმა იჯარით კი არ აიღო, იყიდა, მაშინ როცა თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის პორტებში მიწის იჯარას უხდიან ქალაქს (ჰამბურგი, როტერდამი და სხვ).

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, თუ ვიხელმძღვანელებთ ჩინური მოდელით, ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის გზით, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, შრომისნაყოფიერების გაზრდით, დედაქალაქიდან მოშორებული რეგიონების განვითარებითა და შექმნის სტაბილურ წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლებისათვის.

ცნობილია, რომ ცივილიზაციების მსხვრევის საზღვრებში თეზების შექმნა და მათი ეკონომიკური ზრდა, ამარტივებს ეთნიკურ და ეთნოკონფესიურ კონფლიქტებს (3) და სავსებით შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის ეთნოკონფლიქტების მოგვრების ერთერთი საშუალება თეზი იყოს და სამეგრელოსა და აფხაზეთის ეთნიკურად გადაჯაჭვულ კუ-

თხეებში ეკონომიკურმა აქტივობებმა ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური საზღვრები მოშალოს. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ თეზის ტერიტორია სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის მიღმა აღმოჩნდეს და ქვეყნის ტერიტორიულ პრობლემებს კიდევ ერთი დაემატოს.

ფოთის თიზს თავისი მომხიბვლელობის გარდა უარყოფითი მხარეებიც აქვს. არის საშიშროება, რომ ქართული კომპანიები დარეგისტრირდებიან ზონაში და შემცირდება ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავალი. ასევე საეჭვოდ უცნობია ინდუსტრიის კონკრეტულად რა დარგების განვითარება მოხდება. 400 დეკლარირებული საწარმო რა სპეციალიზაციისაა, რა სახის პროდუქცია უნდა გამოუშვას და სად უნდა გაასაღოს. 20 000 დეკლარირებული სამუშაო ადგილი რა კვალიფიკაციის, ღირებულებისა და სპეციალობის კადრებს ითხოვს და ვინ გათვალა ნამდვილად 20000 ადგილია საჭირო თუ არა. საიდან მოჰყავთ ეს ხალხი და რა დევს ხელშეკრულებაში ადგილობრივი კადრების დასაქმების პრიორიტეტულობის შესახებ?

მართალია თიზის ძირითადი დანიშნულება ინვესტიციების მოზიდვაა, მაგრამ ინვესტიციის მოზიდვას ქვეყნის პოლიტიკური, საკანონმდებლო და ეკონომიკური მომხიბვლელობა სჭირდება. ტვირთების ნაკადის ზრდას კი მარტო გარედან მოზიდული ტვირთი არ განაპირობებს, ტვირთშემქმნელი თავად ქვეყნის ეკონომიკა უნდა იყოს, რადგან ზონები ყველგან თავიანთ თავზე მუშაობენ და ნაკლებად იმ ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაზე, სადაც არიან განლაგებულნი.

თეზის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია დეკლარირებულ და რეალურ მიზნებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე. ინვესტორები ზონებში ხედავენ შეღავათების მიღებისა და დაბეგვრისაგან გათავისუფლების წამიერ, მიმზიდველ მხარეს, მთავრობები კი რეგიონის ისეთი პრობლემებისაგან თავის დაღწევის საშუალებას, როგორიცაა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, დანგრეული წარმოება, უმუშევრობა და

მძიმე სოციალური მდგომარეობა და არ ფიქრობენ რომ უცხოური კაპიტალი თეზში შემოდის არა ქვეყნის ეკონომიკის გასავითარებლად, არამედ კერძო ინტერესებისთვის, კერძოდ მაღალი მოგების მისაღებად.

ფოთის თიზის ეკონომიკური სარგებლიანობის, ტვირთების გეოგრაფიისა და დასაქმების ეფექტურობის დასადგენად და გასაანალიზებლად არ არსებობს არანაირი დოკუმენტი თუ მასალა, თუმცა საზოგადოების მოლოდინი დიდია და სწორედ ამ მიზნით ჩავატარეთ სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანი იყო შეგვესწავლა მოსახლეობის დამოკიდებულება თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმართ.

გამოყენებული იქნა სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდი და კვლევა ჩატარდა საქართველოს სამ ქალაქში: ფოთში, ბათუმსა და თბილისში. რესპოდენტებს დაურიგდათ წინასწარ შედგენილი კითხვარი. მოლოდინები გულისხმობს იმ მოვლენების პერსპექტივაში დანახვას, რომელიც მოსახლეობას აქვს. მოვლენის მოხდენის ალბათობას, შედეგს, ინფორმირებულობას, პირადი და საზოგადოებრივი მიღწევების შეფასებას. სწორედ ამ ცვლადებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ჩვენი კითხვარი. კითხვარი შედგებოდა ექვსი ძირითადი კითხვისგან სამი შესაძლო პასუხით – დიახ, არა, არ ვიცი. გამოკითხვა ჩატარდა ინდივიდუალურად და სჭირდებოდა 5-8 წუთი. კითხვარში შედიოდა ასევე დამატებითი კითხვაც, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე რამდენიმე შესაძლო პასუხს შეიცავდა. კითხვარი მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი). სულ გამოიკითხა 80 რესპონდენტი: ფოთში – 39 (48,75%), ბათუმში – 23 (28,75%), თბილისში – 18 (22,5%). რესპონდენტების ასაკი: 25 წლამდე – 14 (17,5%), 25-50 წლის – 38 (47,5%), 50-ზე ზევით – 28 (35%). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 42 (52,5%) მდედრობითი და 38 (47,5%) მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა. 71 (88,75%) რესპონდენტი უმაღლესი განათლებით იყო, ხოლო 35 (43,75%) დასაქმებული.

რესპონდენტების შერჩევა სამი ქალაქის იმ მოსახლეობაზე განხორციელდა, რომლებიც თეზის პრობლემატიკას მეტად თუ ნაკლებად იცნობდნენ. გამოიკითხა: 5 ექსპერტი, 5 ბათუმის პორტის ადმინისტრაციის თანამშრომელი, 3 ფოთის პორტის ადმინისტრაციის თანამშრომელი, 10 ფოთის მერიის თანამშრომელი, 20 სამივე ქალაქის განათლების სფეროს წარმომადგენელი და მოქალაქეები.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი სადაც დაფიქსირებულია მიღებული პასუხები, რაოდენობრივი განაწილების მიხედვით.

	კითხვა	დიახ		არა		არ ვიცი	
1	ხართ თუ არა ფოთში თეზის შექმნის მომხრე?	65	81,3%	10	12,5%	5	6,3%
2	ექნება თუ არა შედეგი ფოთში თიზის განვითარებას ?	52	65,0%	17	21,3%	11	13,8%
3	გაქვთ თუ არა ინფორმაცია თეზების დადებით ან უარყოფით მხარეებზე?	76	95,0%	4	5%	0	
4	როგორ ფიქრობთ, გექნებათ საშუალება განახორციელოთ ეკონომიკური საქმიანობა ფოთის თიზში?	31	38,8%	41	51,3%	8	10,0%
5	ჩააყენებს თუ არა ფოთის თიზი ქვეყნის სხვა რეგიონებს უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში?	22	27,5%	13	16,3%	45	56,3%
6	შეიძლება თუ არა გახდეს თეზი ეთნოკონფლიქტების მოგვარების ერთერთი საშუალება?	65	81,3%	8	10,0%	7	8,8%

7. გთხოვთ მიუთითოთ რა დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს თეზი?



8. გთხოვთ მიუთითოთ რა უარყოფით შედეგს მოუტანს საქართველოს თეზი?



9. გთხოვთ მიუთითოთ რა დადებით შედეგს მოუტანს ფოთის თიზი?



10. გთხოვთ მიუთითოთ რა უარყოფით შედეგს მოუტანს ფოთს თიზი?



შედეგების ანალიზი: პირველ კითხვაზე პასუხისას „ხართ თუ არა ფოთში თეზის შექმნის მომხრე?“ მიღებული პროცენტული გადანაწილებიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (81,3%) მხარს უჭერს ქ. ფოთში თეზის გახსნას. მეორე კითხვაზე – „ექნება თუ არა შედეგი ფოთში თიზის განვითარებას ?“ პასუხებით ვიგებთ, რომ თეზს განვითარების პერსპექტივა აქვს (65%). მესამე კითხვაზე – „გაქვთ თუ არა ინფორმაცია თეზების დადებით ან უარყოფით მხარეებზე?“ პასუხით ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას თეზის სარგებლიანობა-არასარგებლიანობის შესახებ (76%). მეოთხე კითხვას –“როგორ ფიქრობთ, გექნებათ საშუალება განახორციელოთ ეკონომიკური საქმიანობა ფოთის თიზში?“ რესპონდენტებმა თითქმის თანაბარი პროპორციით უპასუხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მეორეს ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების იმედი არ აქვს. მეხუთე კითხვას –“ჩააყენებს თუ არა ფოთის თიზი ქვეყნის სხვა რეგიონებს უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში?“ 56,3%-ით პასუხობდნენ „არ ვიცი“ . ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოცემული რესპოდენტები თეზის რეგიონულ ზეგავლენებზე ინფორმაციას არ ფლობენ. მეექვსე კითხვაში –“შეიძლება თუ არა გახდეს თეზი ეთნოკონფლიქტების მოგვარების ერთერთი საშუალება?“ რესპონდენტთა

81,3%-მა დადებითი პასუხი გასცა, რადგანაც ნათესაური კავშირებით არიან შეზრდილი აფხაზეთთან და დევნილთა მნიშვნელოვანი წილიც სწორედ სამეგრელოზე მოდის. მეშვიდე კითხვაში –"გთხოვთ მიუთითოთ რა დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს თეზი?" რესპონდენტები თეზის პოზიტიურ მხარეზე პასუხობენ, ინვესტიციები, ეკონომიური განვითარება და დასაქმება თითქმის თანაბარი პროცენტული პასუხებით გამოიყო. ანუ გამოკითხულთა უმრავლესობა სარგებლის მომტანად თვლის თეზს. მერვე კითხვაში – ნარკომანიამ, შიდსმა, ზნეობის და ტრადიციების დაკარგვამ თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი მიიღო, როგორც საქართველოსთვის ნეგატიურმა ფაქტორმა. ეკოლოგიაზე ზემოქმედება რესპონდენტებს გაცნობიერებული აქვთ მიღებულ მონაცემზე დაყრდნობით (28,8%). ეს მონაცემები საქართველოსაც ზუსტად ისევე ეხება (28,8%). რაც შეეხება უშუალოდ ქ. ფოთს, მეცხრე კითხვაში – „გთხოვთ მიუთითოთ რა დადებით შედეგს მოუტანს ფოთს თიზი?" აქ პოზიტიურ შედეგად რესპონდენტებს მიაჩნიათ დასაქმება (62,5%). გამოკითხულთა 22,5% ქალაქისა და პორტის განვითარებაზე მიუთითებდა. ეს პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ ქ. ფოთის მოსახლეობამ შესაძლოა ორმხრივი მოგება ნახოს, როგორც პირადი ასევე საზოგადოებრივიც. ქ. ფოთზე თიზის უარყოფითი ზეგავლენა გამოხატულია მეათე კითხვაზე პასუხებში –"გთხოვთ მიუთითოთ რა უარყოფით შედეგს მოუტანს ფოთს თიზი?" პირველ რიგში დაეტყობა ტრადიციებს (42,5%), გაუარესდება ეკოლოგია (28,8%), და შეიქმნება ქალაქისგან დამოუკიდებელი ტერიტორია (15,0%). გამოკითხულთა დიდი ნაწილი აცნობიერებს, რომ თეზი შეცვლის ტრადიციულ დამოკიდებულებებს. ეს მსგავსადვე მოხდა XIX საუკუნეში, როდესაც ფოთის მოსახლეობა დიდად განსხვავდებოდა ახლომდებარე რაიონებისგან და ადამიანთა ურთიერთობებიც სხვა სახის იყო (ამ ფაქტს ადასტურებს ქართულ ლიტერატურაში ასახული მოვლენებიც). ეკოლოგიის გაუარესებაზე

მითითებას ჩვენს მიერ გამოკითხულები ლოკალურ მოვლენად აღიქვამენ (28,8%) და არა მთელი საქართველოს პრობლემად. ამაზე მეტყველებს მეშვიდე კითხვაში გაცემული პასუხები ეკოლოგიასთან დაკავშირებით. გამოკითხულები თვლიან რომ შეიქმნება ჩაკეტილი სივრცე, რომელიც ქალაქის მიღმა დარჩება და არ დაემორჩილება. კითხვარში ასევე მოცემულია პასუხი „სხვა“ (12%). რაც იმაზე მიუთითებს, რომ არსებობს კიდევ სხვა საფრთხეებიც.

თუ შევაჯამებთ თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგებს შევძლებთ ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი დასკვნა და მოსაზრებები.

-თეზი, როგორც ქ. ფოთის, ასევე საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისთვის შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ მოვლენად და მოსახლეობის დასაქმების ძირითად წყაროდ;

-მოსახლეობის აზრით, თეზი ასევე მნიშვნელოვანია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ეკონომიკური ზრდისთვის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის;

-მართალია თეზი ეკოლოგიურად ლოკალურ ტერიტორიებს დააზიანებს (ინვესტორები გაურბიან გარემოს დაცვისთვის ხარჯის გაწევას), მაგრამ ინვესტიციების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანი იქნება;

– თეზი ეკონომიკურ კეთილდღეობას მოიტანს, მაგრამ შეცვლის ტრადიციულ ურთიერთობებს, რაც მოსახლეობის ცნობიერებას კვალს დაატყობს და რაც გლობალიზაციასა და ურბანიზაციას ამა თუ იმ ფორმით მაინც მოაქვს;

ემპირიულად მიღებული მონაცემები, მოსახლეობის მოლოდინები, ემთხვევა სხვა ქვეყნების გამოცდილებით მიღებულ თეორიულ დაშვებებს და მიუთითებს თეზის ამოქმედებით გამოწვეულ სხვადასხვა საფრთხეებზე.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ თეზის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის აზრი და შეხედულებები ქალაქის და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებისას. თეზის ყველა კომპონენტის საჯაროდ განხილვა უნდა მოხდეს მოსახლეობასთან და არა მხოლოდ მატერიალური მოტივაციით მათი დაინტერესება

ამრიგად, თეზი არის საშუალება:

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა საგადასახადო და საბაჟო შეღავათების გზით;
- ექსპორტის განვითარების;
- ახალი ტექნოლოგიების შემოტანის;
- სამუშაო ადგილების შექმნის;
- დეპრესიული რეგიონების განვითარების;
- თეზის სარგებლიანობა დამოკიდებულია მათი ინტეგრაციის ხარისხზე ქვეყნის ეკონომიკაში;
- თეზი ინსტრუმენტია მსოფლიო და რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის;

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ სათანადო პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით და ფოთის თეზის წარმატებაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

Tamar Dolbaia,

World experience of Free Economic Zones and Georgia

Assistant Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Social and Political ?Sciences, Department of Social Geography

In this work the role of FEZ-s in globalization process of world economy and development of different countries economies, forms of FEZ-s and their functions in developed and developing countries and their role as one of the instruments in countries with transition economy in moving from one formation into another are considered.

This theme is actual for Georgia too, who is trying to develop it's economy by basing upon economies of different countries. Opening FEZ in Poti is an effort of doing so. In XIX century in Georgia forerunner of FEZ, Porto Franco was operating near Poti in Kulevi (Redut – Kale), as a result of it's 10 years of functioning it started to break up of feudal formation, as a result credit system was activated, commercial banks were created and Kulevi and Tbilisi became very important centers in Transcaucasus for storing goods. Now in the beginning of XXI century FEZ of Poti is considered as a mean for including Georgia in global economy, bringing foreign investments, developing export, bringing new technologies, creating new jobs, developing depressive regions.

We conducted a research, whose purpose was to study population's opinion on FEZ. Research was carried out in three cities: Tbilisi, Batumi, Poti. 80 respondents were questioned. Analysis of results showed that declared expectations of government coincides with population's expectations. People are looking at FEZ with hope

as a mean for economic growth, creating new jobs, developing of infrastructure, but they consider that it will change traditions and worsen ecology. Despite that FEZ is an opportunity for getting out of poverty.

World experience showed that FEZ can be successful only considering proper political, economical and ecological contexts and success of Poti FEZ depends on that.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა:

1. Paul knox and John Agnew, The geography of the world economy, 1998
2. Савин В.А. О свободных экономических зонах, «Менеджмент в России и за рубежом», №6/1999
3. Дергачев В.А. Свободные экономические зоны, «Международные экономические отношения», учебник, глава №9.
4. Гугушвили П. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв. Тб,1958
5. www. presa.ge
6. www.akdi.ru
7. www. irtp.com

მაკა დოლიძე

XXს-ის პირველი ნახევრის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ასახვა ჟურნალ „ერში“

XX ს-ის დასაწყისში საქართველოში ცარიზმის პოლიტიკის შედეგად,მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ხალხის მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსებოდა. საკმაოდ იყო მომზადებული იდეური გარემო კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მეფის მოხელეები მკაცრ ზომებს იღებდნენ. ციხეები სავსე იყო პატიმრებით. დაპატიმრებულებს გაუსამართლებლად ასახლებდნენ საქართველოდან. საქართველოს მოწინავე საზოგადოება წინააღმდეგობას უწევდა მეფის მოხელეთა შემოტევებს, ხალხს მოუწოდებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ინტელიგენციის მცირე ნაწილი უიმედობამ შეიპყრო, ჩამოშორდა რევოლუციას, მტრის ბანაკს მიაშურა და მოღალატეობის გზას დაადგა.

„ის დრო იყო, როცა მინელდა რუსეთის პირველი რევოლუცია, – წერდა გიორგი გვაზავა, – და რეაქციამ წამოჰყო თავი, ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას გადაეფარა უფრო მეტი სიბნელე.ამ სიბნელეში ამოძრავდნენ ჩვენი მეტოქე ძალები და ხიფათს უქმნიდნენ ჩვენს დედაქალაქს – ერობის შემოღების სახით. ამ ვითომდა დემოკრატიული რეფორმით უნდოდათ თბილისი ამოეჭრათ საქართველოს წიაღიდან და გადაეცათ არაქართველების ხელში. საჭირო იყო ხმის ამოღება“(1). და მართლაც, ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა შეძლო ხმის ამოღება და მკაცრად გაილაშქრა ამ რეფორმის წინააღმდეგ. მათ 1909 წელს თბილისში დააარსეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიდუმლო ჯგუფი“... „ ... 1909 წელს პეტრე სურგულაძემ, – წერდა გივი კობახიძე, –

სხვა გამოჩენილ პირებთან ერთად თბილისში დააარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ჯგუფი „, რომლის საქმიანობა დიდხანს არ დარჩა საიდუმლოდ და უკვე 1910 წელს კი ჯგუფი დაიქსაქსა“ (2).

ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: პეტრე სურგულაძე, გიორგი გვაზავა, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, გივი დეკანოზიშვილი, ლეო კერესელიძე და სხვ. ამ ჯგუფმა ითავა ილიას იდეების დაცვა და ხალხში პროპაგანდა.

1909წლის 13 სექტემბერს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიდუმლო ჯგუფმა“ გამოსცა ჟურნალი „ერი“, რომელმაც ენერგიული ბრძოლა გააჩაღა ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის.

თუმცა არსებობს სხვა აზრი ჟურნალის გამოცემის შესახებ. გაზეთ“სახალხო განათლებაში“ დაიბეჭდა წერილი „პეტრე სურგულაძე“, სადაც აღნიშნულია, რომ ჟურნალი „ერი“ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიდუმლო ჯგუფმა“ გამოსცა 1908 წელს. ამავე აზრს ავითარებს 1931 წლის ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და ჟურნალ „ერის“ წამყვანი თანამშრომელი გიორგი გვაზავა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მოსაზრება სწორი არ არის, რადგან „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიდუმლო ჯგუფი“დაარსდა 1909 წელს და, ამდენად ჟურნალს 1908 წელს ვერ გამოცემდა. ასევე, თუ გადავხედავთ ჟურნალ „ერს“ შევამჩნევთ წარწერას, რომ იგი გამოვიდა 1909 წლის 13 სექტემბერს. არსებობს საარქივო მასალებიც, სადაც წერია, 1909წლის 14 იანვარს პეტრე სურგულაძემ განცხადებით მიმართა თბილისის გუბერნატორს, რათა ნება მიეცათ გამოეცა ჟურნალი „ერი“.

„ერი“ იყო ეროვნული მიმართულების ჟურნალი. მასში თანამშრომლობდნენ კიტა აბაშიძე, ალ.ყიფშიძე (ფრონელი), ფილ.გოგიჩაიშვილი, აკაკი, ვაჟა, ნ. ლორთქიფანიძე, ზ.ედილაშვილი (ედილი), ალ.შანშიაშვილი და სხვ.ჟურნალის მიზანი იყო ბრძოლა სოციალურ-

პოლიტიკური, ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის წინა პლანზე წამოწევისათვის. ჟურნალის პირველივე გვერდზე აღნიშნული იყო, რომ „ქართველი ერი ამ ასი წლის განმავლობაში განიცდის დაქუცმაცების ხანას და, ვინ იცის, თავს როდის დააღწევს იმ მრავალგვარ მიზეზებს, რომელნიც მის ნორმალურ ზრდას და განვითარებას ხელს უშლიან...“ (5). და სწორედ ამიტომ იყო, რომ ჟურნალმა გამოსვლისთანავე მიზნად დაისახა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა.1909 წელს გამოვიდა ჟურნალის ორი ნომერი. მეორე ნომრის გამოსვლის შემდეგ იგი დახურეს და თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებებით.

1910 წლის 7 თებერვალს ჟურნალი „ერი“ აღადგინეს. მისი პროგრამა იგივე დარჩა, როგორიც 1909 წელს იყო. იგი შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისაგან: 1)საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვა; 2)ფელეტონები საჭირბოროტო საკითხებზე; 3)კვირის განმავლობაში მომხდარი ფაქტების, მოვლენებისა და შემთხვევების ქრონიკა; 4)ლექსები, მოთხრობები, სცენები და პიესები; 5)მოგონებები და მემუარები; 6) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 7)ხელოვნება – თეატრი და მუსიკა; 8)წერილები და კორესპონდენციები; 9)განათლება და მეცნიერება; 10)განცხადებები. ჟურნალის პუბლიცისტიკა მრავალფეროვანია.ეხება სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ისტორიულ და იმ პერიოდის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს.ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მასალებში თუ სევდიანი გრძნობა სჭარბობდა, მეორეში პირიქით, უფრო ოპტიმისტური განწყობა იგრძნობოდა და მკითხველს პირდაპირ მოუწოდებდა დამოუკიდებლობისაკენ. „ჩვენმა გაბედულებამ ძლიერ იმატა, – წერდა მ.წერეთელი, – ერთ წერილში შავი დიდი ასოებით იყო ნახსენები რუსების საქართველოდან გასვლისა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის აუცილებლობა“ (6). რაც შეეხება 1910 წელს გამოცემულ ჟურნალ „ერს“ იქ პირდაპირ იყო მინიშნებული, რომ რუსეთის მთავრობამ ბევრ ერს ისე შეუხუთა

სული, რომ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ ერებს შორის საქართველოც მოიაზრებოდა.

ჟურნალ „ერის“ რედაქცია ყოველნაირად იბრძოდა იმდროინდელი პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი ცდილობდა საზოგადოების გამოფხიზლებას. მან კარგად იცოდა, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკა აბრკოლებდა ქართული ენისა და კულტურის განვითარებას და ცდილობდა ქართველი ხალხის გადაგვარების გზაზე დაყენებას, მათი სარწმუნოების შებილწვას, იბრძოდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ეროვნული ერთიანობის წინააღმდეგ,სხვადასხვა ხრიკებს მიმართავდა და ცდილობდა მათ შორის შურისა და მტრობის გაღვივებას

„არ გვეყო, რომ ქართველობა სარწმუნეობრივმა სხვადასხვაობამ დააქუცმაცა, – ვკითხულობთ „შინაურ მიმოხილვაში“, ახლა მაჰმადიან ქართველებს ეუბნებიან, თქვენ ქართველები არა ხართო,ქართული წერა-კითხვა არ უნდა ისწავლოთო, გაგონილა ასეთი ძალდატანება. ქობულეთელი ან აჭარელი ქართველი არაა. მაშ ვინაა ბრძანეთ“ (7). როგორც ცნობილია, რუსული პოლიტიკის გასატარებლად ეკლესია ერთ-ერთი შესაფერისი ორგანო იყო. მისი საშუალებით ქართული ენის დევნას მიჰყვეს ხელი. ქართულ ეკლესიას უფლებები ჩამოართვეს, ეკლესიის სათავეში ჩინოვნიკები დასვეს, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აკრძალეს.

ჟურნალ „ერში“ დაიბეჭდა მიმოხილვა,სადაც საუბარია, სოფელ თიღვში ოსი მღვდლის დანიშვნის შესახებ, რომელსაც წირვა-ლოცვა სლავიანურ ენაზე მიჰყავდა. ამ ფაქტმა სასტიკად აღაშფოთა,როგორც მრევლი, ასევე ჟურნალის რედაქცია. ორი ათასი წლის განმავლობაში მათ წირვა მშობლიურ ენაზე ესმოდათ, ახლა კი მათთვის გაუგებარ ენაზე წირავდნენ (8). საქართველოს ეკზარხოსის კანცელარიამ თავის გასამართლებლად წერილი გაუგზავნა თბილისის ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტს, სადაც ნათქვამია, რომ მღვდელმა ქართული კარგად იცის და ღვთისმომსახურებაც ქართულ ენაზეა, თუმცა მრევლთა უმრავლესობა ოსები არიან.

როგორც ვხედავთ, რუს მოხელეებს მიაჩნდათ, რომ ქართლის ცენ-ტრში, ქართულ ეკლესიაში, რადგანაც ოსების უმრავლესობა ოსები იყვნენ,შესაძლებელი იყო, წირვა არაქართულ ენაზე ყოფილიყო. რუს მოხელეებს ეს სავსებით აწყობდათ, რადგანაც ამ ფაქტს გამოიყენებდ-ნენ თავიანთ სასარგებლოდ და კიდევ უფრო გააქტიურებდნენ ბრძოლას რუსული პოლიტიკის გასატარებლად.

ჟურნალის რედაქცია უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ეროვნული ენა დაცემის გზაზე იდგა, სწავლა-აღზრდა მათ მშობლიურ ენაზე არ ხდებოდა, დევნას განიცდიდა ქართული პრესა, თეატრი. თვით ცხოვრების პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ, რომ ლუკმა პურის შოვნა, წარჩინება და დაწინაურება შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსული ენის კარგად ცოდნით, მრავალი ქართველი რუსიფიკაციის გზაზე დააყენა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მალავდნენ და უარყოფდნენ მშობლიურ ენას, ერიდებოდნენ თავიანთ ენაზე ლაპარაკს. მეტიც ქართველი დედა შვილს ქართულ ნანას აღარ უმღეროდა, უცხოელებს მიანდო პირმშოს აღზრდა, რათა უცხო ენა შეესწავლა.

ქართველი მწერლები და პოეტები, რომლებიც მტკივნეულად განიცდიდნენ არსებულ მდგომარეობას, ცდილობდნენ ქართველ ერში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. აკაკი წერეთელი ლექსში „ქართ-ველ ქალს“ წერდა

„ნუ აჰყოლიხარ, ნუ მისდევ
იმ ჩვენ დღევანდელ ქალებსა,
რომ დაეძებენ სულ სხვაგან
საქვეყნო იდეალებსა!“...(9).

ჟურნალ „ერის“ რედაქციას დაუშვებლად მიაჩნდა ერის გადაგვა-რება. იგი მოუწოდებდა ქართველ ხალხს მეტ შეგნებასა და შემართე-ბას, მეტ თავმოყვარეობასა და შებღალული სახელის აღდგენას.

ჟურნალ „ერში“ პუბლიკაციების გარდა ხშირად იბეჭდებოდა ლექ-სები, მოთხრობები, ნოველები, რომლებიც ეხებოდნენ თავისუფალი საქართველოს პრობლემებს, მის მომავალს. ამ ნაწარმოებთა უმრავ-

ლესობა ვერ ჩაითვლება მხატვრული შემოქმედების ნიმუშად. ისინი დაწერილია უბრალო ენით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ჟურნალი ლიტერატურულ ღირებულებაზე უფრო მეტ ყურადღებას მნიშვნელოვანი პრობლემის წამოჭრასა და მის გადაწყვეტას აქცევდა. ცოტა თუ ბევრი, იბეჭდებოდა ისეთი სახის ნაწარმოები, რომლებიც როგორც თემატურად, ასევე ლიტერატურული მნიშვნელობითაც გამოირჩევა. ამ მხრის აღსანიშნავია აკაკის, ვაჟას, ბაჩანას ლექსები, ნ. ლორთქიფანიძის, კ.მაყაშვილის და სხვათა მოთხრობები. ამ ნაწარმოებებში წამოჭრილი პრობლემები იმ ეპოქის ტკივილი და გასაჭირი იყო. მაგალითად, მარიამ გარიყულის ნოველა „ჩვენება“ მოგვითხრობს განდეგილის შესახებ, რომელიც ყოველ დღე ლოცულობდა საქართველოს კეთილდღეობისათვის და ერთ დღეს ლოცვისას მან შენიშნა, რომ „აღარ ისმოდა შემზარავი მტრის სისინი, შემზარავი რამ ნაკვალევი – ისინი გაქრნენ, დარჩა რწმენა გამარჯვებული“ (10).

მ.გარიყული იმედის თვალით შეჰყურებდა საქართველოს მომავალს. მას სწამდა, დღეს თუ არა ხვალ იგი გათავისუფლდებოდა არსებული რეჟიმისაგან, ამისათვის კი აუცილებელი იყო თავისუფლებისათვის ბრძოლა.

სწორედ თავისუფლებისაკენ და რუსიფიკატორული პოლიტიკის დამხობისაკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს ნიკო ლორთქიფანიძე მინიატურაში „გარეული ბატი“, სადაც მოგვითხრობს დატყვევებული ბატის შესახებ,რომელიც გაფრენისას ძიგვებში ჩავარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც მოხარული იყო, რადგანაც თავისუფალი იყო. მწერალს ამით იმის თქმა უნდოდა,რომ, რაც გინდა კარგ პირობებში იყო, თავისუფალი თუ არა ხარ, ამას არავითარი ფასი არა აქვს. ბატის საქციელით გაკვირვებულ გლეხებს ნ.ლორთქიფანი- ძე ათქმევინებს „ნუთუ ბატიც უფრო ჭკვიანი იქნება ჩვენზე“ (11). ნიკო ლორთქიფანიძის მსგავსად, გიორგი გვაზავაც რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ მოუწოდებს ჟურნალ „ერის“ მკითხველებს. თუმცა იგი საუბრობს ჩეხეთისა და ავსტრიის მდგომარეობაზე, მაგრამ ამავე დროს

საინტერესოდ გვიხატავს საქართველოსა და რუსეთს (12). „არის ადგილი, რომელსაც ჰქვიან“თეთრი გორა“, – ვკითხულობთ სტატიაში, – ეს არის ისტორიული სამარე, სადაც დაიმარხა დიდება და თავისუფლება ჩეხიისა,– ეს არის მისი“კრწანისის ველი“ გიორგი გვაზავა აღნიშნავს, სწორედ ამ „კრწანისის ველს „ მოჰყვა საქართველოს დასუსტება, რომლის შედეგად გაფორმდა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

პრაღის ქუჩებს იგი ადარებს თბილისის „გოლოვინის პროსპექტს“, „სადაც ყოველი ქართველი მიაჩხაკუნებს თავის დამტვრეულ რუსულს და ქართულად ლაპარაკი კი ან არ შეუძლია, ან ეჩოთირება“.

გიორგი გვაზავა სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ცხოვრების გასანადგურებლად ყველაფერი კეთდებოდა. გააუქმეს ქართული ეროვნული ფული,ჩაჰფუშეს თავისუფალი ეკლესია, გაულვივეს თავადაზნაურო ბას ევროპულად დროსტარების სურვილი და მზადებას შეუდგნენ სამეგრელოსა და გურიის დამოუკიდებლობის მოსასპობად.

თბილისის სასამართლოს პროკურორი ამ სტატიის შესახებ წერდა, სტატიიდან ჩანს, რომ ავტორი საქართველოს ისე უყურებს, როგორც ქვეყანას, რომელიც ვალდებულია აღიდგინოს თავისი ეროვნული ძალაუფლება და განთავისუფლდეს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან. და მართლაც, სტატიის მიზანი სწორედ ეს იყო. თუმცა სტატიის დასაწყისში გიორგი გვაზავა აღნიშნავდა „მე არა მაქვს განზრახვა გავატარო რაიმე პარალელი საქართველოს და ჩეხიის შორის, მაგრამ უჩემსიტყვოდაც ზოგიერთი მომენტები მისი ცხოვრებისა გასაკვირველად გვაგონებს ჩვენსავე ცხოვრებას, ჩვენ მიერ გამოვლილ იმედების თუ მწუხარების წამებას.“

სწორედ ეს სტატია გახდა ჟურნალის დახურვის მიზეზი. 1910 წლის 1 ივნისს ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტში აღიძრა საქმე გ. გვაზავას „ჩეხიას“კონფისკაციისა და გ. გვაზავასა და პ. სურგულაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

1910 წლის 19 სექტემბერს ჟურნალი „ერი“ დახურეს. გიორგი გვაზავასა და პეტრე სურგულაძეს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. პეტრე სურგულაძე ემიგრაციაში წავიდა. ამიტომ იგი დაუსწრებელი განჩინებით გაასამართლეს. ჟურნალ „ერის“ დახურვასთან ერთად დაიქსაქსა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საიდუმლო ჯგუფი“. მეფის ჟანდარმერიამ ბევრი დააპატიმრა, გადაასახლა და ბევრიც ციხეებში გამოკეტა. პეტრე სურგულაძემ და რამოდენიმე სხვამ თავს უშველეს ჟენევაში გაქცევით.

ჟურნალის უკანასკნელი ნომერი გამოვიდა სოფრომ მგალობლიშვილის რედაქტორობით 1910 წლის 21 ნოემბერს და მიუხედავად იმისა, რომ ს. მგალობლიშვილი ჟურნალ „ერის“ მხოლოდ ერთ ნომერს რედაქტორობდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოიხსენიება, როგორც ჟურნალის რედაქტორი, ხოლო პეტრე სურგულაძე გაკვრით არის ნახსენები. არადა პეტრე სურგულაძე ჟურნალ „ერის“ არა მარტო გამომცემელ-რედაქტორი იყო, არამედ სულისჩამდგმელიც. იგი სწორედ ამ ჟურნალის ფურცლებიდან იბრძოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის დამხობისა და საქართველოს თავისუფლებისათვის.

Abstract

Maka dolidze, GN.U assos professor

Coverage the political situation of the first period in XX century in the magazine „Eri“

The vector of our research is directed to the political situation of the first period in XX century. The evaluation of this period by magazine „Eri“ is espesialy important, because `Eri~ was the national magazine and there worked famous Georgian writers and publicists. They published letters, articles and corespondences about the situation in Georgia that time. The editor of this magazine was Petre Surguladze. He was qvuite an interest-ing person and figure with diverse areas of expertise. But in spi- te of his merits, hi is not widely-known.

გამოყენებული და ციტირებულილიტერატურა:

1. გაზ.“სახალხო განათლება“, 1989 წლის 13 დეკემბერი;
2. გაზ.“თბილისი“, 1990 წლის 6 ოქტომბერი;
3. გაზ.“სახალხო განათლება“, 1989 წლის 13 დეკემბერი;
4. საქ. რესპ. ცენტ. სახ. არქივი, ფონდი 480, აღწ. 371, საქმე 28, ფურც. 2;
5. ჟურნ. „ერი“ №1, 1909 წელი, გვ. 1;
6. გაზ.“სახალხო განათლება“, 1989 წლის 13 დეკემბერი;
7. ჟურნ.“ერი“ №1, 1909 წელი, გვ. 14;
8. ჟურნ.“ერი“ №1, 1909 წელი, გვ. 10
9. ჟურნ.“ერი“ №16, 1910 წელი, გვ. 3
10. ჟურნ.“ერი“ №1, 1910 წელი, გვ. 4
11. ჟურნ.“ერი“ №2, 1909 წელი, გვ. 7
12. ჟურნ.“ერი“ №№4-9, 1910 წელი

მაია კალანდარიშვილი

სამომხმარებლო არჩევანის ფსიქოლოგიური დეტერმინანტები

21-ე საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლისა და რეკლამის ფსიქოლოგია, მარკეტოლოგებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მომხმარებლის მყიდველობითი ქცევის განჭვრეტა და იმ ფსიქოლოგიური დეტერმინანტების განსაზღვრა, რომელიც უბიძგებს მომხმარებელს შეიძინოს ესა თუ ის პროდუქტი.

მე-20 საუკუნეში შემოიღეს ბაზრის სეგმენატაციის ტერმინი. მარკეტინგული სეგმენტაციის ძირითადი სახეებია:

- გეოგრაფიული
- დემოგრაფიული
- ფსიქოლოგიური

მომხმარებლის ფსიქოლოგიის მკვლევარების განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ბაზრის ფსიქოლოგიური სეგმენტაციის პრობლემა.

ფსიქოლოგიური სეგმენტაცია არის ბაზრის სეგმენტაციის კიდევ ერთი და ძალზე მნიშვნელოვანი სახე, რომლის დროსაც ადამიანი განიხილება როგორც უნიკალური და დამოუკიდებელი არსება და მისი შესწავლა ხდება მრავალმხრივ. ბაზრის სეგმენტაციის ამ ტიპს ხშირად ფსიქოგრაფიულ ან ცხოვრების სტილების მიხედვით სეგმენტაციას უწოდებენ.

ამასთან ერთად, ეს მიდგომა ემყარება ისეთ ფუნდამენტურ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს როგორიცაა მოტივაცია, აღქმა, პიროვნული ტიპები, სწავლება, აგრეთვე განწყობათა ჩამოყალიბება და ცვლა. ამგვარი მიდგომის მიზანია იმის გაგება თუ რა ამოძრავებს მომხმარებელს მსყიდ-

ველობითი ქცევის დროს. აგრეთვე ისეთი ინდივიდუალური პროფილის შემუშავება, რომელიც გამოხატავს მიზნობრივი მომხმარებლის არსს.

ჩვენი გამოკვლევის მიზანი იყო ქართული სამომხმარებლო ბაზარის შესწავლა და მისი გარკვეული ფსიქოლოგიური დეტერმინანტების განსაზღვრა

რეკლამის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პროდუქციის რეალიზაცია. საბოლოო ჯამში უმთავრესი მიზანია ის, რომ მომხმარებელმა შეიძინოს რეკლამირებული პროდუქტი ან ისარგებლოს მათი მომსახურებით. ამის მისაღწევად უკანასკნელ ხანებში მრავალი კვლევა ჩატარდა რის შედეგადაც რეკლამის ფსიქოლოგიამ მომხმარებელზე ზემოქმედების მრავალი მექანიზმი შეიმუშავა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ინტერესის საგანი იყო ყიდვის ქცევის გარკვეული ობიექტური და სუბიექტური დეტერმინანტების შესწავლა, კერძოდ, ობიქტურ დეტერმინანტად ავიღეთ, მომხმარებელზე რეკლამის ზემოქმედების კვლევა და იმის განსაზღვრა თუ რა სახის გავლენას ახდენს იგი. ანუ პროდუქციის არჩევისას არის თუ არა მომხმარებელის არჩევანი განპირობებული რეკლამის ზემოქმედებით (ბრენდის ზემოქმედება, მისი დიზაინი და ა.შ.). ხოლო სუბიექტურ დეტერმინანტებად ავიღეთ მომხმარებელთა გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევებმა ცხადყო, რომ რესპოდენტთა მხოლოდ 13% აღიარებს, რომ რეკლამა ძალიან ძლიერ ზეგავლენას ახდენს მათ მყიდველობით ქცევაზე, ხოლო 48% დარწმუნებულია, რომ ის ზეგავლენას სხვებზე ახდენს.

ადამიანის ფსიქიკური პროცესების შესწავლა წარმოადგენს ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითად ამოცანას. რეკლამის ფსიქოლოგიაში ეს პროცესები შეისწავლება ძირითადად იმის გამო, რათა შეიქმნას ფსიქოლოგიურად და კომერციულად უფრო ეფექტური რეკლამა. ამ შემთხვევაში ფსიქიკური პროცესები განიხილება და იკვლევა, როგორც მომხმარებელზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება.

ფსიქიკური პროცესების ანალიზი რეკლამაში უნდა გაკეთდეს უშუალოდ სარეკლამო მასალებზე დაყრდნობით, რომელიც შეიძლება იყოს სარეკლამო საქმიანობის ნებისმიერი პროდუქტი. ბილბორდები, სტიკერები, პლაკატები, სარეკლამო განცხადებები, მაკეტები, სტატიები პრესაში, ბუკლეტები, ლოგოტიპები, ვიდეორგოლები, სარეკლამო სცენარები, ეტიკეტები და ა.შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ფსიქოლოგისათვის არის ის, რომ შეისწავლოს როგორ ვლინდება სპეციფიური ფსიქიკური პროცესები რეკლამასთან მიმართებაში.

რეკლამის ზემოქმედების და მისი ეფექტურობის შესწავლა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მომხმარებლის ფსიქიკური პროცესების შესწავლაზე.

შეგრძნებები განსხვავდებიან მოდალობებით, ანუ ანალიზატორთა იმ ტიპებით, რომლის მეშვეობითაც ისინი აღმოცენდებიან. გამოყოფენ გემოს, სუნის, ფერის, ბგერის და ა.შ შეგრძნებებს.

თითოეული გემოს შეგრძნების მიმართ ადამიანებს გააჩნიათ მგრძნობელობის ინდივიდუალური ზღურბლი. ხსნარი, რომელიც საკმაოდ მწარეა ადამიანთა გარკვეული კატეგორიისათვის ზოგიერთებს შეიძლება ტკბილადაც კი მოეჩვენოთ.

ამის გამო, ჩვენ ვივარაუდეთ რომ ამ ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტორსა და ბრენდის ზეგავლენის სიძლიერეს შორის გარკვეული მიმართება არსებობს. კერძოდ, გემოს შეგრძნების ზღურბლები შესაძლებელია წარმოადგენდეს ყიდვის ქცევის ერთ -ერთ შესაძლო სუბიექტურ დეტერმინანტს

ადამიანების ინდივიდუალობის ფაქტორი მნიშვნელოვანია მომხმარებლის ფსიქოლოგიაში. ერთ-ერთი თეორია რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არის კოგნიტურ სტილთა თეორია. როგორც ვიცით, კოგნიტური სტილი არის ინტელექტუალური სტრატეგიების ჩამოყალიბების ინდივიდუალურ-სტილური რეგულაციიის ფაქტორი, ინტეგრალური მახასიათებელი, რომელიც დაკავშირებულია სიტუაციებში რეაგირების ტიპთან ან მოქმედების ხერხის

შერჩევასთან, ადამიანის ქცევის სტრატეგიასთან ან სუბიექტის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესების სუბიექტურ თავისებურებასთან.

კოგნიტურ სტილთა რამოდენიმე სახეა ცნობილი:

ჩვენ ყურადღება გავამახილეთ იმპულსურობა/რეფლექსურობის კოგნიტურ სტილზე და ვივარაუდეთ რომ აღნიშნული კოგნიტური სტილი შესაძლებელია გახდეს ასევე მომხმარებლის არჩევანის ერთ—ერთ ფსიქოლოგიური დეტერმინანტი.

როგორც პიროვნების და ასევე მომხმარებლის არჩევანი მოიცავს რთულ ფსიქიკურ პროცესებს და მათი კორელაცია რაიმე პროდუქტთან ან ბრენდთან მნიშვნელოვანია მარკეტოლოგებისათვის და მომხმარებლის ფსიქოლოგებისათვის.

პიროვნულ მახასიათებელთა თეორია ეფუძნება ემპირიულ მონაცემებს. მისი მიზანია პიროვნული მახასიათებლების გამოვლენა და გაზომვა ექსპერიმენტული, სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების მეშვეობით.

ამ სფეროში ერთ-ერთი ძირითადი თეორეტიკოსი არის რაიმონდ კეტელი. მის თეორიაში ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი რომელსაც იგი ემყარება არის ფაქტორული ანალიზი. იგი მიეკუთვნება სტატისტიკურ პროცედურას და საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მრავალფეროვანი და სტრუქტურირებული ინფორმაცია. კეტელის პიროვნული კითხვარი, არის თექსვსმეტფაქტორიანი კითხვარი, რომლის მეშვეობითაც იგი აფასებს ადამიანებს და იღებს მათ პიროვნულ პროფილებს.

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ზოგიერთი პიროვნება თავისი ინდივიდუალურ-პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე ნაკლებად უნდა ექვემდებარებოდეს რეკლამისა და ბრენდის ზეგავლენას. ამის გამო ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია თუ რა პიროვნული ფაქტორების მატარებლები არიან ადამიანები რომლებიც ექცევიან ზეგავლენის ქვეშ და პირიქით.

კომპანიები, რომლებიც ატარებენ სარეკლამო და მარკეტინგულ კვლევებს ცდილობენ მოიპოვონ იდეები პროდუქტის განსავითარებლად

მომხმარებელთა გამოკითხვის საშუალებით. ისინი იყენებენ მრავალ-ფეროვან წერით და ვიზუალურ მეთოდიკებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევაღწიოთ არაცნობიერ პროცესთა სფეროში.

ამ დრომდე მომხმარებლის კვლევის მრავალი მეთოდი გამოიყენებოდა. მაგ: ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ და მიღებული შედეგების საფუძველზე იქმნებოდა ბიზნეს გეგმები და რეკლამები, მაგრამ მკვლევარებმა შეამჩნიეს, რომ მიღებული შედეგები ყოველთვის არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რადგან მონაწილენი აყალიბებდნენ აზრებს იმ კუთხით, რომელიც ყველაზე მისაღები იყო მათთვის. ამიტომ ფსიქოლოგების წინაშე დადგა ამოცანა, გაეგოთ თუ რას ფიქრობს მომხმარებელი სინამდვილეში. რის შედეგადაც შემუშავდა სპეციალური მეთოდი მომხმარებლის კვლევისათვის. მეთოდის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გამოავლინო სუბიექტის ქცევის მიზეზი. ხშირად ეს მიზეზები არაცნობიერია და მათი გაგება საკმაოდ რთულია. ამ სიტუაციაში მკვლევარებს ეხმარება პროექციული მეთოდები და მისი შემადგენელი მეთოდიკები. რომლებიც ააშკარავებენ პიროვნების აზრებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც არსებობენ არაცნობიერ დონეზე.

პროექციული ტესტი მოდის ლათინურიდან „projection“ და წინ გასროლას ნიშნავს“. ის არის პიროვნების კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. ეფუძნება ექსპერიმენტის მონაცემებიდან პროექციის გამოვლენას მისი მომდევნო ინტერპრეტაციით. პროექციის ფსიქოლოგიური მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში: სუბიექტი არაცნობიერად მიაწერს სხვა ადამიანებს საკუთარ არაცნობიერ აზრებს, განცდებს, თვისებებს და მოტივებს. პირველად ეს ცნება გამოიყენა ფროიდმა და იგი პროექციაში გულისხმობდა სუბიექტის მიერ უკუგდებულ სოციალურად მიუღებელ სურვილებსა და ტენდენციებს. ფროიდთან პროექცია გამოდის, როგორც დაცვის ფსიქოლოგიური მექანიზმი. რომელიც ადამიანს იცავს ამ ტენდენციების გაცნობიერებისაგან.

პროექციის უფრო ფართო გაგება ნიშნავს. იმას რომ ადამიანი აღიქვამს გარე სამყაროს და სხვა ადამიანებს საკუთარი მოთხოვნილებებიდან და პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე.

პროექციული მეთოდიკების მრავალი სახე არსებობს მაგალითად: რორშახის და ჰოლცმანის ტესტები,

აგრეთვე აღსანიშნავია ზონდის პროექციული ტესტი, რომელსაც უტარებდნენ სხვა და სხვა რასის, სქესის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებს – სკოლის მოსწავლეებს, დამნაშავე მოზარდებს, პატიმრებს, სამღვდელოების წარმომადგენლებს, ადგილობრივ მოსახლეობას, კოლეჯის სტუდენტებს და ა.შ

პროექციული მეთოდიკა ჩვენ გამოვიყენეთ ცდის პირთა არაცნობიერი ტენდენციების გამოსავლენად და იმის დასადგენად თუ რა არაცნობიერი ტენდენციების მქონე ადამიანები ექცევიან რეკლამის ზეგავლენის ქვეშ. რამდენადაც, ჩვენი ვარაუდით, ადამიანები რომლებიც ექცევიან რეკლამის ზეგავლენის ქვეშ გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლებით განსხვავდებიან ადამიანებისაგან, რომლებიც ნაკლებად განიცდიან ამ ზეგავლენას.

ამრიგად, ჩვენი მიზანია სამომხმარებლო ბაზრის ფსიქოლოგიური სეგმენტაციის გარკვეული დეტერმინანტების გამოვლენა და მათი მიმართების დადგენა მომხმარებლის მსყიდველობით ქცევასთან. კერძოდ, იმის გარკვევა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ბრენდი მომხმარებელზე. რა განაპირობებს მომხმარებლის არჩევანს, რეკლამა თუ მომხმარებლის ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

ამასთან, ჩვენი საკითხი იყო სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტაციის განსაზღვრა სხვადასხვა დონეზე. კერძოდ:

- **ფსიქოფიზიოლოგიური დონე (გემოს შეგრძნების ზღურბლები)**
- **კოგნიტური დონე (იმპულსურობა/რეფლექსურობის კოგნიტურ სტილი)**

- **პიროვნული მახასიათებლების მიხედვით (კეტელის ტესტი)**
- **არაცნობიერი დონე (ზონდის ტესტი)**

ექსპერიმენტების აღწერა და ანალიზი

1. **ექსპერიმენტი№1 („Hall Test“)**

ექსპერიმენტი ჩატარდა 50 ცდისპირზე.

მასალა: ნატახტარისა და ყაზბეგის მსხლის ლიმონათი

I სერია: ბრმა ტესტი

ექპერიმენტული პროცედურა: ცდის პირებს ვაწვდიდით ერთნაირ ჭურჭელში ჩასხმულ ერთი და იგივე ტემპერატურის მქონე ლიმონათებს და ვასინჯებთ მათ თანმიმდევრობით. ამ დროს არ ვუსახელებთ სასმელების სახელწოდებას და მათ არ იცოდნენ რას სინჯავენ პირველად.

ცდისპირების ნახევარს პირველად ვასინჯებთ ყაზბეგის, ხოლო მეორედ-- ნატახტარის ლიმონათს. მეორე ნახევარს კი პირიქით თავდაპირველად ვაძლევთ ნატახტარს და შემდეგ ყაზბეგს ანუ ცდისპირები იყოფოდა ორ ქვეჯგუფად.

სასმელის გასინჯვის შუალედში ვაძლევთ სუფთა წყალს, რათა პირველი სასმელის გემო განეიტრალდეს. ამის შემდეგ ვუსვამდით კითხვას თუ რომელი სასმელი უფრო მოეწონათ. პასუხებს ვინიშნავდით სპეციალურ ბლანკში.

II სერია: ღია ტესტი

ექპერიმენტული პროცედურა: სასმელს ცდისპირების თვალწინ ვასხამთ ეტიკეტიანი ბოთლებიდან, ისე რომ ცდისპირმა იცოდეს როდის რა სასმელს სინჯავს. ამ შემთხვევაშიც ცდისპირების ნახევარს პირველად ვასინჯებთ ყაზბეგის, ხოლო მეორედ ნატახტარის ლიმონათს. მეორე ნახევარს კი პირიქით თავდაპირველად ვაძლევთ ნატახტარს და

შემდეგ ყაზბეგს. და კვლავ ვუსვამთ შეკითხვას: „რომელი სასმელი უფრო მოგწონთ?“ პასუხებს ვინიშნავთ სპეციალურ ბლანკში.

III სერია: ცნობიერი არჩევანი

ექპერიმენტული პროცედურა: იგივე ცდისპირებს ექსპერიმენტიდან ორ დღიანი ინტერვალის შემდეგ ვუსვამთ კითხვას: ზოგადად, რომელი სასმელი უფრო მოსწონდათ---ნატახტარის, თუ ყაზბეგის მსხლის ლიმონათი?

ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი

I (ბრმა ტესტი), II (ღია ტესტი) და III (ცნობიერი არჩევანი) სერიებს შორის გამოვთვალეთ კორელაციის კოეფიციენტები და მივიღეთ შემდეგი მონაცემები. სამივე დონეზე კორელაცია სანდო აღმოჩნდა:

I სა და II სერიებს შორის კორელაციის f კოეფიციენტი ტოლი იყო **0.48 *P*<0,05**

რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანების არჩევანი „ბრმა“ და „ღია“ ტესტებს შორის სტაბილურობით ხასიათდება. კერძოდ, ცდისპირთა ნაწილი ირჩევს ერთსა და იმავე პროდუქტს, იმისდა მიუხედავად ხედავს თუ არა ბრენდის ეტიკეტს რეალურად. ხოლო ნაწილი, ცვლის არჩევანს ბრენდის ზემოქმედების შედეგად.

I სა და III სერიებს შორის კორელაციის f კოეფიციენტი ტოლი იყო**0.64 *P*<0,05** რაც იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანების არჩევანი „ბრმა“ და „ცნობიერი არჩევანის“ სერიებს შორის ასევე გარკვეული სტაბილურობით ხასიათდება. კერძოდ, ცდისპირთა უმეტესი ნაწილი იმავე ბრენდის უპირატესობას აფიქსირებს, რომელსაც ირჩევს ბრმა ტესტში. უფრო მცირე ნაწილი---კი განსხვავებული ბრენდის უპირეტესობას აფიქსირებს, ვიდრე არჩევს ბრმა ტესტში.

II სა და III სერიებს შორის კორელაციის f კოეფიციენტი ტოლი იყო **0.51** ***P*<0,05**

რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანების არჩევანი „ღია“ და „ცნობიერი არჩევანის“ სერიებს შორის ასევე სტაბილურობით ხასიათდება. აქაც, ცდისპირთა ნაწილის არჩევანი ბრენდის ზემოქმედების შედეგად, შეესაბამება ცნობიერ არჩევანს, ნაწილისა კი---განსხვავებულია.

ექსპერიმენტის შედეგებიდან გამომდინარე, ცდის პირები დავყავით ორ ქვეჯგუფად: **I-- ქვეჯგუფი** ე.წ. „მყარი“ ცდისპირები, რომელებიც არ ცვლიდნენ ბრენდის არჩევანს,ექსპერიმენტის სხვადასხვა სერიაში. და II- **ქვეჯგუფი** „არამყარი“ ცდისპირები, რომლებმაც შეცვალეს არჩევანი განსხვავებულ ექსპერიმენტულ პირობებში.

ექსპერიმენტი №2. გემოს მოდალობის დიფერენციალური ზღურბლის გაზომვა უმცირეს სხვაობათა მეთოდით

ექსპერიმენტი ჩატარდა 50 ცდისპირზე (იგივე ექპერიმენტული ჯგუფი)

მასალა: შაქრის ხსნარები

ცდისპირს ვაძლევდით შაქრიან წყალს გასასინჯად, რომელშიც შაქრის კონცენტრაცია არის ერთ ლიტრ წყალზე 5 გრამი შაქარი. ეს არის ეტალონური ხსნარი. ამის შემდეგ ვაძლევთ სუფთა წყალს გემოს გასანეიტრალებად. შედეგ ვაძლევთ ტესტ ხსნარს რომლის შემცველობა არის ერთ ლიტრ წყალში 0.8 გრამი შაქარი და ვთხოვთ შეადარონ ეტალონურ ხსნარს. პასუხს ვინიშნავთ სპეციალურ ბლანკში.

ექსპერიმენტი ჩატარდა **ექვს სერიად**. თითოეულ სერიაში ხორციელდებოდა ერთიდაიგივე პროცედურა, იმ განსხვავებით, რომ ტესტ ხსნარს თითოეულ სერიაში ემატება 0.8 გრამი შაქარი ერთ ლიტრ წყალზე.

ფიქსირებოდა სხვაობის ზღურბლი ეტალონ ხსნარსა და ტესტ ხსნარს შორის.

ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი



დიფერენციალურიზღურბლის გაზომვის ექსპერიმენტში, რომელიც ექვსი სერიისაგან შედგებოდა, გვაინტერესებდა რომელ სერიაში აღმოაჩენდნენ ცდისპირები განსხვავებას ეტალონ ხსნარსა და ტესტ ხსნარს შორის. აღმოჩნდა, რომ „მყარი“ ცდისპირები განსხვავებას პირველივე სერიაში ამჩნევდნენ, ხოლო „არამყარები“ მხოლოდ მესამე სერიაში.(გრაფიკი№1)

<u>გრაფიკი№1</u>

დასკვნები: ექპერიმენტული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია **დავასკვნათ**, რომ ცდისპირები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ბრენდის ზეგავლენას, ხასიათდებიან უფრო მგრძნობიარე დიფერენ-ციალური ზღურბლით, განსხვავებით იმ ცდისპირებისაგან, რომლებიც

ბრენდის ზეგავლენით ცვლიან პროდუქტის არჩევანს. ამრიგად, სხვაობის ზღურბლის მგრძნობიარობა არის მომხმარებლის არჩევანის სტაბილურობის ერთ-ერთი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტი. ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

ექსპერიმენტი № 3 კოგნიტურ სტილთა გამოკვლევა (კაგანის მიხედვით)

ექსპერიმენტი ჩატარდა 50 ცდისპირზე (იგივე ექპერიმენტული ჯგუფი)

მასალა: კაგანის სურათების 12 წყვილი.

ექპერიმენტული პროცედურა: ძირითადი ტესტირების დაწყებამდე, ცდის პირს წინასწარ ვთავაზობდით ნახატების წყვილს გასავარჯიშებლად. ამ დროს არ ხდება დროის ფიქსირება და ეს იყო მხოლოდ შესავალი ძირითადი ტესტისათვის.

ძირითად ეტაპზე ცდის პირს ვთავაზობდით ფურცელს ერთი ეტალონ ფიგურით. მან ეს ფიგურა უნდა დაეთვალიერებინა კარგად და შემდეგ ვთხოვდით ამ ფიგურის პოვნას შემდეგ ფურცელზე, რომელზეც მოცემულია ეტალონისაგან მცირედ განსხვავებული ფიგურები. ჩვენ ვაფიქსირებდით დროს, გადაწყვეტილების სისწორეს ან მცდარობას.-

ექსპერიმენტის დასრულებისას ჩვენ ვახდენდით დროის საშუალო მონაცემისა და შეცდომათა რაოდენობის ანალიზს.

ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი:

კაგანის რეფლექსურობა-იმპულსურობის საკვლევ ტესტში ჩვენ მოვახდინეთ დროის საშუალო მონაცემისა და შეცდომათა რაოდენობის ანალიზი, რის საფუძველზეც გამოვყავით ცდისპირთა ორი კატეგორია. რომელთაგან ერთი მიეკუთვნებოდა კოგნიტური სტილის იმპულსურ ტიპს, ხოლო მეორე რეფლექსურს.

ჩვენ გვაინტერესებდა ამ კოგნიტურ სტილთა მიმართება ჩვენს მიერ მიღებულ ტიპოლოგიასთან. ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახდენს თუ არა იმპულსურობა/რეფლექსურობის კოგნიტური სტილი გავლენას ბრენდის არჩევანზე.

ამისათვის უნდა დაგვედგინა რა მიმართება არსებობს „მყარსა“ და „არამყარ“ ცდისპირებს და ამ კოგნიტურ სტილს შორის. გამოვიყენეთ კორელაციის f კოეფიციენტი მათ შორის მიმართების დასადგენად. მიღებული კორელაცია სანდოა და ტოლია**0.48** ***P*<0,05** ,რაც იმას ნიშნავს, რომ ცდისპირის არჩევანზე ზემოქმედებს აღნიშნული სტილური მახასიათებელი. კერძოდ, „მყარი“ ცდისპირები ძირითადად ხასიათდებოდნენ რეფლექსურობით, რაც გულისხმობს კოგნიტურ თვითრეგულაციაში დაფიქრებას, გააზრებას , პასუხობდნენ ნელა, მაგრამ უშეცდომოდ. „არამყარი“ ცდისპირები—კი იმპულსურობით, რაც გულისხმობსის იმას, რომ ცდისპირები იღებენ გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს და შეცდომებს უშვებენ არა იმიტომ, რომ სწორად პასუხის გაცემა არ შეუძლიათ, არამედ იმის გამო, რომ პასუხებს იძლევიან ძალიან სწრაფად, საჭირო ინფორმაციის სათანადოდ გადამუშავების გარეშე. მათთვის ეს გზა ემოციურად უფრო მოსახერხებელია.

დასკვნები: ექპერიმენტული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებლები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ბრენდის ზეგავლენას, ხასიათდებიან კოგნიტური თვითრეგულაციის რეფლესური სტილით, განსხვავებით იმ მომხმარებლებისაგან, რომლებიც ბრენდის ზეგავლენით ცვლიან პროდუქტის არჩევანს. მათ ძირითადად ახასიათებთ კოგნიტური თვითრეგულაციის იმპულსური სტილი. ამრიგად, კოგნიტური თვითრეგულაციისრეფლესურ-იმპულსური სტილი არის მომხმარებლის არჩევანის სტაბილურობის

ერთ-ერთი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტი. ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

1. კეტელის 16 ფაქტორიანი პიროვნების საკვლევი კითხვარი

ტესტი ჩატარდა 50 ცდისპირზე. (იგივე ექპერიმენტული ჯგუფი)

მასალა: კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი (იხ. დანართი)

ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა, არის თუ არა განსხვავება „მყარ“ და „არამყარ“ ცდისპირებს შორის მათი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით. ტესტირების შედეგები ასახულია გრაფიკ №2-ზე



გრაფიკი№ 2

შედეგების ანალიზი: როგორც გრფიკიდან სჩანს, „მყარი“ და „არამყარი“ ცდისპირები განსხვავდებიან შემდეგი პიროვნული მახასიათებლებით:

H – სითამამე/გაუბედაობა

L – ნდობა/უნდობლობა

O – შფოთვა/სიმშვიდე

Q3 – თვითკონტროლი/უდისციპლინობა

კერძოდ, მომხმარებლები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ბრენდის ზეგავლენას, ხასიათდებიან უფრო მეტი სითამამით, უნდობლობით,დაბალი შფოთიანობითა და მაღალი თვითკონტროლით. განსხვავებით იმ მომხმარებლებისაგან, რომლებიც ბრენდის ზეგავლენით ცვლიან პროდუქტის არჩევანს. მათ ახასიათებთ გაუბედაობა, არიან მიმნდობები,მაღალი შფოთიანობა და დაბალი თვითკონტროლი. სხვა პიროვნული მახასიათებლების მიხედვით, სხვაობა აღნიშნულ ჯგუფებს შორის არ აღინიშნა. ამრიგად, შეგვიძლია **დავასკვნათ**, რომ მომხმარებლის როგორც ემოციური,(შფოთიანობა) ისე ნებელობით და (თვითკონტროლი) კომუნიკაციური (სითამამე,ნდობა) პიროვნელი თვისებები არის მის მიერ განხორციელებული არჩევანის სტაბილურობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტი. ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

1. ზონდის არაცნობიერი ტენდენციების საკვლევი პროექციული მეთოდიკა

ტესტი ჩატარდა 50 ცდისპირზე. (იგივე ექპერიმენტული ჯგუფი)

ტესტი მასალა: ზონდის ტესტი (იხ. დანართი)

გამოვიყენეთ ინტერნეტ საიტი: http://users.skynet.be/am030868/szondi.htmსადაც წაროდგენილი იყო სხვადასხვა ფსიქიკური მოშლილობის მქონე ადამიანთა ფოტოები. ტესტი ტარდება ექვს სერიად. თითოეულ სერიაში ცდის პირს უნდა ამოერჩია ორი სიმპათიური და ორი ანტიპათიური ფოტო.

გვაინტერესებდა თუ რა არაცნობიერი ტენდენციები ზემოქმედებენ ადამიანის არჩევანზე, და განსხვავდებიან თუ არა „მყარი“ და „არამყარი“ ცდისპირები ამ არაცნობიერი ტენდენციებით. აღმოჩნდა, რომ „მყარ“ და „არამყარ“ცდისპირებში დომინირებენ განსხვავებული ტენდენციები. მაგ: „მყარებში“ დომინირებდა: თვითკონტროლის, ერთგულების, უსაფრთხოების, პოპულარობის, სადომაზოხიზმის, სიკეთის, რეპრესიის, სენტიმენტალობის ტენდენციები.ხოლო, „არამყარებში“ წამყვანი იყო ისეთი ტენდენციები როგორიცაა დამყოლი და აქტივობის ტენდენცია.

მიღებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე შეიძლება **დავასკვნათ:**

1. ადამიანები სამომხმარებლო არჩევანის მიხედვით იყოფიან „მყარ“ და „არამყარ“ მომხმარებლებად. „მყარი“ მომხმარებლები ნაკლებად ექცევიან რეკლამის, ბრენდის ზეგავლენის ქვეშ და გადაწყვეტილებას იღებენ პროდუქტის ობიექტური მაჩვენებლების მიხედვით, განსხვავებით „არამყარი“ მომხმარებლებისაგან (**hall-test**)

2. **შეგრძნების ზღურბლის გაზომვის ექსპერიმენტში** „მყარი“ ცდისპირები არიან უფრო მგრძნობიარე სენსორული გამღიზიანებლის მიმართ, შესაბამისად აქვთ დაბალი სხვაობის ზღურბლი. ხოლო „არამყარ“ ცდისპირებს პირიქით------- მაღალი სხვაობის ზღურბლი.

3. **კოგნიტური სტილის** კვლევის მიღებული შედეგების მიხედვით ვასკვნით, რომ ის ცდისპირები, რომლებიც ექცეოდნენ ბრენდის ზეგავლენის ქვეშ მიეკუთვნებოდნენ იმპულსურ

ტიპს, ხოლო ისინი ვინც ნაკლებად ექცეოდნენ ზეგავლენის ქვეშ მიეკუთვნებოდნენ რეფლექსურ ტიპს.

4. კეტელის 16 ფაქტორიანი პიროვნების საკვლევი კითხვარის საშუალებით ჩვენ გამოვავლინეთ ის მახასიათებლები, რომლებიც ახასიათებთ „მყარ“ და „არამყარ“ ცდისპირებს. მონაცემებს შორის სანდო განსხვავება დაფიქსირდა შემდეგი მასახიათებლების მიხედვით:

„მყარი“ ცდისპირები ხასიათდებიან: გულისხმიერებით და გახსნილობით, სიჯიუტით, სიმშვიდით და თავდაჯერებულობით, პუნქტუალობით.

„არამყარი“ ცდისპირები ხასიათდებიან: თვითდაურწმუნებლობით და ჩაკეტილობით, პირობების მიმღებლობით, მოუსვენრობით და საკუთარი სურვილების მორჩილებით.

5. პიროვნების არაცნობიერის საკვლევ ზონდის პროექციულ ტესტში გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

„მყარ“ ცდისპირებში დომინირებდნენ შემდეგი ტენდენციები:

- თვითკონტროლი
- მოთმინება
- ერთგულება
- სენტიმენტალობა
- სადომაზოხიზმი
- სიკეთე
- პოპულარობა
- უსაფრთხოების ტენდენცია

„არამყარებში“ დომინირებდნენ შემდეგი ტენდენციები:

- დამყოლი
- აქტივობის ტენდენცია

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქტის არჩევის სტაბილურობა დამოკიდებულია, მათ გარკვეულ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომელიც გამოვლინდა ფსიქიკური აქტიობის ოთხივე(ფსიქოფიზიოლოგიურ, კოგნიტურ, პიროვნულ და არაცნობიერ) დონეზე. აღნიშნული ცვლადები: 1) სხვაობის ზღურბ-ლის მგრძნობიარობა,2) რეფლექსურობა–იმპულსურობის კოგნიტური სტილი 3)გარკვეული პიროვნული მახასიათებლები და 4) გარკვეული არაცნობიერი ტენდენციები წარმოადგენენ სამომხმარებლო არჩევანის მეცნიერულად დადსტურებულ ფსიქოლოგიურ დეტერმინანტებს.

Abstract

Maia Kalandarishvili, TSU Associated Professor

The psychological determinations of consumer choice

This is an experimental investigation, which learns psychological factors of consumer market segmentation. It is statistically confirmed some psychological factors which are differetional- psychological determinants of consiumer choice of brand. There are: 1) sensitivity of deference threshold (deference threshold experiment by Stevens) 2)cognitive style of reflexity-impulsity(Cagan's test) 3) some personal characteristics (Test of Cattel) 4) some unconscious tendencies. (Zondy test)

According to the general experiment,(**hall-test**) consumers divided on „solid" and hesitant" types. „solid" „type consists people, which do not change their brand choice. „hesitant" type people change their choice by after affecting of brand. „solid" „type people characterized with: 1) high sensitivity of deference threshold than „hesitant" type people 2) solid" „type people has reflexive cognitive style, „hesitant" type people-- impulsive

cognitive style 3) „solid" „type people characterized with: calmness, self-confident, delicacy, punctuality, obstinacy**.** „hesitant" type people characterized with: anxious, conformity, low self-control, non- confident.

4) according tounconscious tendencies „solid" type people has following unconscious tendencies: self-control, devotion, safety, popularity. „hesitant" type people -----complaisant and tendency of activation.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дэвид Статт. Психология Потребителя „Питер“. 2003г.
2. А. Лебедев-Любимов. Психология Рекламы. „Питер“. 2003г.
3. В. Г. Зазыкин. Психология в рекламе. Дата Сром 1992г.
4. WilliamWells, John Burnett, Sandra Moriarty. Advertising Principles & Practice. 2001г.
5. Роберт Чалдини. Психология Влияния. Питер 1999г.
6. В. Бородина. Самореклама: мода и традиции. Холдинг 2000г.
7. Е. Л. Доценко. Психология манипулации. МГУ 1997г.
8. Б. Г. Мещепякова В. П. Зинченко. Большой Психологический Словарь. москва. „олма-пресс“. 2003г.
9. В.Д. Коновалов. Психологические Тесты-1. Москва. Светотон 1996г.
10. П. Г. Зимбардо. Основы Псиихологии. 2003
11. ყვავილაშვილი ჯ. სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1974
12. К. Купер. Индивидуалные Различия. Москва. „Аспект-Пресс“. 2000г.
13. Р. Л. Солсо. Когнитивная Психология. Москва. „Трилова“. 1996г.
14. М. А. Холодная. Когнитивные Стили. Москва. „PerSe“. 2003г.
15. გ. ქირია. აღქმის ფსიქოლოგია. თბილისი. 2003 წ.
16. ს. ზონდის პროექციული ტესტი. ვებ გვერდების მისამართები: http://users.skynet.be/am030868/szondi.htm http://www.szondiforum.org/
17. Hall-Test. http://www.videor.co.jp/eng/castom/qualitative/hall.html\
18. Projective Test. http://en.wikipedia.org/wiki/Projective_test

ნარგიზა კანკია

კინოგადაცემა „წითელი ზონა“

საქართველოს ტელევიზიაში დიდი ადგილი დაიკავა „მასობრივმა კულტურამ.“ ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებს აქ იშვიათად ვხვდებით. არც კინოხელოვნება წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. იაფფასიანი ტელესერიალებისა და დაბალი დონის ფილმების დემონსტრირება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა (ფილმის მაღალტექნიკური ხარისხი ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის). მეტიც, ზოგიერთი მათგანი საშიში იდეოლოგიის მატარებელიც არის (ბევრ ქვეყანაში ასეთი კინოსურათების გავრცელებას ყველანაირად ეწინააღმდეგებიან). ამ სიტუაციაში გადაცემა „წითელი ზონა“ აღმოჩნდა ის ერთ-ერთი გამონაკლისი, რომელიც კინოსმოყვარულებს მშველელად მოევლინა.

მაინც რას წარმოადგენს „წითელი ზონა“, რა ფუნქციებს ასრულებს ის და როგორ აღწევს დასახულ მიზანს? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით წარმოდგენილ ნაშრომში. დაკვირვების პერიოდად ავიღეთ გადაცემის პირველი ექვსი თვე, რომლის შემდეგაც მან რამდენიმე ხნით შეწყვიტა არსებობა.

კინოგადაცემა „წითელი ზონა“ 2007 წლის 27 ნოემბრიდან გამოჩნდა ეთერში. მას წარმოგვიდგენს „საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი“ რადიო „თავისუფლებასთან“ ერთად. იგი ყოველკვირეული გადაცემაა და ეთერში გადის პარასკევობით 23 საათზე. მისი ავტორი და წამყვანია კინომცოდნე გიორგი გვახარია. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საიტზე განთავსებულ ოფიციალურ ანოტაციაში ეწერა, რომ „წითელი ზონა“ მთლიანად კომუნისტურ ხელოვნებას ეძღვნება, უფრო სწორად, მის ხელახალ წაკითხვას, ახალი კუთხით დანახვას წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ამ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობას თვალსაჩინოებისთვის თან ახლავს შესაფერისი მასალები, როგორც

მხატვრული და დოკუმენტური ფილმებიდან, ისე სატელევიზიო გადაცემებიდან, სპექტაკლებიდან და სხვ.

„წითელი ზონის“ პირველ ბლოკში მცირე მოცულობის სიუჟეტ-ქრონიკაში წარმოდგენილია განსახილველი თემის შინაარსი და მიმართულება, რის შესახებაც შემდეგ მიმდინარეობს საუბარი მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. ბოლოს კი ხდება ფილმის (ზოგჯერ კი სპექტაკლის) დემონსტრირება, რომელიც უფრო ხშირად მხატვრულ კინემატოგრაფს განეკუთვნება, თუმცა, ეს გადაცემა არც დოკუმენტური ფილმის ნაკლებობას განიცდის, რადგან იგი უხვად არის წარმოდგენილი ფრაგმენტების სახით. „წითელი ზონის“კინორეპერტუარზე საუბარს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, რათა უფრო ნათელი გახდეს ამ გადაცემის ფუნქცია და სახე, მაგრამ მანამ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ საკითხს, რომ „წითელი ზონა“ ძალიან დიდ იდეოლოგიურ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ იგი, როგორც კინოგადაცემა, მთლიანობაში მაინც შემეცნებითი გადაცემაა და ადამიანთა ინტელექტუალური დონის ამაღლლებაზეა ორიენტირებული. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო იდეოლოგიზირებულია, ვიდრე „სარკმელი“ და „ფსიქო“ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ფსიქოს“ მიერ ჩატარებულ პიარ კამპანიას 2003-2004წლების საპრეზიდანტო და საპარლამენტო არჩევნების დროს).

ამ გადაცემის იდეოლოგიური ხასიათი იკვეთება როგორც რუბრიკა-სათაურში „წითელი ზონა“ –ისე იმ ფაქტითაც, რომ გადაცემა მიმდინარეობს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმიდან.

გიორგი გვახარიას ეს გადაცემა მართლაც ტრიალებს კომუნისტური რეჟიმის ირგვლივ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის მხოლოდ ამ უმკაცრესი დიქტატურის პერიოდს ეხება. თანამედროვე პერიოდშიც ხომ მრავალი „წითელი ზონა“ გვაქვს, რაც აუცილებლად უნდა ვაღიაროთ და მისგან გამოსვლის გზები ვეძებოთ, თორემ მხოლოდ წარსულის განქიქებით და მიმდინარე მოვლენებზე თვალის დახუჭვით

ვერაფერს მოვიმკით და ისევ იმ პერიოდში ჩავრჩებით. აი, ამიტომაც „წითელი ზონა“კომუნისტური ხელოვნების მართლაც ხელახალი წაკითხვითა და ახალი კუთხით დანახვით თანამედროვე ხელოვნებას და საერთო ვითარებას ეხმაურება, რითაც, ჩვენი აზრით, ძალიან დიდ საქმეს აკეთებს.

„წითელი ზონისთვის“ გიორგი გვახარიას მიერ არჩეული თემები მართლაც საინტერესოდ და აქტუალურად შეიძლება ჩაითვალოს. ეს თემები თავისი მრავალფეროვნებით თითქოს აბნევენ მაყურებელს, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი საერთო რამ-თითოეული გადაცემა მიმართულია ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ, ეს იქნება ფიზიკური ძალადობა-ადამიანის ფიზიკურად დასჯა, მისი განადგურება, თუ პიროვნების სულიერებაზე ზემოქმედება, რომელიც უამრავი თავსმოხვეული აზრებით, მითებით, აკრძალვებით და ა.შ. გამოიხატება.

აკრძალული თემები კი საბჭოთა პერიოდში მართლაც ძალიან ბევრი იყო და შესაბამისად მითებიც მრავლად გვხვდებოდა. მაგალითად, საბჭოთა ჯარის უძლეველობის შესახებ, კომუნისტური პარტიისა და მისი „უმცროსი ძმის“ – კომკავშირის – უმწიკვლობაზე, საბჭოთა რესპუბლიკებისა და საერთოდ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურყევ მეგობრობაზე და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ ამ მითების გავრცელებასა და დანერგვაში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს (როგორც მას იმ პერიოდში უწოდებდნენ) და კერძოდ, ტელევიზიას, დიდი წვლილი მიუძღოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო სოციალისტური სისტემის დროს კინოხელოვნების როლი მასების კომუნისტურ აღზრდაში.

ე. წ. გარდაქმნის წლებიდან ვითარება ნელ- ნელა შეიცვალა და ეს აისახა საქართველოს კინოგადაცემებზეც – მრავალ თემას ტაბუ მოეხსნა, მაგრამ სრულ თავისუფლებაზე საუბარი არც შემდეგ წლებში შეიძლებოდა. დემოკრატიის დეფიციტი შერჩა როგორც საერთოდ ტელევიზიას, ისე კინოგადაცემებს. ამის დასადასტურებლად შეძლება დავასახელოთ გ.გვახარიას ადრინდელი გადაცემების „სარკმელი“

(„სახელმწიფო ტელევიზია“), „ფსიქო“ („რუსთავი-2“) და „თავისუ-ფლების თეორემა“ (ტელეკომპანია „იმედი“) დახურვა. რაც შეეხება კინოგადაცემა „წითელ ზონას“, ის 2008 წლის ივნისში შეწყდა და მხ-ოლოდ 2009წლის მარტში გამოჩნდა, ისევ საზოგადოებრივი მაუწყებ-ლის „პირველი არხის“ ეთერში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი, ისევე როგორც „ფსიქო“ („ვარდების რევოლუციის შემდეგ), შესაძლებელია, ხელისუფლებისათვის მიუღებელი იდეოლოგიის მატარებელი იყოს.

როცა თვალი გადავავლეთ „წითელი ზონის“ თემებს, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, რომ საბჭოთა იდეოლოგიაზე საუბარი ძალიან ეფექტურია ისევ კომუნისტური მითების გამავრცელებელი სა-შუალებების –კინოსა და ტელევიზიის – ამ ორი გიგანტის სინთეზით, რადგან კინო +ტელევიზია უფრო მეტია, ვიდრე თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

„წითელ ზონაში“წარმოდგენილ ყველა თემას და ფილმს, ცხადია, ვერ შევეხებით, მაგრამ რამდენიმე მათგანზე მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ. კერძოდ, უფრო დეტალურად გავჩერდებით დოკუმენ-ტურ ფილმებზე, რადგან მათი რაოდენობა ბევრად ნაკლებია, და თანაც, ხუთიდან ოთხი ფილმის პრემიერა სწორედ ამ კინოგადაცემაში შედგა, ვფიქრობთ, ამით უფრო გასაგები გახდება, თუ რაზე ლაპარაკობენ და რას აჩვენებენ ამ გადაცემაში. აღსანიშნავია, ალბათ, ის ფაქტი, რომ პირველად გადაცემა რადიო „თავისუფლებაზე“ საუბრით გავიდა ეთერ-ში, რადგან ის საბჭოთა პერიოდში მტრულ რადიოთა რიგში მოისაზ-რებოდა (გადაცემის პირველ ბლოკში აჩვენეს პატარა სიუჟეტი რადიო „თავისუფლების“შესახებ). თანაც ამით, ვინაიდან ეს პროექტი „სა-ზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და რადიო „თავისუფლების“ ერთობლივ პროექტად გამოცხადდა, გადაცემის პირველივე დღესვე გამოიკვეთა „წითელი ზონის“ მიმართულება. ეს გადაცემა კი დამთავრდა ფილმით „გუდბაი ლენი“ (რეჟ. ვოლფგანგ ბეკერი), რომლითაც მაყურებელმა ერთხელ კიდევ დაინახა, თუ როგორ ამახინჯებდა სოციალისტური იდეოლოგია ადამიანების სულიერ სამყაროს. ამიტომ სამუდამოდ უნდა

დავემშვიდობოთ მას. (ცხადია, ამაზე მიუთითებს ფილმის სახელწოდებაც).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „წითელი ზონის“კინორეპერტუარი წინა გადაცემებისგან – „სარკმელი“ და „ფსიქო“ – განსხვავებით, ძირითადად ორიენტირებულია ქართულ და რუსულ კინემატოგრაფზე, რასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს (გადაცემის ფუნქციიდან გამომდინარე), თუმცა, მასში არც უცხოური კინოხელოვნებაა იგნორირებული და გოგი გვახარია საჭირო შემთხვევაში მათაც მიმართავს (როგორც პირველივე გადაცემაში ვნახეთ).

რიგით მეორე გადაცემა მიეძღვნა ე.წ.“პერესტროიკას“. იგი წარმოდგენილი იყო სათაურით “დაგვიანებული გარდაქმნა“. მასში ჯერ გაგვახსენეს 1985-1988წწ საქართველო (თეო ხატიაშვილის სიუჟეტი), რომელსაც მოჰყვა სტუმართან საუბარი (ნ. გელაშვილი) შესაბამისი დოკუმენტური კადრებით (ზურა ჭავჭავაძის მიტინგზე გამოსვლა) და ფილმით („70 შეკითხვა“, რომელშიც ზურაბ ჟვანია არის დაფიქსირებული). მესამე ბლოკში კი გ.გვახარიას წინასიტყვაობის შემდეგ წარმოგვიდგინეს ტატო კოტეტიშვილის ფილმი „ანემია“. სხვათაშორის, ეს სწორედ ის ერთ-ერთი ფილმთაგანია, რომელზეც საუბარი კინოგადაცემათა რედაქციის თანამშრომლებს თავის დროზე გარდაქმნის მონაპოვრად მიაჩნდათ.

უნდა ითქვას ისიც, რომ სასაუბრო თემისთვის შერჩეული ფილმები, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულია, არ განეკუთვნება აშკარა პროპაგანდისტულ ფილმთა კატეგორიას და ისინი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ვფიქრობთ, ამის დასადასტურებლად მათი ჩამოთვლაც კი იკმარებს. აი, ისინიც: „ნეილონის ნაძვის ხე“ (რეჟ. რ. ესაძე), „პასტორალი“ (რეჟ. ო. იოსელიანი),“დიდი მწვანე ველი“ (რეჟ. მ. კოკოჩაშვილი),“პირველი მერცხალი“ (რეჟ. ნ. მჭედლიძე) და სხვა.

თუ ამ ფაქტთან დაკავშირებით იმის თქმა შეიძლება, რომ შიშველი პროპაგანდისტული მეთოდები ქართული კინემატოგრაფისთვის

მაინც და მაინც არც არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი თვისება, ამას, ცხადია, ვერ ვიტყვით რუსულ კინოხელოვნებაზე, მაგრამ გოგი გვახარია, ჩვენი აზრით, ცდილობს ამ შემთხვევაშიც მაყურებელს წარუდგინოს პლაკატურობისგან თავისუფალი ნიმუშები. მაგ. „მიფრინავენ წეროები“ (რეჟ. მ. კალატოზიშვილი), „ზეასვლა“ (რეჟ. ლარისა შეპიტკო), „სხვისი წერილები“ (რეჟ. ილია ავერბახი) „ჩვენ ჯაზიდან ვართ“ (რეჟ. კარენ შახნაზაროვი) და სხვ. თუმცა, აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ამ ქვეყნის ნამდვილი პროპაგანდისტული ფილმები უხვად გვხვდება საუბრის მსვლელობის დროს ფრაგმენტების სახით, მაგ. ს. ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი პოტიომკინი,“ ა. დოვჟენკოს „დედა“ და სხვ. (ცხადია, ჩვენ არ უარვყოფთ ამ ფილმების რეჟისორთა ძალიან დიდ როლს კინემატოგრაფის განვითარებაში).

არაფერს ვამბობთ იმ საზღვარგარეთული ფილმების პროპაგანდისტულობაზე, რომლებიც გოგი გვახარიამ წარმოგვიდგინა ამ კინოგადაცემაში, რადგან პლაკატურობა, აშკარა პროპაგანდისტულობა ძირითადად მაინც საბჭოთა კინემატოგრაფისთვის არის დამახასიათებელი თვისება. ალბათ, ეს არის იმის მიზეზი, რომ საზღვარგარეთული ფილმი შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ამ გადაცემაში. სამაგიეროდ, კინოფრაგმენტები ძალიან ხშირად სხვადასხვა ქვეყნის კინოხელოვნებას განეკუთვნება. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ გოგი გვახარიას პროფესიონალიზმი – მისი მაღალი კინემატოგრაფიული გემოვნება – ამითაც გამომჟღავნდა, რადგან ამ ფილმების უმრავლესობა მსოფლიო კინოხელოვნების შედევრებს წარმოადგენს. მაგალითად, „მეფისტო“ (რეჟ. იშტვან საბო), „კაბარე“ (რეჟ. ბობ ფოსი), „ჩინური რულეტკა“ (რეჟ.რაინერ ვერნერ ფასბინდერი), „ბრიყვების ხომალდი“ (რეჟ.სტენლი კრამერი), „ფერფლი და ალმასი“ (რეჟ. ანჯეი ვაიდა), „ამარკორდი“ (რეჟ. ფედერიკო ფელინი), „ნათლია“ (რეჟ. ფრენსის ფორდ კოპოლა) და სხვ.

მართალია, „წითელი ზონის“ კინორეპერტუარი ძირითადად მხატვრული ფილმებისგან შედგება, ყოველ შემთხვევაში, პირველი ნახ-

ევარი წლის განმავლობაში, ეთერში სულ ხუთი დოკუმეტური ფილმი აჩვენეს, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ საუბრის დროს ასეთი სახის კინოც ძალიან დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი კინოფრაგმენტების სახით, რადგან იმის გადმოსაცემად და გასაანალიზირებლად, რა და როგორ ხდებოდა კომუნისტური დიქტატურის პირობებში, რეალური ფაქტები უფრო ბევრს ამბობენ.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ“ წითელ ზონაში“ წარმოდგენილი მხატვრული ფილმები (როგორც რუსული, ისე ქართული) საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, მაშინ როდესაც ხუთიდან ოთხი დოკუმენტური ფილმის პრემიერა სწორედ ამ გადაცემაში შედგა. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ, თუ მხატვრულ კინოში კინემატოგრაფისტები მინიშნებების, სიმბოლოების სახით იმ პერიოდშიც ახერხებდნენ თავიანთი სათქმელის გადმოცემას, რაიმე კრიტიკის შემცველ დოკუმენტურ ფილმს, ეკრანებზე გამოსვლა არ ეწერა.

ახლა გვინდა შევჩერდეთ იმ დოკუმენტურ ფილმებზე, რომელთა პრემიერაც შედგა „წითელ ზონაში“. რათა უფრო გასაგები გახდეს, თუ რაზე საუბრობენ დღეს ქართველი კინორეჟისორები. ერთ-ერთი მათგანია „ამერიკა ბნელ ოთახში“ (5.02.2008’). ამ კინოსურათის რეჟისორია დავით კანდელაკი. იგი მანამდე აჩვენეს ფესტივალ „პრომეთეზე“. “ამერიკა ბნელ ოთახში“ მოგვითხრობს რეჟისორის მეგობრის ამერიკულ „ვოიაჟზე“ (ფილმი აგებულია მეგობრების სატელეფონო საუბარზე), რომელიც ბოლოს და ბოლოს ციხით დამთავრდა. ამ კინოსურათს წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ ფილმის მთავარი გმირისთვის თუ ადრე ამერიკა იყო საოცნებო ქვეყანა, ახლა მის ერთადერთ ოცნებას საქართველოში დაბრუნება წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გადაღებების დროს, როგორც რეჟისორისგან გავიგეთ, მრავალი წინააღმდეგობა შეხვდათ, რადგან ტერორისტული აქტებით შეშინებული ამერიკელები ყველაფერს აკონტროლებდნენ, მეტიც, კინოკამერებით გადაღებაც მთელ რიგ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

დოკუმენტური ფილმი „ბანდიტები“ ეხება გასული საუკუნის 80-იან წლებში გახმაურებულ ამბავს (1983წ 18 ნოენბერი) – ახალგაზრდების მიერ თვითმფრინავის გატაცებას (ამ თემაზე შემდეგ წლებში დაიდგა სპექტაკლიც დათო ტურაშვილის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით). მასში საუბარია იმაზე, თუ რა მოხდა იმ საბედისწერო დღეს, ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები, რამ მიიყვანა ისინი ამ გადაწყვეტილებამდე და რით დამთავრდა ყველაფერი ეს (როგორც ცნობილია, ისინი სიკვდილით დასაჯეს).

„ბანდიტების“ (ასევე გადაცემის) ნახვის შემდეგ მაყურებელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ ტრაგედიის მთავარი მიზეზი იყო ის ეპოქა, რომელშიც მათ მოუწიათ ცხოვრება. ეს სასტიკი განაჩენი მათ ტოტალიტარული რეჟიმის ხანამ მოუტანა. ცხადია, ახალგაზრდების სიკვდილით დასჯა მართლაც საშინელი ფაქტი იყო, მაგრამ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფილმში მაინც იგრძნობა ამ ფაქტისადმი სუბიექტური დამოკიდებულება, რადგან მასში მონაწილე ადამიანების უმრავლესობა ამ ახალგაზრდების ახლობლები არიან (ასევე იყო გადაცემაში), რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ, როგორც გადაცემიდან გავიგეთ, ამ ფილმის რეჟისორი გეგა კობახიძის ოჯახის მეგობარი ყოფილა. სწორედ ამ მიზეზით გოგი გვახარიამ ერთ-ერთ მომდევნო გადაცემაში გატაცებული თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრის –ანზორ ჭედიას შვილი მოიწვია სასაუბროდ, რაც მის ნამდვილ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

საერთოდ, დოკუმეტურ კინოშიც ფაქტი თავისებურ ტრანსფორმაციას განიცდის, რადგან მას იღებს ადამიანი, რომელსაც გარკვეული დამოკიდებულება აქვს ამ ფაქტისადმი. როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, განწყობა ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას. ფაქტის აბსოლუტურად ობიექტურად ასახვა, ცხადია, ძალიან ძნელია. რაც შეეხება ბალანსს, იგი ზოგჯერ დარღვეულია „ბი-ბი-სის“ დოკუმენტურ ფილმებშიც კი. მაგ. ფაქტი ცალმხრივად არის განხილული ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორის ქეით მეისონის ფილმში „ სიკვდილით დასჯა“

(იგი რამდენიმე წლის წინ აჩვენა ტელეკომპანია „რუსთავი-2“მა), სადაც ამ აქტის არაადამიანურ მხარეზეა ყურადღება გამახვილებული (რასაც ჩვენც ვეთანხმებით), მაგრამ მასში არ ჩანს, თუ რატომ მიესაჯათ ამ ადამიანებს სასჯელის უმაღლესი ზომა, რას ამბობენ ამ ადამიანებისგან დაზარალებულები, მათი მშობლები, ახლობლები. იგივე შეიძლება ითქვას თომა ჩაგელიშვილის ფილმზე „სიკვდილით დასჯა“ (სახელწოდებაც რომ ორივე ფილმს ერთნაირი აქვს, ესეც ბევრ რამეზე მიუთითებს). აქაც მხოლოდ სიკვდილმისჯილთა და მათ ახლობელთა საუბრებს ვისმენთ. თუ ფილმი მხოლოდ იმისთვის არის გადაღებული, რომ სიკვდილით დასჯის პროცედურის საშინელებაში და საერთოდ ამ კანონის სისასტიკეში დაარწმუნოს მაყურებელი, მაშინ ეს ადამიანებიც არ უნდა ფიგურირებდნენ მასში. სხვათაშორის, ამერიკულ მხატვრულ ფილმში „მოსიარულე მკვდარი“ (რეჟ. ტიმ რობინსი) მთავარი გმირის (მსახიობი შონ პენი) სიკვდილით დასჯის პროცედურის პარალელურად ვეცნობით მის მიერ ჩადენილ დანაშაულებსაც, ვისმენთ მოკლულთა ახლობლების საუბრებს.

„წითელ ზონაში“ აჩვენეს ნინო კირთაძის დოკუმენტური ფილმი „დურაკოვო, ბრიყვთა სოფელი.“ ეს კინოსურათი მოგვითხრობს რუსეთის ერთ-ერთი პროვინციის მოსახლეობის ცხოვრებაზე, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მონური თუ შეიძლება ეწოდოს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს მაყურებლისთვის, იქ მცხოვრებთა უმრავლესობას აკმაყოფილებს არსებული ვითარება. (ყოველ შემთხვევაში ინტერვიუებიდან ასე ჩანს). აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმში ხალხის დამორჩილების ერთ-ერთ საშუალებად გამოყენებულია ეკლესია. მთავარი გმირი-მიხეილი- სწორედ ღმერთითა და ეკლესიით მანიპულირებს.

„დურაკოვო, ბრიყვთა სოფელში“ ძალიან კარგად გამოიკვეთა ის მომენტიც, რომ რუსეთის იმპერიალისტური ამბიციები არსად გამქრალა. ამ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები (მაგალითად, ფილმ-

ში მონაწილე – რუსეთის დუმის წევრი ბაბურინი) საბჭოთა კავშირის დაშლას დღემდე ვერ ეგუებიან, მეტიც, მისი აღდგენის იმედით არიან.

ეს კინოსურათი ძალიან მძიმე საყურებელია და ამიტომ, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ ნინო კირთაძეს, როგორც თვითონაც განაცხადა გადაცემაში, გაუჭირდა ამ ფილმზე მუშაობა, რადგან იქ მცხოვრებთა მენტალიტეტი მასზე საშინლად მოქმედებდა და ამიტომაც იგი ძალიან მოკლე დროში გადაიღო.

„წითელ ზონაში" მოხდა ასევე ჟან მიშელ კარეს ფილმის „პუტინის სისტემა"დემონსტრირება (24.06.2008), რომლის პრემიერა, გოგი გვახარიას თქმით, 2007 წელს შედგა კინოკომპანია „არტეში", მაგრამ რუსეთში ეს ფილმი არ უჩვენებიათ. სხვათაშორის, ამ გადაცემაში, საუბარი იყო არა მხოლოდ რუსეთის ყოფილ პრეზიდენტზე, არამედ საერთოდ ლიდერების, თუ ბელადების ფენომენზე, (მაგ. ი. სტალინზე, მ. გორბაჩოვზე, ე. შევარდნაძეზე, ზ. გამსახურდიაზე, მ. სააკაშვილზე და სხვ.), რითაც გადაცემის სასაუბრო თემამ –„პოსტ-კომუნისტური ლიდერები, ბელადები და ბელადომანია"– უფრო სინტერესო და სრულყოფილი სახე მიიღო და, ვფიქრობთ, მაყურებელიც დააფიქრა.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ „წითელ ზონა" კარგი ფილმების ჩვენებითა და საინტერესო საუბრებით კინომოყვარულთა დიდი ინტერესს იწვევს (თუმცა, ის მხოლოდ კინოხელოვნებას არ შეეხება), რაშიც განსაკუთრებული წვლილი მის ავტორს და წამყვანს – გოგი გვახარიას- მიუძღვის, რადგან, გარდა მისი კომპეტენტურობისა (როგორც კინომცოდნის), სტუდიაში მოწვეულ სტუმართა საუბარს მიმართულებასა და სიღრმისეულ ანალიზს მეტწილად სწორედ გოგი გვახარიას პროფესიონალიზმი განაპირობებს. მკვლევარი გიორგი ჩართოლანი წერს: საქართველოს ტელესივრცეში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კინომცოდნე-ჟურნალისტ გიორგი გვახარიას საავტორო პროგრამები. ამ პროგრამებში გოგი გვახარიას კინომცოდნეობითი პროფესიული გამოცდილება ორგანულად შეერწყა ჟურნალისტის პროფესიას. გოგი გვახარია ქმნიდა იმგვარ გადაცემათა

ციკლებს და პროგრამებს, რომელსაც უყურებდა ყველა, ვისაც მაღალი ხელოვნება და კინო უყვარდა. გოგი გვახარიას საავტორო გადაცემათა სტრუქტურა წლების განმავლობაში იმის მიხედვით იცვლებოდა, რა მოთხოვნებსაც აყენებდა მის წინაშე ახალი დროის ჟურნალისტიკა. ისინი მონოლოგური შესავლებიდან გადაიქცა ჯერ ჟურნალისტურ დებატებად (ტელეკომპანია „რუსთავი-2“, გადაცემა „ფსიქო“), ხოლო შემდგომ ანალიტიკურ თოქ-შოუდ (ტელეკომპანია „იმედი“, გადაცემა „თავისუფლების თეორემა“ და ტელეკონპანია „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, გადაცემა „წითელი ზონა“. [1]

სასაუბრო თემები კი, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ნამდვილად მრავალფეროვანია (მაგ.“ავანგარდის ბედი საქარათველოში“, „სოფელი და გლობალიზაცია“, „ქრისტიანობა ათეიზმის ეპოქაში“, „ხალხი ცენზორის როლში“, თემურ ჩხეიძის სატელევიზიო სპექტაკლი “ჯაყოს ხიზნები“, „კიჩი“ და სხვ.). თემების სიჭრელე კი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სტუმრებიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან (ფსიქოლოგები, პოლიტოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, მწერლები, რეჟისორები და სხვ.).

მიუხედავად ყოველივე ამისა, უნდა ითქვას, რომ „წითელი ზონა“ მაღალრეიტინგულ გადაცემათა რიცხვს მაინც არ განეკუთვნება, რაშიც ჩვენმა გამოკითხვებმაც დაგვარწმუნა (ცხადია, ის სრულყოფილი არ არის და შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას ითხოვს) და ეს ბუნებრივია, რადგან ასეთი სახის გადაცემებს, საერთოდ, მასობრივი აუდიტორია არ ჰყავს, მაგრამ ისიც ფაქტია და ამის თქმა ჩვენ თამამად შეგვიძლია, რომ ისეთი გადაცემების არსებობა, როგორიც „წითელი ზონაა“, აუცილებელია საქარათველოს ტელევიზიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ჩართოლანი, ტელე-რადიოჟურნალისტიკა, ნაწ. I 2008 წ. გვ 211-212.

Abstract
Nargiza Kankia, TSU PhD student

TV Program „Red Zone“

The article „Program: Red Zone“ discusses the place of „Mass Culture“ in Georgian television. The broadcasting of the „soup operas“ and low quality movies has become very common (even though some of them are technically of a high quality), not even mentioning that most of these movies carry bad ideology. According to this the real pieces of art have become very rare and number of movie programs has decreased to minimum. There is only one movie program „Red Zone“ left on the Georgian Public Broadcasting Channel One, which is hosted by George Gvakharia.

This program has not only provided the intellectual function but the ideological one as well. The main aim of the program is to revise the reading of communism art and to view it from a different angle. We have to mention that the „Red Zone“ draws the great attention of movie lovers through quality movies and interesting dialogues, but beside this we can still say that it is not highly rated program (which has also been shown by the polls), yet this is natural as these kind of intellectual programs does not have mass viewers. Nevertheless the fact is that the programs like „Red Zone“ must exist on television.

გიორგი კვინიკაძე

მიგრაციისა და ერი-სახელმწიფოს გეოეკონომიკური პროგლემები ტრანსნაციონალიზმისა და ტრანსლოკალურობის კონცეფციებში.

მიგრაცია ტრანსნაციონალიზმის კონცეფციაში. ტერმინი ტრანსნაციონალიზმი სამეცნიერო ლიტერატურაში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩნდება. მისი შემოტანა მეცნიერულ ლექსიკონში უკავშირდება ეკონომიკის სფეროში მიმდინარე ტრანსფორმაციებს, სადაც დომინირება იწყო მსხვილმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა (ტნკ), ბანკებმა (ტნბ) და კორპორაციებმა და ე.წ. „გლობალურმა ქალაქებმა".

ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ს. სასენმა თავისი კვლევები მიუძღვნა გლობალური ქალაქების შესწავლას, რომლებიც წარმოადგენდნენ საერთაშორისო ინსტიტუტებისა (ბანკების, იურიდიული ფირმები) და ადამიანთა (საერთაშორისო დონის ექსპერტები) თავმოყრის ადგილებს. სწორედ მათ შესასწავლად მან გამოიყენა ტერმინი „ტრანსნაციონალურობა", რათა აქცენტი გაეკეთებინა ერთის მხრივ, სივრცობრივ განზომილებებზე და მეორეს მხრივ, გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესების მასშტაბებზე (Sassen S.; 1991).

ამჟამად, ტერმინი ტრანსნაციონალიზმი უკვე აქტიურად გამოიყენება მიგრაციული პროცესების კვლევაში. ტრანსნაციონალური მიგრაციის კლასიკურ კვლევებში ადამიანები ადგილთან (კონკრეტული სივრცის ნაწილი) უწყვეტ კავშირში განიხილებიან, ანუ ისინი აუცილებლად სადღაც არიან ლოკალიზებულნი. ადგილთან კავშირი კი

ხორციელდება განსაკუთრებული ლოკალური კულტურის მეშვეობით. ამდენად, იმისათვის რომ გახდეს ტერიტორიის სრულფასოვანი წევრი (ქვეყანა, ქვეყანა-სისტემები, რეგიონები) რეციპიენტი მიგრანტი უნდა შეეგუოს ან/და მოახდინოს ასიმილაცია ადგილობრივ კულტურასთან.

1990-იანი წლების დასაწყისში ეს თეზისი ეჭვქვეშ დააყენეს რიგმა დასავლელმა მეცნიერებმა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანეს ტერმინები ტრანსმიგრანტები (transmigrants) და ტრანსნაციონალიზმი, როგორც ტრანსნაციონალური მიგრაციის კვლევის საბაზო ცნებები. აღნიშნული პარადიგმის ჩარჩოებში ტრანსნაციონალიზმი მოიაზრება როგორც სოციალური პროცესი, სადაც მიგრანტები ქმნიან სოციალურ ველს, რომელიც კვეთავს გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და გეოკულტურულ საზღვრებს. ამ კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიგრანტები ტრანსმიგრანტების სტატუსს იძენენ მაშინ, როცა ისინი ანვითარებენ ოჯახურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ, რელიგიურ, პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომლებიც ამავდროულად საზღვარმკვეთ ფაქტორებსაც წარმოადგენენ.

ტრანსმიგრანტები ფაქტიურად ცხოვრობენ რამოდენიმე ადგილზე და ჩართულნი არიან ერთზე მეტი საზოგადოების საქმიანობაში, ქმნიან ახალ ურთიერთდამოკიდებულებებს და ახდენენ ისეთ საზოგადოების კონსტრუირებას, რომლებიც განსაკუთრებული სახით არიან დაკავშირებული ერ-სახელმწიფოებთან და მათ ტერიტორიებთან (Rouse: 1996; Gitirrez: 1995).

ტრანსნაციონალური მიგრაციის ცირკულაციის იდეა ერთი შეხედვით შეიძლება ჩავთვალოთ 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისის ახალი თეორიული წარმატებად, მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავეძიებით იგი პრაქტიკულად წარმოადგენს იმ იდეების ახლებურად გააზრებულ ინტერპრეტაციას, რომელიც დაკავშირებული იყო შიდა მიგრაციების კვლევასთან, უფრო კონკრეტულად კი გეოეკონომიკური პერიფერიების მოსახლეობის ტრანსნაციონალურ გადაადგ-

ილებასთან. მაგალითად, ცენტრალური აფრიკის სამხრეთ რეგიონში ჩატარებულმა კვლევებმა (კვლევები გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარდა) აჩვენა, რომ ამ რეგიონში მიგრაცია ატარებდა „ცირკულირებად და არა ერთმიმართულებით ხასიათს“ (Chapman; Prothero; 1985:36). გოლშტეინმა, რომელიც შიდა მიგრაციებს მალაიზიაში იკვლევდა ზემოთაღნიშნული მიგრაციების ტიპის დასახასიათებლად გამოიყენა ტერმინი „ქანქარისებული“ (უმჯობესი იქნება მიგრაციის ეს ფორმა მოვიხსენიოთ როგორც მაქოსებრი, რომელიც ჩემი აზრით უფრო ზუსტი ტერმინია – გ.კ.). ასეთი მიგრაციის შედეგი გახდა ქალაქურ და სოფლის ცხოვრებას შორის საზღვრების წაშლის ეფექტი (Codstein: 1985: 390). ჩემი აზრით, ამ კვლევის ზოგადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მას მიგრაცია წარმოეჩინა როგორც აქტორთა საქმიანობის სივრცის გაფართოება და არა როგორც ერთი პუნქტიდან მეორეში გადასვლა. შესაბამისად ამ შემთხვევაში თვით მიგრაციული არეალი (ღია ან შექმნის პროცესში მყოფი) გადაიქცევა კვლევის ერთ-ერთ მთავარ ინტერესის სფეროდ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანელმა მეცნიერმა პრისმა შემოიტანა ტრანსნაციონალური სოციალური სივრცის ცნება (Pries: 1996), მისი განმარტებით ადამიანთა, კაპიტალის, საქონლის, მომსახურების და ინფორმაციის პერმანენტული გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია გლობალიზაციის პროცესებით, მიანიშნებს მიგრაციის კვლევებში ახალი ეპოქის დასაწყისს. ეს მართლაც ასეა, ვინაიდან მიგრანტთა სოციალური ქსელი უკვე სერიოზულად ინტეგრირდება დელოკალიზირებულ და დიფუზიურ სივრცეებთან და მიუხედავად სახელმწიფო საზღვრების არსებობისა ეს ქსელი წარმატებით ახერხებს ადამიანთა ეროვნული იდენტურობის ფრაგმენტაციას, მათი ცხოვრების გზისა და შრომითი კარიერის სტრუქტურიზაციას. ამდენად, სრულიად აშკარაა ამ ტიპის ტრანსნაციონალური სოციალური სივრცეების არსებობა ანგრევს მიგრაციის ტრადიციულ ფორმებს, კერძოდ

დღის წესრიგში ისე მწვავედ აღარ დგას ტრანსმიგრაციის მთავარი დილემა – ინტეგრაცია.

როგორც ამ სფეროში არსებული კვლევების ანალიზიდან ჩანს, ხშირად მიგრანტები საერთოდ არ არიან ორიენტირებულნი ინტეგრაციაზე, ხოლო ტრანსმიგრანტთა ეთნიკური უმცირესობები იქმნება ადგილობრივი ელიტისაგან და არა მათგან, რომლებიც ახალგადმოსახლებულები არიან. ამ მხრივ უფრო საინტერესო ხდება საზღვრისპირა ტერიტორიების კვლევა.

საზღვრისა და საზღვრისპირა რეგიონების პრობლემა ტრანსნაციონალურ მიგრაციების პრიზმაში. საზღვრის კვლევა (Border studies) ტრანსნაციონალური მიგრაციის გეოეკონომიკური შესწავლისას ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. ეს არის მეცნიერული მიმართულება, რომელიც იქმნება გეოგრაფიის, პოლიტოლოგიის გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ურთიერთშეხების ადგილზე (მათ მიჯნაზე). ამ პრობლემის შესწავლის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს ყველაზე უფრო ზოგად კონცეფტუალურ მიდგომებსა და პერსპექტივებზე, რომლის პრიზმაშიც შეიძლება განვიხილოთ მიგრაცია ტრანსსასაზღვრო სტადიაში.

საერთოდ, სასაზღვრო კვლევის გააქტიურება უკავშირდება ტრანსნაციონალური დინებების ირგვლივ გამართულ დისკუსიებს. ამჟამად, სახელმწიფო საზღვრები გვევლინებიან მედიატორის როლში და ამ აზრით შუალედური მდგომარეობა მოიაზრება როგორც საზღვრისპირა ტერიტორიის უპირატესობა (Elynn: 1997: 312).

ერი-სახელწიფოების საზღვრისპირა ტერიტორიები, რომლებიც ამ სახელმწიფოებისათვის მიკროგეოეკონომიურ პერიფერიებს წარმოადგენენ, მათი შუალედური მდგომარეობის გამო, უკვე გვევლინებიან განვითარების ცენტრების რანგში. საზღვრისპირა ტერიტორიების სტატუსის ცვლილებები იწვევს დეტერიტორიზაციის პროვოცირებას. კერძოდ, სოციალური წარმონაქმნები, რომლებიც ყალიბდება

ერ-სახელმწიფოში, მეზობელი სახელმწიფოების გეოეკონომიკურ, პოლიტიკურ და ეთნიკურ პერიფერიებს ფარავენ, რაც თავის მხრივ ფაქტიურად ანგრევს ტერიტორიის, საზღვრებისა და ეროვნული იდეის გავრცელების საზღვრების სახელმწიფო საზღვრებთან სრული თანხვედრის იდეას. (Nagata: 1994:63).

მარტინესი, რომელიც ამერიკა-მექსიკის საზღვრისპირა რეგიონების ცნობილ მკვლევარად ითვლება, აღნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე ყალიბდება განსაკუთრებული სივრცე, რომლის ინიცირებასაც იწვევს ტრანსასაზღვრო სოციალური ქსელები და მძლავრი ტრანსასაზღვრო ეკონომიკური კავშირები (Martinez: 1994: 10). იმის მიუხედავად, რომ როგორც აშშ-ი ასევე მექსიკა რჩებიან ტრანსნაციონალური კავშირების ძლიერ აქტორებად, ამ ტერიტორიებზე ორი სისტემა ერთმანეთს შეერია, რათა შექმნას ისეთი წესრიგი, როცა საზღვრისპირა ტერიტორიების მოსახლეობის ცხოვრების წესი და სტილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ სახელმწიფოთა ცენტრალური რეგიონების მცხოვრებთა ცხოვრების წესისა და სტილისაგან. (Martinez: 1994: 304).

ტრანსნაციონალური მიგრაციის ბევრ კონცეფციაში, რომლებიც ფოკუსირდებიან საზღვრის ფენომენზე, აღნიშნულია, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები თანდათან კარგავენ ეროვნულ იდენტურობას და ლოიალურობას ერთი სახელმწიფოს მიმართ. არეოლა და კურტისი, აანალიზებენ რა აშშ-ისა და მექსიკის საზღვარზე არსებულ სიტუაციას, აღნიშნავენ, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე ყალიბდება განსაკუთრებული ტურისტული ლანდშაფტები. იმისათვის, რომ გამართლდეს ტურისტთა მოლოდინი მექსიკის საზღვრისპირა ტერიტორიების შესახებ ყალიბდება წარმოდგენები მექსიკაზე, როგორც რეალობის, ფანტაზიის, ისტორიისა და მითების განსაკუთრებულ სივრცეზე (Arreola and Curtis: 1996: 238). უფრო მეტიც, როსალდო წერს საზღვრისპირა რაღაც ისტერიაზეც (მასში იგი გულისხმობს იდენტურობის კრიზისს), რომელიც გამოწვეულია

ცხოვრების დონის სტანდარტებში არსებული უზარმაზარი განსხვავებებით აშშ-სა და მექსიკას შორის (Rosaldo: 1989: 28). როსალდოსთან დისკუსიაში ჩართულია ს. სასენი, რომელიც ამტკიცებს, რომ ტრანსნაციონალური მიგრაციები გამოწვეულია არა მხოლოდ სიღარიბით, გადასახადებით ან ეკონომიკური სტაგნაციით, ვინაიდან აშშ-ი ძალზედ დიდია იმ ტრანსმიგრაციის წილი, რომლებიც ქვეყანაში შედიან იმ ტერიტორიებიდანაც, რომლითაც მიაღწიეს განვითარების საკმაოდ სოლიდურ დონეს, (კერძოდ იგი ასახელებს მექსიკას, კარიბის აუზის, სამხრეთ და სამხრეთ-აზიის შედარებით უკეთ განვითარებულ ქვეყნებსა და რეგიონებს). არამედ, ეს მეცნიერი მიუთითებს, რომ მიგრაციის დონორებს წარმოადგენენ ის ქვეყნები, რომლითაც ეკონომიკურ განვითარებას მხარს უჭერდა აშშ-ი FDI (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) პროგრამის მეშვეობით. იგი ამტკიცებს, რომ FDI –ის პროგრამა ხელს უწყობს ორი ისეთი პროცესის განვითარებას, რომლებიც სტიმულს აძლევენ ტრანსნაციონალურ მიგრაციებს. მას მხედველობაში აქვს ის ინვესტიციები, რომლებიც ორიენტირებულია მრეწველობის დარგების ექსპორტზე და რომლებიც გეოკონომიკურ პერიფერიებზე ანგრევენ ტრადიციულ შრომით სტუქტურებს (გეოეკონომიკურ პერიფერიებზე ქალთა დიდი რაოდენობით დასაქმებამ წარმოშვა მამაკაცთა შორის უმუშევრობა, გაძლიერდა მიგრაციები სოფლებიდან ქალაქებში და შეიქმნა ქალაქის ანაზღაურებადი სამუშაო ძალა და ა.შ.), რამაც გამოიწვია მოსახლეობის თავისუფალი გეოგრაფიული და გეოეკონომიკური მობილიზაცია. მეორეს მხრივ, უცხოური საქონლის, კაპიტალის, ტექნოლოგიების (მათ შორის ინფორმაციული), მომსახურებისა და კულტურის პროდუქტების გაცვლების მზარდი მასშტაბები ქმნიან სამუშაო ძალის ცირკულაციის ტრანსნაციონალურ სივრცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ ერი-სახელმწიფოების ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს ტრანსნაციონალური შრომითი

მიგრაციების მობილიზებას, რაც ფაქტიურად წარმოადგენს შრომის გლობალური ბაზრის ფორმირების ადრეულ სტადიას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ, აღნიშნულ კონტექსტში, აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოთა საზღვრის კვლევა ვითარდება რამდენადმე განსხვავებული მიმართულებით. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა თანამედროვე ურთიერთგავლენასა და ცირკულაციას, არამედ ისტორიულ და ეთნიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ტრანსმიგრაციის აფრიკული ფენომენის არსი იმაშია, რომ ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი რომლებიც შემდგომში ორად გაიყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებით, საკუთარ იდენტიფიცირებას ახდენს პოლიტკურ-სახელმწიფოებრივი საზღვრების იგნორირებით ყოველდღიურ ცხოვრებაში (Adefuye: 1985; Asiwaju: 1985). იმის მიუხედავად, რომ მეცნიერები საზღვრების კვლევის პროცესში განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებენ, მათი პოზიციები ერთმანეთთან ახლოა, როგორც ლოგიკაში ასევე კვლევის შედეგების მიხედვით (გამონაკლისი ამ მხრივ ზოგიერთი რუსი მეცნიერია. მაგ. ა. დუგინი. – გ.კ.) მაგალითად, ჰერცოგისა და ლორენსის მიერ „ტრანსსასაზღვრო მეტროპოლიების“ კვლევის დროს ყურადღება გამახვილდა საზღვრისპირა ქალაქებზე (Herzog & Lawrence: 1996); როდრიგესი „არარეგულირებადი მიგრაციის“ კვლევის პროცესში ფოკუსირდება ტრანსნაციონალიზაციის ისეთ ასპექტზე როგორიცაა სახელმწიფოს პოზიცია საკუთარი საზღვრის გარშემო მიმდინარე ბატალიებში (Rodriguez: 1996), და ა. შ. რაც პრობლემის კონცეპტუალურ განხილვას მეტად აქტუალურს ხდის.

ტრანსნაციონალური მიგრაცია ტრანსლოკალურობის კონცეფციაში. ტრანსლოკალურობის კონცეფციას უკავშირებენ ა. აპადურაის სახელს. ეს მეცნიერი ტერმინის მნიშვნელობას განსაზღვრავს ლოკალურობის საკუთარი გაგების შესაბამისად და უპირისპირებს მას „მეზობლობის“ კატეგორიას (neighborhoors:, Appadurai: 1985). იგი აღნიშნავს, რომ ლოკალურობის კვალწარმოება და კონსტრუირება

ხდება ადამიანის მიერ როგორც შეგრძნობადობის სტრუქტურა, ხოლო „მეზობლობა“ პირიქით, წარმოდგენს ადამიანთა სოციალური ორგანიზაციის რეალურ ფორმას.

ერი-სახელმწიფო (სოციალური ორგანიზაციის ყველაზე მსხვილი აქტორი) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს „მეზობლობას“ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში. თანამედროვე ერი-სახელმწიფო (მოიაზრება როგორც სტანდარტიზირებული მოქალაქეების მიერ მეზობლობის ფორმირების პროექტი, დაფარული დისციპლინარული მექნიზმების ან ღია ძალადობის გამოყენებით) სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს „მეზობლობის“ კონსტრუირებას ლოკალური სტრუქტურების (ქვემოდან მშენებლობა) მეშვეობით. ამავე დროს ერი-სახელწიფოს ტერიტორიული (და არა მარტო) მთლიანობა საფრთხის ქვეშ დგება, რადგან იზრდება ადამიანთა, კაპიტალის, საქონლის და ინფორმაციის დინებები. ა. აპადურაი თვლის, რომ ადამიანების მობილობა (ტურისტები, დევნილები, შრომითი მიგრანტები, ეკომიგრანტები და ა.შ.) ქმნის იმის საფუძველს, რომ გავერკვეთ ისეთი ტიპის კონფლიქტების ბუნებაში, რომელიც აღმოცენდება სახელმწიფოს ტერიტორიულ სუვერენიტეტსა და მეორეს მხრივ, ტრანსლოკალური დიასპორების ახალ ფორმებს შორის (Appadurai: 1995: 216).

ცნობილია, რომ კომუნიკაციების ელექტრონული საშუალებები იოლს ხდიან და ხელს უწყობენ ტრანსლოკალურობისა და ვირტუალური „მეზობლების“ წარმოქმნას. ამასთან დაკავშირებით ა. აპადურაი წერს: „კულტურის კვლავწარმოების პრობლემები (გლობალიზირებულ მსოფლიოში – გ.კ.) მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება რასისა და კლასის (გენდერისა და ხელისუფლების) ტერმინებით აღწერას, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, ჩართულნი არიან ამ პროცესში. გაცილებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლოკალურობის განვითარება დღეს სუსტდება და ქრება, ვინაიდან იგი დიდი წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობს. ხდება რა ადამიანთა გადაადგილების დესტაბილიზა-

ცია, მას ენაცვლება ვირტუალური თანამეგობრობის ახალი სახეობები“ (Appadurai: 1995: 221).

შედის რა გარკვეული ფორმით ა. აპადურაისთან პოლემიკაში, დე იონგი (De Jong: 1999) ამტკიცებს, რომ ტერმინი „მეზობლობა“ არ შეიძლება გამოყენებული იქნას მსხვილი სოციალური ერთობების მიმართ (მაგალითად ეთნიკური ჯგუფები), რომელთა წევრები გაფანტულნი არიან მთელს მსოფლიოში. მისი აზრით, ეს ჯგუფები ჯერ კიდევ წარმოადგენენ თანამეგობრობებს ან თემებს და ისინი კვლავ ქმნიან ტრანსლოკალურობას. საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დე იონგმა სამხრეთ სენეგალში შეისწავლა ეთნიკური ჯგუფი „იოლა“ (Jola), რომელმაც ბოლო ათწლეულებში ძლიერი მიგრაცია განიცადა. მისი კვლევის შედეგების თანახმად ამ თემიდან მიგრანტთა გამავალი ნაკადი, რომელიც მიმართული იყო მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის დასამყარებლად და ამდენად ლოკალურობის კვლავწარმოებისაკენ, შემდგომში თანდათან შეიცვალა რეგიონში დაწყებული ისლამიზაციის პროცესის ზეგავლენით. სწორედ ამიტომ იგი ნელ-ნელა შეეთვისა გლობალურ სისტემას, რომლის გამოვლენის ყველაზე არსებითი მომენტი იყო ფულადი გზავნილები. ამჟამად წეს-ჩვეულება, ტრადიციები, უნარ-ჩვევები და ა.შ. მხოლოდ იმას ემსახურება, რომ მოახდინოს ტრანსლოკალური საზოგადოების ქსელებისა და კავშირების კვლავწარმოება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, პერმანენტულად შექმნას ტრანსლოკალურობა, როგორც ახალი სოციალური ფორმა – წერს დე იონგი.

ტრანსნაციონალიზმი და გეოეკონომიკური კვლევების პერსპექტივები. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო ხდება განისაზღვროს საკითხის ზოგიერთი პრობლემური არეალები და აღნიშნულ კონცეფციათა განვითარების გეოეკონომიკური პერსპექტივები.

აშკარაა, რომ გეოეკონომიკა, რომელიც თანდათან ისწრაფვის გლობალური სივრცის ფორმირებისაკენ, საჭიროებს ანალიტიკური

კვლევების გაძლიერებას. რა თქმა უნდა, ტერმინები რომლებიც გამოყენებული იქნა შემოთავაზებულ კონცეფციებში იცვლება კვლევის ობიექტისა და ფოკუსის შესაბამისად. ტრანსნაციონალური მიგრაციის გეოეკონომიკური კვლევა ფოკუსირდება ადამიანთა გადაადგილებაზე და შესაბამისად მისი კვლევის საგანი ხდება ტრანსნაციონალური საზოგადოების ფორმირების განვითარებისა და ინტეგრაციის ეკონომიკური კონცეფციები. საზღვრის როგორც გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კატეგორიის კვლევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს გეოეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე ერი – სახელმწიფოს როლზე საზღვრისპირა ტერიტორიებთან მიმართებაში.

მაკროორიენტირებულ მიდგომებში (ინსტიტუტები, ორგანიზაციები გლობალური ქალაქები, ერი-სახელმწიფოები, ქვეყანა სისტემები, მსხვილი გეოეკონომიკური სივრცეები) აქცენტი უნდა გაკეთდეს გეოკულტურულ, გეოინფორმაციულ და სხვა ტიპის ტრანსნაციონალური დინებების (Gastells.; 1989) მიმართულებებზე და მის გეოეკონომიკურ მნიშვნელობაზე. დღეს სრულიად აშკარაა, რომ არსებული გეოსოციალური და გეოპოლიტიკური რეალობის ასახსნელად გეოეკონომიკაში არ არსებობს კონვენციონალური თეორიული სქემები და კონცეფციები. ხოლო ახალი თეორიების აგების მცდელობა მოითხოვს ახალ ტერმინოლოგიასაც. ამასთან, გასაგებია რომ ახალ კატეგორიათა ურთიერთწინააღმდეგობა და ხშირად გაურკვევლობა სულაც არ ამსუბუქებს დისკუსიას. იგივე მიგრაციის კვლევებში ადაპტაცია განიცადა ტრანსნაციონალიზმის ცნებამ, სადაც მიგრანტები უპირველეს ყოვლისა განიხილებიან როგორც ერთი ერის წარმომადგენლები, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათი საქმიანობა სცილდება ერი-სახელმწიფოს საზღვრებს და მათ ტრანსმიგრანტებად აქცევს. ამ შემთხვევაში კი მეორე ტერმინი „ტრანსლოკალურობა“ სრულიად ადეკვატურია მათი ტერიტორიული ორგანიზაციის გეოსოციალური და გეოეკონომიკური ფორმების დასახასიათებლად. უფრო მეტიც, როგორც ცნობილია,

ტრანსმიგრანტები გადაადგილდებიან ორ ან უფრო მეტ ერებს შორის და მაშინ როცა ჩვენ ვსაუბრობთ ამ გადაადგილებებთან დაკავშირებულ ტრანსფორმაციებსა და მის სტრუქტურაზე, ტერმინ „ლოკალურობის“ გამოყენება ამ დროს გაცილებით რელევანტურად მეჩვენება. რაც შეეხება ტერმინ „ტრანსნაციონალიზმს“ იგი გაცილებით ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული მაკრო დონეზე, ანუ ერებს, მსხვილ ორგანიზაციებს ან საზღვარმკვეთ გეოეკონომიკურ სივრცეებს შორის ურთიერთკავშირსა და ურთიერდამოკიდებულების აღნიშვნისათვის. ამ პროცესის ფიქსაციისათვის კი უფრო ზუსტი ტერმინი იქნება **გეოეკონომიკური ტრანსნაციონალიზმი**, რომელიც ჯერჯერობით არ შესულა მეცნიერულ ბრუნვაში.

თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცის ფორმირება თეორეტიკოსებისაგან მოითხოვს გლობალური მსოფლიოს აღქმის აუცილებლობას. მაგალითად, ტერმინოლოგიური გაურკვევლობის მდგომარეობაში იმყოფება ის თეორიული პერსპექტივაც, რომელიც უკავშირდება თანამედროვე ერი-სახელმწიფოს გეოეკონომიკურ ტრანსფორმაციას. ცნობილია, რომ გეოეკონომიკას გააჩნია დეტერიტორიალიზაციის ეფექტი (გ. კვინიკაძე: 2008), თუმცა ზოგიერთი მეცნიერი (S. Sassen; 1991) მიიჩნევს, რომ ადამიანთა მოქმედება სულ უფრო მატერიალიზდება სივრცეში. ერთის მხრივ, გეოეკონომიკური სივრცე ჯერ კიდევ დაკავშირებული და სტრუქტუირებულია ერი-სახელმწოებით, მეორეს მხრივ თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფუნქციები და მნიშვნელობა მსოფლიოს ახალ გეოეკონომიკურ კოორდინატთა სისტემაში არსებითად იცვლება, ამასთან დაკავშირებით პოსტთანამედროვე სახელმწიფოს (ამ ტერმინს გაცილებით აჯობებდა დაგვემკვიდრებინა ტერმინი „გეოეკონომიკური სახელმწიფო“ მ. კ.) ფაქტიური როლი და ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია აკადემიურ დისკუსიებში. ს. სასენი ამტკიცებს, რომ ერი-სახელმწიფოები წარმოადგენენ გლობალიზაციის ინსტრუმენტალურ აგენტებს, რომ ზოგიერთი მისი

ფუნქცია კიდევაც გაიზარდა თავისი მნიშვნელობით (მაგალითად მას მოჰყავს ფისკალური პოლიტიკა – გ. კ.). ს. სასენის საწინააღმდეგოდ ა. აპადურაი ხაზს უსვამს ერი-სახელმწიფოს შესაძლებლობების შეზღუდულ ხასიათს, ერ-სახელმწიფოს როგორც კოლექტიურ პროექტის განხილვას (A. Appadurai; 1993). ამ შემთხვევაში ვიხრები რა ა. აპადურაის მოსაზრებებისაკენ მაინც ვფიქრობ, რომ ორივე მოსაზრებას გააჩნია არსებობის უფლება, თუნდაც იმიტომ, რომ სხვადასხვა სახელწიფოთა გეოეკონომიკური ტრანსნაციონალიზაციის ხარისხი ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. გლობალური გეოეკონომიკური სივრცის მნიშვნელოვან ნაწილში სახელმწიფოები იმყოფებიან ერის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე (გეოეკონომიკური პერიფერია), მაშინ როცა სხვა ნაწილში მიმდინარეობს ნებაყოფლობით (თუმცა კონფლიქტების თანხლებით) დენაციონალიზაცია – პრივატიზაცია (გეოეკონომიკური ნახევრად პერიფერიები) და გაცილებით მაღალი ხარისხის ინტეგრაცია ახალ გეოეკონომიკურ სივრცესთან, იმ დროს, როცა გეოეკონომიკური ბირთვის შემადგენლობა ქვეყნებმა უკვე გეოეკონომიკურ სახელმწიფოთა სტატუსი შეიძინეს.

გეოეკონომიკური ტრანსნაციონალიზაციის ძალები ერ-სახელმწიფოზე სხვდასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენენ. ის ერი-სახელმწიფოები, რომლებიც განიცდიან ტრანსმიგრანტთა მძლავრ მოძალებას, ალბათ იძულებულნი გახდებიან:

- მკაცრად გააკონტროლონ საკუთარი ტერიტორიები (იგივე სელექციური მიგრაციის მეშვეობით) ქვეყნის გეოეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, მიგრაციის საერთაშორისო კანონმდებლობის სრული დაცვით;
- გეოეკონომიკური ბირთვის ქვეყნები მომავალში უფო მეტად მოგვევლინებიან ტრანსნაციონალური გაცვლების კატალიზატორის როლში, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც ნაკლებად არიან

ორიენტირებულნი გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეში, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი ვერ ან არ არიან კონკურენტუნარიანები გლობალურ ბაზრებზე.

ტრანსნაციონალური მიგრაცია როგორც განვითარების გეოეკონომიკური ბერკეტი. ცნობილი ფაქტია, რომ ტრანსნაციონალური მიგრაცია მოწოდებულია შეარბილოს დემოგრაფიული დისპროპორციები და ასევე უთანაბრობა გეოეკონომიკურ განვითარებაში. ფრანგი მეცნიერის ჟან კლოდ შონეს თუ დავესესხებით ტრანსნაციონალური მიგრაცია ეს არის სამი აქტორის: იმიგრანტის, დონორი ქვეყნისა და ქვეყანა რეციპიენტის მონაწილეობა, რომელიც დადებითი შედეგით მთავრდება.

ტრანსნაციონალურ მიგრაციებში ნაკლებადაა შესწავლილი დონორ ქვეყნებში არსებული სიტუაცია და როგორც წესი იგი განიხილება კეთილგანზრახვითი იდეოლოგიის პრიზმაში, რომელსაც რეალობასთან ცოტა თუ აქვს საერთო.

იმიგრანტს, რომელიც საზღვარს ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად კვეთს, გააჩნია ნათელი მოტივაცია: ა) ეს არის მისი და მისი ოჯახის გადარჩენის საკითხი; ბ) იმისათვის, რომ დაივიწყოს საკუთარ სამშობლოში გამეფებული უმუშევრობა და სიღატაკე ის ცდილობს მიაღწიოს „ელდორადოს“, სადაც ხელფასი ხშირად 10-20-ჯერ აჭარბებს მის სამშობლოში არსებულ ხელფასს. ტრანსმიგრანტი ხშირად განიცდის ექსპლუატაციას ხელფასის, შრომის და ა.შ. რეჟიმიდან, მაგრამ თავის ახალ პირობებს იგი ადარებს არა იმ ქვეყანაში არსებულ პირობებს სადაც ის იმყოფება, არამედ იმ პირობებს რომლებშიც იმყოფებიან მისი ის თანამემამულეები, რომლებიც სამშობლოში დარჩნენ, იმ ტრაექტორიას რომელსაც ის გაივლიდა თუ საკუთარ ქვეყანაში დარჩებოდა. ტრანსმიგრანტი თანხმდება ყველა იმ „ჭუჭყიან“, ძნელ და ხშირად ჯანმრთელობისათვის სახიფათო სამუშაოს, რომელსაც უარყოფს ქვეყანა რეციპიენტის მოსახლეობა.

ტრანსმიგრანტისათვის ეს არის პირადული არჩევანი, რომელიც ამაღლებს მას თავის თანამემამულეთა თვალში და რომელიც მას აძლევს გამოცდილებას, პროფესიას და ღირსეული ცხოვრების შანსს. ამის ნათელი დადასტურებაა დაბრუნებაზე ფულადი დახმარების პოლიტიკის კრახი, ანუ დახმარება უცხოელ მუშებზე რომლებიც თანახმანი იყვნენ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. (ასეთი პრაქტიკა გააჩნდა გერმანიას, საფრანგეთს, შვეიცარიას, იტალიას და ა.შ.). ეს იყო 1973-1974 წწ., როცა განვითარდა ნავთობის კრიზისი, რაც ნიშნავდა ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას და ა.შ. ამ პერიოდში ვერ იმუშავა მაღალმა ფინანსურმა სტიმულებმა და ტრანსმიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ იმიგრაცია წარმოადგენს ოჯახური სტრატეგიის (სოციალური სტატუსის ამაღლება, ფულადი გზავნილები იმ ახლობლებთან რომლებიც სიღატაკეში ცხოვრობენ, კაპიტალის დაგროვებისაკენ სწრაფვა, რათა ააშენონ სახლი ან წამოიწყონ ბიზნესი და ა.შ.). ნაწილს, რომელიც ტრანსმიგრანტისათვის უმნიშვნელოვანესი ფენომენია. ტრანსმიგრანტთა შორის ამჟამად შეინიშნება უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე და გაცილებით ძლიერი სწრაფვა სამუშაოსადმი, ვიდრე ეს არის რეციპიენტი ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობაში, ვინაიდან ტრანსმიგრანტი მოწყურებულია დააგროვოს კაპიტალი და ყველაფერი გააკეთოს ამ მიზნის რეალიზაციისათვის.

გეოეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა რეციპიენტისათვის მნიშვნელობა იმას აქვს რომ, გაზარდონ სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. რა თქმა უნდა, ეს ეხება როგორც კვალიფიციური მუშახელით დასაქმებულ ზოგიერთ სექტორს (ინჟინრები, ჯანდაცვის მუშაკები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ა.შ.) ასევე ხელით შრომის სფეროს, ან იმ სპეციალობებს, რომელიც სულაც არაა მიმზიდველი ქვეყანა რეციპიენტში მცხოვრები განათლებული ახალგაზრდებისათვის (დამლაგებლები, შინამოსამსახურეები,

ბავშვები და მოხუცთა მომვლელები, მებაღეები, სამშენებლო სექტორში დასაქმებულები, ოფიციანტები, ტაქსის მძღოლები და ა.შ.). ქირაობენ რა უცხოელ მუშებს ბევრი საწარმო აღარ კოტრდება, ხოლო გლობალური გეოეკონომიკური სივრცე ამით მეტად მოქნილი ხდება. რაც შეეხება მომხმარებელს (იმის გამო, რომ ისინი იაფ მუშახელს წარმოადგენენ) იგი ფინანსური კუთხით იგებს და მათ მიერ დაზოგილი თანხები კვლავ ინვესტირდება ეკონომიკაში.

„სტატუსის დაკარგვის“ შიში (ასე უწოდა მას სოვიმ) ქვეყანა რეციპიენტის მოქალაქეებში წარმოადგენს დისკრიმინაციის მიზეზს. კერძო მსხვილი საწარმოები მოწესრიგებისათვის (დალაგებისათვის) ეძებენ ტრანსმიგრანტებს, ვინაიდან მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი ამ სამუშაოს არაპრესტიჟულად მიიჩნევს და ცდილობენ იცხოვრონ მხოლოდ სახელმწიფო დახმარებების ხარჯზე (ხშირად ცდილობენ არარეგისტრირებულ საქმიანობაშიც მიიღონ მონაწილეობა გ. კ.).

საერთოდ იმიგრაცია ხელს უწყობს შემსყიდველუნარიანობის ზრდას (ტრანსმიგრანტები აწარმოებენ შედარებით დაბალი თვითღირებულების პროდუქტებსა და მომსახურებას) და დადებითად მოქმედებენ მოსახლეობის სოციალურ მობილურებაზე ქვეყანა რეციპიენტის შიგნით. საუბარია არა სოციალური დაძაბულობის, დანაშაულის ან ინტეგრაციის დანახარჯების ლიკვიდაციაზე, არამედ იმ ზოგიერთ ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც როგორც წესი მასმედიის მიღმა რჩება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, იმიგრაციას მივყავართ მწარმოებლურობის ამაღლებამდე, ვინაიდან როგორც წესი ყველაზე უკეთესები, ყველაზე ჭკვიანები, ყველაზე კვალიფიციური ადამიანები მზად არიან წავიდნენ რისკზე და მიატოვონ საკუთარი სამშობლო. ამ კატეგორიაში შედიან ის ტრანსმიგრანტებიც, რომლებიც ისწრაფვიან შექმნან საკუთარი ბიზნესი („family/community-business“).

რაც შეეხება მიგრაციის დონორ ქვეყნებს, ინტერნეტით გადარიცხული ფულადი გზავნილების სტატისტიკის მიხედვით თუ ვი-

მსჯელებთ ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ტრანსმიგრანტების ფულით საზრდოობს გეოეკონომიკური პერიფერია. მსოფლიო ბანკის გათვლებით (იმ ფულადი გზავნილების გამოკლებით, რომლებიც არაოფიციალური გზებით იქნა გადაგზავნილი და 300 მლრდ. დოლარს შეადგენს) ტრანსმიგრანტების ფულადმა გზავნილებმა 2004 წ, 100 მლრდ. დოლარს მიაღწია, რაც ჯამში 400 მლრდ. დოლარს შეადგენს. ეს თანხა კი ბევრად აჭარბებს გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნებისათვის გაწეული ოფიციალური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობებს. გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყნებში ტრანსმიგრანტთა ფულადი გზავნილები წარმოადგენს იმ უცხოური ვალუტის პირველ ან მეორე წყაროს, რომლითაც ხდება უცხოური შესყიდვების დაფინანსება, ინფრასტრუქტურის (გზების, საავადმყოფოების, სკოლების და ა.შ. მშენებლობა) შექმნის პროექტების რეალიზაცია და ადგილობრივ მოსახლეობაზე კრედიტების გაცემა კერძო ბიზნესის წამოწყებისათვის.

საბოლოო ჯამში აღნიშნული უზრუნველყოფს ახალგაზრდებისათვის სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო მოზარდებისათვის სასკოლო დაწესებულებებში განათლების მიღებას. ბუნებრივია, რომ გეოეკონომიკური ბირთვის ეკონომიკებისათვის ტრანსმიგრანტები წარმოადგენენ დამხმარე მუშებს, ხოლო გეოეკონომიკური პერიფერიებისათვის (ხშირად ნახევრადპერიფერიებისათვისაც) ისინი სერიოზული დამფინანსებლები არიან, რამდენადაც პერმანენტულად ზრდიან თავის წვლილს იმ შენატანებზე, რომელიც ხმარდება განვითარებისათვის ათასწლეულის მიზნებს (ეს არის სიღატაკის შემცირების განახევრების გაეროს პროგრამა 2015 წლისათვის). ამასთან ისიც უნდა შევნიშნო, რომ ტრანსმიგრანტების შემთხვევაში აღნიშნული პროცესი გაცილებით სტაბილურად მიმდინარეობს, ვიდრე ოფიციალური არხებით. დასკვნის სახით ვიტყვით რომ ტრანსნაციონალური მიგრაცია ხელს უწყობს: გეოეკნომიკური პერიფერიის განვითარებას და წარმოადგენს

სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას. უმეტეს შემთხვევაში ის ფული რომელიც ეგზავნება ტრანსმიგრანტის სამშობლოში დარჩენილ ნათესავებს შეიძლება შეადგენდეს ტრანსმიგრანტის ხელფასის 1/4-ს ან 1/5-ს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დონორ და რეციპიენტ ქვეყნებს შორის ცხოვრების დონეებში არსებულ სხვაობას (იგი საშუალოდ შეიძლება იყოს 1:5), ტრანსმიგრანტთა გამოგზავნილმა ფულმა შეიძლება ოჯახის შემოსავლების ნახევარი შეადგინოს რის შედეგადაც ხდება დამატებითი ეფექტის ბერკეტის აღმოცენება.

ამდენად, ტრანსნაციონალური მიგრაცია ეს არის დინამიური ინტერაქციული პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი შემოსავლების ზრდას, რაც ხშირად: ა) სათანადოდ არ არის გაშუქებული; ბ) სათანადოდ ვერ ან არ ფასდება სტატისტიკის მიერ; გ) არ შეინიშნება დიქოტომიურ კვლევებში. ტრანსნაციონალური გეოეკონომიკური კვლევა გაცილებით კომპლექსური და ზუსტია, ვიდრე მის მიმართ საზოგადოებრივი წარმოდგენაა.

Abstract

Giorgi Kvinikadze

The Geoeconomic Problems of Migration and Nation-state in the concepts of transnationalism and Translocality

The goal of above mentioned article is to introduce the conceptions of the trans-nationality and trans-locality to the Georgian scientists. The issue has never become the serious subject of the scientific discussion. However, it is popular enough in the Western academic world.

It is clear that the terms „Globalization“, „Deterritoryzation“, „Trans-locality“, „Trans-nationality“, „Society Space“, have the common implication and are connected with each other although, they are used in different research context and belong to the different social phenomena. Our interest toward the noted problem first of all is connected to the using of the tasks in such field of constructive Geo-Economy as are transnational migrations and their effect on the functionality of the nation-state. This can be considered as the new method of approach to study the problem. During the research we tried to define the problematic area which is referred to the future economic investigation in the context of transmigration and its influence on nation-state.

ციტირებული და გამოყენებულილიტერატურა:

1. The Kakwa of Uganga and the Sudan: The Ethnic Factor in National and International Politics // Anthony L. Asiwaju (ed.): Partitioned Africans. Ethnic Relations across Africa s International Boundaries 1884-1984. Lagos: University of Lagos Press, 1985, p. 51-69.
2. Travelling Beyond Local Cultures. Socioscapes in a Global City // John Eade (ed.): Living in the Global City. Globalization as a Local Process, London; Routledge, 1997, p. 37-55.
3. Patriotism and Its Futures // public Culture. 1993. 5. p. 411-429.
4. The Production of Locality // Richard Fardon (ed.): Counterworks. Managing the Diversity of Knowledge. London: Routledge, 1995. p. 204-225.
5. Tourist Landscapes // Oscar J. Marthinez (ed.): U.s. – Mexico Borderlands. Historical and Contemporary Perspectives. Wilmington, Del: SR Books (Jaguar Books on Latin America, 11), 1996: p. 236-243.
6. (ed.) Partitioned Africans. Ethnic Relations across Africans International Boundaries 1884-1984. Lagos: University of Lagos Press, 1985.
7. Transnationalism. London: Sage (Current Sociology, 41,3, Winter), 1993.
8. The Informational City. Oxford: Blackwell, 1989.
9. (eds.) Circulation in Population Movement. Substance and Concepts from the Melanesian Case. London: Routledge and Kegan Paul, 1985.
10. The Production of Translocality, Initiation in the Sacred Grove in Southern Senegal // Richard Fardon, Wim van Binsbergen,

Rijk van Dijk (eds.): Modernity an a Shoestring. EIDOS, Leiden, 1999.
11. Globalised Market Culture and Market Fundamentalism. EIDOS Conference on Globalization, Development and the Making of Consumers: What are Collective Indentifies for? The Maguey 13-16 March. 1997.
12. Global Market and Social Transformation. University of Bielefeld, Sociology of Development Research Centre: Working Paper. 1995, No 234.
13. Undoing Culture. London: Sage, 1995.
14. We are the Border; Identity Exchange, and the State along the Benin – Nigeria Border // American Ethnologist. 1997. 24(2). p. 311-330.
15. The Consequences of Modernity. Cambridge: Polity Press, 1990.
16. (eds.). Towards a Transnational perspective on Migration. Race, Class, Ethnicity and Nationalism Reconsidered. N.Y.: Annals of the New York Academy of Sciences, 1992. Vol. 645.
17. Everywhere we go, We are In Danger: Ti Manna and the Emergence of a Haitian Transnational Identity // American Ethnologist. 1990. 17(2). p. 329-347.
18. Circulation in South East // Murray Chapman, R. Mansell Prothero (eds.). Circulation in population Movement. substance and Concepts from the Melanesian Case, London: Routledge and Kegan Paul, 1985, p. 377-406.
19. Transnational Connections. Culture, People, Places, London, New York: Rouitledge, 1996.
20. The Condition of Post modernity. Oxford: Basil Blackwell, 1989.

21. Border commuter Workers and Transfrontier Metropolitian structures along the U.S. – Mexico Border // Oscar J. Marthnez (ed.). U.S. – Mexico Borderlands: Historical and Contemporary Perspectives. Wilmington, Del.: SR Books (Jaguar Books on Latin America, 11), 1996, p. 176-189.
22. border People: Life and Society in the U.S. – Mexico Borderlands. Tucson and London: The University of Arizona Press, 1994.
23. How to be Islamic without being an Islamic state. Contested Models of Development in Malaysia // Ahmed Akbar, Hasting Donnan (eds.) Islam, Globalization and Post modernity, London and New York: Roultledge, 1994, p. 63-91.
24. Latin Journey: Cuban and Mexican Immigrants in the United States, Berkley: University of California Press, 1985.
25. Transnational Soziale Raume. Theoretisch-empirische skizze am Beispiel Mexico – U.S.A. // Soziologie. 1996., 25(2) Des. p. 456-472.
26. Globalization: Social Theory and Global Culture. London: Sage, 1992.
27. Globalization: Time-space and Homogeneity – heterogeneity // Michael Featherstone, Scott Lash, Roland Robertson (eds.) Global Modernities. London: sage, 1995 p. 23-44.
28. The Battle for the Border: Notes on Autonomous Migration, Transnational Communities, and the State // Social Justice, 1996. 23 3(65), Fall: 2137.
29. culture and Truth: The remaking of Social Analysis. Boston: Beacon Press, 1989.
30. Mexican Migration and the Migration and the Social Space of post modernism // David G. Gutnerrez (ed.). Between Two Words: Mexican Immigrants in the United States. Wilmington,

Del: SR Books (Jaguar Books on Latin America, 15), 1996, p. 247-263.
31. Sassens, U.S. Immigration Policy toward Mexico in a Global Economy // David G. Gutnerrez (ed). Between Two Worlds: Mexican Immigrants in the United States. wilmington Del.: SR Books (Jaguar Books on Latin America, 15), 1996p. 213-227.
32. The Global City: New York, London, Tokyo. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1991.
33. За пределами идентичности // АБ Imperio. 2002. 3. с 61-115.
34. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა. /მსოფლიოს განვითარების ცენტრალური ვექტორი/ სახელმძღვანელო. თბ. 2008 წ.

იაგო კაჭკაჭიშვილი

საზოგადოებრივი აზრის ცვლილებები რუსეთ-საქართველოს ომის შუქზე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი იმ მოვლენათა რიცხვში შედის, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს და რომლებთან კავშირშიც სხვადასხვა ასპექტით გაიზომება სოციალურ-პოლიტიკური გარემოს მიმართ დამოკიდებულება. ბევრ სოციალურ მოვლენასთან მიმართებაში საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად იცვლება იმის მიხედვით, რომელ სიტუაციაში ხდება მათი შეფასება – ომის წინ, უშუალოდ ომის შემდგომ თუ ომის დამთავრებიდან თვეების შემდეგ.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ აგვისტოს ომთან პირდაპირ თუ ირიბ მიმართებაში მყოფი მოვლენების შეფასება მნიშვნელოვნად ვარირებს სხვადასხვა პოლიტიკური პრეფერენციებისა და გემოვნების მქონე ჯგუფებში. მეტიც: ომია ის თემა, რაც ყველაზე ძლიერი წყალგამყოფია სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ჯგუფებისთვის.

ქვემოთ მოცემულია ქ. თბილისის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩატარებულმა გამოკითხვებმა მოგვცა: ომის დაწყებამდე, 2008 წლის ივლისში, ომის დამთავრებიდან ძალიან მალე – 2008 წლის სექტემბერში და ომიდან თვეების გავლის შემდეგ – 2008 წლის დეკემბერში, 2009 წლის მარტსა და მაისში[1].

[1] გამოკითხვები ჩაატარა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA)“.

ცოტა რამ მეთოდოლოგიის შესახებ

ყველა შემთხვევაში ჩატარდა რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევა, გამოკითხვის, კერძოდ, პირისპირ (face to face) ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, ოჯახებში. გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა ქ. თბილისის საარჩევნო ასაკის (18 წლის და მეტი) მოსახლეობა. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაა 800 რესპონდენტი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ცდომილების მაქსიმალური სიდიდე (მთელი შერჩევისათვის) 3.5%-ია (95%-იანი საიმედოობით).

შერჩევის ბაზად გამოყენებულია საქართველოს მოსახლეობის აღწერის 2002 წლის მონაცემები. შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმოადგენდა სააღწერო უბანი. სააღწერო უბნების შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი PPS (Probability Proportional to Size) მეთოდის გამოყენებით. ყოველ შერჩეულ კლასტერში ინტერვიუერს განესაზღვრა საწყისი წერტილი და მოძრაობის მიმართულება. შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენდა ოჯახი. ოჯახების შერჩევა განხორციელდა ე.წ. „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდით. შერჩევის საბოლოო ერთეულს წარმოადგენდა რესპონდენტი.

რესპონდენტი ოჯახში შეირჩა ასაკის და სქესის ნიშნებით (კვოტებით).

მოსახლეობის პოლიტიკური პრეფერენციები

თბილისის მოსახლეობა, მათი პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით, ოთხ თვისებრივად განსხვავებულ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. თითოეული ჯგუფის სტატუსი და ხვედრითი წილი ასეთია **(იხ. ცხრილი №1):**

ცხრილი №1

	თბილისელ ამომრჩეველთა ჯგუფები პოლიტიკური სიმპატიების მიხედვით	**2008 წლის ივლისი (%)**	**2008 წლის სექტემბერი (%)**	**2008 წლის დეკემბერი (%)**	**2009 წლის მარტი (%)**	**2009 წლის მაისი (%)**
1.	ხელისუფლების (ნაციონალური მოძრაობის) ამომრჩევლები	26.6	26.0	25.3	16.8	10.8
2.	არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები	35.4	31.2	31.1	48.6	51.8
3.	საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები	10.6	7.6	15.1	7.8	5.9
4.	პოლიტიკური პრეფერენციის არმქონენი (ისინი, ვისაც უჭირთ დაასახელონ მათთვის რჩეული რომელიმე პოლიტიკური ძალა ან, არსებულ პოლიტიკურ სპექტრში, ვერ პოულობენ ისეთ პარტიას, რომელსაც მხარს დაუჭერდნენ)	27.4	35.1	28.5	26.8	31.5

ცხრილში მოტანილი მონაცემები ცხადად აჩვენებს, რომ აგვისტოს ომამდე არსებული რეიტინგი მმართველმა პარტიამ ომის შემდგომ 6 თვის განმავლობაში, 2009 წლის გაზაფხულამდე შეინარჩუნა. მაშასადამე, აგვისტოს ომს, მთელი ნახევარი წლის განმავლობაში, ხელისუფლების საზიანოდ არ უმუშავია. ამისათვის თავად ხელისუფლებამ იზრუნა. შესაშური ორგანიზებულობით მუშაობს საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მანქანა, რომელიც ცდილობს დომინანტური გახადოს ვირტუალური სინამდვილე, შექმნას დამაჯერებელი ილუზია, რომ საქართველო აგვისტოს ომიდან ღირსეულად გამოვიდა. ხელისუფლებას ჭირდება ნამდვილი რეალობის ჩანაცვლება „სიმულაციური“ რეალობით, სადაც წაგება მოგებად მოინათლება, მარცხი – გამარჯვებად, თავდასხმა – თავდაცვად, ტერიტორიების დაკარგვა – სახელმწიფოებრიობის „არჩამოშლად“ და ა.შ. როგორც ჩანს, ამ სტრატეგიამ 6 თვე იმუშავა.

მარტიდან იწყება მმართველი პარტიის „დაისი“, მისი რეიტინგი დაღმასვლას იწყებს და მაისის ბოლოს 11%-მდე ჩამოდის.

პარალელურად, ხდება მოსახლეობაში ოპოზიციური განწყობების გაძლიერება. 2009 წლის მარტში არასაპარლამენტო ოპოზიციის მხარდამჭერთა რაოდენობა, 2008 წლის დეკემბერთან შედარებით, მკვეთრად მატულობს და მაისის ბოლოსთვის უმრავლესობას აღწევს, რაც გამოვლინდა კიდეც ამ პერიოდის მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში.

რა თავისებურებებით გამოირჩევა ზემოაღნიშნული 4 ჯგუფი?

ამ ჯგუფებიდან ყველაზე მეტად ანტაგონისტურია ხელისუფლების და არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები – საკითხთა აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ ისინი საპირისპირო პოზიციებზე დგანან.

ყველაზე უფრო მოთანამშრომლე ჯგუფები აღმოჩნდნენ ხელისუფლების და საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები. სწორედ ამის შედეგია ის, რომ 2009 წლის მარტიდან მოყოლებული, რეიტინგი უფუჭდება არასაპარლამენტო ოპოზიციასაც.[1] წარმატებას ვერ აღწევს გ. თარგამაძის პარტიის სტრატეგია, რომ მოძებნოს დამოუკიდებელი და პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციისაგან განსხვავებული ასპარეზი, რომელიც ამომრჩევლის თვალში უფორ მომხიბვლელი იქნება.

პოლიტიკური პრეფერენციის არმქონეები ოპორტუნისტები არიან: ისინი ხან ხელისუფლების თამაშს „თამაშობენ", ხანაც – ოპოზიციის.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ჯგუფის დამოუკიდებლობის ხარისხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ისინი, ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში, მაინც პოულობენ „საერთო ენას" ერთმანეთთან.

თბილისის მოსახლეობის დომინანტურ პოზიციას, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, განსაზღვრავს სწორედ აღნიშნულ ჯგუფებს შორის დაშორების და დაახლოების ხარისხი.

ქვემოთ ვნახავთ, რომ მოცემული ჯგუფებისათვის აღწერილი ტენდენციები დასტურდება რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში.

იყო თუ არა საზოგადოება ლოიალური საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამხედრო გზით აღდგენის მიმართ?

როგორც უშუალოდ აგვისტოს ომამდე, ისე ომის შემდეგ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ნიშას პრაქტიკულად ფარავს *ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.* სხვა ოპოზიციურ ძალებს პარლამენტში თითქმის ნულოვანი რეიტინგი აქვთ.

თბილისის საარჩევნო ასაკი მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (70%-მდე) საომარი მოქმედებების გამოყენებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად სკეპტიკურად უყურებს. მეტიც: ომის გზით პრობლემების მოგვარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ყოველი მეორე რესპონდენტ ***(იხ. დიაგრამა №1):***

დიაგრამა №1

დაუჭერდით თუ არა მხარს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას საომარი მოქმედებების გამოყენებით?



საზოგადოების ასეთი ანტიმილიტარისტული განწყობის მიუხედავად, მაინც უნდა ითქვას, რომ საქმე გვაქვს არა **ფუნდამენტურ მშვიდობის მოყვარეობასთან,** არამედ ე.წ. **„პრაგმატულ პაციფიზმთან“:** მოქალაქეები საომარ ოპერაციებს მხარს არ უჭერენ, რადგან გაცნობიერებული აქვთ ამ ოპერაციების უპერსპექტივობა ისეთი მოწინააღმდეგის პირი-

სპირ, როგორიც რუსეთია. რაციონალური პრაგმატიზმი ქართველებმა სააუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავეს და, როცა ამის საჭიროება იყო, „ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდნენ“. ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება საომარი მოქმედებების მიმღებლობის თვალსაზრისით პრაქტიკულად არ შეცვლილა 2008 წლის ივლისსა და სექტემბერში, იმის მიუხედავად, რომ ამ პერიოდმა აგვისტოს ომის მტკივნეულ „ფილტრში“ გაიარა. სამხედრო უპერსპექტივობის „ცოცხალი“ გამოცდილება ხომ საქართველომ 1993 წლის აფხაზეთის ომში მიიღო – მაშინ, როდესაც რუსეთი ღია აგრესიის საწარმოებლად გაცილებით ხელ-ფეხშეკრული იყო და იმ დროისთვის თავად რუსეთისთვისაც კი არ მნიშვნელობდა არგუმენტი აფხაზეთში საკუთარი მოქალაქეების დაცვის შესახებ.

სამწუხაროდ, ე.წ. პრაგმატული პაციფიზმი არ აღმოაჩნდა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას.

აგვისტოს ომის ზოგადი შეფასება

როგორ აღიქვეს რუსეთ-საქართველოს ომი თბილისელებმა – პირველ რიგში როგორც: ა)რუსეთის მიერ დაგეგმილ პროვოკაციაზე საქართველოს წამოგება; ბ) რუსეთის უპირობო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ *(“რუსეთი ყველა შემთხვევაში განახორციელებდა აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ“)* თუ გ) საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა ომის დასაწყებად?

2008 წლის სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, თბილისელთა ყველაზე დიდი ნაწილი (47%) მიიჩნევს, რომ რუსეთი ყველა შემთხვევაში განახორციელებდა აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ. მოსაზრებას, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაგეგმილ

პროვოკაციაზე წამოეგო, იზიარებს გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (35%). მესამე (გ) მოსაზრებას ყველაზე ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს **(იხ. ცხრილი №2):**

ცხრილი №2

რომელ მოსაზრებას ეთანხმებით?	**2008 წლის სექტემბერი (%)**
საქართველო რუსეთის მიერ დაგეგმილ პროვოკაციაზე წამოეგო	35
რუსეთი ყველა შემთხვევაში განახორციელებდა სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ	47
საქართველოს ხელისუფლებას თავად ჰქონდა გადაწყვეტილი ომის დაწრება და ამისათვის შესაფერისი დრო მონახა	13
მიჭირს პასუხის გაცემა	6

იცვლება თუ არა სურათი ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებში?

1. ხელისუფლების ამომრჩევლებში მნიშვნელოვნად იზრდება და გამოკვეთილ უმრავლესობას (63%-ს) აღწევს მოსაზრება, რომ რუსეთის აგრესია ყველა შემთხვევაში გარდაუვალი იყო.
2. არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლებში აქცენტები არსებითად გადანაცვლებულია და აქ უფრო იმ მოსაზრებას ენიჭება უპირატესობა, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაგეგმილ პროვოკაციაზე წამოეგო (41%).

3. გავიმარჯვეთ თუ დავმარცხდით?

2008 წლის სექტემბერში, ომის დამთავრებიდან 1 თვეში, თბილისელთა გამოკითხვა აჩვენებს რამდენადმე ოდიოზურ შედეგს: 28% თვლის, რომ ომით გამოწვეული დანაკარგების მიუხედავად, საქართ-

ველო ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა; უმრავლესობა (61%) საპირისპირო პოზიციაზეა, ხოლო 11%-ს ვერ გაურკვევია, აგვისტოს ომმა გამარჯვება მოგვიტანა და მარცხი.

ასეთ არაადეკვატურ დამოკიდებულებას თბილისელთა თითქმის 40%-ში სხვადასხვა წყარო ასაზრდოებს: ა) წარუმატებელი სამხედრო ოპერაციებიდან გამომდინარე ფრუსტრაციები აუცილებლად ითხოვს მორალურ კომპენსაციას, ვინაიდან პირდაპირ „ურტყამს“ ნაციონალურ თავმოყვარეობას. ადამიანთა გარკვეული ნაწილი თავს გულწრფელად იტყუებს და იჯერებს, რომ გამარჯვება არა ომის კონკრეტულ კონტექსტში, არამედ სადღაც სხვაგან, საქართველოს წარსულ დიდებაში ან, სულაც, მომავლის პერსპექტივაში დევს. ასეთი ადამიანები გულწრფელად გამოდიან ქუჩებში, ებმებიან „ცოცხალ ჯაჭვში“ და სხვა კარნავალურ სცენებში; ბ) მუშაობს პროპაგანდისტული მანქანა, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს გადაფაროს ომის კვალი: „ცოცხალი ჯაჭვის“ ორგანიზებიდან დაწყებული (როდესაც მარცხის სიმწარეს ქუჩაში „ხორუმის“ შეკვეთილი ცეკვა ანეიტრალებს), იმით დამთავრებული, რომ თურმე უფრო კარგიცაა, როდესაც რუსეთი აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ვინაიდან ასე უფრო შიშვლდება რუსეთის აგრესია, ასე უფრო ახლოვდება ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივა.

თუმცა, გადის რამდენიმე თვე და ხელოვნური (პოსტმოდერნისტების ენაზე, „სინთეტიკური“) გამარჯვებით შეპყრობილ ჯგუფში თანდათან იფანტება ილუზიები. უკვე 2008 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვა აჩვენებს, რომ თბილისელ ამომრჩევლებში ომში გამარჯვების ილუზია მხოლოდ 8%-ს შემორჩა ***(იხ. დიაგრამა №2):***

დიაგრამა №2



როგორ პასუხობს 2008 წლის დეკემბრისთვის უკვე ტრანსფორმირებულ განწყობებს ხელისუფლება? ის ხდება იძულებული, შეცვალოს გამარჯვების, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური მესიჯი და წინა პლანზე წამოწიოს ნაკლებად ხისტი, თუმცა, კვლავ ომის უმძიმეს შედეგებზე საკუთარი პასუხისმგებლობის უარმყოფელი განცხადება, რომ *„ომი ჯერ არ დამთავრებულა, ის გრძელდება და შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა“*.

საინტერესოა, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულებებია სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ჯგუფებში. მოვიტანთ 2008 წლის სექტემბრის გამოკითხვის შედეგებს:

✓ ხელისუფლების მხარდამჭერთა უმრავლესობა (57%) მიიჩნევს, რომ საქართველომ აგვისტოს ომში გაიმარჯვა;

✓ არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველთა 75% ემხრობა მოსაზრებას, რომ საქართველო ამ ომიდან დამარცხებული გამოვიდა; ეს პოზიცია წამყვანია პოლიტიკური პრეფერენციის არმქონეთა შორისაც (72%);

✓ საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლებში იკლებს ომში დამარცხების აღიარება (56%) და ყოველი მესამე (34%) აღნიშნავს, რომ საქართველო ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა.

ომის შედეგად გართულდა თუ გაიოლდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

ამ საკითხთან მიმართებაში შეგვიძლია მხოლოდ 2008 წლის სექტემბრის გამოკითხვის შედეგების მოტანა:

მართალია, თბილისელთა გამოკვეთილი უმრავლესობა – 65% – თანხმდება იმაში, რომ აგვისტოს ომის შედეგები კიდევ უფრო გაართულებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, თუმცა, ყურადღებას უფრო იპყრობს ოპტიმისტთა 26%-იანი ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის უკეთესი პირობები შეიქმნა. ეს ისევ ის ჯგუფია, რომელიც ომში საქართველოს გამარჯვებას იჯერებს. ისიც ლოგიკურია, რომ ამ ჯგუფის წევრები, როგორც წესი, ხელისუფლების ამომრჩევლები არიან – მათგან თითქმის ყოველი მეორე (48%) დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას იმედიანად უყურებს. არც ისაა გასაკვირი, რომ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილები, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები არიან.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები მოცემულია **დიაგრამაზე № 3:**

დიაგრამა №3



რაც შეეხება თბილისელთა მოლოდინს, თუ კონკრეტულად როდის დაბრუნდება სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში, ამ საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტთა პოზიციები გაყოფილია: ერთი, ყველაზე ოპტიმისტური, ნაწილი (20%) 2008 წლის სექტემბერში ფიქრობდა, რომ დაკარგულ ტერიტორიების დაბრუნება მომავალი 4 წლის განმავლობაშია შესაძლებელი; არსებობდნენ ზომიერი ოპტიმისტები (23%), რომლებიც ტერიტორიების დაბრუნებას 10 წლიან პერიოდში ელოდებიან; თუმცა, ყველაზე მრავალრიცხოვანი მაინც პესიმისტურად განწყობილი თბილისელებია (42%), რომლებიც ფიქრობენ, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შემოერთებას, უკეთეს შემთხვევაში, ათეულობით წლები დასჭირდება, ხოლო, უარეს შემთხვევაში, ამ ტერიტორიებს ვეღარასოდეს დავიბრუნებთ **(იხ. დიაგრამა №4):**

დიაგრამა №4



გამოკითხვა აჩვენებს, რომ ხელისუფლების ამომრჩევლები ყველაზე ოპტიმისტურად არიან განწყობილნი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით – 56% ელოდება, რომ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს უახლოესი 10 წლის პერიოდში დავიბრუნებთ. შესაბამისად, ამ ჯგუფში ყველაზე მცირე ნაწილი (10%) ფიქრობს, რომ ეს ტერიტორიები საბოლოოდ დავკარგეთ. საკმაოდ იმედიანად გამოიყურებიან, აგრეთვე, საპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლები – მათი უმრავლესობა (55%) დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას უახლოესი 10 წლის პერიოდში მოელის. ოპტიმისტებსა და პესიმისტებს შორის ბალ-

ანსი, პესიმისტების სასარგებლოდ, ყველაზე მკვეთრად დარღვეულია არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩევლებში – მათი 51% თვლის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთებას ან ათეულობით წლები დასჭირდება, ან ეს ტერიტორიები საბოლოოდ დაიკარგა, ხოლო 39%-ს დაკარგული ტერიტრორიების დაბრუნების იმედი უახლოეს 10 წლიან პერიოდში აქვს.

მ. სააკაშვილის ქმედებების შეფასება ომამდე და ომის შემდეგ

გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ აგვისტოს ომმა სააკაშვილის ქმედებების მიმართ თბილისელთა შეფასება პოზიტიური მიმართულებით წაიყვანა. თუ საომარი მოქმედებების დაწყებამდე პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებები, პრინციპში, გაყოფილია, საომარი მოქმედებების კონტექსტში სააკაშვილის ქმედებებს უფრო მეტი მხარდამჭერი უჩნდება და პოზიტიურ შეფასებებს უკვე უმრავლესობა გამოთქვამს. ეს ადვილად აიხსნება: რუსული აგრესიის საყოველთაო მიუღებლობის ფონზე, მოსახლეობის მეტ-ნაკლებ სიმპათიას იმსახურებს ყველა, ვინც ამ აგრესიას აშკარად დაუპირისპირდა – მათ შორის, ცხადია, მ. სააკაშვილიც. რუსული ოკუპაცია იმდენად მოულოდნელი და შეუარაცხმყოფელი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის, რომ ამან გამოიწვია საზოგადოების ინტეგრირებულობის და სოლიდარობის ხარისხის მნიშვნელოვანი გაზრდა სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების (მათ შორის, სახელისუფლო) გარშემო. ამომრჩევლებმა, აგვისტოს ომის შემდგომ პირველ თვეებში, ვერ მოასწრეს კრიტიკული მზერის გადანაცვლება გარედან შიგნით, საერთო მტრის ხატის იდეამ გადაფარა ხელისუფლების ქმედებების საზოგადოებრივი კონტროლი. ამას ხელი თავად ხელისუფლების პროპაგანდამაც შეუწყო, როდესაც მთლიანად საქართველო (და, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლე-

ბა) გამოცხადდა მსხვერპლად, რომელსაც უალტერნატივო რუსული ოკუპაცია აუცდენელი ბედისწერასავით ერგო.

საინტერესოა, რომ 2008 წლის შემოდგომაზე (განსაკუთრებით, სექტემბერში) სააკაშვილის საქმიანობის შეფასების პოზიტიური ტრანსფორმაცია ხელშესახებია არა იმდენად ხელისუფლების (მათი შეფასებები სტაბილურად დადებითია ომისაგან დამოუკიდებლადაც), არამედ ოპოზიციის (როგორც არასაპარლამენტო, ისე საპარლამენტო) ამომრჩევლებში – პროსახელისუფლო „გადახრები" ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის დიდ ნაწილს „აუთენტურობას" აკარგვინებს და სააკაშვილის დამცველთა რიგებში აყენებს. მაგალითისათვის შეგვიძლია შემდეგი მონაცემები მოვიტანოთ: თუ აგვისტოს ომამდე არასაპარლამენტო ოპოზიციის ამომრჩეველთა 66% სააკაშვილის მოღვაწეობას უარყოფითი შეფასების ველში აქცევს, აგვისტოს ომის შემდგომ, პირველ ხანებში, უარყოფითად შემფასებელთა ხვედრით წილი ამ ჯგუფში 51%-მდე ეცემა.

თუმცა, გადის თვეები და უკვე 2009 წლის მარტისთვის ვითარება რადიკალურად იცვლება: თბილისელთა უმრავლესობა სააკაშვილის მოღვაწეობის უარყოფით შეფასებაზე კონცენტრირდება. რასაკვირველია, უარყოფითი შეფასების „ლომის წილს" აგვისტოს ომში ჩართვის და მისი წაგების გამო ხელიუფლებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობა განაპირობებს.

სააკაშვილის საქმიანობის შეფასების ტრანსფორმაციები დეტალურად **იხ. დიაგრამაზე №5:**

დიაგრამა №5



სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის, მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესუსტება კარგად ჩანს, აგრეთვე, მის მიმართ თბილისელთა მიერ გამოხატული ***ნდობის*** ცვლილების კონტექსტშიც 2008 წლის ივლისიდან 2009 წლის ივნისამდე. 2008 წლის როგორც ივლისის, ისე სექტემბრის მონაცემებით მ. სააკაშვილი თბილისელი ამომრჩევლების ნდობის ველში ექცევა. 2007 წლის დეკემბერში ის უკვე უნდობლობის ველში გადაინაცვლებს, მის მიმართ გამოხატული უნდობლობის ხარისხის თანდათანობითი ზრდით 2009 წლის მარტსა და მაისში.

მ. სააკაშვილის მიმართ გამოხატული ნდობის მაჩვენებლები, სხვადასხვა ეტაპზე, მოცემულია *დიაგრამაზე №6:*

დიაგრამა №6



შენიშვნა: **ნდობა ფასდება 10 ქულიან სკალაზე (-5-დან +5-მდე), სადაც „-5“ აღნიშნავდა სრულ უნდობლობას, ხოლო „+5“ სრულ ნდობას; დიაგრამაზე მოცემულია ნდობის საშუალო მონაცემები, სადაც ნეიტრალური მაჩვენებელია „0“ ქულა. „0“-ზე ნაკლები აღნიშნავს უნდობლობის ველს, ხოლო „0“-ზე მეტი – ნდობის ველს.**

კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს თბილისელთა დამოკიდებულების მნიშვნელოვან ცვლილებას, უკავშირდება ისეთ რადიკალურ პოლიტიკურ პროექტს, როგორიცაა **მ. სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.**

2008 წლის სექტემბერში ამ პოლიტიკურ პროექტს მხარს უჭერდა თბილისელთა 23%, ხოლო ეწინააღმდეგებოდა – 65%. მაშასადამე, იმ დროისათვის, თბილისელებს არ ჰქონდათ სააკაშვილის ხელისუფლების, თუნდაც ვადამდელი არჩევნების გზით, შეცვლის მზაობა და სკეპტიკურად არ უყურებდნენ სააკაშვილის ძალაუფლებას. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური ძალისხმევა, რომელიც მიმართული იქნებოდა არსებული ხელისუფლების ვადამდე შეცვლისაკენ, თბილისელი ამომრჩევლების მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა.

2009 წლის მარტისთვის ვითარება ამ მიმართულებითაც კარდინალურად შეიცვალა: მ. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას მხარს უჭერს უკვე ყოველი მეორე საარჩევნო ასაკის მქონე თბილისელი. იგივე დამოკიდებულება ნარჩუნდება მაისშიც. ეს ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ ქ. თბილისში, ბოლო თვეების განმავლობაში, მ. სააკაშვილს სერიოზული პრობლემები შეექმნა ლეგიტიმაციის თვალსაზრისით **(იხ. დიაგრამა №7):**

დიაგრამა №7



<u>საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციები</u>

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც რადიკალური გავლენა იქონია აგვისტოს ომმა, საქართველოს **საგარეო ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებაა.** ბოლო, სულ მცირე, 15 წელიწადი საქართველოს საზოგადოებაში მიზანმიმართულად და შედეგიანად შენდებოდა პოლიტიკა, რომელიც ყველაზე სასურველ საგარეო ორიენტაციად საქართველოს ნატოში ინტეგრაციას მიიჩნევს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ, რუსეთ-საქართველოს ომამდე, საზოგადოებრივი აზრი საქართველოში წარმატებით ადაპტირდა ამ საგარეო პერსპექტივასთან, რასაც 2008 წლის აგვისტომდე ჩატარებული ყველა გამოკითხვა ადასტურებს.

თუმცა, დასახელებულმა ომმა მოქალაქეებში ნატოში ინტეგრაციის დომინანტურად მიჩნეული პოლიტიკური ღირებულების გადაფასება გამოიწვია. პირველი სერიოზული ბზარი ნატოსკენ სწრაფვას უკვე 2008 წლის სექტემბერში უჩნდება, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და 2009 წლის მარტში ეს პოლიტიკური პროექტი თმობს უპირატესობას. მართალია, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიმართ ცალკეული იმედგაცრუებები ომამდეც არსებობდა (განსაკუთებით, მაპ-ის მიღებასთან დაკავშირებული დიპლომატიური კოლიზიების გამო), მაგრამ პირველად სწორედ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ნატოში ინტეგრაციას გაუჩნდა კონკურენტუნარიანი ალტერნატიული სტანდარტი საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების სახით. საინტერესოა, რომ ნატოსგან „გამოთავისუფლებული ენერგია“ არ მოხმარდა არც ევროკავშირში შესვლის და არც რუსეთთან მოკავშირეობის მხარდაჭერას. თუმცა, რუსულმა „ჩექმამ“, სამწუხაროდ, თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო – ნატოში ინტეგრაციას

საზოგადოებრივი აზრი აღარ განიხილავს პრიორიტეტულ სტრატეგიად.

დიაგრამა №8 კარგად აჩვენებს, თუ როგორ კარგავს ნატოში ინტეგრაციის პროექტი მხარდაჭერას თბილისელ ამომრჩევლებში:

დიაგრამა №8



* * *

თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირებამ შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია თბილისელ ამომრჩეველთა დამოკიდებულებებსა და განწყობებში:

- ✓ გაძლიერდა შეურიგებელი ოპოზიციური განწყობები (შესაბამისად, გაიზარდა არასაპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მიმართ მხარდაჭერა);
- ✓ პრეზიდენტის პოსტზე მ. სააკაშვილის საქმიანობის შეფასება ძნელად, მაგრამ მაინც გადავიდა უარყოფით განზომილებაში. შესაბამისად, სააკაშვილის მიმართ ნდობაც ნეგატიურ ველში მოექცა მზარდი ტენდენციით;
- ✓ მ. სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა არაადეკვატური პრეტენზიიდან საზოგადოების აქტუალურ პოლიტიკურ მოთხოვნად გადაიქცა, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა პრეზიდენტის ძალაუფლების აღიარებას (ანუ, ლეგიტიმაციას) თბილისელ ამომრჩევლებში;
- ✓ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ღირებულებამ დევალვაცია განიცადა და გააჩნდა ალტერნატიული პოლიტიკური სტანდარტი – „ნეიტრალიტეტის შენარჩუნება“.

Abstract

Iago Kachkachishvili
Changes in public opinion after Russian-Georgian War

The Russian-Georgian war in August, 2008 has brought significant changes of Tbilisi electorate's attitudes and dispositions in different directions:

- ✓ Radical oppositional dispositions have strengthened and, consequently, support to the opposition political institutions (parties, movements, etc.) has grown up;
- ✓ Assessment of the activities done by President Mikheil Saakashvili has gradually moved into the negative dimension; Accordingly, the trust towards Saakashvili has also got a negative shape;
- ✓ Demand for the resignation of Saakashvili and appointment of early presidential elections has converted from virtual (unrealistic) pretension to real political pressure that caused serious problems concerning the recognition (i.e. legitimacy) of political power of President Saakashvili among Tbilisi voters;
- ✓ The political value of integration of Georgia in NATO has been declined and alternative political standard – „keeping Neutrality" – has emerged.

მარინე ლომიძე

კრიზისული კომუნიკაციის როლი PR-საქმიანობაში

კრიზისული სიტუაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს (სახელისუფლებო, კომერციული თუ საწარმოო სტრუქტურის), მთლიანად საზოგადოების თანამდევია.

კრიზისული კომუნიკაცია შემეცნების შედარებით ახალი დარგია და მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რადგანაც სწორედ კრიზისი არღვევს ყველა აწყობილ საინფორმაციო ნაკადს, რაც საზოგადოების სრულყოფილად ინფორმირებას შეუძლებელს ხდის.

კრიზისის სტრუქტურისა და არსის შესახებ ინფორმაციის დეფიციტის არსებობა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. იგი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რადგანაც, როგორც „დემოკრატიის მესამე ტალღის" ქვეყანას, ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დამაბრკოლებელი ერთ-ერთი ფაქტორი – ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი გავრცელება. ჩვენში არსებული კომუნიკაციის პრობლემის მასშტაბი განაპირობებს მის მრავალმხრივობას და საჭიროებს კომპლექსურ შესწავლას: კრიზისის არსში გარკვევას, მისი მართვის მექანიზმების განხილვასა და უცხოეთის გამოცდილების გაცნობას. ყოველივე კი ნათლად გვიჩვენებს ამ საკითხის სიმწვავესა და მისდამი სათანადო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას.

კრიზისის დახასიათებისას იკვეთება რამდენიმე თვალსაზრისი. PR-ის ცნობილი სპეციალისტი სემ ბლეკი ორიგინალურ მიდგომას გვთავაზობს. მისი აზრით, კრიზისი არის „ცნობილი უცნობი" და „უცნობი უცნობი"[1].

„ცნობილი უცნობი“ კრიზისის წარმოშობას საწარმოოს ან მომსახურების სპეციფიკა განაპირობებს. მაგ. ქიმიური მრეწველობისა და რადიოაქტიური ელემენტების წარმოებას მუდმივად თან ახლავს მომწამვლელ ნივთიერებათა გაჟონვის შესაძლებლობა, ხოლო საზღვაო, სარკინიგზო და საავიაციო საქმიანობაში სავარაუდო ავარიის რისკი მაღალია.

„უცნობი უცნობი“ ისეთი კატასტროფაა, რომლის გათვალისწინება არავის შეუძლია. მაგ. 2002 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ნიუ-იორკში.

წარმოშობის მიხედვით კრიზისის ორ ჯგუფს გამოყოფენ. წინასწარ განზრახული კრიზისები, რომლებიც თავის მხრივ ორგვარია: ადამიანთა ფიზიკური განადგურების მიზნით (ტერორისტული აქტები, პროდუქციის გაყალბება) და კრიზისი, რომელიც ადამიანთა განადგურებას არ ითვალისწინებს, მაგრამ სერიოზული ზარალის მომტანია (აფეთქების მუქარა, კომპიუტერული ვირუსები, ავისმომასწავებელი ჭორების გავრცელება, არასამართლებრივი ქმედებები და სხვ.).

მეორე კატეგორიის კრიზისი წინასწარგანსაზღვრული არაა, იგი სპონტანურად ჩნდება: ხანძარი, აფეთქება, გაკოტრება, ფირმის განადგურება, ქიმიურ ნივთიერებათა გაჟონვა.

შედეგების მიხედვითაც კრიზისი ორგვარია: ფიზიკური ნგრევის გამომწვევი (მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, ავტოკატასტროფა, ტერორისტული აქტი) და ფიზიკურ ნგრევასთან არადაკავშირებული (პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული).

კრიზისმა შეიძლება მთელი მსოფლიო მოიცვას ან შემოიფარგლოს გარკვეული ტერიტორიით ან ადამიანთა ჯგუფით. მაგ. ოკლაჰომასიტიში (აშშ, 1995წ.) საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის აფეთქება უშუალოდ შეეხო სხვა ქვეყნების ინტერესებს. ასეთი პირდაპირი კავშირების არარსებობის შემთხვევაშიც ზოგიერთი კრიზისი გლობალურ მნიშვნელობას იძენს, როცა იგი ეკონომიკურ და სამედიცინო სფეროს ეხება.

კრიზისის მართვის პრობლემების შემსწავლელ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი გვთავაზობს კრიზისის კლასიფიკაციის სხვაგვარ მოდელს, რომელსაც საფუძვლად უდევს პერსონალის მართვაში არსებული შეცდომები: ტექნოლოგიური, კონფრონტაცია, არაკეთილგანწყობა, მმართველობის ღირებულებების დამახინჯება, თანამდებობრივი დანაშაული, სიცრუე და სხვ. მაგ. 1996 წელს სეულში სუპერმარკეტი დაინგრა. ნგრევა მეხუთე სართულიდან დაიწყო და შენობა მთლიანად ჩამოიშალა, რის შედეგადაც 1000 ადამიანი დაშავდა, 500 კი დაიღუპა. მიზეზად უხარისხო მშენებლობა დასახელდა – ნაკლები ცემენტი გამოიყენეს. ნგრევისას შენობაში არც ერთი მენეჯერი არ იყო. მათ კედლებზე ბზარების შენიშვნისთანავე დატოვეს შენობა ისე, რომ მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ არავინ გაუფრთხილებიათ[2].

ბევრ გამოკვლევაში კრიზისი აღწერილია დროებითი ფაქტორის თვალსაზრისით. ამასთან ზოგჯერ იყენებენ ვიზუალურ ფერად ასოციაციებს: მწვანე ფერი ახალ ავარიულ შემთხვევებსა და პრობლემურ სიტუაციას ნიშნავს, ყვითელი – მიმდინარე და მომწიფებული პრობლემებია, ხოლო ყავისფერი – ძველი, ე.წ. დახავსებული კრიზისია. კოდირების ამგვარმა ხერხმა კრიზისების შეფასების „ბანანის ინდექსის“ სახელწოდება მიიღო.

კრიზისული კომუნიკაციის მკვლევარები კრიზისზე რეაგირების ხარისხის განსაზღვრის თვალთახედვით გამოყოფენ მოულოდნელ, განვითარებადსა და მყარ კრიზისებს[3].

მოულოდნელი კრიზისის შესასწავლად და მისი გადაჭრის ღონისძიებების დასაგეგმად დრო არ რჩება. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეზე შეთანხმებული წინასწარი მოქმედების გეგმის არსებობაა აუცილებელი, რაც გაუგებრობის, კინკლაობისა და არაოპერატიული რეაგირების თავიდან აცილებას გახდის შესაძლებელს.

განვითარებადი კრიზისებია: გაფიცვის წინა პერიოდი, არაკეთილსაიმედო კლიმატი კოლექტივში, თანამდებობრივი უფლებების ბოროტად

გამოყენება და სხვ. ასეთი კრიზისები შეიძლება წარმოიქმნას უეცრად, მაგრამ დიდხანს გრძელდება. ამიტომ სპეციალისტებს პრობლემების გასაანალიზებლად და აუცილებელი ღონისძიებების დასაგეგმად საკმარისი დრო აქვთ. მათ შეუძლიათ კრიზისის შედეგების განჭვრეტა, სიტუაციის გამოსწორება. მთავარ ამოცანას შეადგენს ხელმძღვანელობის დარწმუნება, შეიტანოს ცვლილებები დასახულ გეგმებში, სანამ კრიზისი დამანგრეველ ფაზას მიაღწევს.

მყარი კრიზისები კონფლიქტური სიტუაციებია, რომლებიც ხელმძღვანელობის მცდელობის მიუხედავად, დიდხანს არსებობს. ამ მდგომარეობის წყაროს წარმოადგენს მოარული ხმები და ჭორები, რომლებიც პირადი ურთიერთობების პროცესში ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჩნდება. ჭორებთან გამკლავება რთულია, რადგანაც იგი ორგანიზაციის კონტროლს არ ექვემდებარება.

PR-სპეციალისტები ეკონომიკური დარგისათვის არსებით კრიზისულ სიტუაციებად მიიჩნევენ: წარმოების გაჩერებას, გაკოტრებას, თანამშრომელთა გაფიცვას, ტერორისტული აქტის შესაძლებლობას, კონფედენციალური საქმიანი ინფორმაციის გამჟღავნებას, ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერის დაკარგვას, პროდუქციის სერიოზული დეფექტის გამოვლენასა და კომპანიის მთავარი პროდუქტის გაყალბებას. ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი ლოკალური ხასიათისაა. ცხადია, წარმოების სფეროში გასათვალისწინებელია კრიზისის ისეთი მიზეზები, როგორიცაა წარუმატებელი რეფორმის შედეგად ეკონომიკისა და ფინანსური საქმიანობის მობილიზაცია, მსოფლიო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური რყევების შედეგები.

როგორიც არ უნდა იყოს კრიზისი, ლოკალური თუ მასშტაბური, და რა განზომილებითაც არ უნდა განვიხილავდეთ, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია მისი მართვა.

ტერმინი „პრობლემების მართვა“ ამერიკელმა სპეციალისტებმა XX საუკუნის 70-იან წლებში დაამკვიდრეს. ისინი, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებდნენ, რომ PR საშუალებას იძლევა წინასწარ

განსაზღვრო პრობლემა, მიიღო საჭირო ზომა, დაამუშავო და გამოიყენო საჭირო ინოვაცია, ხოლო ზოგჯერ ძირეულად შეცვალო მთელი საქმიანობა მიმდინარე ცვლილებათა კვალობაზე. კრიზისული მენეჯმენტის უმთავრეს ვალდებულებას რისკის წინასწარ განსაზღვრა, მისი სწრაფად აღმოფხვრა, ზიანის შემცირება და კომპანიისადმი საზოგადოების ნდობის აღდგენაზე ზრუნვა შეადგენს.

საყურადღებოა, რომ კრიზისული სიტუაციის სირთულეს მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი არასტანდარტულობა და მაღალი დინამიკურობა. ყველა ხელმძღვანელს კი ექსტრემალურ სიტუაციაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, რაც, მეცნიერთა აზრით, ადამიანისათვის სტრესულ მდგომარეობაში არა ლოგიკური, არამედ რეფლექსური თვისებების გაძლიერებით აიხსნება. ზოგადად კრიზისი ისეთი მოვლენაა, როდესაც დროისა და ინფორმაციის ნაკლებობა ჩნდება. სწორედ ზემოჩამოთვლილი გარემოებები განსაზღვრავს PR-სპეციალისტის მთავარ ამოცანას – ოპერატიულად მიიღოს აუცილებელი მონაცემები კრიზისის შესახებ, რომელსაც კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის ან თავიდან ასაცილებელი პროგრამის შესამუშავებლად გამოიყენებს.

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, სპეციალისტები კრიზისს ცალსახად ნეგატიურ მოვლენად არ მიიჩნევენ და მის დადებით ასპექტსაც განიხილავენ. მოვლენის ამგვარად წარმოჩენას საფუძვლად უდევს ქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები. კერძოდ, კრიზისი ორგანიზაციის ხელმძღვანელს იძულებელს ხდის ახალი საშუალებები მოიძიოს. მაგ. წარმოებისა და გასაღების ძირეული განახლება, ხელმძღვანელთა და მმართველობის ფორმების შეცვლა მუშაობის კარდინალური გაუმჯობესებისათვის ახალ პერსპექტივებს სახავს. პრაქტიკულად ბევრია შემთხვევა, როცა სიახლე კრიზისის წარმოშობის აუცილებლობამ განაპირობა.

კრიზისული კომუნიკაციის მართვის თეორიები რისკის შესახებ ინფორმირებისას გადამწყვეტ როლს აკისრებენ კომუნიკაციის არსე-

ბულ ყველა საშუალებასთან მჭიდრო კავშირსა და მედიის ეფექტურად გამოყენებას. საინფორმაციო არხებთან კავშირის დამყარება სარწმუნო ფაქტებითა და მონაცემებით, მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნათა გაგება, მედიის მეთოდიკისა და ხერხების ცოდნა მასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. კრიზისულ სიტუაციაში მთავარი კომუნიკაციის ცენტრალიზება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების კონტროლია.

კრიზისი რეალური პრობლემაა, რომელიც ორგანიზაციის იმიჯს ლახავს. მნიშვნელოვანია კრიზისის პირველი ეტაპი, რომლის სწორად მართვის შემთხვევაში შეიძლება რეპუტაციის გარკვეულწილად შენარჩუნება. მიზანმიმართული, რეალობას დამყარებული ქმედებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ მედიის უხეში ჩარევა და სკანდალი. როგორც PR-სფეროში ამბობენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლია ინციდენტი კრიზისად აქციოს, ხოლო არსებული კრიზისი გამანადგურებელი გახადოს.

კრიზისულ სიტუაციაში PR-სამსახურის სტრატეგიის განხორციელების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: იმავდროული კომუნიკაციური რეაქცია, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა ინტერესების დაკმაყოფილება (ყველა არსებით კითხვაზე პასუხის გაცემა) და მწუხარების, სინანულის გამოხატვა. მოქმედების მთავარი გეგმა კი ეფუძნება შემდეგ ეტაპებს: ინფორმაციის გავრცელება, ამასთან უარყოფითი ინფორმაციის ნეიტრალიზება და კორექტირება, მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში მისი სათანადოდ გადამუშავება, სარწმუნო ინფორმაციის დეზინფორმაციისაგან გამიჯვნა. განსაკუთრებულად საყურადღებოა ჟურნალისტთა მიერ დასმულ კითხვებზე (ტონისა და შინაარსის მიხედვით) პასუხების გაცემის ტაქტიკა. „გაგების“, „იგნორირების“, „ინფორმაციის ობიექტურობის“ ან „თანაგრძნობის“ ტაქტიკური ხერხების შესაბამისად გამოყენება მდგომარეობის განეიტრალების უტყუარი საშუალებაა. ლოიალური დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სპეციალისტების მოზიდვა ტაქ-

ტიკურად ასევე გამართლებულია, რადგან მათი გამოსვლებისადმი საზოგადოებისა და მედიის ნდობა გაცილებით მაღალია, ვიდრე კომპანიის პერსონალისადმი.

ამ პრინციპების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს კლაუდია რეინჰარდი ნაშრომში „რჩევები: როგორ ვმართოთ კრიზისული სიტუაცია“ [4]. ამასთან, მისი აზრით, დაუშვებელია:

– არასარწმუნო ვარაუდების საზოგადოებისათვის გაცნობა;

– რეაგირება პროვოკაციულ კითხვებზე;

– პრობლემის მნიშვნელობის დამცრობა ან სიტუაციის შელამაზება, რადგან პრესა მალე მიაკვლევს სიმართლეს;

– ინფორმაციის გაჟონვა. მედიით გავრცელებული ნებისმიერი ფაქტი შეიძლება ახალი ვერსიის საფუძველი გახდეს;

– პიროვნების პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნება, თუ იგი რაიმე ბრალდებას შეიცავს;

– ინფორმაციის არფლობის შემთხვევაში პრესასთან ურთიერთობა;

– რომელიმე საინფორმაციო საშუალებისათვის უპირატესობის მინიჭება;

– კრიზისული სიტუაციის თვითრეკლამისათვის გამოყენება.

დარგის სირთულიდან გამომდინარე ბევრ ქვეყანაში კრიზისის მენეჯერის პროფესია დამკვიდრდა. სემ ბლეკი მათი საქმიანობისათვის არსებითად ცნობს ზემოთ განხილულ ასპექტებს, როგორიცაა – დაუყოვნებელი რეაქცია, საინფორმაციო საშუალებებისათვის უტყუარი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ამავე დროს საგანგებოდ მიუთითებს ტექნიკური ინფორმაციის ფლობას, დაზარალებულებისა და მათი ახლობლების ინტერესების გამომხატველი ყველა შესაძლო ღონისძიების განხორციელებას[5]. მკვლევარის მიერ განხილული პრინციპების შესაბამისად აკრძალვების ჩამონათვალი უფრო ვრცელი და კონკრეტული ხდება. ამრიგად, კრიზისის დაძლევის პროცესში შეცდომაა:

– ყოყმანი, რაც საზოგადოებაში იწვევს გაურკვევლობის, უგულობის, არაკომპეტენტურობის განცდას;

– ბუნდოვანი საფარის შექმნა, რაც საზოგადოებაში ორგანიზაციის შესახებ უწესობისა და გულგრილობის შეხედულებას ამკვიდრებს;

– გაურკვევლობა, რომელიც უფრო მეტ პრობლემას ქმნის, რადგანაც რეალობის შეცვლა შეუძლებელია;

– დოგმატური ლაქლაქი, არსებული პრობლემის რეალური ნეიტრალიზაციის ნაცვლად, რაც ამაღლებს ორგანიზაციის ან თანამდებობის პირთა ქედმაღლობის დემონსტრირებას;

– კონფრონტაცია, რომელიც ქმნის აქტივობის მოჩვენებითობას, ყველას დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებს, ცდილობს პრობლემაზე არსებული რეაქციის შენიღბვას;

– სასამართლო პროცესი ასევე მოჩვენებითი ქმედებაა, რომლითაც ყურადღება გონიერი გადაწყვეტილებიდან ნაკლებად მნიშვნელოვანზე გადააქვთ.

მიზნობრივ აუდიტორიაზე ყოველი შესაძლო მოვლენის ზემოქმედების შეფასება კრიზისის მართვის ელემენტს წარმოადგენს. საზოგადოებრივ აზრზე დაკვირვებისას თავდაპირველად პრობლემის აღმოჩენა იკვეთება. კრიზისის წარმოშობასთან ერთად საზოგადოებრივი ჯგუფები ფორმირდება – მოვლენისადმი დამოკიდებულებისა და ორგანიზაციის რეაქციის განსაზღვრის მიზნით. ამის შედეგად შესაძლებელია პრობლემის საჯარო განხილვა, როგორც ეს 2003 წელს აშშ პრეზიდენტის ბუშის მიერ ერაყში სამხედრო ქმედებების დაწყების გადაწყვეტილების მიღებას მოჰყვა.

სიტუაციის განვითარების პროცესში ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. ეს უფრო ნათლად და შთამბეჭდავად ხდება, თუ კრიზისი დინამიკურია და ყოველდღე ახალ მოვლენებს გვთავაზობს.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შედეგი საზოგადოებრივი ქმედებაა. მაგ. აშშ-ს აგრესიისადმი რეაქცია (ერაყის შემთხვევაში),

ამერიკის ხელისუფლების აზრის საწინააღმდეგოდ, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში, საპროტესტო დემონსტრაციებით გამოიხატა.

პროცესი სრულდება ოფიციალური პირების რეაქციით, რომლის შედეგადაც საზოგადოებრივი ჯგუფები საწყის პოზიციას უბრუნდებიან.

საზოგადოების მიერ კრიზისის აღქმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შემდეგი დასკვნები ჩამოვაყალიბოთ:

1. ადამიანები კრიზისის შესახებ უმთავრესად პირადი კომუნიკაციის საშუალებებით იგებენ;
2. ადამიანები, როგორც წესი, კრიზისის სერიოზულობის ინტერპრეტაციას პირადი საშიშროების თვალთახედვით ახდენენ;
3. კრიზისის პერიოდში უფრო ავტორიტეტულად ოფიციალური წყაროები ითვლება;
4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (მის) ინფორმაციის მოცულობა მეტყველებს კრიზისის მასშტაბზე: რაც მეტია ინფორმაცია, მით უფრო სერიოზულია კრიზისი;
5. სანდო, სარწმუნო ინფორმაციის არსებობა ჭორების გავრცელებას ხელს უშლის.

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჭორებს წინ თითქმის ვერაფერი აღუდგება. მათი გავრცელების დრო-სივრცული არეალი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და მისი შეჩერება ძალიან ძნელია. ჭორების წინააღმდეგ ყველაზე მართებული საბრძოლო მეთოდი პრევენციული ზომებია, რომლებიც დროული სარწმუნო ინფორმაციის ორმხრივი ეფექტური გამოყენებით თავიდან აგვაცილებს ჭორის მიზეზებს. და თუ მაინც გავრცელდა არასასურველი მოარული ხმა, დაუყოვნებლივაა საჭირო გადამჭრელი ღონისძიებების მიღება, რადგან ისინი კრიზისის გაღრმავების ყველაზე „ვერაგი“ მიზეზია. ამის ნათელი დასტური „პროქტერ ენდ გემბელის“ მაგალითია. აგორებულმა ჭორებმა კომპანია სერიოზულად დააზარალა როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად. ჭორების გასაქარწყლებლად ისევ და ისევ

საჭიროა შეთანხმებული საქმიანობა მედიასთან. მოარული ხმების გაპროტესტებაში მედიის მხარდაჭერა გადამწყვეტია.

კრიზისის მართვის ამერიკული პრაქტიკიდან ორი შემთხვევაა საინტერესო [6]. პრეპარატ „ტაილენოლით“ 1982 წელს ჩიკაგოში 7 ადამიანი გარდაიცვალა. მწარმოებელი კომპანია „ჯონსონ ენდ ჯონსონისათვის“ ეს პოპულარული ბრენდის დაკარგვასა და მრავალმილიონიან ზარალს ნიშნავდა. ანალიტიკოსთა უმრავლესობა პრეპარატს გაქრობას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ წლის ბოლომდე პრეპარატი არათუ გაქრა, აშშ-ს ტკივილგამაყუჩებლების ბაზრის მეოთხედი დაიბრუნა.

„სიკვდილი“ (ციანიდი) პრეპარატის ფლაკონში ბოროტმოქმედთა წინასწარი განზრახვით მოხვდა. სწორად წარმართული ანტიკრიზისული გეგმის საშუალებით პრობლემა დაძლეული იქნა. „ტაილენოლის“ კრიზისის მენეჯმენტის პროგრამის წარმატება განაპირობა იმ გადაწყვეტილებებმა, რაც ნაკარნახევი იყო დასახული სტრატეგიის კონკრეტული ტაქტიკით: კავშირი ჩიკაგოს პოლიციასთან, გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან და ამერიკის სამედიცინო პრეპარატებისა და საკვები პროდუქტების კონტროლის ასოციაციასთან. „ჩიკაგოს მომწამვლელის“ შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებისათვის ჯილდოდ 100 000 დოლარი დაწესდა. კომპანიის მენეჯმენტის ხელმძღვანელები პირველი სამი მსხვერპლის დაკრძალვას დაესწრნენ, რაც პირდაპირ ეთერში მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაიცა. მთელმა ამერიკამ ნახა, როგორ ტიროდნენ კომპანიის დირექტორები დაკრძალვებზე „არამარტო სიბრალულის გამო, არამედ თავიანთი პასუხისმგებლობის გაცნობიერების გამოც“. შემოიღეს შეფუთვის ახალი უსაფრთხო ფორმა, რასაც თან ახლდა სარეკლამო აქცია. იგი მიზნად ისახავდა მომხმარებლისათვის ამ სიახლის ყველა უპირატესობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ასევე განხორციელდა ნებისმიერ დროს გამოშვებული „ტაილენოლის“ კაპსულების აბებზე დაუყოვნებელი და უფასო გაცვლის აქცია. ყველა ანტიკრიზისული ქმედების გამაერთიანებელ ფაქტორად იქცა კომპანიის ხელმძღვანელობის სრული გულახდილობა

და ხელმისაწვდომობა მასმედიასთან ურთიერთობისათვის. კომპანიის ყველა უფროსი მენეჯერი ვალდებულად თვლიდა თავს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ნებისმიერი ინფორმაცია მიეწოდებინა. პირველი მოწამვლის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში, კომპანიის ხელმძღვანელებმა ჟურნალისტების 2500 კითხვას უპასუხეს. თვით მოწამვლის ისტორია წლის მთავარი სიახლე გახდა და პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდეგ პრესაში პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი დაიკავა.

მეორე შემთხვევა 1989 წლის 24 მარტს მოხდა. ნავთობის გადამზიდავი ტანკერი „ექსონ ვალდეზი“ ალიასკის სამხრეთ სანაპიროსთან რიფს დაეჯახა, რის შედეგადაც ჩრდილოეთ ოკეანეში მრავალი ტონა გადაუმუშავებელი ნავთობი ჩაიღვარა. ეს ამბავი ამგვარი ტრაგედიებიდან ამერიკის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურია. ალიასკის სანაპირო მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია, იქ უნიკალური ფაუნაა, ადგილობრივი მოსახლეობა თევზის ჭერითაა დაკავებული.

„ექსონის“ მიერ კრიზისის მართვა წარუმატებლად წარიმართა, რაც უმთავრესად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კომპანიის მენეჯმენტი მასმედიასთან ყოველგვარ კონტაქტს გაურბოდა. კომპანიის იმჟამინდელი დირექტორი ინტერვიუზე არ თანხმდებოდა. დაგვიანებული გამოსვლისას არაპროფესიულად იქცეოდა – არ ფლობდა რეალურ ინფორმაციას, ზოგიერთი ფაქტი არ იცოდა. საზოგადოდ, შიდა კომუნიკაცია არასრულყოფილი და მოუმზადებელი აღმოჩნდა ექსტრემალური სიტუაციისათვის. ყველა ინფორმაციას კომპანიის მენეჯმენტი სხვადასხვა ინტერპრეტაციით ავრცელებდა. არასწორად განათავსეს საინფორმაციო ცენტრი – ალიასკაზე, კატასტროფის მახლობლად, საკომუნიკაციო საშუალებებით შეზღუდულ პატარა ქალაქში. ნიუ – იორკთან დროის 4 საათის სხვაობამ დილის პრესისათვის პრესკონფერენციების დრო არახელსაყრელი გახადა.

კომპანიამ დიდი ფულადი სახსრები გაიღო გამწმენდი სამუშაოების ჩასატარებლად, წამოიწყო რამდენიმე პროექტი ფაუნის გადასარჩენად

და სარეკლამო კამპანია პრესაში, საზოგადოებას ბოდიშიც კი მოუხადა, მაგრამ არსად უთქვამს, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა. კომპანიის ხელმძღვანელთა განცხადებები სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მათი ინიციატივით გადაღებულმა ფილმმა „პროგრესი ალიასკაზე“ მთელს ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია.

ამ ორი ანტიკრიზისული რეაგირების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი განსხვავებები:

– „ტაილენოლის“ შემთხვევაში ოპერატიული, მიზანმიმართული ქმედებები;

– „ექსონის“ შემთხვევაში ძალზე დაგვიანებული, არათანმიმდევრული ქმედებები;

–კომპანიების ხელმძვანელებმა მომხდარისა და დაზარალებულებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება გამოხატეს;

– კომპანიებმა საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის მედიასთან თანამშრომლობის სხვადასხვა პოლიტიკა აირჩიეს.

განხილული კრიზისის ტიპებიდან ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერია მოსალოდნელი, მაგრამ, რაც ყველაზე ნათლად ჩანს, ეს ეპიდემიის საშიშროება (ქათმის გრიპი, ღორის გრიპი), ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრა) და პოლიტიკური ბატალიებია (მაგ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, ოპოზიციისა და ხელისუფლების დამოკიდებულება – 2007 წლის ნოემბრისა და 2009 წლის აპრილის საპროტესტო გამოსვლები).

ამ პირობებში კრიზისული კომუნიკაციის დეფიციტი შეინიშნება, რაც შეიძლება რამდენიმე ფაქტორით აიხსნას – პრობლემის არცოდნა, კრიზისის მართვის სურვილის არქონა, პრობლემის არასათანადო გააზრება ან იგნორირება. ყველა შემთხვევა დაუშვებელია, რადგან ასეთი დამოკიდებულება ზიანის მომტანია ქვეყნისა და მოსახლეობისათვის. კრიზისის მართვისადმი უმთავრესად ორი უკიდურესი პოზიცია იკვეთება – პირველი, როცა კომუნიკაცია უაღრესად ნეგატიური

შინაარსისაა, და, მეორე, როცა კომუნიკაცია არ არსებობს ან არსებობს (გარკვეული ფორმით) და ფართო საზოგადოებამ მის შესახებ არ იცის. მაგ. ჩვენი ქვეყნის ბევრ მოქალაქეს დაამახსოვრდა ამ რამდენიმე წლის წინათ ქათმის გრიპის საშიშროებასთან დაკავშირებით იმჟამინდელი ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ერთ-ერთი განცხადება. ასეთი ეპიდემიის წინაშე საქართველოს მოსახლეობა პირველად აღმოჩნდა. იყო პანიკის საფუძველი, რადგან ხელისუფლება მოსახლეობის დაცვისა და დაავადების პრევენციის გარანტიას ვერ იძლეოდა. ხშირად ტელევიზიით გასული სიუჟეტები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავდა და ამ ფონზე 2 იანვარს, ე.წ. „ბედობის დღეს", მინისტრი ტელევიზიით გამოდის და გვაუწყებს, რომ მოსალოდნელია ეპიდემიის აფეთქება და მოსახლეობის დიდ ნაწილს ემუქრება სიკვდილი. საბედნიეროდ, „შორსმჭვრეტელი" მინისტრის პროგნოზი არ გამართლდა; სამაგიეროდ, გამჟღავნდა ხელისუფლების წარმომადგენლის სრული უპასუხისმგებლობა და ელემენტარული უცოდინარობა.

2008 წლის 10 აგვისტოს დღის 12 საათსა და 50 წუთზე საქართველოს პარლამენტის თავჯდომარემ დავით ბაქრაძემ საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებით შეატყობინა, რომ „რუსეთის შეიარაღებული ძალები უახლოეს საათებში ზუგდიდის მიმართულებით გეგმავდნენ ფართომასშტაბიან თავდასხმას." მან აღნიშნა, რომ „ქვეყანაში ვითარება მთლიანად სტაბილურია და კონტროლდება. პრეზიდენტი პირადად ხელმძღვანელობს სახელმწიფო თავდაცვას... მინდა გადმოგცეთ საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება და მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მოწოდება – ყველა ერთად გავერთიანდეთ. ყველგან, სადაც შემოვა მტრის ჯარი, ყველა არსებული საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობა, არ მივცეთ საქართველოს ოკუპაციისა და 1921 წლის განმეორების საშუალება"[7].

პარლამენტის სპიკერის მოწოდება რუსული აგრესიის „ყველა არსებული საშუალებით“ მოგერიების შესახებ საქართველოს მოქალაქეებისათვის გაუგებარი აღმოჩნდა.

2009 წლის სექტემბერში მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა დასავლეთ საქართველო. ქვეყნის ყველა ტელევიზიის საინფორმაციო საშუალებებმა მეორე დღეს მომხდარის შესახებ შეგვატყობინეს. მოწოდებული ახალი ამბის სტრუქტურა მართებული იყო: რა და როდის მოხდა, როგორია შედეგი და რა უნდა გაკეთდეს ზარალის ზიანის შესამცირებლად და ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ეს იყო ერთჯერადი ინფორმაცია. უახლოესი დღეების განმავლობაში ფართო საზოგადოებამ ვერ მიიღო ინფორმაცია შემდგომი პროცესების შესახებ. შესაძლოა, დაზარალებულ მოსახლეობასთან არსებობდა მუდმივი კავშირი და ადგილობრივი მკვიდრნი ფლობდნენ ინფორმაციას, ხედავდნენ ხელისუფლების ქმედების რეალურ შედეგსაც, მაგრამ დანარჩენი მოსახლეობისათვის ეს ინფორმაცია დაფარული აღმოჩნდა, რაც კრიზისული კომუნიკაციის წარმართვის არასწორ პოლიტიკაზე მეტყველებს.

ამრიგად, კრიზისის დაძლევისათვის არსებითია PR-ის მეთოდებისა და პრაქტიკის ცოდნა და მათი ეფექტურად გამოყენება.

Abstract

Marina Lomidze,

The Role of Crisis Communication in PR Activities

Crisis situation accompanies any area of social life (governmental,commercial as well as industrial structure).

Crisis situation represents a new branch of cognition and its significance is highly important. It is crisis that breaks the whole information stream, thus making it impossible to inform the public fully.

Existence of a lack of information about crisis situation and its main point is one of the major problems of present time. It is particularly essential for our country, since for Georgia, as for the country of `the third wave Democracy~ insufficient spreading of information and technologies arethe factors hindering development of civil society. The scale of communication problem existing in our country determines its wide range and requires its complex study: estimating the main point of crisis, considering mechanisms of its management and acquaintingwith foreign experience.The abovementioned clearly shows acuteness of the issue and necessity of working out a proper policy towards it.

As to the types of crisis any of them may be expected in our country, yet most obvious ones are the following: danger of epidemic (bird flu, swine flu), natural disasters (earthquake) and political battles (War in august 2008, relations between government and opposition _ protest manifestations in November 200 and April 2009).

Shortage of crisis communication can be seen in this situation, which can be explained by several factors: not knowing

the problem,lacking any desire of proper management, ignoring or underestimating the problem. All the cases are inadmissible, since they bring harm to the country.Two extremeness of position can be seen in the crisis management _ first when communication is very negative, and second when communication either does not exist or exists (in any form) and the society knows nothing about it.

In order to overcome the crisis it is essential to know the methods and practices of PR and to use them effectively.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Блек С. Паблик рилейшенз. Что это такое? Пер. с англ. Лондон: Модино пресс: М.: СП АСЭС,1990, с .42,

2. დოკუმენტური ფილმი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ (ტექნოლოგიური კატასტროფები),

3. Катлип С., Сентер А., Брум Г. Паблик рилейшенз. Теориа и практика: Учеб. Пособие. 8-е изд,: Пер. . с англ. М: Изд.дом «Вильямс», 2001, с.430-431,

4. Reinhard C. Workshop: How to handle a Crisis//PRJournal 43, no 11,November 1987,

5. Блек С.Паблик рилейшенз. Что это такое? Пер. с англ. Лондон: Модино пресс: М.: СП АСЭС,1990, с.190-192,

6. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის „PR/კომუნიკაციის მენეჯმენტის“ კურსის მასალები,

7. www.rustavi2.com. უახლესი ამბები, საინფორმაციო გადაცემები, 10.08.08,12.53.

გუგული მაღრაძე

დემოკრატიის პერსპექტივები გარდამავალ ქვეყნებში.

მიუხედავად ქვეყანაში გამეფებული მრავალწლიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისისა, ვფიქრობთ, ჩვენს საზოგადოებას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი, პოლიტიკური თვითშეგნების, სახელმწიფოებრივი აზროვნების და სამოქალაქო ფასეულობების სახით, რაც უდიდესი ძალის მქონე ფაქტორია ქვეყანაში ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა, რას მნიშვნელოვნად და შეუქცევლად განაპირობებს ქვეყნის დემოკრატიზაციას.

პოლიტოლოგთა შორის ხანგძლივი დებატები არსებობს ე.წ. "პრეკონდიციონალისტებსა" და "უნივერსალისტებს" შორის. პირველებს სჯერათ რომ დემოკრატია ზოგადად, პირობებისა და გამოცდილების გარკვეული თანხვედრის შედეგად წარმოდგება, მეორენი კი ამტკიცებენ რომ დემოკრატია ყველა გარემოში და ყველა გზით შეიძლება განვითარდეს.

თითეული ქვეყანა თავისებურად გაივლის პოლიტიკური თავისუფლების და დემოკრატიისკენ მიმავალ გზას. დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა, განხორციელებული ხალხის მიერ და ხალხისათვის. ის რომ ძნელია დემოკრატიის დამყარება ჩვენნაირ ქვეყანაში, ბევრი ხელისშემშლელი წინაპირობის გამო, ცხადია, მაგრამ კეთდება კი რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დემოკრატიისკენ სვლა იყოს შეუქცევადი პროცესი. რას მოწმობს ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები: ჩვენ უფრო ვშორდებით თუ ვუახლოვდებით დემოკრატიას?

მიგვაჩნია, რომ საჭიროა გარდამავალი ქვეყნების მოსახლეობის ფართო მასებმა გააცნობიეროთ რატომაა თითეული მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი დემოკრატია სწორედ ასეთი ქვეყნებში.

დემოკრატიული ტრანზიციის მარტივი მოდელი ასეთია: ძველი რეჟიმი ემხობა, საზოგადოება ესწრაფვის ღია ეროვნულ არჩევნებს, ამას მოსდევს თანდათანობითი რეფორმები, და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება.

სამწუხაროდ ბევრ პოსტ-ტოტალიტარულ ქვეყნებში ასე არ ხდება. ხშირად დემოკრატიის ლოზუნგებით მოსული ხელისუფლება გვევლინება დემოკრატიის წინააღმდეგ. ასეთ დროს ძირითადი არგუმენტი ხელისუფლების მხრიდან არის ის, რომ ისინი აშენებენ სახელმწიფოს და ასეთი დანაკარგები დემოკრატიის მხრივ გარდაუვალია.

პოლიტიკური მეცნიერებებში გავრცელებული შეხედულებების მიხედვით ეს არგუმენტი არ შეესაბამება სინამდვილეს და ეს არის ავტოკრატიულობისკენ მიდრეკილი ხელისუფლებების მცდელობა იდეოლოგიურად გაამართლონ თავიანთი ავტორიტარიზმი.

ცდებიან როცა ანვითარებენ აზრს, რომ დემოკრატიზაციამ უნდა მოითმინოს, სანამ არა მხოლოდ ადექვატური, არამედ ძლიერი სახელმწიფო არ შედგება, რომელსაც ექნება უნარიანი, მიუკერძოებელი ინსტიტუციები და დიდი შესაძლებლობა განვითარების, საკანონმდებლო საქმიანობის და ეფექტური პოლიტიკის წარმოებისთვის. ეს მცდარი იდეა ემყარება მიმზიდველ, მაგრამ ილუზორულ ცნებას, რომ ავტოკრატები ბუნებით სახელმწიფო აპარატის მშენებლები არიან.

სახელმწიფოს შენება, მსგავსად კანონმმართველობის განვითარებისა, რომელთანაც იგი მჭიდრო კავშირშია, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ავტოკრატულ მმართველობას. ავტოკრატები ჩვეულებრივ სახელმწიფოს იყენებენ საკუთარი თავის და მახლობელთა წრისთვის კორუფციული შემოსავლის წყაროდ, კრიტიკოსების და მოწინააღმ-

დეგეთა დასჯის და შევიწროვების იარაღად, გამორჩეული მეგობრების და ჯგუფების თავშეყრის და მათთვის განსაკუთრებულად საუკეთესო ცხოვრების ადგილად.

თუ სახელმწიფო ძლიერია და ხორციელდება სახელმწიფოს მშენებლობის ისეთი მთავარი მიზნები, როგორიცაა ეფექტურობა და მიუკერძოებლობა, ავტოკრატ ხელისუფლებას ნაკლებად აქვს საშუალება გამოიყენოს სახელმწიფო აპარატი თავისი მიზნებისთვის. ეფექტურ სახელმწიფოს საკმაო პოლიტიკური ავტონომია აქვს ისევე, როგორც საკუთარი ლეგიტიმურობა და უფლებამოსილება. ასეთი სახელმწიფო ბევრ რამეში ძალაუფლების პოლიტიკური ბერკეტებისგან თავისუფალია და ამდენად სახიფათოა ავტოკრატი ლიდერისთვის. ავტოკრატებს სწორედაც რომ სუსტი სახელმწიფო აწყობთ თავისი მიზნების განსახორციელებლად.

ავტოკრატები ხაზს უსვამენ, რომ დემოკრატიზაციის პირობებში სუსტი, კოალიციური მთავრობების პერიოდმა შეიძლება შეაფერხოს ინსტიტუტების მშენებლობა, მაგრამ ამავე დროს, აქ არის დემოკრატიზაცის კომპონენტები, რომლებიც გაცილებით მეტად უწყობენ ხელს სახელმწიფოს მშენებლობას.

სახელმწიფოს მშენებლობა ყოველთვის სწრაფი წარმატების მქონე არაა ახალ დემოკრატიებში, თუმცა ავტოკრატებისგან განსხვავებით, აქ ადგილი არ აქვს ძირეულ შიგა დაპირისპირებას ეფექტურ სახელმწიფოს და დემოკრატიულ ხელისუფლებას შორის. შემთხვევითი არაა რომ დღეს ყველაზე ეფექტური სახელმწიფოები დემოკრატიულ ქვეყნებშია. სახელმწიფოს მშენებლობა დემოკრატიზაციასთან ერთად საუკეთესო შედეგებს იძლევა.

ავტოკრატი ლიდერების იდეოლოგიაა სეკვენციალიზმი. სეკვენციალიზმი არის დემოკრატიზაციის გაურკვეველი დროით გადადების

მეთოდი, რომელსაც ასაზრდოებს დემოკრატიის ფასეულობების და შანსების მიმართ სკეპტიციზმი.

ნახევრად ავტორიტარულ სახელმწიფოებში, ძალაუფლების მქონენი აცხადებენ რომ მათი ნაწილობრივი პოლიტიკური ლიბერალიზაცია აუცილებელი გზის ნახევარია, რომელიც მათ დემოკრატიაზე მიიყვანს, სინამდვილეში ეს ნიშნავს ისეთი ფართო ცვლილებებისთვის თავის არიდებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მათ ნახევრად ავტორიტარულ მმართველობას.

დემოკრატიის მომხრეთა იდეოლოგიის გამომხატველი არის გრადუალიზმი, რაც გულისხმობს აუცილებელ დემოკრატიზაციას, რის შიგნით შეიძლება იყოს სხვაობები: დემოკრატიზაცია ახლავე ან ამ პროცესებისკენ თანდათანობით სვლა. გრადუალიზმი არ ნიშნავს რომ დემოკრატიზაციამ არ შეიძლება კრახი განიცადოს: კვლავ იქნება ქვეყნები სადაც დემოკრატიისკენ სწრაფი სვლა გამართლებულია და ისეთი ქვეყნებიც, სადაც პოლიტიკური პლურალიზმი საერთოდ არაა. დამოუკიდებელი საქართველოს 20 წლიანი ისტორია გვიჩვენებს, რომ დემოკრატიისკენ სწრაფვა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის არ არის ლიტონი სიტყვები, ამასთან მოსახლეობის პოლიტიკური თვითშეგნების დონე საკმაოდ მაღალია და ხალხს კარგად ესმის, რომ სამართლიანი არჩევნები საუკეთესო გზაა ისეთი ხელისუფლების შესაცვლელად, რომელსაც არ მიჰყავს ქვეყანა დემოკრატიზაციის გზით.

არჩევითობა ხელისუფლების ლეგიტიმურობის საფუძველია. რაც არ უნდა მყიფე იყოს არჩევნები, ლეგიტიმურობის მოპოვების პროცესში ის დღევანდელ მსოფლიოში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამას ისიც მოწმობს რომ ყოფილი სსრკ-ს და ახლო აღმოსავლეთის ნახევრად ავტორიტარ ლიდერებს ურჩევნიათ არჩევნების გარეშე მართვას, დიდი ჭაპანწყვეტით, მიკიბულ - მოკიბული გზებით არჩევნები

მაინც ჩაატარონ. ბევრგან გაწბილება მოყვა დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისკენ ლტოლვას არჩევნების გზით, მაგრამ ავტოკრატიის პირობებში ანგარიშვალდებულების მიღწევის შანსები კიდევ უფრო მცირეა. შეიძლება ბევრ ქვეყანაში არჩევნები თამაშგარე ტოვებს დემოკრატიას, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატია არჩევნების გარეშე.

დემოკრატიულმა ტრანზიციამ, როგორც მიდგომამ, ადექვატურად იმუშავა აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში და არაკომუნისტურ აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ სულაც ვერ იმუშავა ყოფილ საბჭოთა კავშირში, ფედერალურ იუგოსლავიაში, ალბანეთში, ჩინეთში, კამბოჯაში, ახლო აღმოსავლეთში, სუბსაჰარის აფრიკაში. ყოფილ საბჭოთა კავშირში ისეთი ლიდერების პერიოდში, როგორიც იყვნენ ელცინი და შევარდნაძე, დემოკრატიზაციაზე მიმართული რეფორმები ხშირად იცვლებოდა. თუმცა ეს მმართველებები სულ უფრო მეტად იხრებოდა ავტორიტარული მმართველობის საბოლოო კონსოლიდაციისაკენ. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის არცერთმა მმართველმა არ აირჩია ისეთი გზა, რომ ხელისუფლება იმისთვის გადაეცა, ვინც უფრო დემოკრატი მმართველი იქნებოდაო.

თანდათანობითი ტრანზიციის კონცეფციამ დაამკვიდრა „უკეთესი" და „უარესი" არჩევნების ცნება.

პოსტ-ტოტალიტარულ და განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე პროცესები ხასიათდება ე.წ. უცაბედი დემოკრატიაზაციით, რაც ხშირად გამოიხატებოდა ვადამდელი არჩევნების ჩატარების მცდელობაში. ეს ხდება ჩვეულებრივ იმიტომ, რომ ასე უნდათ ამ ქვეყნის მოქალაქეებს. ეს ხდება იქ, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ გაერთიანდნენ დიქტატორთა მოსაცილებლად და რეჟიმის შესაცვლელად, სადაც ადამიანებმა მოახერხეს მობილიზირება არა მხოლოდ არსებული რეჟიმის შესაცვლელად, არამედ იმისთვისაც, რომ თვითონ გაძლიერებულიყვნენ

პოლიტიკურად, თვითონ აერჩიათ ხელისუფლება. ხმის მიცემის გზით საჯარო ვალდებულებამ შეიძლება შექმნას მოტივაცია კარგი სახელმწიფოებრივი ქმედებისთვის, დახურული მედიის გადაქცევა ღიად ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ცუდად მომუშავე მხარეების საჯარო განხილვას. დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის დათმობა საშუალებას მისცემს სხვადასხვა ჯგუფებს აწარმოონ სახელმწიფოს მუშაობის მონიტორინგი და კრიტიკა, შესთავაზონ ახალი იდეები ხელისუფლებას.

დემოკრატიული გრადუალიზმი სეკვეციალიზმისგან განსხვავებით გულისხმობს რომ არ შეიძლება გაურკვეველი ვადით გადაიდოს ის რაც დემოკრატიის გულისგულია: პოლიტიკური შეჯიბრის და არჩევანის სამართლიანი ღია პროცესების განვითარება. ეს გულისხმობს ამ პრინციპის ახლავე გამოყენებას, მაგრამ შესაძლოა არა ერთბაშად, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ და კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა ფორმა შეიძლება მიიღოს. მაგალითად, ”ნაადრევი არჩევნების საფრთხე” შეიძლება გადაიდოს, რომ დაპირისპირებულ ძალებს ჰქონდეთ დრო მოსალაპარაკებლად და ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა ისწავლონ მშვიდობიანად თანაარსებობა და თამაშის წესებზე შეთანხმება არჩევნების ჩატარებამდე. პოლიტიკური ძალები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიცდიან არჩევნებამდე, თუ ზუსტად ეცოდინებათ როდის , როგორ და ვინ ჩაატარებს არჩევნებს და ეს დრო ნამდვილად საჭირო უნდა იყოს ეროვნული კონსენსუსისთვის.

თუმცა დემოკრატიის განვითარებისათვის თავისთავად მხოლოდ არჩევნების ჩატარება არაა საკმარისი. დემოკრატიული ტრანზიციის თეორეტიკოსები კი ამტკიცებენ რომ არჩევნები დემოკრატიული განვითარების ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა ის სამართლიანია. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დასავლურმა დემოკრატიის ხელშეწყობის პროგრამებმა უხვად წარმოადგინეს ტექნი-

კური საშუალებები, როგორიცაა გამჭირვალე საარჩევნო ყუთები, ვიდეო თვალი და სხვა. დასავლურ მთავრობებს, რომლებთაც გარდამავალ ქვეყნებთან ფრთხილი ურთიერთობა აქვთ, ისევე როგორც არჩევნების მონიტორინგის ჯგუფებს, რომლებიც ხშირად ანგარიშს აბარებენ ამ მთავრობებს, ასეთი გაუმჯობესებები საშუალებას აძლევს არჩევნების შემდეგ ილაპარაკონ "გაუმჯობესების" შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, როცა არჩევნების საერთო შედეგები მთავრობის მხრიდან სხვადასხვა მანიპულაციებით არის ხოლმე განსაზღვრული. მაგრამ ასეთი არჩევნები ხშირად რევოლუციების საფუძველი უფრო ხდება, ვიდრე ქვეყნის თანდათანობითი დემოკრატიული გარდაქმნების საფუძველი.

ბევრი პოლიტოლოგი გარდამავალ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას უკავშირებს დემოკრატიზაციის განხორციელებისადმი გრადუალიზმის ახალი მიდგომებს, რაც გულისხმობს მცირე, მაგრამ აუცილებელ რეფორმებს ავტოკრატ მმართველთა ძალაუფლების საბოლოო დასასრულამდე. ასეთი ნაბიჯები შეიძლება იყოს: დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციების მოქმედების ეფექტურობის და გავლენის ზრდა, რომლებიც დაკავებული არიან პოლიტიკური უფლებების დაცვით, მმართველი პარტიისგან განსხვავებული პარტიების გაძლიერება, ადგილობრივი არჩევნები, სადაც თანაბარი შესაძლებლობები ექმნება ყველას. ღია საზოგადოებრივი სივრცის შექმნა, სადაც რეალურად დამოუკიდებელი მედია იმუშავებს, რომელსაც საშუალება ექნება გააკრიტიკოს მმართველი ხელისუფლება.

დემოკრატიის მომხრეები და დამცველები ყურადღებით უნდა მოეკიდონ ისეთ სტრატეგიებს, რაც გათვლილი იქნება პოლიტიკური კონკურენციის ხელისშეწყობაზე. ასეთი სტარტეგიების სიაში შევიდოდა: საარჩევნო ადმინისტრაციის რეალურად დამოუკიდებელი სისტემის შექმნა, პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია და მათი მოქმედების თავისუფლება და ხელისშეწყობა, ისეთი სისტემების გა-

ძლიერება როგორიცაა საკანონმდებლო სისტემა, რომელშიც რეალური პლურალიზმი გარკვეული ხარისხით უკვე მოცემულია, უზრუნველყოფა დამოუკიდებელ მოქალაქეთა ჯგუფების უფლებისა განიხილოს და გააკრიტიკონ არჩევნები, გააკრიტიკონ ხელისუფლების ქმედებები, თუ ისინი არ შეესაბამება ხალხის ინტერესებს. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესებია. ასევე საჭიროა კონსტიტუციური რეფორმების გზით იმ ზონების შემცირება, რომლებიც კონკურენციის პროცესიდან გამორთულები არიან და სხვა.

საინტერესოა ჩვენს კონტექსტში დემოკრატიის გარდამავალ პროცესებში გარე ძალთა როლი. როგორც წესი, მათი მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდულია. სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები, როგორც წესი, უზრუნველყოფენ არაკონფრონტაციულ დახმარებას დემოკრატიისათვის, მათ შეუძლიათ დაარწმუნონ, სთხოვონ ან ძალა დაატანონ ქვეყნის ოფიციალურ პირებს დემოკრატიული რეფორმებისთვის ნაბიჯები გადადგან. დასავლეთს მრავალი არჩევნებისთვის დაუჭერია მხარი არჩევნების ადმინისტრირებით, დამკვირვებლებით, მაგრამ მათ მხოლოდ მხარდამჭერი და არა წამყვანი როლი ენიჭებათ. რაოდენ დიდი არ უნდა იყოს თანამედროვე დემოკრატიის გამავრცელებელთა საზოგადოება, უმეტეს შემთხვევაში ის ვერც მართავს და ფორმასაც ვერ მიანიჭებს მსოფლიო პოლიტიკურ ტრანსაქციებს. ისინი ზურგს უმაგრებენ დემოკრატიზაციას იმით, რომ ცდილობენ დაეხმარონ ადგილობრივ ძალებს მიაღწიონ თავის მიზნებს.

თუმცა არის რამდენიმე შემთხვევა, როცა გარე ფაქტორები დემოკრატიაზე გადასვლის პროცესის წამოწყებაში დიდ როლს თამაშობენ. ეს შედარებით იშვიათობაა, თუმცა ისინი არ ცდილობენ არჩევნები იმ ადგილებში ჩატარდეს, სადაც თვით ადგილობრივ მოსახლეობაში არაა

ამისკენ მზაობა და სადაც უკვე არაა დაგეგმილი არჩევნები. ისინი უფრო იმას ცდილობენ უკვე დაგეგმილ არჩევნებზე მოახდინონ გავლენა.

ზოგჯერ, მაგრამ ძალიან იშვიათად, ადგილი აქვს ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებებისთვის საერთაშორისო გავლენიანი პირების ჩარევის ძალადობრივ ინტერვენციასაც, როცა დიქტატორის გადასაგდებად სამხედრო ძალით მოხდა ჩარევა: ეს მაგალითებია პანამა, ავღანეთი, ერაყი.

საზოგადოდ, არჩევნების ჩატარების იდეა გარედან არ მოდის ხოლმე, ის რაღაც ისეთია, რასაც მოქალაქენი და ძირითადი პოლიტიკური აქტორები მოელიან და უნდათ. თეორიულად, განვითარების რომელი გზაც არ უნდა იყოს მისაღები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადამიანებს პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება სურთ ახლა და არა რაღაც განუსაზღვრელ მომავალში. არჩევნები, რაც არ უნდა პირობების შეუმზადებლად და ნაჩქარევად ჩატარდეს, მაინც გარკვეული მაჩვენებელია თვითმართველობისკენ სწრაფვისა.

პოლიტიკური მეცნიერებები გამოყოფენ დემოკრატიის წარმატების ხუთ ძირითად წინაპირობას:

1. ქვეყნის ეკონომიური განვითარების დონე: რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, (იგულისხმება საშუალო კლასი, და არა ერთეული უმდიდრესი ადამიანები ქვეყანაში), მით მეტი შანსი აქვს ქვეყანას დემოკრატიული განვითარებისთვის.
2. ეროვნული სიმდიდრის კონცენტრაცია: თუ ეროვნული სიმდიდრე მოდის მაღალი კონცენტრაციის წყაროებიდან (მაგ ნავთობი), მეტ დაბრკოლებას აწყდებიან დემოკრატიზაციისთვის.

3. ქვეყნის გაყოფის საშიშროება, რომელიც იდენტურობაზეა დამოკიდებული: ქვეყნის ნაციონალური იდენტურობის ჰომოგენურობა აადვილებს დემოკრატიზაციის განხორცილებას.
4. პოლიტიკური პლურალიზმის გამოცდილება.
5. არადემოკრატიული მეზობლები.

ეს პირობები არ წარმოადგენენ ისეთი რანგის პირობებს, რომელთა გარეშე დემოკრატია ვერ შედგება. ისინი უფრო ხელშემწყობი ან ხელისშემშლელია დემოკრატიზაციისათვის. როცა ყველა ეს პირობა პოზიტიური მხარისკენ იხრება, უფრო ადვილია ქვეყნის დემოკრატიზაცია. მაგრამ ეს არაა საფუძველი ქვეყნები დავყოთ ისეთ ქვეყნებად, ვისაც შეუძლია ან არ შეუძლია გახდეს დემოკრატიული. ეს ფაქტორები რომ არაა გადამწყვეტი წინაპირობა, ამის მაგალითები საკმარისადაა: ინდოეთი ღარიბია, ასევე პანამა, სენეგალი, სურინამი, მაგრამ ეს ქვეყნები დემოკრატიული ქვეყნებია. ასევე, მაგ, ნორვეგიასაც აქვს კონცენტრირებული სიმდიდრე ან ნაციონალური იდენტობაზე გაყოფა არსებობს შვეიცარიაში, კანადაში, ბელგიაში, მაგრამ ეს არ იყო ხელისშემშლელი მათი დემოკრატიულობისათვის. ასევე ცუდი სამეზობლოები აქვთ კოსტა რიკას, ან ისრაელს, მაგრამ ამ ქვეყნებში არის დემოკრატია.

ამ ფაქტორებს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენს პირობებში მეტია დემოკრატიზაციისთვის ხელშემშლელი, ვიდრე ხელისშემწყობი ფაქტორები, ამიტომ დემოკრატიზაცია ჩვენს ქვეყანაში ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მისწრაფებებს დემოკრატიისადმი. ვფიქრობ, ეს გამოიხატება ჩვენი მოსახლეობის ღირებულებების სისტემაში, ქცევის მოტივებში და იმ კონკრეტულ აქტივობებში, რაც განუხორცილებია ქართველ ხალხს თავისუფლების და

დამოუკიდებლობის იდეალებისათვის. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნისგან, მაგრამ საქართველოს მოსახლეობაც და მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოებაც სამართლიანად მიიჩნევს, რომ დემოკრატიის საწყისების აშენება ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შერი ბერმანი "როგორ წარმოიშვა დემოკრატიები, " კრებულში"საზოგადოება და პოლიტიკა." თბილისი, 2007.
2. ჩარლზ ფერბენკსი „რევოლუციების გადააზრება" კრებულში"საზოგადოება და პოლიტიკა." თბილისი, 2007.
3. თომას ქაროდერზი "თანმიმდევრული საფეხურების ილუზია" კრებულში"საზოგადოება და პოლიტიკა." თბილისი, 2007.
4. Fareed Zakaria The Fiture of Freedom: lliberal democracy at Home and Abroad .NY Norton, 2003
5. Crisis in Georgia: Preconditions, Reality, perspectives. Friedrich Ebert Stiftung, 2008
6. Georgia, 2009: Post war Challenges and Perspectives, Tbilisi, 2008.

Abstract

Guguli Maghradze,
Democracy in Transition Countries

We review how the government of transition countries are implementing the main components of democracy, such are rule of law, stability and autonomy of state institutions and fair and independent court.

Many government of transition countries came into power with slogans of democracy but today we have half or well developed autocratic regime in most countries.

The major interest of autocratic regimes is to maintain power. For the sake of keeping power autocracy such governments often declares that they are interested in state development. But as a rule, state development is solely PR action. In most of the cases autocrats put above all other interests which hinder not only social economic politics but also damage foundation of rule of law and any serious efforts of such manner.

Autocratic leaders are focused on gathering wealth, on protection of interests of concrete privileged groups of society or sectors and elimination (or termination) of any potential political opponents. These and other interests as a rule require systemic and important deformation of law. . When autocratic government claims to be implementing rule of law reform, the real reason and aim behind is totally different than to achieve economic development. Often these reforms and efforts have a form of anti-corruption campaigns and politics directed towards elimination of crime. Such programs

lack major components required for rule of law reform and anti-corruption campaigns consist of technocratic legislative changes, spreading general education on the evil of corruption, foundation of anti-corruption committees, and punishment of a handful of corrupt public servants. These campaigns do not consist of serious measures such as implementation of systemic changes when law would be implemented unbiased and equally towards all public servants and political limitations and manipulation of law enforcement bodies would stop. These campaigns are directed not towards strengthening of rule of law but on the contrary aim to create protection strategy to eliminate society's dissatisfaction towards government's actions and at the same time eliminate opponents. These activities of the government in the long run serve strengthening of autocracy.

The main essence is that ruling based on laws and autocracies are not compatible with each other. Rule of law is the major element which creates threat to autocratic government. Unbiased and just court treating everyone equally, respect of political and civil rights are those important components of rule of law which restrict or take away the major tools needed for autocratic governance. Thus, it is a lie when such government claims that they want to create independent court by introducing jury trials and through other means. Independent court and rule of law are actually end of autocratic governments and thus autocratic governments will never tolerate their existence.

მალხაზ მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი საკითხები (1919 წელი)

წინათქმა

1919 წლის 27-28 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილი პროფესურის და სტუდენტების წინაშე ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი ერთი შეხედვით მისთვის უჩვეულო მოხსენებით წარსდგა. ღვაწლმოსილი ისტორიკოსი თავის საჯარო ლექციაზე ამჯერად „თანამედროვე მომენტს“ აანალიზებდა, როგორც პარიზში დაწყებულ საზავო კონფერენციაზე საქართველოს მიერ წარგზავნილი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი.

პარიზის საზავო კონფერენციისათვის მზადებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოში. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის უნდა ჩაეყარათ საფუძველი და მათ მირ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული იყო საქართველოს ბედიც. „სულ ახლო მომავალში პარიზში მოწვეული იქნება მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, რომელზედაც, სხვათა შორის, საბოლოოდ გადაწყდება აღდგენილ, თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი. ყველანი გაფაციცებით ემზადებიან საერთაშორისო მაღალ კრებულისათვის, რომ კულტურულ კაცობრიობას თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი წარუდგინონ“, – 1919 წლის დასაწყისში წერდა გაზეთი „საქართველო“.[1]

[1] „საქართველო“, 1919 წ. 7 იანვარი

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს პოზიციების გასაძლიერებლად საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ დააჩქარა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა, დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა კი 12 მარტს შედგა. დამფუძნებელი კრების შეკრების თაობაზე საგანგებოდ ეცნობა პარიზში ჩასულ საქართველოს დელეგაციის წევრებს – კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს. კარლო ჩხეიძე, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, დაუსწრებლად აირჩიეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პოსტზეც.

სანამ საქართველოს დელეგაციის წევრები პარიზში ჩავიდოდნენ, მათ მნიშვნელოვანი სირთულეების დაძლევა მოუხდათ. 1919 წლის 9 იანვარს საქართველოს 12-კაციანი დელეგაცია თბილისიდან ბათუმისკენ გაემგზავრა, საიდანაც პარიზში უნდა ჩასულიყვნენ. დელეგაციის წევრი იყო პროფ. ივ.ჯავახიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში ის საქართველოს მთავრობის თხოვნით აღმოჩნდა, თუმცა მას უმჯობესად მიაჩნდა უნივერსიტეტში დარჩენა. ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტისგან დროებით მოწყვეტას უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტებიც განიცდიდნენ.[1]

საზავო კონფერენციაზე მიმავალი დელეგაცია ბათუმში 11 იანვარს ჩავიდა და ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ 17 იანვარს სტამბოლისკენ მოახერხა გამგზავრება. იქ დელეგაცია დიდი ხნით გააჩერეს და პარიზისკენ გამგზავრების საშუალება არ მისცეს. ამ ინფორმაციამ საქართველოში უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არასოციალისტურ პრესაში გაჩნდა ვერსია, რომ მოკავშირეებს დელეგაციის „სოციალისტური“ შემადგენლობა არ მოსწონდათ და ამიტომ შეაფერხეს სტამბოლიდან მისი გამგზავრება.[2] ცხადია, დელეგაციის შეფერხების

---

[1] იხ. „სახალხო საქმე“, 1919 წლის 14 მარტი

[2] „საქართველო“, 1919 წლის 12 თებერვალი

ამგვარი ინტერპრეტაცია სოციალისტური მიმართულების გაზეთების აღშფოთებას იწვევდა.[1]

საბოლოოდ, საქართველოს დელეგაციის მხოლოდ ორ წევრს – კ.ჩხეიძეს და ი.წერეთელს მიეცა პარიზში ჩასვლის უფლება. სტამბოლში დარჩენილი დელეგაციის დანარჩენი წევრების დიდი ნაწილი კი, მათ შორის ივ.ჯავახიშვილი უკან გამობრუნდნენ და 2 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ. „პროფ. ი.ჯავახიშვილი დაბრუნდა სტამბოლიდან და შეუდგება ამ მოკლე ხანში ლექციების კითხვას", – წერდა ამასთან დაკავშირებით „სახალხო საქმე".[2]

ივ.ჯავახიშვილმა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბულში ყოფნა გამოიყენა იმ საკითხებზე ნაშრომების შესაქმნელად, რომლებიც მისი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკისათვის. ეს ნაშრომებია: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული", რომელიც დაწერა 1919 წლის იანვარ-მარტში ბათუმსა და კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში", რომელიც 1919 წლის თებერვალ-მარტში სტამბულში დაწერა. ნაშრომების დაწერის ადგილი და დრო თავად ივ.ჯავახიშვილის მიერაა აღნიშნული. ორივე ნაშრომი 1919 წელს თბილისში დაიბეჭდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1919 წლის 27-28 აპრილს ივ.ჯავახიშვილის მიერ წაკითხული საჯარო ლექციის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს" რამდენიმე ნომერში (1919 წლის 4, 7 და 8 მაისი) სათაურით: „პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე".[3] უნივერსიტეტში წაკითხული სა-

---

1 იხ. მაგ. „შრომა", 1919 წ. 20 თებერვალი

2 „სახალხო საქმე", 1919 წლის 9 აპრილი

3 ივ.ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე (1919 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში). თბ., 2009

ჯარო ლექცია ეხმიანება და აჯამებს იმ იდეებს და მოსაზრებებს, რომლებიც ივ.ჯავახიშვილმა ბათუმსა და კონსტანტინეპოლში დაწერილ ნაშრომებში ჩამოაყალიბა.

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ივ.ჯავახიშვილი უნივერსიტეტში საჯარო ლექციას კითხულობდა, მიმდინარე მომენტის მთავარი საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება და საერთაშორისო აღიარების მიღწევა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ 11 თვე იყო გასული. ამ დროისათვის საქართველოს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა გერმანია, საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი ქვეყანა, საჭირო იყო ურთიერთობის მოწესრიგება გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებთან.[1] ეს კი, როგორც ივ.ჯავახიშვილის მოხსენებიდანაც ჩანს, იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. სიმშვიდე არ იყო საქართველოს საზღვრებზე, ისევე როგორც თავად ამ საზღვრების მიმართაც ქონდათ მეზობლებს სერიოზული პრეტენზიები.

საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია

ივ.ჯავახიშვილი როგორც ექსპერტი, საქართველოს ხელისუფლებას პირველ რიგში საქართველოს სახელმწიფო საზღვრების თაობაზე მოსალოდნელ დავასთან დაკავშირებით სჭირდებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნისას საქართველოს საზღვრების შესახებ დაწ-

---

[1] „გერმანიის აქ ყოფნით არ გვისარგებლია არც მეზობლების დასაჩაგრავათ, არც ომის ასატეხათ, არც ევროპის მებრძოლ სახელმწიფოთა კონფლიქტში ჩასარევათ, რომელიმე მხარეზე. გერმანიის მეგობრობაშიაც ჩვენ ვიცავდით ნეიტრალიტეტს, რამდენადაც ამის ძალა შეგვწევდა. ნეიტრალიტეტის პოზიციას ვადგავართ დღესაც“, – წერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი გაზეთი 1919 წლის იანვარში (“ერთობა“, 18 იანვარი 1919 წელი).

ერილ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი აყალიბებს იმ პრინციპებს, რომლებიც ამოსავალი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისათვის ამ საკითხის გადაწყვეტისას:

– საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, მკაფიოდ გამიჯნული საზღვრები აქვს და ამ საზღვრებში საქართველოს სახელმწიფოს გაუადვილდება თავდაცვა;

– საზღვრების საკითხში საქართველოს მთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფოებრივი ინტერესებით;

– მეზობლებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წასვლა, ოღონდ ისე, რომ არ დაზარალდეს სახელმწიფოებრივი ინტერესები.[1]

ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრების კონცეფცია. ამ საზღვრებში, რომელთაც ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით განიხილავს, საქართველოს შეუძლია განვითარება და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით თავდაცვა. „ჩვენი სამშობლო ისეა შემოფარგლული, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ბუნებრივი სიმაგრეები საზღვრავენ. დასავლეთიდანაც საზღვრავს ზღვა. მხოლოდ ერთად ერთი საზღვარი, რომელიც ღიაა, ეს არის აღმოსავლეთის საზღვარი. საქართველოს თავის დასაცავად მხოლოდ ამ საზღვრის ხელოვნურად გამაგრება დასჭირდება. მშვენიერი საზღვრების გამო საქართველოს არ დასჭირდება დიდი ჯარის შენახვა“, – აღნიშნავდა ივ.ჯავახიშვილი.[2]

ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების სიმრავლის მიუხედავად, ივ.ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-

---

[1] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული – კრებ.: ისტორიული რარიტეტები. თბ., 1989, გვ.58-59.

[2] ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. თბ., 2009,გვ.17

ბისათვის უმთავრეს საფრთხეს სულ სხვა რამეში ხედავს, რაშიც მას ადვილად არ დაეთანხმებოდნენ არა მხოლოდ იმდროინდელი ქართული პოლიტიკის მესვეურები, არამედ პოლიტიკური სპექტრის და მთლიანად საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი. მთავარი საფრთხე საქართველოსთვის, ივანე ჯავახიშვილის აზრით, თავად „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა“ იყო.

ისტორიის გაკვეთილები თანამედროვე პოლიტიკისათვის

ივანე ჯავახიშვილი თავის მოხსენებას „თანამედროვე მომენტის“ შესახებ ვრცელი ისტორიული მიმოხილვით იწყებს. აქ ივანე ჯავახიშვილი ეყრდნობოდა მის მიერ ცოტა ხნის წინ დაწერილ და ჯერ გამოუქვეყნებელ ნაშრომს „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“. ისტორიული ექსკურსი არ იყო ცნობილი მეცნიერის მიერ თავისი პროფესიისათვის უბრალო ხარკის მოხდა.

ჯერ ერთი, 1918-1921 წლების საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმის ჩვენებას, თუ როგორ დაიპყრო რუსეთის იმპერიამ საქართველო, როგორ დაარღვია საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმებები, მათ შორის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატიც. ამით იქმნებოდა ისტორიული არგუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დასასაბუთებლად.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის წარსულის გახსენება უფრო სხვა რამისთვის სჭირდება. „საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც XVIII საუკუნეა. აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“, – აღნიშნავს ივ.ჯავახიშვილი თავის ნაშრომის „დამოკიდებულება

რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ წინასიტყვაობაში.

ივ.ჯავახიშვილი აანალიზებს თუ რამ განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ის ასახელებს ერთადერთ მიზეზს – „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობას“ ევროპელებთან და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში. „ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა“.[1]

ივანე ჯავახიშვილი მოკლე ისტორიული ექსკურსით მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაში აჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგები მოუტანა საქართველოს ვახტანგ VI და ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა ამგვარმა გულუბრყვილო პოლიტიკამ. ლექციის დასაწყისშივე ივანე ჯავახიშვილი აყალიბებს მთავარ დასკვნას, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიული მიმოხილვიდან: „თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო“.[2]

ღვაწლმოსილი მეცნიერის აზრით, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დაშვებულმა საბედისწერო შეცდომებმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმატება. „ქართულ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. თბ., 2009,გვ.7

[2] იქვე

პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე“, – აღნიშნავს ივ.ჯავახიშვილი.[1]

დამოუკიდებლობის აღდგენა და „გულუბრყვილო პოლიტიკის“ ახალი სახე

ივ.ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ძველმა საბედისწერო სენმა კვლავ თავი იჩინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“, – ასე აფასებს ახალი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებას და მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი.[2]

ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა გამოვლინდა იმაში, რომ „რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა“, რადგანაც „ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავს, რომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია“.[3]

ივ.ჯავახიშვილს „გულუბრყვილო პოლიტიკის“ გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე გააგზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს –

---

1 იქვე, გვ.11

2 ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. თბ., 2009,გვ.11

3 იქვე, გვ.11-12

თქვენთვის სპეციალურად ჩამოვა გემიო. „ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა“, – აღნიშნავს ივ.ჯავახიშვილი.[1]

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, რიგ შემთხვევებში, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდანაც. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს ამყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. ივ.ჯავახიშვილს უხდებოდა იმ დელეგაციაში ყოფნა, რომლის წევრების დიდი ნაწილიც რევოლუციური მოლოდინებით იყო გამსჭვალულნი და ამ პოზიციიდან აღიქვამდა მოვლენათა განვითარებას. იყო მოლოდინი იმისა, რომ „ევროპის დიდ ომს უნდა მოჰყვეს დიდი გარდაქმნა“.[2]

---

[1] იქვე, გვ.12

[2] მაგალითად, გაზეთი „ერთობა“ 1919 წლის თებერვალში მოწინავე წერილში „პარიზის კონფერენცია“ იმედს გამოთქვამდა, რომ პარიზის კონფერენციის მუშაობაში ჩაერეოდა მესამე ძალა. „ასეთ ძალათ შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ დემოკრატია, პირველ ყოვლისა მუშათა კლასი. მისი ჩარევა ამ მოლაპარაკებებში შექმნის საიმედო ნიადაგს ვილსონის წინადადებებისათვის, რომელიც უამისოთ ბურჟუაზიულ მოღვაწეთაგან თანაგრძნობას ვერ მოუპოვებს და განხორციელებას ვერ ეღირსება“ და „ჩვენც ამ მოძრაობის გაძლიერებაზე უნდა დავამყაროთ ნამდვილი იმედი ევროპის მომავლის და ამით იმ ერების მომავლისაც, რომელნიც გაევროპელების გზაზე არიან დამდგარი“ (“ერთობა“, 14 თებერვალი 1919 წელი). 1919 წლის მარტის ბოლოს მოწინავე წერილში „ევროპის რევოლუცია“ აღნიშნავდა: „თვით პარიზში თავმოყრილი ძალები, რომელნიც დღეს ფიქრობენ ქვეყნის წარმართვას თავის სურვილების და იდეების თანახმად, უკვე იძულებული არიან არსებითად გაუწიონ ანგარიში ახალი ძალის ასეთ გამოლაშქრებას, რომელიც მათ პლანებს, გეგმებს ძირიანად ფუშავს. ევროპა პროლეტარული, დემოკრატიული, სოციალისტური, ახალახალ რაზმებს აგროვებს და მთელ ბურჟუაზიულ ევროპას უპირდაპირდება“ (“ერთობა“, 26 მარტი 1919 წელი).

ივ.ჯავახიშვილმა ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ წაუკითხა უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთა დიდი ნაწილიც პოლიტიკაში იყო ჩართული და თუ სტუდენტური გამგეობის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანწილად სოციალისტურად განწყობილი. სწორედ იმ სტუდენტების სახელით, რომლებიც ივ.ჯავახიშვილის ლექციას უსმენდნენ, დამფუძნებელი კრებისათვის გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ესალმება ქართველ ერის სუვერენობის დამადასტურებელ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კაპიტალიზმის რღვევის ხანაში საქართველოს სოციალისტური წარმომადგენლობა გაბედულად ამოუდგეს გვერდში მებრძოლ სოციალისტურ დემოკრატიას და ცხოვრების ბურჟუაზიული საფუძვლები შესცვალოს სოციალისტური საფუძვლებით, რაც საქართველოს მიანიჭებს იმ შრომის სუფევას, რისთვისაც სისხლიდან იცლება მოწინავე ევროპა“.

ივ.ჯავახიშვილი მოუწოდებს ქართულ პოლიტიკაში გულუბრყვილობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულუბრყვილობას ჩაანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულუბრყვილობა. ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული.

1919 წლის აპრილი: საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი

საინტერესოა ივ.ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს სახელმწიფოსთვის შექმნილი საერთაშორისო ვითარების შეფასება. „საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის“,– ასეთია ბ-ნი ივანეს დასკვნა. საქართველოს მეზობლად აღარ ჩანდნენ ქვეყნები, რომლებიც

სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდნენ ხოლმე საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ირანი დასუსტებული იყო და დიდი ხანია აღარ ერეოდა კავკასიის პოლიტიკაში, ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და მას ანტანტის ქვეყნები ინაწილებდნენ, რუსეთი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული და საქართველოსთვის არ ეცალა. თუნდაც რომ მომხდარიყო რუსეთის გაძლიერება, ივ.ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ომში გამარჯვებული ბრიტანეთი აღარ დაუშვებდა რუსეთის ხელახალ შემოსვლას სამხრეთ კავკასიაში. „ინგლისს ძალიან ეშინიან, რომ კვლავ მოღონიერებულმა რუსეთმა ინდოეთისკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს“.[1]

თუმცა, ერთი შეხედვით ეს მყარი არგუმენტი სულ მალე გაბათილდა. 1919 წლის მაისის პირველ რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიას დატოვებდნენ და მათ იტალიელები ჩაენაცვლებოდნენ.

იმდროინდელ ვითარებაში ივ.ჯავახიშვილს მართებულად მიაჩნია საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გაგრძელება. რას ნიშნავდა „ნეიტრალიტეტი“ საქართველოს სინამდვილეში? ეს იყო ლავირება დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავკასიის რეგიონში მოქმედებდნენ და ამის მეშვეობით ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. რადგანაც 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს აღარ ემუქრებოდა დიდი დამპყრობელი, ივ.ჯავახიშვილის აზრით, „საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს“. მას კარგად ესმის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. თბ., 2009,გვ.17

ისიც, რომ საქართველოს შეიძლება მოუწიოს სამხედრო თავდასხ-მის მოგერიება რომელიმე მცირე მეზობლის ან ცალკეული ძალების მხრიდან, მაგრამ ივ.ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს შეუძლია თავისი ძალებით ასეთი თავდასხმების მოგერიება. „საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი“.[1] მხოლოდ საქართველომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს სამხედრო საქმის ორგანიზებას.

ივ.ჯავახიშვილის დასკვნით, „ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს“. ამ სიტყვებით მთავრდება მისი საჯარო ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ.

ივ.ჯავახიშვილის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს და-მოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრებოდა, რა თქმა უნდა, სწორი იყო 1919 წლის გაზაფხულზე არსებული ვითარებისათვის, მაგრამ მოვლე-ნათა შემდგომმა განვითარებამ გეოპოლიტიკური სიტუაცია საქართ-ველოს საზიანოდ შეცვალა. ანტანტის ქვეყნებმა სამხრეთ კავკასია დატოვეს, დამოუკიდებელი საქართველო კი საბოლოო ჯამში მარტო აღმოჩნდა წითელი რუსეთისა და ათათურქის მიერ აღორძინებულ თურ-ქეთის პირისპირ. ყოველივე ამის განჭვრეტა 1919 წელს შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს არაფერს ცვლის ივ.ჯავახიშვილის მოხსენებაში ჩა-მოყალიბებულ პრინციპულ დებულებებში, რასაც უნდა ემყარებოდეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა: ქართულ აზროვნებაში საგარეო პოლიტიკისადმი „გულუბრყვილო“ მიდგომის აღმოფხვრა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე. თბ., 2009,გვ.17

დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა 1921 წელს მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა რუსეთის მიმართ გატარებულმა „გულუბრყვილო საგარეო პოლიტიკამაც“. საქართველოს ხელისუფლებაში დიდ იმედს ამყარებდნენ რუსეთთან დადებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას და სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთის კარგად მომზადებული თავდასხმა 1921 წლის თებერვალში.

ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის აპრილის ბოლოს წაკითხული მოხსენებიდან 90 წელი გავიდა, მაგრამ დიდი მეცნიერის მიერ მოცემულ ანალიზს აქტუალობა დღესაც არ დაკარგავს. საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი არ გათავისუფლებულა და, მით უმეტეს, საქართველომ უნდა დასძლიოს რუსეთისადმი „გულუბრყვილო“ მიდგომის ახალი მცდელობები. პრინციპში იგივე ითქმის სხვა სახელმწიფოთა მიმართაც. ყველა მოქმედებს თავისი ინტერესების შესაბამისად და „უანგარო მხარდაჭერის“ იმედად ყოფნა არ შეიძლება. თუმცა აუცილებელია ინტერესთა თანხვედრის ძიება და ამ ყველაფრისათვის ამოსავალი უნდა იყოს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „თავის თავსა და თავის ძალღონეზე დაყრდნობა“.

Abstract

Malkhaz Matsaberidze
Ivane Javakishvili and the Main Issues of the State-Building in Georgia (1919)

The famous Georgian historian Ivane Javakishvili was actively involved in the preparatory works of the delegation of Georgia to the Peace Treaty Conference of Paris by the government of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) and was appointed as the member of the delegation of Georgia. In this period Iv.Javakishvili created the two works – „The Borders of Georgia through Historical and Modern Perspectives“ and „The relations between Georgia and Russia in the 18th Century“, and delivered as special lecture when he was back to Georgia, entitled as „Contemporary Moment.“

Iv. Javakishvili created the conception of the historical-strategic borders of Georgia, within which Georgia is capable of development and self-defense relying on its own forces. The naivety of the Georgian politics was seen as one of the main threats to the independent statehood of Georgia. In the 18th century this statement was revealed through the over-reliance and great hopes for the co-religiousness with Russia, which brought the statehood of Georgia to the catastrophic ends. Whereas in the times of the Democratic Republic of Georgia the of the „naivety of the Georgian politics“ took somewhat different shape – the trust in the statements and promises of the European thinkers and the naivety determined by the party ideology.

მაგდა მემანიშვილი

გერონტი ქიქოძე და გაზეთი „საქართველო“ – 1915-20 წწ

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ისტორია ჯერჯერობით მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესწავლილი. არადა, ეს პერიოდი, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი მოვლენებით იყო გაჯერებული. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და რუსეთის იმპერიის რევოლუციების პარალელურად საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში სულ უფრო მცირე ადგილი რჩებოდა XIX საუკუნის პუბლიცისტური ჟურნალისტიკისათვის, სამაგიეროდ ძლიერდებოდა ახალი ამბების ჩქარი, საქმიანი და „სადეპეშო“ ჟურნალისტიკა.

ამ ტენდენციისათვის თვალ-ყურის მისადევნებლად 1915-20 წლებში გამომავალ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს“ გადაფურცვლაც კი საკმარისია. ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ეს პარტიული გაზეთი, სხვა გამოცემების მსგავსად, ფაქტობრივად შეუსწავლელია. გაზეთი „საქართველო“ მეოცე საუკუნის დასაწყისის 471 ბეჭდურ გამოცემას შორის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივად გამომავალი გაზეთი იყო. (გაგოშიძე შოთა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (მე-20 საუკუნის 20-იანი წლები) ნაკვ. I Tb., 2004, გვ. 3)

თითქმის ექვსწლიანი არსებობის განმავლობაში გაზეთმა „საქართველომ“ ოთხი რედაქტორი გამოიცვალა. პირველი რედაქტორი იყო ალექსანდრე შანშიაშვილი – ცნობილი ქართველი პოეტი და ლიტერატორი, მეორე რედაქტორი გახლდათ გრიგოლ ვეშაპელი, შემდგომში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი დეპუტატი, მესამე რედაქტორი იყო გერონტი ქიქოძე – ცნობილი პუბლიცისტი, ლიტერატორი, ხე-

ლოვნებათმცოდნე, მთარგმნელი და ქართული სიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი მოღვაწე, მოგვიანებით ქიქოძე დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთადერთი უპარტიო წევრი გახდა. მეოთხე რედაქტორი კი, გახლდათ სპირიდონ კედია, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ცნობილი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი.

ჩვენი სტატიის მიზანია გაზეთ „საქართველოში" გერონტი ქიქოძის ჟურნალისტური და სარედაქტორი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. გერონტი ქიქოძე გაზეთის რედაქტორი 1918 წლის 15 აგვისტოდან, ანუ მას შემდეგ გახდა, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად იქცა. თუმცა, ქიქოძე გაზეთ „საქართველოს" ერთ-ერთი თვალსაჩინო პუბლიცისტი რედაქტორის პოსტის დაკავებამდეც გახლდათ. მან რედაქტორად მხოლოდ შვიდი თვე (ანუ 1919 წლის მარტამდე) იმუშავა, მაგრამ ეს თვეები გაზეთის ხუთწლიანი არსებობის მანძილზე მართლაც გამორჩეულად მრავალფეროვანი, ჟურნალისტური თვალსაზრისით უფრო სისხლსავსე და დატვირთული გამოდგა.

პროფესორი ედუარდ კოდუა, რომელმაც გერონტი ქიქოძის შემოქმედება ფილოსოფიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით მიმოიხილა, წერდა, რომ ქიქოძის მსოფმხედველობა იყო „ინტელექტუალური ადამიანის განცდისა და შთაგრძნების შედეგი, მეცნიერულობაზე პრეტენზიის გარეშე, ისაა კულტურის რეალურ ღირებულებათა ამხსნელი და განმცდელი, მისი ხედვა კულტურის ქმნილებათა საზრისის გაგება და წვდომაა, მაგრამ არა ცნებობრივ-ინტელექტუალური ანალიზი... მისი მსოფლხედველობისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივობა, ადამიანისა და სოციალური სამყაროს ყველა მიმართულებათა განხილვა, თანაც ყოველდღიური შთაბეჭდილებებისა და განცდის ფორმით და ვრწმუნდებით, რომ სინამდვილე უშუალო განცდაში უფრო გვეძლევა, ვიდრე მის შესახებ თეორიებში".(3. გვ. 29-30)

მართლაც, გერონტი ქიქოძემ, როგორც საქართველოს იმდროინდელი სინამდვილის თვითმხილველმა და თანამედროვემ, როგორც მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის მეთვალყურემ და როგორც საქართველოს ისტორიული წარსულის უბადლო მცოდნემ 1918 წელს შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სურათის ბრწყინვალე ანალიზი და ზუსტი პროგნოზი შემოგვთავაზა. ეს განსაკუთრებით თვალსჩინოდ 1918 წლის დასაწყისის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის, კერძოდ პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა შორის გამართული საზავო კონფერენციის გაშუქებისას გამოჩნდა.

1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე ბელორუსიის ქალაქ ბრესტში პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა რუსეთმა მოწინააღმდეგეების (ანუ, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის) მოთხოვნათა შესაბამისად დათმო პოლონეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი, ფინეთი, ხოლო ამიერკავკასიაში ფაქტობრივად თურქეთს დაუთმო ყარსი, არდაგანი და, რაც ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული იყო, საპორტო ქალაქი ბათუმი. მოლაპარაკებების დროს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული არ არსებობდა, არსებობდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელსაც ერთიანი მთავრობა, ანუ ამიერკავკასიის კომისარიატი მართავდა. ამიერკავკასიის მმართველი პოლიტიკური ძალა, ანუ მენშევიკები საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პერსპექტივას მაშინ არც კი განიხილავდნენ. ისტორიკოს რევაზ გრძელიძის თქმით, კომისარიატის პირველ საპროგრამო განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „მთავრობის შექმნა ამიერკავკასიაში დროებითი მოვლენაა და იარსებებს დროებითი კრების მოწვევამდე, ამიერკავკასია რუსეთისგან განუყოფელია და კვლავ მასთან ერთად იქნება, როცა იქ წესრიგი დამყარდება და ყველასათვის აღიარებული ხელისუფლება შეიქმნება“. (გრძელიძე რევაზი, საქართველოს პოლი-

ტიკური პარტიების ისტორია, (1910-24წწ) თბილისი, 1998 წ. (2, გვ. 128)

დემოკრატიული რუსეთის მოლოდინში ამიერკავკასიის კომისარიატმა ლენინის რუსეთს ბოიკოტი გამოუცხადა და ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე წარმომადგენლები არ გააგზავნა, თუმცაღა მოლაპარაკებაზე მიწვეული კი იყო. (2, გვ. 192) ეს ნაბიჯი გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტმა გერონტი ქიქოძემ ამიერკავკასიის მთავრობის, მეტადრე კი ქართველი მენშევიკების უდიდეს შეცდომად (ლამის დანაშაულად) შეაფასა: „კავკასიის სახელმწიფო მოღვაწეებმა ... ხელიდან გაუშვეს საუკეთესო შემთხვევა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში პირდაპირი მონაწილეობა მიეღოთ და უზრუნველეყოთ მაქსიმუმი საგარეო ძალების დახმარებისა და ამ ხალხს კიდევ რუსეთის დემოკრატიის იმედი აქვს“, წერდა ქიქოძე. (გაზეთი „საქართველო“ 1918 წ № 30, გვ 1.)

მისი აზრით, რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევის ლოდინი დროის ფუჭი ხარჯვა იყო, მეფის რუსეთი და ლენინის რუსეთი, ქიქოძის რწმენით, ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა და ორივე თავისი არსით იმპერიას წარმოადგენდა. „ლენინიდან მეფემდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია და შორს არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც რუსეთი გადადგამს ამ ნაბიჯს, მაშინ ამიერკავკასიის დემოკრატიისა და ქართველი მენშევიკებისათვის დაგვიანებული იქნება კბილთა ღრჭენა და ცრემლთა ფრქვევა“, – ასეთი პროგნოზი პუბლიცისტმა 1918 წლის თებერვალში, ანუ მაშინ გააკეთა, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებულიც კი არ იყო. ((გაზეთი „საქართველო“ 1918 წ № 30, გვ 1. იქვე.)

ქიქოძე მიიჩნევდა, რომ ქართველ ერს შეეძლო ისეთი დამპყრობლებისგან თავის დაცვა, როგორიც ლენინის რუსეთი და თურქეთის ოტომანური იმპერია იყო. თავდაცვის ორ ძირითად საშუალებად მას ქართული პოლიტიკური წრეების დიპლომატიური მოხერხებულობა და ძლიერი ეროვნული არმიის შექმნა მიაჩნდა. პირველი საშუალება ევრო-

პული ერების მოკავშირედ გახდომას გულისხმობდა, მეორე საშუალება კი – მტერთან იარაღით ბრძოლას. „საქართველო დღეს განმარტოებული არ იქნება ამ ბრძოლაში, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მიმართულია არამარტო ქართველი ერის, არამედ იმ დიდი ევროპული კოალიციის წინააღმდეგ, რომელიც განაგრძობს ოსმალეთთან ბრძოლას. მსოფლიო ომი ჯერ არ გათავებულა, ჩვენ შეგვიძლია დიდი საერთაშორისო ძალების გამოყენება, ჩვენ გარშემო რომ მოქმედობენ...“, (გაზეთი „საქართველო“ (1918 წ № 40, გვ 2.) – წერდა ქიქოძე.

დიპლომატიური ბრძოლის გარდა, ქიქოძეს გარდუვალად მიაჩნდა ომი იარაღით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ასე მოხდა კიდეც, რადგან 1918 წლის პირველი ოთხი თვე თურქეთის არმიასთან ბრძოლას მოვანდომეთ, საბოლოოდ ამ ომმა წერტილი დაუსვა ამიერკავკასიის რესპუბლიკის არსებობას, ქართველ მენშევიკებს დემოკრატიული რუსეთის იმედი დააკარგვინა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადებინა. თუმცა, ამ ლოგიკური შედეგის დადგომამდე რამდენიმე თვით ადრე გერონტი ქიქოძემ მოვლენათა სწორედ ასეთი განვითარება ივარაუდა. იგი მიხვდა, რომ ამიერკავკასიის ძალით შექმნილი სახელმწიფო თურქეთთან ომის დროს დაიშლებოდა, შემოჭრილ თურქულ არმიასთან შეიარაღებული დაპირისპირება კი გარდუვალი იყო.

„ჩვენ კიდევ შეგვიძლია გულგრილად ვუყუროთ, თუ როგორ ჰყიდიან თავიანთ სამშობლოს ბატონი ლენინი და ბატონი ტროცკი, მაგრამ როცა მათი ხელები ჩვენ სამშობლოსაც ეხება, სხვა პასუხი არა გვაქვს გარდა უსაზღვრო გულისწყრომისა“ (იქვე.). შემდეგ პუბლიცისტი იხსენებს ასპინძის ცნობილ ომს, რომელშიც რუსმა გენერალმა ტოტლებენმა მეფე ერეკლე მრავალრიცხოვანი მტრის პირისპირ მიატოვა, „... მაგრამ მაშინ მეფე მხოლოდ ქართლ-კახეთს ბატონობდა, დღეს კი ქართული დემოკრატია გაერთიანებულია შავი ზღვის ნაპირებიდან არტაანამდე და ეს ერთსულოვანი ქართული დემოკრატია დაანახვებს ქვეყანას, რომ მას ისევე კარგად შეუძლია ძალიან პატარა სამშობლო-

სათვის ბრძოლა, როგორც აქამდე დიდ საკაცობრიო იდეალებისათვის იბრძოდა“. (იქვე).

ამ სიტყვების დაწერიდან სულ რამდენიმე თვეში ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მართლაც შეიძინა ეროვნული ელფერი და დამოუკიდებელი საქართველოს 33 თვიანი არსებობის მანძილზე ცხადი გახდა, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (სხვა ქართულ პარტიებთან ერთად) ისეთივე თავდადებით იბრძოლეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, როგორც მანამდე ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმის და სხვა ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის იბრძოდნენ.

ჩვენი დაკვირვებით, გერონტი ქიქოძეს არასდროს დაუყენებია ალტერნატივა – რუსეთი, თუ თურქეთი? რადგან მას, როგორც ჭეშმარიტ ევროპელს, საქართველოს ბუნებრივ პარტნიორად ყოველთვის ევროპის განვითარებული ქვეყნები მიაჩნდა. თუმცა, 1918 წლის მარტსა და აპრილში, როდესაც თურქეთის საჯარისო ნაწილებმა აიღეს არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ნატანები და ოზურგეთიც კი, ამიერკავკასია ახალი დამპყრობლის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა და თურქეთის, როგორც ფაქტობრივი აგრესორის არსებობა, უდავო გახდა. გერონტი ქიქოძე, რომელიც არსდროს აყენებდა დილემას – რუსეთი, თუ თურქეთი? – ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა. მაშინ კი, პუბლიცისტმა დაუშვა საქართველოზე ოსამლეთის პროტექტორატის პერსპექტივა, მაგრამ ერთი პირობით, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ უნდა შექმნოდა და სამცხე-საათაბაგო, ისევე როგორც აფხაზეთი, აჭარა და საინგილო საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა შესულიყო. (6, გვ 1)

ამ დროისათვის დაშლილი ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამივე ქვეყანა განსხვავებულ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ადგა: აზერბაიჯანის ეროვნულ პოლიტიკურ ელიტას ხიბლავდა თურქეთის პროტექტორატი, სომხეთი ამ მხრივ შეურიგებლობას იჩენდა და კვლავ რუსეთს ნატრულობდა, საქართველო კი, დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ამაოდ ცდილობდა.

ქიქოძემ მიუთითა, რომ თურქეთთან მოლაპარაკებისას ამიერკავკასიის სამივე ერს, როგორც ცალკე სუბიექტს ისე უნდა ემოქმედა.

„ჩვენმა საზავო დელეგაციამ ხელი უნდა აიღოს იმ მუხლის დაცვაზე, რომელიც ოსმალური სომხეთის ავტონომიას მოითხოვს. სომხეთის საკითხის მოგვარება ოსმალეთის შინაური საქმეა. ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ მეზობელი ერის შინაურ საქმეში, მაგრამ თავის მხრივ ოსმალეთიც უნდა სცნოს, რომ მისთვის წინანდებურად აუცილებელი აღარ არის ყარსის, არტაანისა და მით უმეტეს, ბათუმის ციხე-სიმაგრე. პატარა, ნახევრადმაჰმადიანურ ამიეკავკასიას აგრესიული პოლიტიკის წარმოება არ შეუძლიან ოსმალეთის წინააღმდეგ, პირიქით, ამიერკავკასიის და ოტომანური იმპერიის პოლიტიკური ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ორი სახელმწიფო შეკავშირდეს, რათა თავი დაიცვან რუსეთის შესაძლებელი თავდასხმისაგან“. (იქვე.)

დაბოლოს, იმის საილუსტრაციოდ, რომ გერონტი ქიქოძეს საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხედ ბოლშევიკური რუსეთი მიაჩნდა, გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს პუბლიკაციიდან (ლექციიდან) „რევოლუცია და საქართველო“.(7, გვ 2.) ავტორი ამ სტატიაში გვთავაზობს სამ არგუმენტს, რომელიც ბოლშევიკური და მონარქიული რუსეთის იდენტობაზე მიუთითებს. პირველი, ნიკოლოზ მეორეს, ისევე როგორც ლენინს, გერმანიასთან სეპარატისტული ზავის დადება სურდა, თუმცა მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა პროგრესული რუსული ბურჟუაზიის მხრიდან. რაც ვერ მოახერხა ნიკოლოზმა, განახორციელა ლენინმა 1918 წლის მარტში ქალაქ ბრესტში.

მეორე, ნიკოლოზმა 1906 წელს მოწვეული სათათბირო გარეკა, ხოლო ლენინმა იგივე 1918 წლის იანვარში გაიმეორა, როდესაც მოწვეული სათათბირო დაშალა, რადგან ბოლშევიკური მმართველობა (ისევე როგორც მონარქიული) ვერ ეგუებოდა განსხავავებულ აზრს და ხელისუფლების განაწილებას. და მესამე, „ბოლშევიკები ცენტრალისტები არიან, როგორც ეს ჭეშმარიტ ველიკორუსულ პარტიას შეეფერება, თუმცა ლენინი და სტალინი ჯუღაშვილი, პროგრამულად თითქოს ტერიტორიულ ავტონომიას სცნობენ და {ერთა} სეპარაციის უფლებასაც, მაგრამ მას აქეთ გაფანტული რუსეთის შემოკრებას შეუდგნენ და

მათი ჯარები ებრძოდნენ უკრაინას, დონსა და ამიერკავკასიას“,(იქვე) წერდა პუბლიცისტი.

ქიქოძის შიშს იწვევდა ის გარემოება, თუ რამდენად მომზადებული აღმოჩნდებოდა წითელი რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად, აგრეთვე, ეროვნული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამართავად საქართველოს ხელისუფლებაში მოსული სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთა. ამ საქმეში, ქიქოძეს უფრო მომავალი თაობების იმედი ჰქონდა, მანამადე კი, თვლიდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ძიძის როლი რომელიმე ევროპულ ერს უნდა შეასრულებინა.

მაშასადამე, 1918 წლის თებერვალში, გ.ქიქოძის აზრით, საქართველოს ორი გზა ჰქონდა, პირველი – შეერთებოდა გაწითლებულ რუსეთს, რაც სახელმწიფოებრიობის იდეის დაღუპვას ნიშნავდა და მეორე, უფრო დახლართული გზა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებას გულისხმობდა. „თუ საქართველო ამ [მეორე] გზას დაადგა უნდა გამოეთიშოს რუსეთს და ხელი გაუწოდოს ერთ-ერთს საგარეო ძალას, რომელიც ჩვენ გარშემო მოქმედობს. შეიძლება თავდაპირველად ვერ ავსცდეთ რომელიმე დიდი ევროპული სახელმწიფოს პოლიტიკურ გავლენასა და ფიანანსურ კონტროლს, მაგრამ ბოლოს, იმედია, მაინც შევეჩვევით საკუთარი თვალებით ცქერასა და საკუთარი ფეხებით სიარულს“, ამასობაში ახალი თაობა წამოგვეწევა „რომელსაც ჯანსაღი ხერხემალი და ჯანსაღი კუნთები აქვს და დატვირთული არ არის არც ძველი ცოდვებით და არც ძველი ცრუმორწმუნოებით“, (7, გვ.3) ასე სჯეროდა გერონტი ქიქოძეს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ იმ რამდენიმე პუბლიკაციაში, რომლებიც აქ განვიხილეთ, წარმოჩენილია გერონტი ქიქოძის, როგორც პოლიტიკური მიმოხილველის უდიდესი ნიჭი. იგი ფლობდა საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის რთულ სურათს და როგორც თავისი პატარა ქვეყნის ისტორიის უბადლო მცოდნემ და შესანიშნავი კალმის პატრონმა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ჯერ არშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს დაბადების პროგნოზიც გააკეთა და გამოკვეთა ის მთავარი საფრთხე, ანუ ბოლშევიკური რუსეთი, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, ახალგაზრდა ქართული დემოკრატიისთვის უდიდეს და მთავარ საფრთხედ იქცეოდა.

Abstract

Magda Memanishvili

Geronti Kikodze and the „Sakartvelo“ newspaper – 1915-20

(Thesis)

The aim of our article is to briefly review the journalistic and editorial activities of Geronti Kikodze in the periodical of the National Democratic Party of Georgia – the „Sakartvelo“ newspaper. Geronti Kikodze was a famous Georgian publicist, literary man, art critic, translator as well as one of the versatile personalities of the sphere of Georgian philology.

1. Peace negotiations had been held between the parties of the First World War in the town of Brest of Belorussia from November, 1917, to March, 1918. In the Trans Caucasusthe Soviet Russia gave up Kars, Ardagan and, what was the most painful for Georgia, Batumi, to Turkey. The Trans Caucasus Commissariat boycotted Lenin's Russia and did not send its representatives to the Brest-Litovsk negotiations, despite the fact that they had been invited to take part. Geronti Kikodze considered this step as one of the biggest mistakes of the authorities of Trans Caucasus, especially, of those of Georgian Mensheviks: „Officials of Caucasus... missed a very good opportunity to take immediate part in Brest-Litovsk negotiations and insure maximum assistance with the help of foreign forces and after this people still believe in Russian democracy“, he wrote.

2. Geronti Kikodze has never made a choice between Russia and Turkey. He always considered that the natural partners of Georgia were European developed countries. But when in

March and April of 1918 Turkish armed forces took Ardagan, Kars, Batumi, Natanebi and even Ozurgeti, the Trans Caucasus found itself face to face with a new conqueror. After this the publicist admitted possibility of Turkish protectorate over Georgia, but only in case that the territorial integrity of Georgia would be safe and Samtskhe-Saatabago, as well as Abkhazia , Adjara and Saingilo would join the administrative unit of Georgia.

3. According to Kikodze Tsarist Russia didn't differ from Lenin's Russia as they both were empires. „There is only one step from Lenin to the Tsar and Russia will soon make that step. It will be too late for the Trans Caucasian democracy and Georgian Mensheviks to grin or shed tears", such prognosis was made by the publicist in February, 1918, i.e. when Georgia had not yet been declared as an independent state.

In conclusion, it should be stated, that in the publications appeared in the „Sakartvelo" newspaper Geronti Kikodze predicted and indicated birth of independent Georgia as well as Bolshevik Russia to become the main threat to the young Georgian democracy.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. გაგოშიძე შოთა, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (მე-20 საუკუნის 20-იანი წლები), ნაკვეთი I; თბილისი; 2004წ.
2. გრძელიძე რევაზ, საქართველოს პოლიტკური პარტიების ისტორია (1910-24წწ); თბილისი; 1998წ.
3. კოდუა ედუარდ, გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებანი, თბილისი, 2000წ.
4. ქიქოძე გერონტი, „რუსეთ-გერმანიის შერიგება და საქართველოს განსაცდელი"; „საქართველო", 1918 წ, № 30

5. ქიქოძე გერონტი, „ბათუმისათვის“; „საქართველო“, 1918 წ, № 40
6. ქიქოძე გერონტი, „საზავო მოლაპარაკების გამო“; „საქართველო“, 1918 წ, №56
7. ქიქოძე გერონტი, „რევოლუცია და საქართველო“; „საქართველო“, 1918 წ, №46,47

დალი ოსეფაშვილი

როგორ შეცვალა web-მა სწავლება – პერსონალური ვებგვერდიდან LMS-მდე

(ჟურნალისტური განათლების მაგალითზე)

ცოდნის მენეჯმენტზე დამყარებული თანამედროვე განათლება თითქმის წარმოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების გარეშე და შეიძლება ითქვას, მართლაც განუზომელია ელექტრონული სწავლების როლი. თუმცა, რასაკვირველია, ის არ ცვლის ტრადიციულ სწავლებას, არამედ ავსებს და ამრავალფეროვნებს მას. ტექნოლოგიები შუამავალია სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. „ICT ეს არის საშუალება, დაეხმაროს განათლების ხარისხის ამაღლებას“ (1).

როგორც ცნობილია, არსებობს ელექტრონული სწავლების რამდენიმე სახე – დაწყებული ყველაზე უმარტივესით, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით და დამთავრებული, – ვიდეოკონფერენციებით. შერეული სწავლების ტიპი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული და გავრცელებულია. ამ მიზნით გამოიყენება არაერთი ღია სასწავლო LMS (Learning Management System სწავლის მართვის სისტემა) პლატფორმა. „*LMS* გამიზნულია სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისათვის, მოსწავლის მიერ გამომუშავებული უნარ-ჩვევების და ცოდნის დონის შესაფასებლად, სასწავლო კურსების შესაქმნელად, მისაწოდებლად და კურსის სწავლების პროცესის გასაძღოლად.

LMS უზრუნველყოფს თვალსაჩინოების და ინტერაქტიური სასწავლო საშუალებების ტრადიციულ სასწავლო პროცესში გამოყენებას, მოსწავლეთა გაერთიანებას საგანმანათლებლო-შემოქმედებით პროექტზე კოლექტიური მუშაობისათვის, რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობს თემატურ ფორუმებში, დისკუსიებში და ვიდეოკონფერენციებში გაწევრიანებას, „ვიკი“-ს და ჩატს“ (2).

Moodle ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სასწავ-ლო პლატფორმაა. იგი 200-მდე ქვეყანაში გამოიყენება. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მისი ამგვარი პოპულარობის ისიცაა, რომ ეს პლატფორმა უფასოა და გარდა ამისა, საინტერესო და მრავალ-ფეროვანიც არის სხვა *LMS* პლატფორმებს შორის. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, არ არის დისტანციური სწავლება, რომელიც კიდევ უფრო მრავალფეროვანია და მიზნებიც სხვა აქვს. არამედ ეს არის საშუალება, რომელიც აადვილებს სასწავლო პროცესს.

ტერმინის განმარტება ასეთია: Moodle – Modular-Object-Oriented-Dynamic-Learning-Environmental (მოდულარულ ობიექტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო). როგორც სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „Moodle ერთ–ერთი პლატფორმაა, სადაც შეიძლება ელექტრონული სწავლების პროცესი დაიგეგმოს, განხორციელდეს და შეიქმნას. ეს არის სწავლის მართვის სისტემა, სადაც სასწავლო პროცესების მართვა შეიძლება. ის ამასთანავე საწარმოო ინსტრუ-მენტია – authoring tool, რისი მეშვეობითაც საკუთარი რესურსების შექმნა შეგიძლიათ“.



Moodle სხვადასხვა მოდულისგან შედგება. შესაძლებელია რესურსებისა და სასწავლო საქმიანობათა დამატება. პედაგოგს ეძლ-ევა საშუალება აირჩიოს რამდენიმე მოდული – განათავსოს სასწავლო

კურსის მასალები ანუ რიდერები; პრეზენტაციები; გამოიყენოს დავალებების ატვირთვის მოდული; ონლაინტესტირება; ფორუმი; „ჩატი“; ვიკი; რვეული; გლოსარიუმი; დავალებათა დიალოგური რეჟიმი და ა. შ. ამავდროულად, ბმულების სახით შეუძლია, ერთ ვებგვერდზე განათავსოს სხვადასხვა სახის დამხმარე სასწავლო რესურსებიც – PDF, აუდიო თუ ვიდეო ფაილები და ა.შ.



თსუ–ში Moodle ეს–ესაა, რაც ინერგება და რამდენიმე საპილოტო კურსი მზადდება. ერთ–ერთი ავტორი კურსების მეც ვარ.



რა სახის აქტივობებს ვიყენებ Moode–ის პლატფორმიდან? ჩემთვის ინოვაცია ონლაინტესტირება და დავალებათა დიალოგური მოდულია, რომელიც უზრუნველყოფს ინტერაქციას. ტესტირების მოდული შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა ტიპის კითხვები (მრავალ კითხვიანი ერთი შესაძლო სწორი პასუხით; ღია კითხვიანი; შერეული კითხვებით და ა.შ.) განათავსო და მართო ტესტირების პროცესიც – შესაბამისი პარამეტრებით, დააწესო დროითი ლიმიტიც. ამავდროულად, შესაძლებლობას გაძლევს, დაუბრუნო უკუკავშირი სტუდენტს – რატომ არ არის პასუხი სწორი.

2009 წლის შემოდგომის სემესტრში, როგორც შუალედური გამოცდის ერთ–ერთი სახე, უკვე გამოვიყენე ონლაინტესტირებები.

ვფიქრობ, ეს საკმაოდ ეფექტური ფორმაა და ბევრი ღირსება აქვს ტრადიციულ ანუ, ქაღალდზე ტესტირებისგან განსახვავებით.

- ტესტია პასუხს იქვე იგებს სტუდენტი. პროგრამა უწერს, სწორედ შემოხაზა თუ არა ტესტი და რომელი პასუხია სწორი – უკუკავშირი ხდება, რითაც სტუდენტი გამოცდის ჩაბარებასთან ერთად სწავლობს კიდეც;
- ეს პროგრამა პედაგოგსაც უმსუბუქებს შრომას. ტესტის გასწორება აღარ უწევს. პროგრამა ყველაფერს თვითონ თვლის, შედეგების სტატისტიკასაც გვიჩვენებს.
- ფურცელზე წერის დროს სტუდენტები გადახაზავდნენ რამდენჯერმე პასუხებს და ვერ მიხვდებოდი, რომელი ჰქონდათ შემოხაზული. თან 10 ქულიდან აბსოლუტური უმრავლესობა 10–ს იღებდა, იშვიათად 9–ს . ერთმანეთს ეძახდნენ მესამეში ან მეხუთეში და ა.შ. რომელი შემოხაზე, „ა“ თუ „გ“ და ა.შ. აქ ტესტები არეულია. ვიღაცასთან რომ მესამეა, სხვასთან მეშვიდეა და ა.შ. ამგვარად გადაწერის შანსი არ არის. ეს დაადასტურა კიდეც შეფასებებმა. დაიწერა, როგორც უმაღლესი – 10 ქულა, ასევე 6 და 7.



ტესტირების შედეგები „ბეჭდური მედია“

ტესტირების შედეგები „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“



ონლაინტესტირება საშუალებას მაძლევს წავახალისო სტუდენტები. მაგალითად, თუ ტესტს ერთხელ ვერ გასცემენ პასუხს, მეორე ცდის საშუალებაც აქვთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ქულა ნახევრდება.

ამდენად, ჩემი აზრით, პირველი ტესტირების შედეგებმა, როგორც მიჩვენა, თითქმის ზუსტად იზომება ცოდნა.

შესაძლებელია, არა მხოლოდ, გამოცდის ან შუალედური შეფასების ფორმად გამოიყენო ტესტირება, არამედ, შესაძლებელია, თვითოეული ლექციის შემდეგ მიმართო ამ ფორმას, რაც სასწავლო პროცესს უფრო ორიენტირებულს ხდის მოსწავლეზე – არცერთი სტუდენტი არ რჩება უკუკავშირის გარეშე და იზრდება მათი აქტივობა. თანაც, ეს ყოველი მომდევნო ლექციის თემის უკეთ ათვისებასაც უწყობს ხელს. ამავდროულად, ტესტირების მოდული, პედაგოგსაც უმსუბუქებს შრომას – მას არ სჭირდება სათითაოდ, თვითოეული ტესტის გასწორება.

ტესტირება შესაძლებელია წარმატებით გამოიყენო ჟურნალისტიკის ნებისმიერ სასწავლო საგანში. თუმცა, ე. წ. შემოქმედებითი საგნებისთვის, პრაქტიკული კურსებისთვის, მათივე სპეციფიკიდან გამომდინარე, დამახასიათებელია ყოველკვირეული წერითი დავალებების წარმოდგენა.

ჩემი აზრით, ეფექტურია, Moodle–ის დავალებათა მოდულის ამ მიზნით გამოყენება. ეს მოდული შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა ატვირთონ საკუთარი ნამუშევრები მხოლოდ ცალკეულ ფაილებად ან დიალოგური რეჟიმი გამოვიყენოთ, რაც უფრო ინტერაქციულს ხდის სასწავლო პროცესს.

ვფიქრობ, გარდა ტესტირებისა და დავალებების მოდულისა, არანაკლებ ეფექტურია სასწავლო მასალების, რიდერების განთავსება, რისთვისაც Moode-ის პლატფორმის საქმიანობებიდან ვებგვერდის მოდულს ვიყენებთ. მთელი ხიბლი, შეიძლება ითქვას, ის არის, რომ თითქმის ყველა ძირითადი თუ დამხმარე სასწავლო რესურსი სტუდენტს ერთ გვერდზე აქვს თავმოყრილი.

იქამდე ვიდრე Moode-ის დანერგვა დაიწყებოდა თსუ–ში, მიწევდა სალექციო თუ სხვა სასწავლო მასალების ელექტრონულად მიწოდება სტუდენტებისათვის და ბოლო 2 სემესტრის მანძილზე (2008–2009 სასწავლო წელი) ამ მიზნით ბლოგს ვიყენებდი. ჟურნალისტიკა ისეთი დარგია, რომელიც „დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო“. შესაბამისად, სახელმძღვანელოებიც ძალზედ სწრაფად ძველდება და მასწავლებლებს პერიოდულად გვიწევს ჩვენი სალექციო კურსების განახლება ახალი სასწავლო მასალებით. ქართულ ენაზე თითქმის არ მოიპოვება სახელმძღვანელოები და გვიხდება უცხოური, ძირითადად, ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამუშავება და ელექტრონული სახით მიწოდება.

წლების მანძილზე ამ მიზნით ელექტრონულ ფოსტას ვიყენებდი და ამავე ფორმით ვიღებდი დავალებებსაც სტუდენტებისგან. თუმცა, 1 წლის წინ, 2008 წლის შემოდგომაზე სტუდენტებმა თვითონ შე-

მომთავაზეს იდეა – გამეკეთებინა ვებგვერდი, სადაც განვათავსებდი ჩემს სალექციო მასალებს. „ჩვენი წარმოდგენით, თანამედროვე ლექტორს უსათუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი ვებგვერდი“ – ეს ფრაზაა IV კურსელი სტუდენტების 1 ლექციიდან („ჟურნალის წარმოების“ ჯგუფი).

ასე ავაწყვე ვებგვერდი, სადაც ჩემი ორივე საგნის („ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „ჟურნალის წარმოება“), როგორც საკითხავი მასალების, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოების განთავსება ხდებოდა www.journalism.ucoz.com. აქვე ვაქვეყნებდი შუალედური გამოცდებისთვის წარმოდგენილ საუკეთესო პრეზენტაციებს, ისევე, როგორც საერთოდ, შუალედური თუ საბოლოო გამოცდის შედეგებსაც. თუმცა, ეს გვერდი არ იყო ყველასთვის მისაწვდომი. მხოლოდ აქ დარეგისტრირებულ სტუდენტებს შეეძლოთ ესარგებლათ სასწავლო მასალებით, რისთვისაც სპეციალურ კოდს იყენებდნენ.



აქვე, web-2 ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ ამ ვებგვერდზე, ბლოგზე შეეძლოთ კომენტარების ან კითხვების დატოვება, რითაც ინტერაქცია მყარდებოდა ჩემსა და სტუდენტებს შორის.

რაც შეეხება Moodle-ს, ის გაცილებით მრავალფეროვანია, თავისი ინტერაქციული საშუალებებით. გარდა დავალებების მოდულისა, არანაკლებ ეფექტურია ინტერაქტიული გამოკითხვების, ისევე,

როგორც ფორუმების გამოყენება. თუმცა, ფორუმის მოდული მნიშ-ვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადად სასწავლო კურსისთვის. ის შესაძლებელია გამოიყენო ასევე ამა თუ იმ კონკრეტულ სალექციო თემასთან მიმართებით.

ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ფორუმები განსა-კუთრებით ეფექტურია გუნდური მუშაობისათვის, სადაც შესაძლებელია აზრთა გაცვლა–გამოცვლა და დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს ინტერაქციის პროცესს. მაგალითისათვის დავი-მოწმებთ სოციალურ ქსელს, რომელიც საგანგებოდ გავხსენი გუნდურ, სადიპლომო პროექტზე მომუშავე სტუდენტთა ერთი ჯგუფისათვის (www.journalimstudy.ning.com).

რადგანაც მთლიანი ჯგუფის ხშირი შეხვედრები ვერ ხერხდებოდა (უმრავლესობა მუშაობდა და ამის გამო ვერ ახერხებდა უნივერსიტეტში

სიარულს), გადავწყვიტეთ ურთიერთობა ონლაინრეჟიმში. გამიჩნდა იდეა, გამეკეთებინა სოციალური ქსელი, რომელიც დახურული სივრცე იქნებოდა სხვებისთვის და ღია – თავად პროექტის მონაწილეთათვის. იდეა მათაც მოეწონათ, რადგან პროფესიული, ვიწრო სოციალური ქსელები საქართველოში ჯერ კიდევ, შეიძლება ითქვას, უცხო ხილია (მაშინ, როდესაც ning.com-ზე, თუნდაც მხოლოდ ჟურნალისტთა არაერთი პროფესიული, სოციალური ქსელია განთავსებული).

თუმცა, ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავდა პირისპირ შეხვედრებს. მინიმუმ, კვირაში ერთხელ მაინც ვხვდებოდით. ამ გუნდური პროექტის მონაწილენი ქმნიდნენ დარგობრივ ელექტრონულ ჟურნალს – „რეპორტიორი". პროექტი ორნაწილიანი იყო. პირველი – კვლევას გულისხმობდა, ხოლო მეორე ნაწილი თავად შემოქმედებითი პროდუქტის მომზადება იყო. ორივე ეტაპზე სტუდენტები ამ სოციალურ ქსელს საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ. მასწავლებელი აქ, შეიძლება ითქვას, ფასილიტატორის როლს ასრულებდა.

გარდა ფორუმისა, კიდევ რა სახეობები გამოიყენებოდა? „ჩატი", რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო „ლაივში" ურთიერთობებისთვის. იყენებდნენ ბლოგებსაც; ძირითადად კი, დავალებების, ჟურნალისთვის მომზადებული სტატიებისა თუ ფოტოების ატვირთვა ხდებოდა. ეს დავალებები მისაწვდომი იყო ყველა მონაწილისათვის, და ე.წ. უკუკავშირს არა მხოლოდ პედაგოგი უბრუნებდა მათ, არამედ გუნდის წევრებსაც შეეძლოთ შენიშვნის თუ უბრალოდ შთაბეჭდილებების გამოთქმა ამა თუ იმ სტატიასთან მიმართებით.

ანუ ნაწერების საჯარო განხილვა, რაც, საერთოდ, ჟურნალისტიკის ტრადიციული სწავლების დროსაც სპეციფიკური ფორმაა პრაქტიკულ საგნებში შემოქმედებითი მუშაობისთვის, მეტად ეფექტური აღმოჩნდა ელექტრონული საშუალებების გამოყენებისას. ხელს უწყობს ინტერაქციულ პროცესს და გამორიცხავს პასიურ მონაწილეობას, ლექციასა თუ პრაქტიკულ მეცადინეობაზე ვერ დასწრების გამო. მათ სასურველ

დროს შეუძლიათ ჩაერთვნენ ამა თუ იმ დავალებასთან გამართულ დისკუსიაში.

ვფიქრობთ, კიდევ ერთი ხიბლი თუ ღირსება აქვს დავალებების ატვირთვას – აქვე ხდება შემდგომ შესწორებული ვარიანტების ატვირთვაც და ერთ გვერდზევეა შესაძლებელი, როგორც ძველი, ისევე ახალი ნამუშევრების ხილვაც და აღარ არ არის საჭირო ამისთვის ელექტრონული ფოსტის გამოყენება. ათობით „მეილის“ ცალცალკე გახსნა და წაკითხვაც აღარ უწევს პედაგოგს.

ეს საშუალებები კი, ყველაფერი ერთად თავმოყრილი გვხვდება Moode-ის პლატფორმაზე. რაც, უფრო მოქნილსა და ეფექტურს ხდის სწავლების პროცესის ორგანიზებასა თუ წარმართვას. და აღარ მიწევს ცალკე სოციალური ქსელის თუ პერსონალური ვებგვერდის გამოყენება, რომ აღარაფერი ვთქვათ, დავალებების ელფოსტით მიღებაზე. ახლა უკვე ერთიან სასწავლო სივრცეში, ერთ თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალში ვახერხებ სწავლების პროცესის ორგანიზებას, დავალებათა მიღება–შეფასებას, ჩემი სასწავლო კურსებისათვის საჭირო ყველა რესურსის თავმოყრას, რისთვისაც ადრე სხვადასხვა საშუალებას თუ მეთოდს ვიყენებდი.

ვფიქრობთ, ინოვაციური მეთოდების გამოყენება, და საერთოდ, ელექტრონული სწავლების დანერგვა, მართლაც ხვალინდელი დღეა, როგორც თსუ-ს, ისევე საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებისთვისაც.

Abstract

DALI OSEPASHVILI, TSU ASSOCIATED PROFESSOR

How Web Changed Learning: From Personal Websites to LMS

The purpose of this Article is to represent the role of e-learning in modern media education. At present it is being implemented at TSU (www.e-learning.tsu.ge). Several pilot courses are being prepared. One of the pioneers of it is the author of this article. She shows her own practical experience – how web changes the learning process and what e-ways were used until the implementation MOODLE at TSU; how is she using LMS (Learning Management System) now.

If the Author used to placeher learning resources on the personal websites (www.journalism.ucoz.com) – readers for students in Georgian language and for the team projects for undergraduate students she used social net (www.journalismstudy.ning.com), at present her study courses are on a distance learning portal of TSU. The online testing is the innovation for the authors.

According to her conclusion, it is possible to use testing process not only as a final exam or mid exam form, but also use it at every lecture or workshop. It makes learning process more student-orientated; none of them is left without feedback and it helps to increase their activity.

In her opinion it is possible to use testing successfully in any course of journalism. Although, for so-called creative subjects (e.g. for practical courses) weekly written tasks are typical. The author concludes that the task module of MOODLE is effective for this purpose. In her opinion usage of study forum is also effective, because

students can leave their comments concerning this or that article there. Discussing students' written tasks in the auditorium publicly, (which is also typical for traditional journalism teaching and creative works) turned out to be very effective in e-learning process. It helps interactive process and excludes passive participations and the reasons for not attending lectures or workshops; they can take part on web forum at any convenient time for them.

The final conclusion of the author is that usage of innovated methods and, generally, implementation of e-learning methods, is really the future not only for TSU, but also for all other universities.

გამოყენებული და ციტირებულილიტერატურა:

1. **Victoria L. Tinio,** ICT in Education, New York., *ელექ. წიგნი;*
2. www.itvet.ge/moodleიხ. პროფ. თ. ჩიჩუას პრეზენტაცია „ელექტრონული სწავლება“2007;
3. Moodle სახელმძღვანელო; www.moodle.org
4. Berggren A., Practical and Pedagogical Issues for Teacher Adoption of IMS Learning Design Standards in Moodle LMS. Journal of Interactive Media in Education, 2005 (2).

იოსეგ სალუქვაძე, დავით გოგიშვილი

„თვითშემოქმედებითი ურბანიზმი“[1] თბილისში: „მიშენებები“ და სამოსახლო გარემოს გარდაქმნა დედაქალაქის საცხოვრებელ მასივებში

შესავალი

საცხოვრებელი გარემოს ფორმირება და განვითარება ნებისმიერი ქალაქის სივრცითი სტრუქტურის ეფექტურობის, საქალაქო გარემოს ხარისხისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საცხოვრებელი გარემოს ტიპი და ხარისხი საზოგადოების კეთილდღეობისა და სოციალურ-კულტურული სიმწიფის ინდიკატორია. ამიტომ, ამ ასპექტის შესწავლა ბევრი დიდ ქალაქის შემთხვევაში ურბანისტული კვლევის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

თბილისის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ის 1 მილიონზე მეტ მაცხოვრებელს უყრის თავს და მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი (არანაკლებ 50 კმ^2-სა) სამოსახლოდ არის გამოყენებული, საცხოვრებელი გარემოსა და მისი ცალკეული ასპექტების კვლევა მეტად მწირია. ეს ვითარება არ იძლევა სათანადო მასალასა და ანალიზს თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ეს ნაშრომი აღნიშნულ სფეროში არსებული ნაკლოვანების გამოსწორების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. სტატიაში ასა-

[1] გამოყენებული ტერმინი ვიხმარეთ ინგლისურენოვანი „Do-It-Yourself (DIY) urbanism“-ის შესატყვისად, რაც არაპროფესიონალების (არასპეციალისტების, ხშირად ჩვეულებრივი მოქალაქეების) მიერ საქალაქო სივრცის გარდაქმნას გულისხმობს.

ხულია თბილისის საცხოვრებელ მასივებში 1980-იანი წლების ბოლოდან მიმდინარე ბინების გაფართოების, ე.წ. „მიშენების“ პროცესი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საცხოვრებელი მასივების/მიკრორაიონების სამოსახლო გარემოს გარდაქმნაზე. კერძოდ, მან არა მარტო საცხოვრებელი მასივების იერსახის ფორმირებაზე მოახდინა გავლენა, არამედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქალაქო გარემოს ხარისხის ფორმირებასა და მოსახლეობის სოციალურ „გადანაწილებაზე“ ქალაქის ტერიტორიაზე.

თავდაპირველად მას დადებითი მიზნები ჰქონდა, როგორიცაა საცხოვრებელის ფართის გაზრდა და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესება, თუმცა შედეგი ნეგატიური აღმოჩნდა და მასობრივი საქალაქო და სოციალური პრობლემები შექმნა. ამ პრობლემების აღქმა განსხვავებულია ქალაქის მოსახლეობისა და სპეციალისტების სხვადასხვა ჯგუფების მიერ, რაც ართულებს ერთიანი მიდგომის განხორციელებას, მით უმეტეს, რომ ქალაქის ხელისუფლებას დღემდე არ აქვს შემუშავებული პრობლემის გადაჭრის მეტ-ნაკლებად მისაღები გეგმა.

ისტორიული და სოციალური წინაპირობები

„მიშენებების“ პროცესის დაწყებასა და განვითარებას სრულიად კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები და წინაპირობები ჰქონდა. ის საბჭოთა საბინაო პოლიტიკის შედეგსა და გამოძახილს წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში საბჭოთა მთავრობამ დაადგინა საცხოვრებელი სივრცის ნორმა საბჭოთა მოქალაქისათვის – 8 კვადრატული მეტრი. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მთავრობა მკაცრად აკონტროლებდა, თუ როგორ იცავდნენ საბჭოთა მოქალაქეები ამ ნორმებს, ხოლო თვით მოქალაქეები მეტწილად ემორჩილებოდნენ ამ სტანდარტებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმები მათ რალურად არ აკმაყოფილებდათ.

„პერესტროიკის“ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ერთგავარად „შემობრუნდა“ მოსახლეობისაკენ და აღიარა

საბჭოთა მოქალაქის საცხოვრებელი პირობებისა და ნორმების არაადექვატურობა, ადგილი ჰქონდა საბინაო პრობლემის გადაჭრის მასშტაბურ მცდელობას. ამ მიმართულებით, ყველაზე მნიშვნელოვნი იყო სახელმწიფო პროგრამა „საცხოვრისი – 2000“, რომლის მიზნად გამოცხადდა ყოველი საბჭოთა ოჯახის უზრუნველყოფა იზოლირებული ბინით ან ინდივიდუალური სახლით, საცხოვრებელი ფართის ნორმის ეტაპობრივი გაზრდის გზით (*ვარდოსანიძე, გვ. 10*).

იმის გამო, რომ ამ პროგრამის განხორციელებისათვის საბჭოთა მთავრობას აღარ ჰქონდა სათანადო ფინანსურ-ეკონომიკური საშუალებები, მან დასაშვებად მიიჩნია მოსახლეობის თანამონაწილეობა და ინიციატივაც კი პროცესის წარსამართავად. ამ მიზნით, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ 1987 წელს საქართველოს სსრ-მ გამოსცა დადგენილება, რომელიც უფლებას აძლევდა მრავალსართულიანი (მაქსიმუმ 9-სართულიანი) სახელმწიფო და კოოპერატიულ სახლების მაცხოვრებლებს თავიანთი ბინებისათვის საკუთარი ხარჯებით მიეშენებინათ ლოჯიები, ვერანდები და აივნები. ეს ნაბიჯი, ხელისუფლების აზრით, ხელს შეუწყობდა საბინაო პრობლემის მოგვარებას. აღსანიშნავია, რომ მთავრობის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში მკაცრად იყო გაწერილი ის ნორმები და სტანდარტები, რომლებიც მოქალაქეებს უნდა დაეცვათ მშენებლობის დროს. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დადგენილი სტანდარტები უგულვებელყო; რიგ შემთხვევებში ისინი გაცილებით მეტ ფართობს იშენებდნენ, ვიდრე ამის უფლებას დადგენილი ნორმები აძლევდა.

ასეთმა მიშენებებმა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი მოიცვა და წარმოიქმნა შენობების ერთგვარი *ვერტიკალური გაფართოების* ტიპი, რომელსაც დაბალი ხარისხისა და უსახურობის გამო შეიძლება „*ვერტიკალური ჯურღმულები*“ ვუწოდოთ.

კვლევის სტრუქტურა და მეთოდიკა

მიშენებების პროცესისა და შედეგების უფრო ღრმა შესწავლის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტმა ჩატარდა სტუდენტური კვლევა. მისი ძირითადი ნაწილი მოიცავდა სოციოლოგიურ გამოკითხვებსა და საველე შესწავლას. სოციოლოგიური გამოკითხვის ფარგლებში შედგა პირისპირ ინტერვიუები თბილისის მერიის თანამშრომლებთან, ურბანისტ ექსპერტებთან და იმ მოქალაქეებთან, რომლებიც ცხოვრობენ მიშენების მქონე ბინებში. ამ უკანასკნელთა გამოკითხვა ჩატარდა სპეციალურად შედგენილი სტანდარტული კითხვარების საფუძველზე. გამოიკითხა თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები 115 ოჯახი, რომლებიც ცხოვრობენ საბურთალოს, დიღმის მასივის, თემქის, ვარკეთილის, დიდუბისა და ვაკის უბნებში და რომელთა საცხოვრებელ სახლებსაც უშუალოდ შეეხო ზემოთ ნახსენები პროცესი. მათ პასუხი გასცეს 18 შეკითხვას, რომლებიც დაკავშირებულია საკვლევ თემასთან. სხვა, სპეციფიურად სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე ჩატარდა კიდევ ხუთი, უფრო დეტალური ინტერვიუ ქალაქის ხელისუფლებისა და სამშენებელო სფეროს წარმომადგენლებთან. სტუდენტებმა ასევე შეასრულეს მიშენებების მქონე შენობებისა და ბინების დათვალიერება წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე. მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციის და დამუშავების შემდეგ მოხდა შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რაც წინამდებარე ნაშრომის შემდგომ ნაწილებშია ასახული.

მიშენების პროცესის დინამიკა

მრავალსართულიან სახლებზე ბინების გაფართოების მიზნით ლითონის სამშენებლო კარკასების უდიდესი ნაწილი 1988-1992 წლებში

აიგო (იხ. ნახ. 1). ასეთი კონსტრუქციები ძირითადად 5, 8 და 9 სართულიან სახლებზე აღიმართა.

თავდაპირველად სამშენებლო სამუშაოებს სახელმწიფო სამშენებლო კომპანიები ატარებდნენ, რომლებიც შემდეგ შეცვალეს არქიტექტურულმა და სამშენებლო კოოპერატივებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი დასაწყისში ძალზე დინამიური იყო, მცხოვრებთა უმეტესობამ ვერ შეძლო მიშენების დროულად დასრულება. ამის მიზეზი კი ძირითადად 1990-იანი წლების დასაწყისში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. 2000-იან წლებში, როცა სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა, სამშენებლო პროცესები კვლავ განახლდა, თუმცა არ გამხდარა ისეთი მასშტაბური, როგორიც იყო პროცესის დასაწყისში.

ნახ. №1-ზე ჩანს, რომ დღეისათვის მიშენებათა 12% ჯერ კიდევ დაუმთავრებელია.

ნახ. 1 მიშენების პროცესის დინამიკა თბილისში



მიშენების ფართობი და ფუნქციები

მიშენებული სივრცე მაცხოვრებლებმა სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენეს. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ნახ. 2-შია მოცემული, კარგად ჩანს რომ მოსახლეობას ძირითადად საცხოვრებელი სივრცის ნაკლებობა აწუხებდა. შესაბამისად, ახალ შექმნილ ფართში მათ უმეტესად განათავსეს საძინებლები, სასტუმრო ოთახი და სხვა ძირითადი საცხოვრებელი ოთახები.

რაც შეეხება კომერციული მიზნებისათვის მიშენებული სივრცის გამოყენებას, ეს საკმაოდ იშვიათია და ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ბინა პირველ სართულზე არის განლაგებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიშენებული ფართი იშვიათად იცვლიდა ფუნქციას და ძირითადად დღესაც ინარჩუნებს თავდაპირველ დატვირთვას. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ტიპის ცვლილება დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება მიშენებული ფართობის ოდენობას, ის ცვალებადია და განსხვავდება კერძო შემთხვევებიდან გამომდინარე. როდესაც მაცხოვრებლები მეტ-ნაკლებად იცავდნენ კანონით დაწესებულ ნორმებს, მიშენებული სივრცე არ აღემატებოდა ბინის თავდაპირველი ფართობის 20-25%-ს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში დადგენილი ნორმები ირღვეოდა და მიშენება კეთდებოდა ბინის ორი და სამი მხრიდანაც კი. ასეთ შემთხვევებში ბინის ფართი მნიშვნელოვნად, ზოგჯერ 100%-ითაც კი იზრდებოდა (იხ. ნახ. 3).

გამოკითხვაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალოდ მიშენებული ფართობი ბინის თავდაპირველი ფართის 40%-ს შეადგენს.

ნახ. 2 მიშენებული ფართის დანიშნულება





ნახ. 3 მიშენებით მიმატებული ფართის წილი ბინის საერთო ფართში

მშენებლები და სამშენებლო მასალა

მშენებლობაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემსრულებლები იყვნენ ჩართული. თავიდან, როგორც უკვე ვთქვით, პროცესს აწარმოებდა სახელმწიფო სამშენებლო კომპანია, რომლებიც თანდათანობით არქიტექტურულმა და სამშენებლო კოოპერატივებმა ჩაანაცვლეს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სცენაზე გამოვიდნენ კერძო სამშენებლო კომპანიები. მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით მის დასკვნით ნაწილში, აქტიურად იყო ჩართული თავად მოსახლეობაც (ნახ. 4).

საბჭოთა პერიოდში სამშენებლო მასალა იოლად ხელმისაწვდომი და საკმაოდ იაფი იყო. მოგვიანებით, საქართველოში დამკვიდრებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა სამშენებლო მასალის ბაზარზეც იმოქმედა – მასალა ძნელად ხელმისაწვდომი და ძვირი გახდა, რამაც შეაფერხა მშენებლობის პროცესი. 2000-იანი წლებიდან, ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორების შედეგად, სამშენებლო მასალა უფრო მრავალფეროვანი და იაფი ხდება, მოსახლეობის შემოსავლები კი იზრდება, რამაც კვლავ დინამიურობა შესძინა მშენებლობის პროცესს.



შენიშვნა: პასუხი დადებითი, მაგრამ.. - აღნიშნავს გამოკითხულთა ზოგად კმაყოფილებას, მაგრამ გარკვეულ ხარვეზების აღიარებას, როგორიცაა მშენებლობის ხარისხი, უსაფრთხოება.

„ვერტიკალური ჯურღმულები“

მიშენებათა ვიზუალური და სხვა ტიპის მახასიათებლების განხილვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი გარკვეულწილად ემსგავსებიან ე.წ. „ვერტიკალურ ჯურღმულებს“ (Vertical Slums). მათ ხშირ შემთხვევებში აქვთ არაესთეტიური და დეპრესიული ვიზუალური მხარე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქმნიან არაჯანსაღ და არცთუ უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ კლასიკური ჯურღმულებისაგან განსხვავებით, ისინი ხშირად უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციებით (იხ. ნახ. 5).



ნახ. 5 მიშენებული ფართის უზრუნველყოფა კომუნალური საშუალებებით

შენიშვნა: *მიშენებული ფართის უდიდესი ნაწილი უზრუნველყოფილია დენით*

სოციალური ჯგუფები

კვლევის შედეგები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სოციალური ჯგუფები, რომლებმაც ყველაზე მეტად ისარგებლეს მთავრობის

ამ გადაწყვეტილებით, იყვნენ საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენელი ოჯახები, შედარებით შეზღუდული შემოსავლებით.

გარკვეული გარემოებების გამო, ყველაზე კარგ მდგომარეობაში საშუალო ფენის ოჯახები აღმოჩდნენ. მათ გააჩნდათ საკმარისი ფინანსები რათა უზრუნველეყოთ მშენებლობის პროცესი და გარკვეულწილად გადაეჭრათ საბჭოთა პერიოდისათვის საყოველთაოდ მძიმე საცხოვრებელი ფართის პრობლემა. შესაბამისად, ისინი პირველები იყვნენ, ვინც შეძლო მშენებლობის პროცესის დასრულება.

აღსანიშნავია, რომ ოჯახები, რომლებიც იუმჯობესებენ ფინანსურ მდგომარეობას, ხშირ შემთხვევაში გადადიან კერძო სახლებში ან ქალაქის პრესტიჟულ უბნებში აშენებულ ახალ საცხოვრებელ კორპუსებში.

გავლენა მოსახლეობის განაწილებაზე

ბინათა გაფართოების პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში და ყველაზე მეტად თბილისში არსებულ სამოსახლო არეალებზე.

ამ პროცესმა გარკვეულწილად ჩაანაცვლა და შეამცირა მოსახლეობის მობილობის, ანუ უბნებს შორის მაცხოვრებელთა მოძრაობის, საჭიროება. შედარებით შეზღუდული შემოსავლების მქონე მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აღარ თვლის საჭიროდ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას. მოქალაქეთა დიდი ნაწილი, რომელმაც გააფართოვა ბინები, დღეისათვის გაცილებით უკეთ გრძნობს თავს მიშენებულ ფართში და აღარ ფიქრობს საცხოვრებლის გამოცვლაზე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი არც მშენებლობის დაწყებამდე აპირებდა ბინის გამოცვლას. გამოკითხულთა მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ მათ შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი ამ პროცესების დაწყების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ „ვერტიკალურმა ჯურღმულებმა“ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საცხოვრებელი სახლებისა და გარემოს უსაფრთხ-

ოებაზე. იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში მშენებლობის დადგენილი ნორმები ირღვეოდა, ხდებოდა შეუმოწმებელი მასალისა და კუსტარული სამშენებლო ტექნოლოგიის გამოყენება, მოხდა დეგრადირებული გარე სივრცის, დაზიანებული კომუნიკაციების და საცხოვრებლად ნაკლებად უსაფრთხო ბინების ტირაჟირება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მიწისძვრის შემდეგ ასეთი სახლები დაზიანდა და ხელმეორედ გამაგრება გახდა საჭირო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისის მასობრივი სამოსახლო განაშენიანების უბნებმა, რომლებიც ამ პროცესების დაწყებამდეც არცთუ ისე მიმზიდველად გამოიყურებოდნენ, კიდევ უფრო მახინჯი იერსახე მიიღეს. ზოგიერთი არქიტექტორი და მშენებელი ვარაუდობდა, რომ მშენებლობის პროცესების დასრულების შედეგად მასობრივი განშენიანების უბნები გაცილებით მიმზიდველი გახდებოდა, თუმცა მათი ილუზიები მალე დაიმსხვრა. ამის შედეგად შეიქმნა რეალობა, რომ თბილისის მცხოვრებლებს დეპრესიულ და დამახინჯებულ გარემოში უწევს ცხოვრება. პრობლემები შეექმნათ ცალკეულ ბინებსაც: ზოგიერთი გამოკითხულის თქმით, დღეს ბინაში ბევრად ნაკლები სინათლე აღწევს ვიდრე მიშენებამდე; ქვედა სართულებზე გაზრდილია ნესტიანობა, რაც მთლიანობაში საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს.

დამოკიდებულება მიშენებების მიმართ

საზოგადოების და ოფიციალური წრეების დამოკიდებულება ამ პროცესების მიმართ განსხვავებულია.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე ექსპერტების აზრი მიშენებების მიმართ არის მკვეთრად უარყოფითი. თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები საუბრისას აღნიშნავენ, რომ დაშვებულია მიშენებული ფართობების კერძო საკუთრებაში დარეგისტრირება და ასეთი შემთხვევები არსებობს კიდეც. მეორეს მხრივ, იყო შემთხ-

ვევები როდესაც მიშენებები დაანგრიეს, ისე, რომ მათი შერჩევის კრიტერიუმები და მიზეზები არ ყოფილა მკაფიოდ განსაზღვრული და დასაბუთებული.

სახეზე გვაქვს სიტუაცია, როდესაც ქვეყნისა და დედაქალაქის ხელისუფლებას არ აქვს გამოკვეთილი მიდგომა და სტრატეგია, თუ რა პოლიტიკა უნდა გაატარონ მიშენებების მიმართ, რაც რეალურად საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს თბილისისათვის.



შენიშვნა: პასუხი დადებითი, მაგრამ.. - აღნიშნავს გამოკითხულთა ზოგად კმაყოფილებას, მაგრამ გარკვეულ ხარვეზების აღიარებას, როგორიცაა მშენებლობის ხარისხი, უსაფრთხოება.

ნახ. 6 მოსახლეობის დამოკიდებულება მიშენებების მიმართ

ამ საკითხის მიმართ განსვავებული დამოკიდებულება არსებობს მოსახლეობაში. იმ მაცხოვრებლთა უდიდესი ნაწილი, რომლებმაც მიიღეს ამ პროცესში მონაწილეობა, აფასებენ მას, როგორც დადებით ფაქტს და შესაძლებლობას საკუთარი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მაცხოვრებელთა მეორე, უფრო მცირერიცხოვანი ნაწილი უარყოფითად აფასებს ამ მოვლენას და ამბობს, რომ იგი საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს და ამახინჯებს მის გარე ფასადს. ეს სიტუაცია კარგად ჩანს ნახ. №6-ზე, სადაც ვხედავთ, რომ გამოკითხულთა ნახევარი საერთოდ თავს იკავებს ამ თემაზე საუბრისა და მოვლენის შეფასებისაგან. აღსანიშნავია, რომ მაცხოვრებლებს შო-

რის, სწორედ მიშენებების შესახებ განსხვავებული აზრის გამო კონ-ფლიქტებიც ხდებოდა, თუმცა სერიოზული კონფლიქტის შემთხვევა რესპონდენტთა მხოლოდ 3%-მა დაადასტურა. არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი რესპონდენტი მალავს კონფლიქტის ფაქტს და არ სურს მასზე საუბარი.

დასკვნა

საკვლევი საკითხის განხილვის შედეგად გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს:

- მიშენებული ფართობი თბილისის მაცხოვრებლებს დაეხმარა გაეუმჯობესებინათ თავიანთი საცხოვრებელი პირობები და გამოეყენებინათ შექმნილი ახალი სივრცე სხვადასხვა მიზნე-ბისთვის.
- ეს პროცესი თითქმის 20 წელიწადია გრძელდება და მასში ჩართულია როგორც სამთავრობო და კერძო სექტორი, ასევე ბინების მესაკუთრეები, თუმცა სათანადო კოორდინაცია და თანამშრომლობა მათ შორის არ აღინიშნება.
- მშენებლობის პროცესის შედეგად თბილისის სამოსახლო არე-ალების საქალაქო გარემო, რომელიც არც ადრე იყო სასურველ მდგომარეობაში, კიდევ უფრო გაუარესდა და საცხოვრებელი სახლების უსაფრთხოება მნიშვნელოვნად შემცირდა.
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც საბჭოთა პერიოდში ისევე საქართველოს დამოუკიდებლო-ბის პირობებში, არ აღმოჩნდა მზად მიშენების პროცესის სა-თანადო გაკონტროლებისათვის. შედეგად მოსახლეობას მიეცა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სივრცის სტიქიური და მეტწილად გაუაზრებელი მიშენების საშუალება, კოლექტიური ინტერესების უზრუნველყოფის სრული უგულებელყოფით.
- პრობლემა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანად შეიძლება მივიჩნიოთ, არის ის, რომ თბილისის მოსახლეობის უდიდეს

ნაწილს არ აღელვებს იმ გარემოს ხარისხი და მდგომარეობა, რომელშიც თავად ცხოვრობს. სწორედ ამიტომ, იგი საკუთარ თავს და თანამოქალაქეებსაც ადვილად აძლევს უფლებას ავნოს საქალაქო გარემოს უსაფრთხოებას, სიჯანსაღესა და კომფორტულობას, დაამახინჯოს გარემოს იერსახე საცხოვრებელი ფართის რამდენიმე კვადრატული მეტრით გაზრდის სანაცვლოდ. სამწუხაროდ, ეს მიგვანიშნებს მოქალაქეთა დაბალ ურბანულ კულტურასა და ფსევდო-ურბანულ ქცევაზე, რაც უდავოდ წარმოადგენს თბილისის განვითარების სერიოზულ პრობლემას.

Abstract

Joseph Salukvadze, David Gogishvili

The paper aims at providing an overview on a process of residential space extension in multi-storey block housing districts of Tbilisi, undergoing since late 1980s, and known also as vertical building extensions(VBEs). Many multi-storey residential buildings in mass housing areas, called *mikrorayons* in the Soviet times, have been transformed by the construction of such VBEs on the balconies and façades. While such structures are often of a makeshift, improvised character, many of them possess reinforced concrete frame constructions that often parallel the 'host' building in terms of size and function. The paper examines the social and spatial underpinnings of such extensions, with the aid of a field study, including a population poll among 115 households, and interviews of several experts and representatives of Tbilisi city hall.

A primary objective of this study is to investigate the social, economic and institutional forces that drive this phenomenon in Tbilisi while scrutinising its impacts on the use and development of urban space. The paper thus examines the extent and type of such structures, the socio-economic needs that they address, their physical effects on the appearance and function of urban micro-territories, the legal and institutional framework that allows them to be built and created.

The study outcomes indicate that the size of space added to apartments through the multiple functions and uses served by

VBEs differs significantly across different districts and dwellings in the city. In the cases where extensions are implemented in line with official regulations, which allow for only the balconies of the building to be enlarged according to strictly defined construction parameters, the amount of added space rarely exceeds 20-25 per cent of the size of the original flat. However, VBEs are often attached to the housing blocks from two and even three sides – thus doubling the size of the apartment to which they are added – in situations where the flats are extended without regard to official restrictions and rules.

The primary reason for such expansion of flats lies in the need for 'in-place' adjustments of the size and function of the home. This, at certain extent, compensated inability and unwillingness of the dwellers to change their place of residence. It is noteworthy that the most of interviewees, who dared to answer the question about their satisfaction by such extensions (~50% didn't answer), expressed their contentment with obtaining extra residential space through VBE. However, many of them realize serious shortcomings (e.g. poor appearance, deterioration of healthiness of extended flats and buildings) and increased technical insecurity in such houses.

In their entirety, the field observations, surveys and interviews indicated that there is no unified approach and defined policy towards VBEs: municipal governments simply lack effective measures to regulate the process. However, local authorities and experts are absolutely negative about this phenomenon, which is seen as menace to the development of the city.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა:

ვარდოსანიძე, ლ. ქალაქური საცხოვრისის ასწლიანი იდეოლოგიურ-პოლიტიკური პერიპეტიები – რუსეთის იმპერიიდან დამოუკიდებელ საქართველომდე (ხელნაწერი ჩაბარებულია გამოსაცემად წიგნში: თბილისი ცვლილებების ხანაში: ურბანული სივრცის სოციალურ-კულტურული და გეგმარებითი განზომილებანი)

სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების საკითხის მოწესრიგების შესახებ. (1990). საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 19 დეკემბრის №776 დადგენილება

Borén, T., & Gentile, M. (2007). Metropolitan processes in post-communist states: an introduction *Geografiska Annaler, Series B: Human Geography, 89*, 95-110.

Buzar, S., Salukvadze, J. & Gentile, M. Do-it-yourself Urbanism: Vertical Building Extensions in the Urban Landscapes of Skopje and Tbilisi. Paper/manuscript submitted to *Urban Studies.* Manuscript ID: CUS-580-08-11.

Gachechiladze, R. (1995). The New Georgia: Space, Society, Politics. London: UCL Press.

Salukvadze, J. (2009). Market Versus Planning? Mechanisms of Spatial Change in Post-Soviet Tbilisi. In *Urban Culture and Urban Planning in Tbilisi: Where West and East Meet*; Van Asche, Salukvadze & Shavishvili (eds). Lewiston, Queenston & Lampeter: Edwin Mellen Press; p 159-187.

ნანა სუმბაძე

აგვისტოს ომი: მოსახლეობის შეფასებები და განწყობები

2008 წლის აგვისტოს ომი თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. რუსეთის აგრესიის შედეგად ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, დაცლილი და განადგურებულია ათეულობით სოფელი, დევნილია 35 000-მდე ადამიანი. ომის ბოლოს საქართველომ აღნიშნა, რომ დაეღუპა 170 სამხედრო, 14 პოლიციელი და 228 სამოქალაქო პირი და რომ 1,747 ადამიანი დაიჭრა. რუსული მხარის მონაცემებით მათი მხრიდან დაღუპულია 67 სამხედრო და დაჭრილია 283 პირი. სამხრეთ ოსეთი მიუთითებს, რომ დაეღუპა 365 ადამიანი, სავარაუდოთ სამხედრო და სამოქალაქო პირი ერთად. სულ დაღუპულია 850-მდე ადამიანი. 100,000-ზე მეტ მოქალაქეს მოუხდა სახლის დატოვება. (IIFFMCG, 2009).

მაგრამ ომის შედეგები მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლება. ომმა, თუმცა განსხვავებული ხარისხით, მაგრამ ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეზე.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვაში „ბარომეტრი 2008“ გარკვეულწილად ასახულ იქნა ის ზეგავლენა, რაც ომმა მოსახლეობაზე მოახდინა.

გამოკითხვა რეპრეზენტატული იყო. იგი ჩატარდა 2008 წლის 14-30 ნოემბერს საქართველოს ყველა რეგიონში, აჭარასა და თბილისში იერარქიული შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით. ამდენად რესპონდენტების განაწილება შეესატყისება საქართველოს მოსახლე-

ობის განაწილებას ასაკის, სქესის, რეგიონის და დასახლების ტიპის მიხედვით.

სულ გამოკითხული იყო 1,156 რესპონდენტი (48.9 პროცენტი კაცი და 51.1 პროცენტი ქალი). რესპონდენტთა შორის 13.0 პროცენტს იძულებით გადაადგილებული პირები შეადგენდნენ. მათგან 5.5 პროცენტი იყო დევნილობაში 1992 წლიდან, ხოლო 7.5 პროცენტი 2008 წლის აგვისტოდან.

ომისა და მისი შედეგების შეფასება

მოსახლეობის 89.3 პროცენტი აგვისტოს ომს აფასებს, როგორც 2008 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას. იმ 120 რესპონდენტიდან, ვინც ეს მოვლენა არ შეაფასა მნიშვნელოვნად 56.7 პროცენტი ქვემო ქართლში, 13.3 პროცენტი სამეგრელოში, ხოლო 8.3 პროცენტი იმერეთში ცხოვრობს.

ომი წარმოადგენდა საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო წლებში არსებული დაძაბულობის კულმინაციას, მის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „მცოცავი ანექსიის“ დასასრულს. თუმცა დაძაბულობის ზრდის და მიუხედავად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (67.5 პროცენტი) არ ელოდა რუსეთის თავდასხმას. თავდასხმის მიზეზად უმრავლესობა (68.3 პროცენტი) აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიების რუსეთთან მიერთებას, 57.6 პროცენტი საქართველოს ხელისუფლების შეცვლას, ხოლო 43.4 პროცენტი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ხელისშეშლას მიიჩნევდა (რესპონდენტებს შეეძლოთ შეერჩიათ წარმოდგენილი ცხრა მიზეზიდან სამი). მიზეზების რეალურად არსებობის მიუხედავად მოსახლეობის ნახევარზე მეტს (58.0 პროცენტი) შესაძლებლად მიაჩნდა ომის თავიდან აცილება. გამოკითხულთა დიდი ნაწილი (65.4 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ საქართველო რომ ყოფილიყო ნატოს წევრობის კანდიდატი რუსეთი არ განახორციელებდა მის წინააღმდეგ აგრესიას.

აგვისტოს მოვლენებში ბრალს სხვადასხვა ხარისხით 95.0 პროცენტი რუსეთს, 84.3 პროცენტი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელი-

სუფლებას, 80.9 პროცენტი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას და 80.2 პროცენტი საქართველოს ხელისუფლებას დებს (რესპონდენ-ტები ცალ-ცალკე აფასებდნენ კონფლიქტის ძირითად მოქმედ პირთა ბრალეულობის ხარისხს შკალაზე დიდი, საშუალო, მცირე, არავითა-რი). კონფლიქტის მონაწილეთა ბრალეულობაზე ცალსახა დასკვნას საერთაშორისო ფაქტების მოძიების კომისიაც (IIFFMCG), რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც ტალიავინის კომისია, ვერ აკეთებს. ანგარიშში მითითებულია, რომ კონფლიქტი მრავალ სხვადასხვა დროს განხორციელებულ მოქმედებების შედეგს წარმოადგენდა და ამდენად შეუძლებელია მთელი პასუხისმგებლობის კონფლიქტის მონაწი-ლე ერთი რომელიმე მხარისათვის მიწერა. დამნაშავეა ყველა- ასეთი დასკვან გამოაქვს კომისიას (IIFFMCG 2009).

ომის მიმდინარეობის პროცესში საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ზოგადად უარყოფითად იყო შეფასებული. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (79.4 პროცენტი) მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას უნდა გაეფრთხილებინა შესაძლო საფრთხის შესახებ კონფლიქტის და მის მიმდინარე ზონის მაცხოვრებლები. გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარი მიიჩნევს მიზანშეწონილად ომის პერიოდში ჯარის (50.7 პროცენტი) და მხოლოდ მესამედი საქართველოს მთავრობის მოქმე-დებებს (29.5 პროცენტი).



ნახ. 1

საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო უწყებების მოქმე-დებების მიზანშეწონილობა

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (89.9 პროცენტი) აღიარებს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილს ომის შეწყვეტაში. ამასთან უმრავლესობა (72.5 პროცენტი) ამაში ევროკავშირის და შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების (68.3 პროცენტი) წვლილს ხედავს.

ერთსულოვნება არ აღინიშნება იმის შეფასებაში, თუ ვინ დარჩა ომის შედეგად მოგებული და ვინ წაგებული. გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარზე ნაკლები (45.5 პროცენტი) მიიჩნევს რუსეთს მოგებულად. საქართველო მოგებულად მიაჩნია 9.6 პორცენტს.



ნახ. 2

ომის შედეგად მოგებული ქვეყნები

ომის შედეგების არაცალსახა შეფასება გამოხატულია ტალიავინის კომისიის დასკვნაში. მასში მითითებულია, რომ კონფლიქტში არ არის გამარჯვებული მხარე, მის ყველა მონაწილემ განიცადა გარკვეული სახის დანაკარგი, სიცოცხლის, ქონების, იმედებისა თუ მომავლის შესაძლებლობების სახით (IIFFMCD 2009).

მოსახლეობის ერთი მესამედი (33.9 პროცენტი) უახლოეს თვეებში არ ელოდა საომარი მოქმედებების განახლებას. რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილის (66.5 პროცენტს) იმედი ევროკავშირს, შემდეგ კი ა.შ.შ.-ს (62.5 პროცენტი) და ნატო-ს (37.1 პროცენტი) უკავშირდებოდა. მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს (18.4 პროცენტი) ქონდა ამ საქმეში საქართველოს ხელისუფლების იმედი.

ომის შედეგების შეფასება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის პოლიტიკურ სიმპათიებთან. ხელისუფლების მხარდამჭერები მნიშვნელოვნად უფრო დადებითად აფასებდენ პრეზიდენტის და ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედებებს, უფრო მეტად იზიარებდნენ კონფლიქტის შედეგების ოფიციალურ შეფასებას, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები ან ისინი, ვისაც არ ქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სიმპათიები. ასე მაგ. ომის თავიდან აცილება შესაძლებლად მიაჩნდა ოპოზიციის მხარდამჭერთა 83.3, გაურკვეველი პოლიტიკური სიმპათიების მქონე მოსახლეობის 62.8 და ხელისუფლების მხარდამჭერთა 42.3 პროცენტს. ომის პერიოდში პრეზიდენტის ქმედებებს მიზანშეწონილად მიიჩნევდა ხელისუფლების მხარდამჭერთა 75.2, ჩამოუყალიბებელ პოზიციის მქონეთა 17.6 და ოპოზიციის მხარდამჭერთა 4.8 პროცენტი. საქართველოს ომში გამარჯვებულად მიაჩნდა ხელისუფლების მხარდამჭერთა 19.4, ჩამოუყალიბებელი პოზიციის მქონე მოსახლეობის 5.8 და ოპოზიციის მხარდამჭერთა 2.4 პროცენტს.

თავისთავად პოლიტიკურ მხარდაჭერა სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებული უნდა იყოს იმ ზეგავლენაზე, რაც ომმა მოსახლეობაზე მოახდინა. შიში, შფოთვა და უსუსურობის განცდა ეს ის ძირითადი ემოციებია, რომელსაც ომი ადამიანში იწვევს. შიში კი ზრდის სხვაზე, ძალაუფლების მქონე პირებსა თუ ინსტიტუტებზე დამოკიდებულებას და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის მხარდაჭერას. აქედან გამომდინარე უნდა ველოდოთ პრეზიდენტის და სახელისუფლებო

სტრუქტურების მეტ მხარდაჭერას იმ რეგიონებში, სადაც უშუალოდ განხორციელდა რუსეთის აგრესია – შიდა ქართლსა და სამეგრელოში. მართლაც, ხელისუფლებისადმი სიმპათია გამოხატა ომის სამოქმედო ზონაში მყოფი მოსახლეობის 47.9 პროცენტმა, მაშინ როდესაც ასეთი ადამიანების წილი საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 24.6 პროცენტს შეადგენდა. საცხოვრებელი ადგილი ნაკლებ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ოპოზიციისადმი დამოკიდებულებაზე, რომელსაც მხარს უჭერს სამეგრელოსა და შიდა ქართლის მოსახლეობის 5.7 პროცენტი და საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის 8.6 პროცენტი. თუმცა საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გადაუწყვეტელთა რაოდენობას, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით (66.8 პროცენტი), ბევრად უფრი მცირეა (46.4 პროცენტი) სამეგრელოსა და შიდა ქართლში. ანალიზმა ცხადყო რომ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით (27.1 პროცენტი) სწორედ ამ ორი რეგიონის მოსახლეობის უფრო დიდმა ნაწილმა (49.6 პროცენტი) გამოთქვა პრეზიდენტის და ხელისუფლების ყველა სხვა სტრუქტურების ქმედებებით კმაყოფილება. ასევე ომში საქართველო გამარჯვებულად მიიჩნია შიდა ქართლისა და სამეგრელოს მაცხოვრებელთა 20.6 პროცენტმა, მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 5.8 პროცენტმა გაიზიარა ასეთი შეფასება.

სეპარატისტული რეგიონების რეინტეგრაციის შესაძლებლობები

ომის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნების სტრატეგიის მიმართ. მკვეთრად შემცირდა იმ ადამიანთა წილი, ვინც მომხრეა, რომ ეს ძალის გამოყენებით მოხდეს. თუ 2007 წელს აფხაზეთის შემთხვევაში ძალის გამოყენება შესაძლებლად მიაჩნდა 37.0 პროცენტს, 2008 წელს ასე ფიქრობდა მხოლოდ 16.5 პროცენტი. ოსეთის შემთხვევაში 2007 წელს ძალის გამოყენების მომხრე იყო 27.6 პროცენტი, ხოლო 2008 წელს 16.3 პროცენტი. ჩანს არის მოსახლეობის სტაბილური ნაწილი, რომელიც

კონფლიქტის მოგვარებას შესაძლებელს ხედავს ძალის გამოყენების მეშვეობით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა ძალის გამოყენების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის სქესთან, ასაკთან და საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

ძალის გამოყენების მომხრე ქალებზე მეტად უფრო კაცები არიან. გამოკითხულ მამაკაცთა მეხუთედი (20 პროცენტი) მომხრეა ძალა გამოყენებულ იქნეს აფხაზეთში და თითქმის ამდენივე (19.8 პროცენტი) ოსეთში. ქალებთან 13.5 პროცენტი და 13.3 პროცენტი, შესაბამისად. ძალის გამოყენების მომხრეთა წილი კლებულობს ასაკთან ერთად. აფხაზეთში ძალის გამოყენებას მხარს უჭერს 18-24 წლის რესპონდენტთა 25.8 პროცენტი, ხოლო ოსეთში ამ ასაკის რესპონდენტთა 25.7 პროცენტი, მაშინ როდესაც ძალის გამოყენებას მხარს უჭერს 65 წელზე უფროსი მოსახლეობის 11.6 პროცენტი აფხაზეთის შემთხვევაში და 11.7 პროცენტი ოსეთის შემთხვევაში.



ნახ. 3

იმ რესპონდენტების წილი, ვინც მხარს უჭერს აფხაზეთის და ოსეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

კონფლიქტით დაზარებული მოსახლეობა უფრო მეტად უჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებას. აფხაზეთთან მიმართებაში ამის მომხრეა გამოკითხულ შიდა ქართლის მოსახლეობის 36.2 პროცენტი, მათი კიდევ უფრო დიდი ნაწილი (40.0 პროცენტი) მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთის ძალისმიერი გზით

დაბრუნებას. ასევე შედარებით დიდია ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მომხრეთა წილი თბილისში, აჭარაში და იმერეთში, ყველაზე მცირე კი იგი მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში და კახეთშია.

მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს (15.8 პროცენტს) უახლოეს 3 წელიწადში შესაძლებლად მიაჩნდა დევნილი მოსახლეობის კოდორის ხეობაში დაბრუნება. ასევე მცირეა იმ რესპონდენტთა წილი (16.5 პროცენტი) ვინც ელოდა მოსახლეობის სამხრეთ ოსეთში დაბრუნებას.

აღსანიშნავია, რომ ომმა არ გამოიწვია მოსახლეობაში ქსენოფობია (IIFFMCG, 2009). მიუხედავად დაბრუნების შანსების სკეპტიკური შეფასებისა, მოსახლეობის დიდ ნაწილს შესაძლებლად მიაჩნია ოსებთან (67.3 პროცენტი) და აფხაზებთან (66.0) თანაცხოვრება.

საომარ მოქმედებების ტერიტორიაზე ცხოვრების ზეგავლენა მოსახლეობის დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე

ომმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მთელი საქართველოს მოსახლეობაზე, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ რომ მისი შედეგები უფრო გამოკვეთილი უნდა იყოს მათზე ვინც უშუალოდ განიცადა დაბომბვა, იყო ბრძოლის და ნგრევის მოწმე, სიკვდილის და დაჭრის თვითმხილველი.

მოსახლეობაზე ომის განსხვავებული ზეგავლენის დასადგენად ჩვენ საომარ მოქმედებების არეალში მყოფი მოსახლეობა, შიდა ქართლისა და სამეგრელოს რესპონდენტები ერთ ჯგუფში გავაერთიანეთ და მათი მონაცემები ხელისუფლებისადმი და მმართველობისადმი დამოკიდებულებასთან, უსაფრთხოების განცდასა და ღირებულებებთან მიმართებაში საქართველოს დანარჩენ რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობის მონაცემებს შევადარეთ. ყველგან, სადაც განხილულია ამ ორი ჯგუფის მონაცემები, მათ შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

საომარი მოქმედებების არეალში მცხოვრებლებმა უფრო მეტი მოწონება გამოხატეს ხელისუფლების მიმართ და უფრო დადებითად

შეაფასეს მისი მოქმედებები. საომარ მოქმედებათა არეალში მაცხოვრებელთა 52.1 პროცენტს წინააღმდეგ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის 38.5 პროცენტისა მიაჩნდა, რომ საქართველო განვითარების სწორ გზას ადგას. ასევე მათი უფრო დიდი ნაწილი უჭერდა მხარს იმას, რომ ძალაუფლების უდიდეს ნაწილს ფლობდეს პრეზიდენტი (27.0 პროცენტი 15.8 პროცენტის წინააღმდეგ), ასევე უფრო დიდ ნაწილს (37.4 პროცენტს წინააღმდეგ 20.8 პროცენტისა) მიაჩნდა, რომ ხელისუფლება ითვალისწინებდა მოსახლეობის აზრს, და რომ იგი 2007 წლის ნოემბერთან შედარებით უფრო მეტად უსმენდა ხალხს (52.6 პროცენტი წინააღმდეგ 23.1 პროცენტისა).

უსაფრთხოების განცდა უფრო მაღალი იყო საომარ მოქმედების ზონაში მცხოვრებ მოსახლეობაში. ეს მათ მიერ გაკეთებულ მთელ რიგ შეფასებებში გამოჩნდა. ადამიანის უფლებები საქართველოში დაცულად მიაჩნდა ომის რეგიონში მაცხოვრებელთა 34.1 პროცენტს წინააღმდეგ საქართველოს დანარჩენი მაცხოვრებლების 15.6 პროცენტისა. ასევე მაღალი იყო ომის არეალში მაცხოვრებელთა შორის იმის აღქმა, რომ საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორნი არიან (33.9 პროცენტი წინააღმდეგ 18.8 პროცენტისა). ამასთან ისინი თავს უფრო დაცულად გრძნობდენ უსამართლობისაგან (37.1 პროცენტი წინააღმდეგ 18.2 პროცენტისა) და უფრო დიდ ნაწილს მიაჩნდა კერძო საკუთრება საქართველოში დაცულად (38.3 პროცენტი წინააღმდეგ 17.4 პროცენტისა).

განსხვავებულია ომისადმი ექსპონირებული მოსახლეობისა და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სხვადასხვა ღირებულებებისადმი. საომარ მოქმედებათ არეალში მაცხოვრებლებმა ნაკლებ უპირატესობას მიანიჭეს პრეზიდენტის მიერ ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის დაცვას (19.3 პროცენტი წინააღმდეგ 26.4 პროცენტისა) და ბევრად უფრო მეტი პრეზიდენტის მიერ ნორმალური

საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფას (51.4 პროცენტი წინააღ-მდეგ 45.3 პროცენტისა).

დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნია ომის არეალში მცხოვრებელთა 75.6-მა და დანარჩენი მოსახლეობის 67.1 პროცენტმა. მათთან უფრო დიდი იყო იმათი წილი (37.0 პროცენტი წინააღმდეგ 19.4 პროცენტისა), ვინც ფიქრობდა, რომ საქართველოში დღეს არის დემოკრატია.

ომის არეალში მაცხოვრებლებმა უფრო დიდი ნდობა გამოუცხადეს საქართველოს ხელისუფლებას, რის ერთერთ გამოვლინებასაც წარმო-ადგენს ის, რომ უფრო დიდმა ნაწილმა (24.5 პროცენტი წინაღმდეგ 15.3 პროცენტისა) მიიჩნია, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის გარეშეც არის შესა-ძლებელი.

საომარ მოქმედების ზონაში მაცხოვრებლებს შორის ჩანს უფრო დიდია საკუთარი მოქმედებების ეფექტურობის განცდა, რადგან მათმა უფრო დიდმა ნაწილმა (31.3 პროცენტი წინააღმდეგ 21.5 პროცენტისა) მიუთითა, რომ შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მთავრობის გადაწყვე-ტილებებზე. ასევე უფრო მეტი (44.1 პროცენტი წინააღმდეგ 34.0 პროცენტისა) თვლიდა, რომ საქართველოში პატიოსანი შრომით შესა-ძლებელია ცხოვრების ნორმალური დონის მიღწევა. თუმცა ქვეყნის შე-საძლებლობას მართოს მოვლენები საომარ მოქმედებათა ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა უფრო ნაკლებ შესაძლებლად მიიჩნევდა. მათი 20.5 პროცენტი, წინააღმდეგ დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის 24.6 პროცენტისა ფიქრობდა, რომ საქართველოს მომავალი ძირითა-დად საქართველოზე იყო დამოკიდებული.

რესპონდენტთა ამ ორმა ჯგუფმა განსხვავებული საგარეო ორიენ-ტაციები გამოამჟღავნა. ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების მო-სურნეთა წილი საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით უფრო დიდი იყო სამეგრელოსა და შიდა ქართლის მოსახლეობაში. ნატო-ში გაერთიანების მომხრე იყო საბრძოლო მოქმედებების არეალში

მცხოვრებთა 73.2 პროცენტი და საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის 64.9 პროცენტი, ხოლო ევროკავშირში გაერთიანების მოსურნეები შესაბამისად შეადგენდენ 85.0 პროცენტსა და 75.0 პროცენტს.

გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ საომარი მოქმედებების არეალში მყოფი ადამიანების ცხოვრების ხარისხი საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე უფრო დაბალია. მათი უფრო დიდი ნაწილი (39.5 პროცენტი წინააღმდეგ 31.4 პროცენტისა) ფიქრობდა, რომ ადგილი ვერ იპოვა ცხოვრებაში, ასევე უფრო მცირე ოდენობა (17.1 პროცენტი წინააღმდეგ 21.4 პროცენტისა) იყო საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილი.

საქართველო აგვისტოს ომის შემდეგ

ომი, მნიშვნელოვანი და მასშტაბური მოვლენაა, რომლის ზეგავლენა აისახება, როგორც ინდივიდუალურ, ასევე მცირე ჯგუფის, თემისა და მთელი საზოგადოების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხანმოკლე იყო და აქტიური საომარი მოქმედებები მხოლოდ 5 დღე მიმდინარეობდა, ომის ზეგავლენა არ შემოიფარგლა მხოლოდ იმ ადამიანებზე ზემოქმედებით, ვინც საომარი მოქმედებების არეალში ცხოვრობდა. მან დიდი დაღი დაასვა საქართველოს მთელ მოსახლეობას. ამიტომ ომის შედეგების განხილვისას არ უნდა შემოვიფარგლოთ დაღუპულთა და დაჭრილთა, განადგურებულ სოფლების, დევნილი მოსახლეობის, დაკარგული ტერიტორიების რაოდენობის განხილვით, არამედ ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის ცვლილებები, რომლებიც ომმა მთელი მოსახლეობის დამოკიდებულებებსა და ქცევებში გამოიწვია.

თანამედროვე ომები აღინიშნება მზარდი დანაკარგებით სამოქალაქო მოსახლეობაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში ომებში სამხედრო პირების სიკვდილიანობა ცხრაჯერ აღემატებოდა სამოქალაქო პირების სიკვდილიანობას, ხოლო საუკუნის ბოლოს ომებში სამხედროებზე ცხრაჯერ მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა (Mollica, et al. 1994). საქართველოს მხრიდან აგვისტოს ომში დაღუპულთა 55.3 პროცენტს

სამოქალაქო პირები წარმოადგენენ. ომში ადამიანის უფლებების დარღვევა გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ ის განსაკუთრებული ოდენობით და სისასტიკით იჩენს თავს კომბინირებულ ომებში, იქ სადაც საბრძოლო მოქმედებები წარმოებს ქვეყნის შიდა და გარე მოწინააღმდეგესთან. ამ მხრივ გამონაკლის არც აგვისტოს ომი წარმოადგენდა (LLFFMCG FFmcG, 2009). ომი შეეხო მთელ ქვეყნას და ომით უშუალოდ დაზარალებულ თანამოქალაქების თანადგომისა და მათთან სოლოდარობის გარდა მოსახლეობაში საყოველთაო შიში გამოიწვია, რადგან ყოველთვის, როდესაც ირღვევა უსაფრთხოების ჩარჩოები, ქცევა შიშის კონტროლს ექვემდებარება (Mcauly, 2002). შიში ხშირად იწვევს ბრალეულობის გრძნობას, განაპირობებს სხვებისგან ემოციურ დისტანცირებას, სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის, უსუსურობის განცდას, სირცხვილის, სიბრაზის და უსამართლობის გრძნობას. მას ძალუძს მოსახლეობაში წარმოშვას უნდობლობა და გამოიწვიოს სოციალური დეზორგანიზაცია (Schlebush & Bosch, 2002).

აპათია და ნიჰილიზმი, რომელიც გამოიკვეთა 2008 წელს, როგორც საზოგადოების საერთო მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი აისახა, როგორც იმ ადამიანების წილის გაზრდით, ვინც უარი განაცხადა მთელ რიგ კითხვებზე პასუხის გაცემაზე, ასევე იმ პირთა დიდ ოდენობაში, ვისაც არ ქონდა ჩამოყალიბებული საკუთარი პოლიტიკური სიმპათიები ან შესაძლოა თავი შეიკავა მათ გამოხატვისგან. ასევე იკლო პოლიტიკით დაინტერესებულ პირთა რაოდენობამ და იმ პირთა წილმა, ვინც გამოხატა მზაობა აქტიურად დაიცვას საკუთარი უფლებები.

შიშის შედეგად იზრდება საკუთარი უმწეობის განცდა და სხვებზე, განსაკუთრებით კი ძალაუფლების მქონე ადამიანებსა თუ ინსტიტუტებზე დამოკიდებულება. უმწეობის განცდა გამოვლინდა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე თემისა და საზოგადოების დონეზე. შემცირდა იმ ადამიანთა რაოდენობა ვისაც ჯერავს, რომ ის რასაც ადამიანი ცხოვრებაში მიაღწევს, უფრო მეტად მასზე, ვიდრე სიტუაციებსა და

სხვა ადამიანებზეა დამოკიდებული. ასევე იმის განცდა, რომ პატიოსანი შრომით შესაძლებელია ნორმალური ცხოვრების დონის მიღწევა. ომის შედეგად უნდა ჩაითვალოს იმ ადამიანთა რიგების შემცირება, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს ბედი უფრო საქართელოზე, ვიდრე სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული, რომ კონფლიქტის განახლების შემთვევაში მისი მოგვარება საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით იქნება შესაძლებელი. პასუხისმგებლობის და ძალაუფლების ამგვარი გადანაცვლება ქვეყნისა და ხელისუფლებიდან სხვა ქვეყნებსა და მათ ხელისუფლებებზე არ არის მხოლოდ მოსახლეობისათვის დამახასიათებელი. მსგავსი დამოკიდებულება გამჟღავნდა მთელ რიგ საჯარო გამოსვლებში, მაგ. 2008 წლის 26 აგვისტიოს სააკაშვილის მიერ მოსახლეობისადმი გაკეთებულ მიმართვაში ნათქვამია: „ახლა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას აღდგენის და საქართველოს თავისუფლების დაცვის საკითხი არც შიდა ქართული ამოცანა აღარ არის და არც თუნდაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა. ეს საკითხი რუსეთსა და დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროს შორის უნდა გადაწყდეს... საქართველოს დამოუკიდებლობა და შემდგომი გაძლიერება აღვირახსნილ რუსეთსა და მთელ თავისუფალ სამყაროს შორის განსახილველი საკითხია...

საქართველოს მომავალი... უკვე მხოლოდ საქართველოს მომავალი არარის, ეს დემოკრატიის, თავისუფლების და ე.ი. მთელი ცივილიზებული კაცობრიობისა და მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მომავალია“. (სააკაშვილი, 2008ა)

რესპონდენტთა მიერ ომის დროს ხელისუფლების ქმედებების უარყოფითად შეფასების და მიუხედავად (მაგ. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ შესაძლებელი იყო ომის თავიდან აცილება; გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა უარყოფითი შეფასება მისცა სახელისუფლებო სტრუქტურების მოქმედებებს ომის დროს) სავარაუდოთ საკუთარი უმწეობის განცდის გამო გაიზარდა ძალაუფლების მქონე სხვებისადმი დამოკიდებუ-

ლების გაზრდა. ომამდელ პერიოდთან შედარებით გაიზარდა სახელი-სუფლებო სტრუქტურებისადმი ნდობა და სააკაშვილის რეიტინგი.

ომმა ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდეგ უცვლელი დარჩა მოსახლეობის მიერ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის აღქმა, შემცირდა ეკონომიკური ოპტიმიზმი, იმათი რაოდენობა, ვინც უახლოეს ერთ ან სამ წელიწადში ელის საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ომის შემდგომ მოსახლეობას უფრო მეტად აღელვებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა. შემცირდა იმ ადამიანების წილი, ვინც გამოთქვამს საკუთარ თავში რწმენას, ცხოვრებით კმაყოფილებას და ზოგადად ნდობას სხვა ადამიანების მიმართ.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების უფრო დიდი სიმწვავე საომარი მოქმედებების არეალში მცხოვრებ მოსახლეობაში შეიძლება იმის დასტურად ჩაითვალოს, რომ ჩვენ ორ გამოკითხვას შორის მომხდარი ცვლილებები სწორედ ომით არის გაპირობებული.

საფრთხე ხშირად იწვევს ფსიქოლოგიური დაცვის რეაქციას, რაც წარმოადგენს ისეთი მტკივნეული ემოციების რეგულაციის პროცეს, როგორებიცაა შფოთვა, დეპრესია და თვით-შეფასების შემცირება (Freud, 1936). დაცვის ამოქმედება ხდება, როგორც შინაგანი მიზეზებით – საკუთარი აზრებისა და სურვილების შიშის შედეგად, ასევე გარე საფრთხის არსებობის შემთხვევაში (Paulhus, Fridhander., & Hayes, 1997). იმ შემთვევაში, როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს არსებული გამოცდილების ინტეგრაციას ის დგება არჩევანის წინაშე, ან გააცნობიეროს გამოცდილებით გამოწვეული შფოთვა ან უარი თქვას მის გაცნობიერებაზე, უგულვებელყოს რეალობა და ამ გზით შეამციროს შფოთვა. უარყოფა დაცვის ყველაზე მარტივ და პიროვნების განვითარების თვალსაზრისით ყველაზე პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენს. იგი ძირითადად გარე სამყაროს მტკივნეული მხარეებისგან თავის დაცვას წარმოადგენს (Goldberg, 1983), თავის მოტყუება კი მისი განხორციელების ერთ-ერთ მექანიზმია.

ომით გამოწვეული შიშის, დამცირების, დეპრესიის შედეგად დაცვის მექანიზმის ამოქმედება გასაკვირი არ უნდა იყოს. უარყოფის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ 2008 წლის 11 აგვისტოს პარლამენტის წინ გამართული კარნავალური ხასიათის (კაჭკაჭიშვილი, 2008) მიტინგი და ასევე განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს ომი არ წაუგია (მაგ. საკაშვილი, 2009). დროის ხანმოკლე პერსპექტივიდან დაცვის მექანიზმი ხშირად ფუნქციონალურია, რადგან რაციონალური ქმედებების მეშვეობით უსიამოვნო სიტუაციის შეცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში მას დროებით შვება მოაქვს ადამიანისთვის, მაგრამ იგი ძალზე საშიშია დროის ხანგრძლივი პერსპექტივიდან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებს და მითუმეტეს, როდესაც ეს საზოგადოების დონეზე ხდება. უარყოფა და თავის მოტყუება, სხვა არაფერია თუ არა უარყოფა და თავის მოტყუება, რაც ინფანტილიზმის გამოხატულებას წარმოადგენს. როგორც ეს გრიგოლ რობაქიძემ ჯერ კიდევ საუკუნის წინ აღნიშნა: „თავის მოტყუებას ძვირად დაგვიჯენს ისტორიული ჭეშმარიტება“ (ციტირებულია კიკნაძე, 2008 მიხედვით). უარყოფა ან სიმართლის აღიარებაზე უარის თქმა კონფლიქტის გადაჭრისა და განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორს წარმოადგენს.

ცალსახაა, რომ ომი ძალზე უარყოფითი და მძიმე გამოცდილება იყო მთელი ქვეყნისათვის, მან შეიწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლე და კიდევ უფრო მეტის ჯანმრთელობა, სახლი დააკარგინა ასეულობით ოჯახს, სხვა გეზი მისცა უამრავი ადამიანის ცხოვრებას. მაგრამ ეხლა გვინდა ავღნიშნოთ ის, რაც შეეძლო რომ ომს გამოეწვია და საბედნიეროდ არ გამოიწვია. ეს უპირველეს ყოვლისა არის ქსენოფობია. ომმა არ გამოიწვა სიძულვილი ოსი და აფხაზი ადამიანების მიმართ, კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარების მომხრეთა რაოდენობა.

ქვეყნის მომავალი გარკვეულწილად მის არჩევანზეა დამოკიდებული, იმაზე თუ რა შეფასებას მისცემს ის ომში მიღებულ გამოცდილებას, გააცნობიერებს ომის მიზეზებს და დაშვებულ შეცდომებს, თუ თვალს დახუჭავს მათზე და დროებით სიმშვიდის მოპოვებას ჭეშმარიტების უგულვებელყოფით შეეცდება.

Abstract

Nana Sumbadze
Public Opinion on August War

The article reflects fo the results of the representative survey of Georgia's population on August, 2008 war carried out in November, 2008.

Population rated the August war as the most important event of the year, the majority of the population (68.3 percent) considered annexation of Abkhazia and Ossetia as the main motive behind Russian invasion, but more than the half of the population thought that it was possible to avoid the war.

The actions of Georgian authorities in the war were generally negatively evaluated. The majority (79.4 percent) thought that the authorities should have warned the population on the possibility of the conflict and on potential threats. Merely half of the surveyed (50.7 percent) and only one-third (29.5 percent) considered the actions of the army and the authorities as appropriate respectively.

Assessment of the consequences of the war was closely connected with political preferences of the population. The supporters of the authorities evaluated the deeds of the President and the Government much more positively, and shared the official assessment of the results of the conflict, than the supporters of opposition or people without any definite political preferences.

Political affiliation can be assumed to depend on the impact of the war on population. Fear, anxiety and feeling of helplessness are emotions mostly associated with war. Fear increases person's dependence on people in power and institutions, and strengthens the support of the actions carried out by them. Therefore, in the

regions directly affected by war, i.e. Kvemo Kartli and Samegrelo, the population exhibited greater support of the President and the Government (47.9 percent) compared to 24.6 percent in the rest of the country.

The war did not induce xenophobia in the population . Despite the critical evaluation of the possibility of return, the majority (67.3 percent with respect to Abkhazia and 66 percent to Ossetia) considered peaceful coexistence with Abkhazians and Ossetians as possible.

The impact of the war was reflected not only in the evaluation of the deeds of authorities in regard to the war, but also on their overall effectiveness. Compared to 38.5 percent of the rest of the population, 52.1 percent of the war zone population believed that Georgia was on the right path of development. They also supported more the idea of the President having the biggest share of the power (27 percent compared to 15.8 percent of the population of the unaffected zone). Larger section of war affected population (37.4 percent compared to 20.8 percent) believed that authorities took into account the needs and wishes of citizens.

The feeling of security was also higher among the population of the war affected territories. More respondents from the war effected zone (34.1 percent in contrast to 15.6 percent) thought that human rights were protected in the country; that citizens were equal under the law (33.9 percent in contrast to 18.8 percent). In addition, more of them felt further secured from injustice (37.1 percent compared to 18.2 percent). The share of those who thought that there was democracy in Georgia was bigger among people from the war affected territories (37 percent compared to 19.4 percent).

Threat often evokes reaction of psychological defence, which is a process of regulating painful emotions such as anxiety, depression and decrease of self-esteem. Denial is the simplest and the most primitive form of defence. Providing temporal relief, defence mechanisms are often functional from short-term perspective, but are very dangerous from a long-term perspective. Refusal or inability to acknowledge the truth creates significant hindrance in conflict resolution and development in general.

The future of the country considerably depends on the choices it makes and on how it will utilize the experience gained from the war, will it become aware of the causes of war and mistakes committed, or will it ignore them and try to find temporal relief through denial.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

კაჭკაჭიშვილი, ი. (2008). ომიდან კარნავალამდე. ცხელი შოკოლადი, ოქტომბერი, 42.

კიკნაძე, ზ. (2008). მიჯაჭვული ამირანი. ცხელი შოკოლადი, ოქტომბერი, 42.

სააკაშვილი, მ. (2008ა).საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა თანამემამულეებისადმი. 26 აგვისტო, 2008 წელი www.president.gov.ge

სააკაშვილი, მ. (2008ბ).საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა თანამემამულეებისადმი. 31 აგვისტო, 2008 წელი. www.president.gov.ge

სააკაშვილი,მ.(2009). სააკაშვილის პასუხები თოკ-შოუ „პოზიცია“-ს შეკითხვებზე. www.president.gov.ge

საანგარიშო მოხსენება (2008). ადამიანის უფლებები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება. 2008 წლის პირველი ნახევარი.

Cheterian, V. (2009).The August 2008 war in Georgia: from ethnic conflict to border wars. Central Asian Survey. Vol.28, No.2, 155-170.

Crisis group (2007). Georgia sliding towards authoritarianism. Europe Report No189, 19 December, 2007

Goldberg, L. (1983). The concept and mechanisms of denial: A selective overview. In: S.Breznitz (Ed.).The denial of stress. Pp.83-101. N.Y.: International Universities Press.

Freud, A. (1936) The ego and mechaniisms of defence.N.Y.: International Universities Press.

IIFFMCG (2009). Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. Report

Lauer, R.H. (1998). Social problems and quality of life. Boston: McGrow Hill.

Levinson, A. (2009). Russian public opinion on the Georgia War. http://www.opendemocracy.net

McCauly, C. (2002).Psychological issues in understanding terrorism and response to terrorism. In: Ch.E. Stout (Ed.). The Psychology of Terrorism. Vol.2. p.3-30.

Mollica, R.F.,et al. (1994). The effect of trauma and confinement on functional health and mental health status of Cambodians living in Thailand-Cambodia border camps. Journal of the American medical Association 270 (August,4) 581-586

Paulhus, D.L., Fridhander, B., & Hayes,Sh. (1997). Psychological defence: Contemporary theory and research. In: R.Hogan., J.Johnson., & S.Briggs (Eds). Handbook of Personality Psychology. San Diego: Academic Press.

Schlebush,L., and Bosch, B.A. (2002). The emotional injuries of indirect trauma. In: Ch.E. Stout (Ed.). The Psychology of Terrorism. Vol.2.

ირინა ღვინერია

მულტიმედიური ფორმების გამოყენების პირველი შედეგები ჟურნალისტური განათლების სისტემაში

ნაწილი 1

ჩვენი სამიზნე აუდიტორია

XXI საუკუნის სტუდენტები, დამეთანხმებით, გაცილებით ნაკლებად წიგნიერნი არიან, ვიდრე წინა თაობები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ისინი ინფორმაციის ვრცელ მასას ფლობენ. როგორ გადავიყვანოთ რაოდენება ხარისხში? ჩემი აზრით, უპირველესად, უნდა დავეხმაროთ ახალგაზრდებს მათი ინფორმაციის სისტემატიზაციაში, რამეთუ, განათლება – სისტემაში მოყვანილი ცოდნაა.

კომუნიკაციის თეორიების არსის ცოდნა გვაძლევს შემეცნების პროცესის ახლებურად გააზრების საშუალებას. თეორიაში ძალიან ღრმად რომ არ შევიჭრათ, საკმარისია გადავხედოთ სასწავლო პროცესს სიმბოლოთა სისტემების[1] გამოყენების ეფექტურობის პოზიციიდან. ცნობილია, რომ დაწერილი სიტყვა – ყველაზე დაბალგადამცემუნარიანი სიმბოლოა: სიმბოლოთა ამ სისტემის გამოსაყენებლად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა იმ ენაზე, რომელზეც ტექსტია შესრულებული, ან, თუნდაც, ზოგადად წერა-კითხვის ცოდნა. დაწერილ ტექსტთან მუშაობა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს ადამიანისაგან. თუ თანამედროვე სტუდენტებს ვიგულისხმებთ, მათთვის ეს კიდევ უფრო რთულ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. უმთავრესი ისაა, რომ დაწყებითი სკოლა, როგორც წესი, ველარ უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ შესაბამისი კითხვის ტექნიკის ათვისებას. ამის მიზეზად შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ტექნოლოგიების

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდა თაობა ინფორმაციის ათვისების სხვა სისტემასაა შეჩვეული. ამერიკელი მეცნიერი დუგლას რაშკოფი თავის წიგნ „მედიავირუსში“ წერს: „ამერიკის ნებისმიერ სახლში დღეს ინფორმაციული საშუალებების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობაა თავმოყრილი, ვიდრე ყველაზე თანამედროვედ აღჭურვილ ახალი ამბების სტუდიში იყო 10 წლის წინ... მოდემიანი პერსონალური კომპიუტერი – მოზარდის ოთახის სტანდარტულ ელემენტად იქცა... მოგვწონ თუ არა, მაგრამ ჩვენ ინფორმაციაზე დაფუძნებულ საზოგადოებად ვიქეცით“.[2]

სკოლაში მისვლამდე ბავშვი ინფორმაციის ჩამოყალიბებული მომხმარებელია, ის მისთვის საჭირო ცოდნის მისაღებად ტექნოლოგიების გამოყენებასაა შეჩვეული. ეს ტექნოლოგიები მას გაცილებით უფრო მაღალგადამცემიანი სიმბოლოებით ოპერირებას სთავაზობს. მოსმენილი და დანახული ინფორმაცია გაცილებით უფრო ადვილად აღწევს ცნობიერებაში, ვიდრე დაწერილი, ხოლო ცოდნის გაზიარების ტრადიციული ზეპირსიტყვიერი, ანუ, ინფორმაციის მხოლოდ აუდიოარხებით მიწოდების ფორმები ვეღარ უწევენ სათანადო კონკურენციას ელექტრონულ საშუალებებს. „. . . დადგინდა, რომ ბავშვები ვიზუალური კომპონენტებიდან მეტ ინფორმაციას ღებულობენ, ვიდრე ვერბალურიდან. თუმცა, ამ ორი კომპონენტის შერწყმის შედეგად მიღებული ჭარბი ინფორმაცია მთლიანობაში ხელს უწყობს აღქმას, – ვკითხულობთ „რიჩარდ ჰარისის წიგნში“ მასობრივი კომუნიკაციების ფსიქოლოგია, – ეს ჩვენი კოგნიტიური სისტემის ბუნებრივი მახასათებელი და არა ტელევიზიის გაჩენით გამოწვეული თვისებაა. ვიზუალური ასპექტი ზრდასრული ადამიანების ცხოვრებაშიც ინარჩუნებს უპირატესობას... ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ ზრდასრულ ადამიანებსაც ვიზუალური მეხსიერება ვერბალურზე უფრო მტკიცე აქვთ“[3].

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკური იქნება მაქსიმალურად მივუახლოვოთ სწავლების, ანუ, ინფორმაციის გაზია-

რების მეთოდი, სტუდენტებისათვის ნაცნობ, მარტივ და მეტად ეფექ-ტურ ფორმებს.

სასწავლო პროცესის სრულყოფის გზები.

ამ ამოცანის გადასაჭრელად, უპირველესად, უნდა განვსაზღვ-როთ კრიტერიუმები, რომელთა თანახმადაც დავიწყებთ ტრადიციული სწავლების მეთოდების გათანამედროვებას. ყოველი პოზიცია თანაბრად მნიშვნელოვანია. სასურველია, ცხადია, რომ დასმული პრობლემების გადაჭრა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდეს.

ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- საქართველოს პირობებთან ადაპტირებული თანამედროვე სას-წავლო პროგრამების შემუშავება;
- პედაგოგების მუდმივი პროფესიული ზრდისათვის პირობების შექმნა;
- სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყ-ოფა;
- პედაგოგების უზრუნველყოფა თანამედროვე დარგობრივი ლი-ტერატურით;
- სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო ლიტერატურით;
- ელექტრონული სწავლების ფორმების დანერგვა თითოეული უმაღლესი სასწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შე-საბამისად და ა.შ;

ვფიქრობ, ეს პრობლემები მეტნაკლებად საერთოა ყველა ქართული უნივერსიტეტისთვის.

რით დავიწყოთ?

ჩვენი აზრით, იმის ლოდინი, როდის მოვა ქართული უმაღლესი სასწავლებლების ბაზა მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობაში, წამგებიანი პოზიცია იქნება, მით უფრო, რომ ასეთი სტანდარტი არ არსებობს. იგივე აშშ-ში გვერდიგვერდ არსებობენ განსხვავებული ტექნიკური ბაზების მქონე „მდიდარი“ და „ღარიბი“ უნივერსიტეტები.

თანაც, მატერიალურ-ტექნილური ბაზის სრულყოფა არ არის აკადემიური პერსონალის პრეროგატივა.

როგორც ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ყველაზე რთული – პედაგოგებისთვის სწავლების ელექტრონულ მეთოდებზე გადასვლის სწორი მოტივაციის ჩამოყალიბებაა. ინოვაციების დანერგვა ეტაპობრივ რეჟიმში ახალი მეთოდიკის პოპულარიზაციის პარალელურად, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო სწრაფად გამოიღებს დადებით შედეგს, ვიდრე ფორსირებულ რეჟიმში ჩატარებული კამპანია. განათლების სფერო, თავისი არსით, მემკვიდრეობითობაზე და დიდაქტიკაზეა აგებული, ამიტომაც, არარაციონალურია, როცა რევოლუციური ცვლილებები ძველი მიღწევების კატეგორიული უარყოფის და მათი არააპრობირებული ახლით უპირობო ჩანაცვლების გზით ხდება. სწავლების ელექტრონულ მეთოდებზე გადასვლისას კარგი იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა ეს მომენტი და ინოვაციები ევოლუციური გზით დაგვენერგა.

„ევოლუციური“ მეთოდის უპირატესობანი

სულ სამიოდე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგები მათ მიერ წაკითხული ყოველი საგნის სილაბუსს ქმნიან. თავდაპირველად ამ მოთხოვნამ პროფესორთა კრიტიკა და უკმაყოფილება გამოიწვია. ბევრში სიტყვა „სილაბუსი“ რთულად დასაძლევი დაბრკოლების ასოციაციას იწვევდა, არადა, სილაბუსი – სტუდენტებთან კონტრაქტის სახით დასადები მოდერნიზებული კარგად ნაცნობი კალენდარული გეგმაა, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-ვალდებულებანი. ვფიქრობთ, ამგვარი განმარტება თავის დროზე გაცილებით გაამარტივებდა და დააჩქარებდა პროცესს.

ანალოგიურად, ელექტრონული სწავლების მეთოდების დანერგვის პროცესს გაცილებით უფრო გაამარტივებს განმარტებითი სამუშაოები პროფესორ-მასწავლებლებთან ელექტრონული სწავლების ცალკეული ფორმების, როგორც ტრადიციული პედაგოგიური ინსტრუმენტარის განვითარების შემდეგი ეტაპის, წარმოჩენა.

დღეს გვინდა ვისაუბროთ სამ ფორმაზე: რიდერზე (საკითხავი მასალა), ელექტრონული ფოსტის გამოყენებაზე და პრეზენტაციაზე.

რიდერი

ჩვენს სფეროში ქართულენოვანი საკითხავი მასალა ყველა დროში პრობლემა იყო. ზოგი პროფესორი ლექციების კურსის გამოცემას ახერხებდა, მაგრამ ისეთ დინამიურ დარგებში როგორც ჟურნალისტიკაა, ასეთი კურსები აქტუალობას მალევე კარგავენ:

- გამოსაცემად მომზადებას და დაბეჭდვას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება:
- წიგნის დაბეჭდვა სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული. თუ ავტორი არ ფინანსდება სპონსორის მიერ, მას ხარჯების გაღება თავად უწევს, ამ ხარჯების წიგნის საკუთარ სტუდენტებში რეალიზაციიდან შემოსული თანხებით ანაზღაურების პერსპექტივით, რაც არსობრივად არაეთიკურ სიტუაციას ქმნის;
- რიდერის ვერსიის ქსეროასლების გავრცელება ერთგვარი ალტერნატივაა, მაგრამ მისი რედაქტირების შემთხვევაში ძველი ასლი აქტუალობას კარგავს;

რიდერის ელექტრონული ვერსია აგვარიდებს თითქმის ყველა პრობლემას. ცხადია, დაწყებით ეტაპზე მასზე მუშაობა პედაგოგისგან საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვს, სამაგიეროდ, შემდგომ ეტაპზე თქვენ სრულიად უფასოდ ღებულობთ სახელმძღვანელოს, რომელსაც შემდეგი დადებითი თვისებები ახასიათებს :

- ეტაპობრივად, ყოველი ლექცია-სემინარის თემის შესბამისად შედგენა;
- ელექტრონული რიდერის ტექსტზე სახლიდან გაუსვლელად მუშაობა ერთდროულად რამდენიმე ავტორს შეუძლია;

- ავტორს შეუძლია მიიწვიოს სპეციალისტი ონ-ლაინ რეჟიმში კონსულტირების ან ტექსტზე ნებისმიერი სხვა ფორმით სამუშაოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად;
- ნებისმიერ დროს ტექსტის კორექტირება, შეცვლა, გავრცობა, რევიზია;
- თავისუფალი ან შეზღუდული წვდომის რეჟიმში ინტერნეტში განთავსება;
- სტუდენტებისათვის ტექსტის მხოლოდ მასალის გარკვეული მონაკვეთის ჩვენება;
- ტექსტში ილუსტრაციების, გრაფიკების, დიაგრამების, აუდიო- და ვიდეომასალის განთავსება;
- ორიგინალური ნაშრომის ინტერნეტში განთავსების შემთხვევაში არსებობს საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები.

ცხადია, უნივერსიტეტების ადმინისტრაცია დიფერენციულად უნდა მოეკიდოს პედაგოგების მიერ რიდერების მომზადების საკითხს. იმ პედაგოგებისაგან, რომლებიც სარგებლობენ ტრადიციული და ხელმისაწვდომი ლიტერატურით, რიდერების ტექსტის შედგენის მოთხოვნა, ცხადია, სავალდებულო არ უნდა იყოს.

ელექტრონული ფოსტის გამოყენება – სწავლების ინტერაქტული მეთოდი

როგორც წესი, ინტერნეტის ათვისებისას ელექტრონული ფოსტით სარგებლობა პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა. რისთვის და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ის სასწავლო პროცესში?

ელექტრონული ფოსტის გამოყენება განსაკუთრებულად ამარტივებს იმ პედაგოგების ყოფას, ვისაც წერითი დავალებების დიდ რაოდენობასთან უწევს მუშაობა:

- ნაშრომის დაკარგვის საშიშროება არ არსებობს;
- ზუსტად ფიქსირდება დავალების გამოგზავნის თარიღი და დრო;

- მოხსნილია ნაშრომების შენახვასთან დაკავშირებული პრობლემები;
- პროფესორს შეუძლია საკუთარი დრო უკეთ დაგეგმოს;
- მუშაობის ასეთი ფორმა ქაღალდის და, შესაბამისად, ტყეების დაზოგვის ერთერთი ძირითადი საშუალებაა.

ამ ფორმის გამოყენება ძალიან მოსახერხებელია საატესტაციო ნაშრომებზე მუშაობისას, თუმცა, დღეს უკვე კიდევ უფრო გამარტივებული და მრავალფუნქციური ელექტრონული რესურსებიც არსებობს.

პრეზენტაცია

ბოლო თემა, რომელზეც გვინდა შეჩერება – პრეზენტაციაა. ლოგიკურად, ის ეხმიანება ჩვენს მსჯელობას ახალგაზრდა თაობის ინფორმაციულ ჩვევებზე [4].

არსობრივად, რა არის პრეზენტაცია და რომელი აპრობირებული მეთოდური ხერხის მემკვიდრეა ის?

ჯერ კიდევ სასკოლო ასაკიდან კარგად გვახსოვს „თვალსაჩინო" მასალები – რუკები, პლაკატები, მულიაჟები, რომლებიც ახალისებდნენ სწავლის პროცესს და, გარვეულწილად, ცოდნის ხარისხის ამაღლებდნენ კიდეც. Power Point-ის პროგრამაში შესრულებული პრეზენტაცია ძალიან ნაყოფიერად ავითარებს ამ ტრადიციას. ამ პროგრამაში მუშაობა შეუძლია ელემენტარული კომპიუტერული ანბანის მცოდნე ნებისმიერ ადამიანს.

რა დადებითი მხარეები აქვს პრეზენტაციის გამოყენებას:

- პრეზენტაცია – ეკრანზე გამოტანილი კონსპექტია;
- მეხსიერების მაქსიმალურ გააქტიურებას ტექსტური სლაიდების შესაბამისი ილუსტრაციებით გაფორმება უწყობს ხელს;
- მაღალგადამცემუნარიანია, რადგანაც სტუდენტები ერთდროულდ ღებულობენ ვერბალურ და არავერბალურ, აკუსტიკურ და ვიზუალურ ინფორმაციას;
- სლაიდები იძლევა ნებისმიერი ვიზუალური ინფორმაციის დემონსტრირების საშუალებას (ნახ. 1);



ნახატი 1. ილუსტრირებული სლაიდები

- კარგი მაორგანიზებელი მომენტია პედაგოგისთვის;
- რედაქტირება ადვილადაა შესაძლებელი.

რა თქმა უნდა, პრეზენტაციების მომზადებას აზრი ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უნივერსიტეტს მისი დემონსტრირებისთვის საჭირო პირობები აქვს.

რამდენად ეფექტურია ელექტრონული სწავლების მეთოდების გამოყენება

პედაგოგის არსენალში ყოველი ახალი ელექტრონული რესურსის დამატებას, ცხადია, გამართლება უნდა ჰქონდეს. ღირს კი ყველაფერ ამაზე დროის და ენერგიის დახარჯვა?

ბოლო 3 წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნამდვილად ღირს.

ჩვენი ქართული უმაღლესი ჟურნალისტური სკოლისთვის, ზოგადად უმაღლესი სასწავლებლების წინაშე მდგარ პრობლემებთან ერთად, სპეციფიკური პრობლემების ნაკრებიცაა დამახასიათებელი. უპირველესი – სახელმძღვანელოების და სხვა დამხმარე ლიტერატურის არარსებობა ქართულ ენაზე. რა სირთულეები ახლავს ახალი სახელმძღვანელოს შექმნას – უკვე განვიხილეთ. რიდერის ელექტრონული ვერსიის შექმნამ ბევრად გაამარტივა სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერა-

ტურით სარგებლობის შესაძლებლობა, ხოლო მე, როგორც რიდერის ავტორს, ყოველი ლექციის წინ, თუ ეს საჭიროა, ტექსტში კორექტივების შეტანის საშუალება მაქვს. ბოლო 4 სემესტრის სტატისტიკის თანახმად, რიდერის ტექსტს სტუდენტებმა 2475-ჯერ მიმართეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში საგანი „მედიამენეჯმენტი“ 274 სტუდენტმა გაიარა, შესაბამისად, საშუალოდ, თითოეულმა სტუდენტმა რიდერს 9-ჯერ მიმართა.

ამავე პერიოდში (2007-2008 და 2008-2009 სასწავლო წლების 4 სემესტრი) ელექტრონული ფოსტის საშუალებით სტუდენტებისგან 1453 წერითი დავალება და სხვა ინფორმაციაა შემოსული. ცხადია, დაფიქსირებულია შემოსვლის თარიღი, რაც დავალებების შეფასებისას შეიძლება დამატებით კრიტერიუმად იყოს გამოყენებული – მაგალითად, დაგვიანებული დავალებების ქულათა ნაკლები რაოდენობით შეფასების დროს. გარდა ამისა, ფიქსირდება ნაშრომის პირველადი სახე და პედაგოგის მიერ შეტანილი კორექტივები და შენიშვნები, რაც, ასევე, შეფასების დროს მყარი არგუმენტია. ასეთი ზუსტი აღრიცხვა გამორიცხავს ნებისმიერ გაუგებრობას თუ სპეკულაციას სტდენტების მხრიდან და შეფასების პროცესს სრულიად გამჭირვალეს ხდის. მინდა მოგახსენოთ, რომ ორივე ეს ელექტრონული რესურსი, მომსახურეობის სხვა ფორმებთან ერთად, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულია პედაგოგის საიტზე და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვს.

მესამე ფორმა, რომელზეც იყო საუბარი, პრეზენტაციაა.

დიდ აკადემიურ ჯგუფებში მუშაობისას საკმაოდ რთულია მთელი ლექციის განმავლობაში აუდიტორიის სტაბილური ინტერესის შენარჩუნება. ადგილიდან წამოჭრილ რომელიმე საკითხთან დაკავშირებულ მსჯელობას შეუძლია გამოიწვიოს თემიდან გადახვევა და, შედეგად, გასავლელი სასწავლო მასალისთვის ნაკლები დროის დათმობა. პედაგოგისთვის სლაიდზე განთავსებული ინფორმაცია ერთგვარი კარნახია, რაზე შეჩერდა და რითი გააგრძელოს საუბარი, თანაც, გასავლელი თე-

მის შესაბამისი სლაიდების რაოდენობა გვეხმარება ზუსტი ქრონომეტრაჟის დადგენაში.

როგორც უკვე ვისაუბრეთ, მასალის კომპლექსური (ვერბალური და არავერბალური, აკუსტიკური და ვიზუალური კომპონენტების გამოყენებით) მეთოდით მიწოდება სტუდენტების მიერ მასალის ათვისების ხარისხზე დადებითად მოქმედებს. სწავლების ეფექტურობის ამაღლების თვალსაზრისით, სლაიდ-შოუ ყველაზე ქმედითი საშუალება აღმოჩნდა.

2008 წლის პირველ სემესტრთან შედარებით, შემოვიღეთ და დავხვეწეთ რა პრეზენტაციების სისტემა, სტუდენთა შედეგების მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა (იხ. გრაფიკი 1).



გრაფიკი 1. სტუდენტების რაოდენობა და სლაიდ-შოუს გამოყენება ჯგუფში:

1. 2008 წლის I სემესტრი – 77, სლაიდ-შოუ გამოყენებული არ არის;
2. 2008 წლის II სემესტრი – 74, სლაიდ -შოუ გამოყენებულია რთული მასალის ასახსნელად;
3. 2009 წლის I სემესტრი – 66, სლაიდ -შოუ გამოყენებულია ცალკეულ ლექციებზე;
4. 2009 წლის II სემესტრი – 66, ლექციათა კურსი მთლიანად უზრუნველყოფილია სლაიდ-შოუთი .

მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის პროცესში კურსის შინაარსმა გარკვეული ცვლილებები განიცდა და 2008 წლის I სემესტრთან შედარებით დამატებულია საკმაოდ ვრცელი და რთული მასალა, სტუდენტების მიერ მიღებული ფინალური ნიშნების საშუალო არითმეტიკულის შედარების შედეგად დადგინდა, რომ საშუალო მაჩვენებელმა 54,6 ქულიდან 69,7 ქულამდე აიწია (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. სემესტრული შეფასებების საშუალო მაჩვენებლის დინამიკა

დასკვნა



სწავლების ელექტრონული მეთოდების გამოყენების ბოლო ოთხი სემესტრის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასწავლო პროცესის დახვეწის თვალსაზრისით მათ ძალზედ დიდი რესურსი გააჩნია:

- მოიხსნა ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის დეფიციტით გამოწვეული პრობლემები;
- სახელმძღვანელოს ტექსტის რედაქტირება და დახვეწა პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს;
- რიდერის ტექსტთან გამარტივებულმა წვდომამ გაზარდა სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების ინტენსივობა;

- ელექტრონული ფოსტით დავალებებზე მუშაობის მეთოდის შემოღების შემდეგ გაიზარდა სტუდენტთა აქტივობა ამ მიმართულებითაც;
- ზუსტი აღრიცხვიანობის პირობებში გაიზარდა ყურადღება შეფასების ამ კომპონენტის მიმართ;
- თემატური სლაიდ-შოუების როგორც სწავლების პროცესის ვიზუალიზაციის საშუალების გამოყენებამ ხელი შეუწყო სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას და აკადემიური მოსწრების ამაღლებას.

ცხადია, მიღწეული პროგრესი არა მხოლოდ ელექტრონული სწავლების ამ სამი ფორმის გამოყენებითაა მიღწეული. ჩვენ სასწავლო პროცესში ბევრი სხვა რესურსიც გვქონდა ჩართული, მაგრამ რიდერი, დავალებები და სლაიდ-შოუ ძირითად სასწავლო კომპონენტად იყო გამოყენებული, დანარჩენი რესურსები კი დამატებით საორგანიზაციო ფუნქციებს ასრულებდნენ.

---

[1] ინფორმაციას სიმბოლოთა სისტემების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ: http://irgemar.piczo.com/?g=27602750&cr=2

[2] Дуглас Рашкофф. Медиавирус.

[3] Ричард Харрис. Психология массовых коммуникаций.

[4] იხ. გვ.1, ჩვენი სამიზნე აუდიტორია

Abstract

Irine Ghvineria

This work is a review of the first practical results of implementing e-learning methodology into some of Journalism courses at Tbilisi State University.

We speak on the ways of making the communication process during classes between professors and students more effective, on the positive results of using the most high-corresponding symbols to present the data, on specifics and habits of information consuming by new generation of students, on tools of e-learning as the modified and modernized forms of traditional pedagogic methods.

According to our experience we represent, bring to a system and qualify the most easy-to-use at the beginning forms of e-learning, such as e-readers, e-mail and PowerPoint presentations.

At the end we share statistics on how using of e-learning methods affected on students and their grades during last 4 semesters (2007-2009 academic years).

ბრენდის როლი რეგიონის კულტურული ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში (ბორჯომის მაგალითზე)

ბორჯომი საქართველოს უპირველესი და უძველესი კურორტია, რომელსაც თავისი განვითარების მეტად მნიშვნელოვანი ისტორია გააჩნია.

1912 წელს ბორჯომის მინერალური წყლების პარკში, ეკატერინეს მინერალური წყლის საბადოს საკაპტაჟო სამუშაოების ჩატარების დროს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟინერი ა.მ. კორშინი, 9 არშინის სიღრმეზე აღმოაჩინა შვიდი პირველყოფილი პატარა აუზის იატაკისა და გვერდების ნაშთები, რომლებიც უხეშად გათლილი ქვის ნაწილებისაგან შედგებოდა. ბორჯომის მამულის მმართველის პ.ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის აზრით, იგი 1000 წლის ხანდაზმულობისაა. ამ აზრს იზიარებს პროფესორი გ.ნიორაძე.

ისტორიულ წარსულში ბორჯომის ხეობა შედიოდა ე.წ. თორის მხარეში, თორის საერისთავოში, რომელიც II-IV სს. დაარსდა. XVI-XVIII საუკუნეებში ბორჯომის ხეობა მიტაცებული იყო თურქების მიერ. იგი განადგურდა და გაუკაცრიელდა. წარმოებულმა ომებმა და მოსახლეობის მიგრაციამ ბორჯომის კულტურული ლანდშაფტი აბსოლუტურად წაშალა და იგი უღრანი ტყეებით დაიფარა. თუ XVI საუკუნეში საავალიშვილო მამული დიდ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და 56 სოფელს მოიცავდა 110-1500-მდე კომლით, 1595 წლისათვის ე.წ. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის“ შედგენისას, საავალიშვილოში 12 სოფელიღაა, სულ 79-მდე კომლით.

1829 წელს რუსეთ-თურქეთის ზავის საფუძველზე რუსეთმა შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები და მათ შორის ბორჯომის ხეობაც.

ქ. გორში იმხანად მდგარმა ხერსონის ცხენოსანთა პოლკმაა „მეორედ“ აღმოაჩინა ბორჯომის მინერალური წყლები. ბორჯომის მინერალური წყლების აღმოჩენის ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1825 წელი. სწორედ ამ დროიდან იწყება ბორჯომის ხეობის კულტურული ლანდშაფტის ახალი ჩამოყალიბების ისტორია.

თავისი დამახასიათებელი თავისებურებებით ბორჯომის მინერალური წყლების შესწავლა და კურორტის მშენებლობა პირობითად სამ ძირითად ეპოქად შეიძლება დაიყოს: დაფუძნების, აღორძინების და განვითარების პერიოდებად.

დაფუძნების პერიოდი იწყება ბორჯომის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების შესწავლით.

1837-42 წლებში დანიშნული ამიერკავკასიის მთავარმართებლის, გენერლის ქალიშვილი სასწაულებრივად განკურნება იყო ბორჯომის მინერალური წყლების პირველი ტრიუმფალური გამარჯვება. აქედან იწყება კურორტის არქიტექტურული რენესანსი: მათ საპატივსაცემოდ მინერალური წყლების ზედა წყაროს დაერქვა ეკატერინეს სახელი, ხოლო ქვედას – ევგენიასი. 1841 წელი ითვლება ბორჯომის მინერალური წყლების დაფუძნების პერიოდად და აქედან იწყება მისი აღორძინების ხანა.

ბრენდის აღმოჩენასთან ერთად იწყება რეგიონის ეკონომიკური განვითარება: 1830 წელს რუსეთის მთავრობამ ბორჯომის ხეობაში შუშის ქარხანა ააგო. ტყის მეურნეობის განვითარებასათან ერთად ამოქმედდა სკიპიდარის ქარხანა.

1844 წელს კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა მ. ვორონცოვი. მან ბორჯომი საზაფხულო რეზიდენციად აქცია, მისი უშუალო ხელისშეწყობით რეგიონში მოვლენილი იყვნენ იმ პერიოდისთვის საკმაოდ ცნობილი ექიმები, აშენდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, წყლის ბიუვეტები, სააბაზანოები, ეკლესიები, სასტუმროები, მინერალური წყლის პარკი, გაიყვანა გზები, მდინარე მტკვარზე ბორანი შეცვალა ხის ხიდით, ამასთანავე გაუმჯობესდა კურორტის სანიტარული მდგო-

მარეობა, გაიზარდა აგარაკების მეპატრეონეთა პასუხისმგებლობა, წყლის მარაგისათვის აშენდა აუზი, ხე-ტყეზე მომუშავე ჯარისკაცებისათვის მოეწყო ლაზარეთი 16 საწოლზე, აფთიაქითა და ლაბორატორიით, დამყარდა სატელეფონო კავშირი ბორჯომსა და თბილისს შორის, დაწესდა საფოსტო მიმოსვლა მარშრუტით – ბორჯომი-გორი; ბორჯომი-ახალციხე, ბორჯომი მიეკუთვნა ქალაქის ტიპის დასახლების ჯგუფს და ეწოდა დაბა ბორჯომი. გაიყვანეს გზა ბორჯომიდან სადგერის პლატოზე, 1849 წლის მარტში მიხეილ ვორონცოვმა ბორჯომის მინერალური წყლები გადასცა სამოქალაქო უწყებას და დაავალა ე.ს. ანდრეევსკის ბორჯომის მინერალური წყლების მოწყობის პროექტის შედგენა, რომლის განსახორციელებლად გამოყო 5000 მანეთი.

1850 წელს ბორჯომის სამხედრო ლაზარეთში თბილისიდან მოვლინებულმა აფთიაქარმა ზახაროვმა, საცობის კარგად მოწყობით 1300 – 0,5 ლიტრიან ოვალურ ბოთლში ჩამოასხა ბორჯომის მინერალური წყალი და ჩაიტანა თბილისში გასაყიდად. 1 ბოთლი 20 კაპიკი ღირდა. ეს იყო ბორჯომის მინერალური წყლების ბოთლებში ჩამოსხმისა და მის გარეთ გატანის პირველი მცდელობა.

რუსული პოლიტიკისა და ბორჯომის გარუსების მიზნით მიხეილ ვორონცოვმა 1853 წელს პოლტავიდან და ჩერნიგოვოდან ჩამოასახლა მალორასიელების 200 კომლი და დაასახლა სოფლებში, აქედან 132 ოჯახი ვერ შეეგუა აქაურობას და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდა. ეს არის რეგიონის ეთნიკური და კულტურული გარდაქმნის დასაწყისი.

კურორტის განვითრებას ხელი შეუშალა ყირიმის ომმა. თუმცა 1865 წელს ამიერკავკასიის მთავარმართებლად ინიშნება მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელმაც თავისი წინამორბედსავით კურორტი ბორჯომი საზაფხულო რეზიდენციად აირჩია. 1870 წლისათვის ბორჯომი რუსეთის იმპერიაში პირველი ხარისხის სამკურნალო სადგური გახდა და ევროპის სამკურნალო ცენტრებს არ ჩამოუვარდებოდა.

1871 წელს დამთავრდა მ.ნ. რომანოვის მავრიტანული ტიპის სასახლე, რომლის გახსნასაც დაესწრო თვით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II, მან ბორჯომის მამული სამემკვიდრეოდ აჩუქა მიხეილ რომანოვს.

1869 წელს შეიქმნა თბილისის გუბერნიის მინერალური წყლების სამმართველო, რომლის მმართველად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ადოლფ ალექსანდრეს ძე რემერტი. მისი მცდელობით სახელმწიფომ გამოყო 24 000 მანეთი კურორტის კეთილმოწყობისათვის.

ამ პერიოდში წყლების ექსპლუატაციის გასაუმჯობესებლად კაპიტალურად გადაკეთდა ეკატერინეს წყარო, გალერეა და საბაზანო, დანერგილ იქნა მკურნალობის ახალი მეთოდები (მ.შ. ელექტროპროცედურები), აშენდა პარკები, ბორჯომულაზე გაკეთდა რკინის ხიდები, მდინარე ბორჯომულას სანაპიროები გამაგრდა ჯებირებით, აშენდა მეტეოროლოგიური სადგური და სხვ.

1891 წელს დაიწყეს მინერალური წყლების ჩამოსხმა. უცხოელი მეცნიერების მიერ ჩატარდა №1 მინერალური წყაროს კაპტაჟი, რამაც გამოიწვია მინერალური წყლის დებიტისა და ხარისხის გაზრდა. იწყება კურორტის სტრატეგიული რესურსის მეცნიერული შესწავლა.

1892 წელს მ.ნ. რომანოვმა ლიკანში რენესანსის ტიპის ძვირფასი სასახლე ააგო (ლ.ნ. ბენუას პროექტით). 1893 წელს სერგეი მიხეილის ძე რომანოვმა (უმცროსი ძმა) თორის პლატოზე ააშენა ორსართულიანი სასახლე. რეგიონში ევროპული არქირექტურული სტილი მკვიდრდება.

ამავე დროს, საქართველოში კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდი იცვლება, საფაბრიკო-საქარხნო პერიოდით, რამაც გამოიწვია დაქირავებული მუშახელის შემოდინება. ბორჯომში გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი.

ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ბორჯომის ნაკრძალის შექმნას, რომლის ფლორისა და ფაუნის მოვლას გერმანელი სპეციალისტები ემსახურებოდნენ.

1894 წლისათვის ინჟინერ პუშჩეჩნიკოვის პროექტით აშენდა ხაშური-ბორჯომის რკინიგზა, 1902 წელს ბაკურიანის რკინიგზის მშენებლობა დამთავდა, რამაც ხელი შეუწყო კურორტისა და რაიონის შემდგომ აღორძინებას.

1896 წელს აშენდა ჩამომსხმელი ქარხანა, აღჭურვილი ახალი მანქანა-დანადგარებით, აქვე მზადდებოდა ბორჯომის მარილი და კვერები. აშენდა აგრეთვე მინის წარმოების ქარხანა, რომელიც 80% აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას შრომის პრიმიტიული წარმოების გამო.

1899 წელს ბორჯომის პარკის ტერიტორიაზე აიგო საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგური, 300 ცხენის ძალის სიმძლავრით, რომელიც აკმაყოფილებდა იმჟამინდელი კურორტის განათებას. დამთავრდა საორთქლმავლო დეპოს მშენებლობა ჩარხისწყალზე.

იწყება ბორჯომის ექსპორტი საზღვარგარეთ. მის რეალიზაციას ხელი შეუწყო მინერალური წყლის გამოკვლევებმა რუსეთის წამყვან, ავტორიტეტულ კლინიკებში და ლაბორატორიებში.

ამ პერიოდში ბორჯომს მრავალი გამოჩენილი ადამიანი სტუმრობდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ბორჯომში, წაღვერში, ახალდაბასა და ბაკურიანში გაიხსნა კერძო აფთიაქები. ამ დროისთვის ბორჯომში იყო 10-მდე სამრეწველო საწარმო, იზრდებოდა სავაჭრო ობიექტები, უმჯობესდებოდა კურორტის ინფრასტრუქტურა.

1904-06 წლებში მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე აშენდა საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა 15 საწოლზე.

ბორჯომის მინერალური წყალი საერთშორისო გამოფენაზე რამდენჯერმე აღინიშნა საპატიო ჯილდოებით:

1907 წელს ქ. სპაში (ბელგია) საპატიო დიპლომი, დიდი პრიზი;

1909 წელს ქ. ყაზანში – ოქროს მედალი;

1911 წელს დრეზდენში (გერმანია) – საპატიო დიპლომი.

ამავე პერიოდში საქართველოში მოგზაურობდა რუსი ფოტოგრაფი პროკუდინ-გორსკი. უნიკალური ფერადი ფოტომასალა, მოწმობს ბორჯომის იმჟამინდელ რეალურ სახეს.

საქართველოს გასაბჭოების პირველივე წლებიდან (1922წელი) რომანოვის სასახლეები სანატორიუმებად გადაკეთდა. ბორჯომს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სტრატეგიული კურორტის სტატუსი. საწარმოები და მინერალური წყლის საბადოები რესპუბლიკის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გადაეცა.

1926 წელს შეიქმნა „ბორჯომმინწყლების“ სამმართველო (ჩამომსხმელი, გაზის და მინის ქარხნები, ბორჯომჰესი და მინერალური წყლების რეალიზაციის კანტორა). 1928 წელს გაიმართა საქართველოს კურორტოლოგთა პირველი ყრილობა, შემუშავებული იქნა კურორტის განვითრების გეგმა. 1932 წელს კურორტების განვითარებაზე 10,935,000 მანეთი გამოიყო.

1933 წელს ბორჯომი გამოცხადდა დახურულ კურორტად, დაწესდა საკურორტო ბარათებით მკურნალობა. 1940 წლისათვის ბორჯომის ხეობის 17 სანატორიუმსა და დასასვენებელ ობიექტებში აღირიცხებოდა 2550 საწოლი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ბორჯომის მინერალური წყლების ჩამოსხმა და ბოთლების გამოშვება. იზრდება კურორტის გეოგრაფიული საზღვრები. ეს ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა არქიტექტურისა და სოციალისტური კულტურის დანერგვის პერიოდად.

ომის პერიოდში ბორჯომის ხეობის ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები გადაკეთდა ევაკოჰოსპიტლებად. ომის შემდგომ პერიოდში ფართოდ გაიშალა კურორტის განვითარების პერსპექტივები. ბორჯომი უშუალოდ მოსკოვის ყურადღების ცენტრში მოექცა. იგი კრემლის ოფიციალური ბრენდი ხდება. ბოთლს საგანგებო სპეც-ეტიკეტს აკრავდნენ.

ბორჯომი ერთადერთი წყალია საბჭოთა კავშირში, რომელის ექსპორტიც საზღვარგარეთ ხდება. 1961 წელს 423 000 ბოთლი ექსპორტირებული იქნა მსოფლიოს 15 ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, საფრანგეთში, ავსტრიაში და სხვ.

1980 წლისათვის ბორჯომის ხეობაში მოქმედი სამკურნალოდასასვენებელი ობიექტების სტუმართა რაოდენობა განისაზღვრებოდა 5195 საწოლით. ამ პერიოდისათვის ბორჯომი №1 ბრენდი გახდა, ყოველდღიურად მილიონამდე ნახევარლიტრიანი ბოთლი იყიდებოდა, ხოლო წარმოების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს – 400 მილიონ ბოთლს მიაღწია.

სწორედ ქ. ბორჯომის განვითარებამ განაპირობა ბაკურიანის საკურორტო ზონის ჩამოყალიბება.

პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც საქართველოში 1991 წელს დაიწყო, თითქმის დაანგრია არამარტო მინერალური წყლის წარმოება, არამედ მთელი საკურორტო დაწესებულებები, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკა.

შემდგომი აღორძინების ეტაპი 1995 წელს უკავშირდება. ქართული ეკონომიკის პრეცენდენტად შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ინვესტიციებისა და მენეჯმენტის მოწვევა და ქართველ მეწარმეებთან ერთად ბორჯომის მწარმოებელი კომპანია „Georgian Glass & Mineral Waters“-ის დაფუძნება. 15 წლიან პერიოდში წარმოების მოდერნიზაციაში 50 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია იქნა დაბანდებული. წარმოების მოცულობა 20-ჯერ გაიზარდა, გაფართოვდა მისი ექსპორტის გეოგრაფიაც. ამ მანძილზე ბორჯომი წარმოდგენილია 30-ზე მეტ ქვეყანაში, თითქმის ყველა კონტინენტზე და ხშირ შემთხვევაში ქვეყნის საიმიჯო სახეა. დსთ-ს ზოგიერთ სახელმწიფოში „ბორჯომი“ ზოგადად მინერალური წყლების სინონიმია.

წყლის მწარმოებელი კომპანია არის რეგიონალური ინფრასტრუქტურის აღორძინების, ხოლო ბრენდი ქვეყნის სოციალური და კულტურული პროექტების სპონსორი.

კომპანია „ბორჯომის“ შვილობილი კომპანია „ბორჯომმინწყლები“ აკონტროლებს „ბორჯომის“ საბადოს და ჭაბურღილებს, რომელთა მეშვეობითაც მოიპოვება მინერალური წყალი.

2004 წელს, კვლავ პირველად ქართულ ეკონომიკაში, კომპანია „ბორჯომი“ საერთაშორისო ჰოლდინგი გახდა. მან შემოიერთა უკრაინული წყლის მწარმოებელი კომპანია და 3 ბრენდი, 2006 წელს – 2 რუსული ბრენდი. მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, (მაგალითად 2006 წლის მაისში ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე ემბარგოს შემდეგ, ერთი თვის თავზე, მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენაზე ბორჯომმა ოქროს მედალი მიიღო) ჰოლდინგი ინარჩუნებს მინერალური წყლების უმსხვილესი და სწრაფადმზარდი მწარმოებლის სტატუსს დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში.

ბრენდის საერთაშორისო იმიჯი რეგიონის ინფრასტრუქტურისა და ტურისტული პოტენციალის განვითარების საუკეთესო წინაპირობაა.

Abstract

Baadur Cereteli,TSU assistant Professor

The Role of Brand in the Cultural Landscape Formation and Economic Development of Country (on the example of Borjomi)

The formation of the cultural landscape of the Borjomi region started about a millennium ago. In the Middle Ages, the Borjomi gorge was occupied and devastated by the Turks. The wars and a large scale migration of the population annihilated the cultural landscape of Borjomi.

It was in the 19th century that the Russian Royal family rediscovered it, with the Borjomi mineral water being the main incentive behind the cultural revitalization of the region.

The study of the properties of the Borjomi mineral water and the development of the resort encompasses three main stages: the establishment, revitalization and development.

The discovery of the brand stimulated the economic development of the region accompanied by new style architecture. The period was highlighted by the scientific and medical achievements and the first rail line.

As a result „Borjomi“ export to Russia and abroad started. „Borjomi“ was the only exported mineral water in the former USSR. In 1961, 423 000 bottles of „Borjomi“ were exported to 15 countries.

Borjomi used to be one of the top Soviet resorts. It was owing to the development of the town of Borjomi that the Bakuriani resort zone has developed too.

The collapse of the USSR and the accompanying economic slump was followed by the second renaissance of Borjomi in 1995, which was brought about by the foreign investments and the establishment of mixed Georgian-foreign Management. Owing to over 50 mln USD investment into the modernization of the enterprise in the last 15 years, the production now is 20 times larger and the Borjomi mineral water exported to more than 30 countries has become a kind of an icon, as much as to symbolize the mineral waters per se in some of the CIS States.

For the first time in the history of the Georgian economy, „Borjomi“ became an international holding in 2004.

The brand's international image holds promise of further development of the regional infrastructure and its tourism potential.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.პ. თვაური – „კურორტი ბორჯომი და მისი უნიკალური მინერალური წყლები“ 2000 და 2006 წწ.გამოცემები.
2. „კურორტ ბორჯომის წვლილი საქართველოს მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებაში“ (წარსული, აწმყო, მომავალი – 2007 წლის 6 ივლისის სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მასალებიდან). ბორჯომი-2008წ.
3. კომპანიის ვებ გვერდი www. Borjomi.com.ge

გიორგი ყიფიანი

სამოქალაქო საზოგადოება და მცირეწლოვანთა დაცვა მედიის მავნე ზეგავლენისაგან საქართველოში

საქართველოს ევროპის საბჭოს წევრობა გულისხმობს მართვისა და რეგულირების ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომლებშიც სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული. ევროპის საბჭოს რეკომენდაციები მაუწყებლობის სფეროში დეტალურად ადგენს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციებსა და რეგულირების კონკრეტულ მექანიზმებს, რომელთა შორის სანქციები და ფინანსური ჯარიმები აუცილებლობას წარმოადგენს (რეკომენდაციები R(89)7, R(97)19., იხ. მედიასთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს სამართლებრივი აქტების კრებული, 2004, გვ.15-43,153-184, რეკომენდაცია(2000)23, 2000). თანა-რეგულირების ევროპული მოდელი სახელმწიფო რეგულირებასა და თვითრეგულირებას შორის ისეთი შუალედური ფორმაა, როდესაც სახელმწიფოსა და მოხმარებელთა წარმომადგენლები ქმნიან რეგულირების ერთობლივ ორგანოს, რომელიც ახორციელებს თვითრეგულირების ეფექტურობის მონიტორინგს (Palzer C., 2002).ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ იქ სადაც არსებობს აქტიური და ასევე დამოუკიდებელი სამოქალაქო სექტორი, მარეგულირებელი ორგანოები მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია, მათ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები აკომპლექტებენ, მაგრამ მარეგულირებელი ორგანოები არაეფექტურია იმ

ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო სექტორი სუსტად არის განვითარებული (Телевидение в Европе, 2005).

თანარეგულირების მოდელი ფართოდ გამოიყენება მცირეწლოვანთა (პიროვნება 18 წლამდე) დაცვის დროს მედიის ინფორმაციული ზემოქმედებისგან, რაც გულისხმობს კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებისა და ჯარიმების დაწესებას დღის საათებში ბავშვებისთვის შეუფერებელი მასალის ტრანსლირებისთვის (Palzer C., 2002 გვ.4). ამ ტიპის დარღვევებისთვის ევროპაში ჯარიმა მინიმუმ 25 ათასი ევროა, აშშ-ში 325 ათასი დოლარი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მეორე ადგილზე გადადის, როდესაც საზოგადოების ზნეობრიობის დაცვის ამოცანა დგას ან იმ პირთა, რომლებიც ასაკის გამო სპეციალურ დაცვას საჭიროებენ. თუ თანარეგულირებას არ მოაქვს სასურველი შედეგები, სახელისუფლო ორგანო უნდა იტოვებდეს კანონით გათვალისწინებული ზომების პირდაპირ განხორციელების უფლებას. ქართულ კანონმდებლობაში ბავშვის ამ უფლებას იცავს მაუწყებლობისა და რეკლამის კანონები, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივი ნორმებისა და ეთნოფსიქოლოგიის შესაბამისი კრიტერიუმების ჩამოყალიბებას ინფორმაციის კატეგორიზაციისთვის მედიაში. ამ კრიტერიუმების ჩამოყალიბება მაუწყებლობის კანონის 50-ე მუხლის მიხედვით მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შემადგენელი ნაწილის სახით ხდება საზოგადოების წარმომადგენლებთან და მაუწყებლებთან კონსულტაციების საფუძველზე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ (კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2004)

ქართულ მაუწყებლობაში 90-იან წლებში საბჭოთა პერიოდის ცენზურის მოხსნის შემდეგ მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებები საერთოდ არ ხორციელდებოდა და მაუწყებლებს შეუზღუდავად შეეძლოთ

ისეთი მასალის ტრანსლირება, რომელიც აკრძალული იყო სხვა ქვეყნებში ღამის სააათებშიც კი. საზოგადოების მოთხოვნას ხელისუფლებას წესრიგი დაემყარებინა სატელევიზიო ეთერში არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. როგორც ჩანს, არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონისა და მავნე ზემოქმედების ინფორმაციის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიღება 2001 წელს უმეტესად ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებამ განაპირობა (კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, 2001). კანონი ისე დაიწერა, რომ მასში არ იყო განსაზღვრული რეგულირების კონკრეტული მექანიზმი, არ იყო მითითებული ორგანიზაცია, რომელიც დააკისრებდა მაუწყებლებს სანქციებს მცირეწლოვანთათვის მავნე მასალის ტრანსლირებისთვის. რათქმა უნდა ასეთმა არაქმედითმა კანონმა ვერ შეცვალა საქმის ვითარება და ძალადობისა თუ სექსის სცენების ტრანსლირება ისევ გრძელდებოდა დღის საათებში. კანონის ასეთი სახით მიღება შეიძლება იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ კანონმდებლებს არც ჰქონდათ ვითარების არსებითად შეცვლის სურვილი და ევროპული კანონმდებლობის ანალოგიური, მაგრამ არასრული ცვლილება მხოლოდ ქაღალდზე მოახდინეს. მაუწყებლობაში მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებათა დამკვიდრების მიმდინარეობა საინტერესო მასალას იძლევა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის პროცესის შესასწავლად საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი ლობირებული იყო პარლამენტში იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ბავშვთა პრობლემებზე მუშაობდნენ, მაგრამ ამ ორგანიზაციებს არ გაუგრძელებიათ კანონის ამოქმედებისთვის საქმიანობა, ერთ-ერთმა ლობისტმა საერთო სერიით „აუცილებელი წიგნი მოზარდთათვის“ გამოსცა წიგნები (ლებანიძე თ., 1998, ბელი

რ. 2001), რომლებიც ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიერ შემდეგ შეფასდა როგორც მოზარდთათვის შეუფერებელი არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის კრიტერიუმების საფუძველზე (ადამიანის უფლებების მიმოხილვა, 2003). სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის მცირე ინტერესს მცირეწლოვანთა დაცვისათვის მედიაში ისიც ადასტურებდა, რომ იმ პერიოდში არ გამოჩნდა საზოგადოებრივი ძალა, რომელიც იზრუნებდა კანონის ამოქმედებაზე სატელევიზიო სივრცეში. ამდენად კანონს 2004 წლამდე პრაქტიკულად არც უმოქმედია.

2003 წელს დაზუსტდა კომუნიკაციების დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის სტატუსი, როგორც კონკრეტული ორგანიზაციისა, რომელსაც შეეძლო არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევისთვის სანქციების დაკისრება. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო სექტორიდან მცირეწლოვანთა დაცვის მოთხოვნით მხოლოდ მცირერიცხოვანი რელიგიური ორგანიზაციები აქტიურობდნენ, რაც ბუნებრივია დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა სატელევიზიო კომპანიებს და სატელევიზიო ეთერში გრძელდებოდა ძალადობის, ნარკოტიკების მოხმარებისა და სექსის სცენების დემონსტრირება დღის სააათებში. კომუნიკაციების კომისიამ ამ მიმართვების საფუძველზე დაადასტურა მრავლობით დარღვევათა ფაქტი და რამდენჯერმე გააფრთხილა მაუწყებლები სანქციების ამოქმედების შესახებ (კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება № 218, 2004).

აღსანიშნავია, რომ მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონი პირდაპირ ითვალისწინებდა ფილმისთვის ევროპულ ქვეყნებში მინიჭებული კატეგორიის გადმოტანას ქართულ სივრცეში, თუ მაუწყებელი განსხვავებულ შეფასებას არ მიანიჭებდა. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი გულისხმობდა სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის მონაწილეობას

რეგულირებაში: მოდელი მოიცავდა ახალგაზრდობის დეპარტამენტს, რომლის ხელმძღვანელი ამკიცებდა არასრულწლოვანთათვის მავნე პროდუქციის განმსაზღვრელ კატეგორიებს, ხოლო ახალგაზრდულ დეპარტამენტთან არსებული ცენტრი მიმართვის საფუძველზე ახორციელებდა ფილმებისა თუ წიგნებისთვის კატეგორიის მინიჭებას; სახელმწიფო ორგანიზაციებს – განათლების ან ჯანმრთელობის სამინისტროს ასევე შეეძლო საგანმანათლებლო ფილმების დემონსტრაციის ნების დართვა ტელევიზიით. კანონის ამოქმედებიდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ კომუნიკაციების კომისიამ კანონის მრავლობითი დარღვევებისთვის ორჯერ დააჯარიმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და გააფრთხილა რამდენიმე ტელეკომპანია (კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები N 558, N 721, 2004).

ასეთი სანქციების შემდეგ მაუწყებელთა ძირითადი ნაწილი იძულებული გახდა საერთოდ შეეცვალა სამაუწყებლო ბადე, შეეძინათ ახალი ფილმები, რათა შეევსოთ სატელევიზიო ეთერი. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანმა ხარჯებმა მაუწყებლების სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია და რამდენიმე თვის შემდეგ მაუწყებლობის კანონის მიღებასთან დაკავშირებით კომუნიკაციების კომისიამ არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედების კანონი შეჩერებულად ჩათვალა და შეწყვიტა ტელეკომპანიების დაჯარიმება, მიუხედავად იმისა რომ ყოველდღიური დარღვევები გრძელდება (სააგენტო „media.ge“, 16 დეკემბერი, 2005). (კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება N 775, 2005). ახალმა მაუწყებლობის კანონმა პრაქტიკულად შეაჩერა მედიაში მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებები რამდენიმე თვეში ახალი სამაუწყებლო ქცევის კოდექსის მიღების საბაბით, მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლობის კანონი ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის – „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შეიქმნა (Lib-

erty Institute, 2009). 2000 წლის ოქტომბრიდან აშშ განვითარების სააგენტო, ხოლო 2002 წლიდან კი ევროპის საბჭო კონსულტაციებს უწევდნენ საქართველოს მედიის რეგულირების საკითხებში (ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობა, 2005) და ამ კონსულტაციებში აქტიურად მონაწილეობდა „თავისუფლების ინსტიტუტი", ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ კონსულტაციებს სამაუწყებლო კოდექსის თაობაზე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის დირექტორატი და თავისუფლების ინსტიტუტი ერთობლივადაც აწყობენ (Workshop on a Code of Conduct for Broadcasters, 2006). როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში მცირეწლოვანთა დაცვა მედიის ზემოქმედებისგან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის" სამაუწყებლო კანონმდებლობის შექმნაში აქტიური ჩართვის შემდეგ კანონმდებლობა არსებითად იცვლება მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებების გაუქმების მიმართულებით, ბიზნეს სექტორის ინტერესები პრიორიტეტული ხდება და კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე პირობას დებს, რომ სამაუწყებლო კოდექსი მაუწყებლის უფლებების დამცველი იქნება (სააგენტო „media.ge", 13 დეკემბერი, 2006). როგორც ვხედავთ მცირეწლოვანთა დაცვა საერთოდ აღარ არის აქტუალური არც კომისიისთვის და არც მედია საშუალებებისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების დახასიათება საქართველოში 19 ტიპის ორგანიზაციას მიუთითებს (გურგენიძე, 2005), მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა მედიის, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების მიდგომა მაუწყებლობის რეგულაციის საკითხებისადმი. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში მედია და სატელევიზიო არხები საქართველოში საერთოდ არ აწვდიან ინფორმაციას ტელევიზიაში მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებების შესახებ, არ განუმარტავენ მომხმარებლებს მათ უფლებებს, ასევე არ ხდება სამაუწყებლო კოდ-

ექსის საჯარო განხილვა სატელევიზიო ეთერში, მაყურებლისთვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია, რომ მათ შეეძლოთ ამ განხილვაში მონაწილეობის მიღება, არ ჩაუტარებიათ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. სამაუწყებლო კოდექსის განხილვის თემას გაზეთებიდან მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკა“ აშუქებდა (მხეიძე, დ. 2006, ხაჩიძე დ. 2006, ყიფიანი გ. 2006) და საინფორმაციო სააგენტოებიდან მხოლოდ სააგენტო media.ge (იხილე სააგენტო media.ge-ს, მასალები), არცერთმა სატელევიზიო არხმა ობიექტურად არ გააშუქა სამაუწყებლო კოდექსის განხილვები, რომელიც საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა და არაერთხელ გადაიდო. სამაუწყებლო კოდექსთან დაკავშირებული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოსა და წმინდა სინოდის მიმართვებიც კი არ გაშუქებულა მას-მედიაში (სააგენტო „media.ge“, 4 ივლისი, 2008). როდესაც სამაუწყებლო კოდექსის პროექტის საჯარო გამოქვეყნება და განხილვა შეგნებულად არ ხდება, საინფორმაციო საშუალებები სამაუწყებლო კოდექსს მხოლოდ მედიის თავისუფლების კონტექსტში აშუქებენ და საერთოდ არ ახსენებენ სანქციებისა და ჯარიმების არსებობის მნიშვნელობას მცირეწლოვანთა დაცვისათვის, ადგილი აქვს საქმის ვითარების ცალმხრივად გაშუქებას. ფაქტიურად ასეთი დისკურსი უნდა შეფასდეს, როგორც მაუწყებელთა კომერციული ინტერესებზე ორიენტირებული. საპირისპირო აზრის გამომხატველები სამოქალაქო საზოგადოებაში მცირერიცხოვნები არიან ან ამ პოზიციის საჯაროდ გამოტანა საერთოდ არ ხდება მედიის საშუალებათა მიერ.

საყურადღებოა, რომ კანონმდებლობის ეტაპობრივი ცვლილება სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიის, მემარჯვენეებისა და გიგა ბოკერიას შეჯერებული ინიციატივით მოხდა, კერძოდ, განხორციელდა სასამართლოში მაუწყებლის პასუხის გასაჩივრების აკრძალ-

ვა, ჯარიმებისა და არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონში მთელი თავის გაუქმება (ასანიშვილი გ. 2006), რასაც მოჰყვა საჯარო მმართველობის ისეთი მექანიზმის გაუქმებაც, როგორიც იყო ახალგაზრდული დეპარტამენტის ცენტრი. მემარჯვენეთა ერთერთი ლიდერის აზრით კოდექს არ უნდა ჰქონოდა ნორმატიული აქტის ძალა (ქართული პრესის მიმოხილვა, 2006 წლის 18 დეკემბერი,). თუ საზღვარგარეთ კონსერვატიული მიდგომა უპირველესად ზნეობასა და ოჯახის ღირებულებებს იცავს, საქართველოში მემარჯვენეებისთვის უმთავრესი ბიზნესის ინტერესები აღმოჩნდა, მათი მიდგომა შემდგომ ქრისტიან-დემოკრატებმა და კონსერვატორებმა განაგრძეს სამაუწყებლო კოდექსის როგორც ნორმატიული აქტის გაუქმების მოთხოვნით (კონსერვატორები „ქცევის კოდექსს აპროტესტებენ, 2009, სააგენტო „მედიანიუსი“ 17 მარტი, 2009). ცალკეული ოპოზიციური პოლიტიკური მოღვაწეები ინდივიდუალურ საუბრებში ჩვენთან ამ პერიოდში მიუთითებდნენ, რომ სამაუწყებლო არხებთან კოდექსის გამო დაპირისპირება მათ არ აწყობდათ, რადგან შეიძლება საერთოდ დაეკარგათ სატელევიზიო ეთერი. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მედია ახდენდა ინფორმაციის ტენდენციურ გადარჩევას.

არასამთავრობო სექტორის 15 წლიან ისტორიაში დაფინანსების პრიორიტეტებიდან გამომდინარე რამდენიმე კოალიცია შეიქმნა, რომლებიც უშუალოდ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული მცირეწლოვანთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწასა და ქმედითობაში. ასეთებია ბავშვთა უფლებების დამცველი, ადამიანის უფლებებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციები, მაგრამ არცერთი მათგანი არ ჩართულა დისკუსიაში მცირეწლოვანთა ინტერესების დაცვის მიზნით. არასამთავრობო სექტორის ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო ყველაზე განვითარებული და უხვად დაფი-

ნანსებადია საქართველოში (გურგენიძე, 2005, გვ.,). „თავისუფლების ინსტიტუტი“ – წამყვანი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათ დაცვის სფეროში იმ პერიოდში მიუთითებდა, რომ ჯარიმები და სანქციები აღარ იმოქმედებდა ახალი კოდექსით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე კი თვლიდა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა მაუწყებლის საქმიანობაში ჩარევას და მთავარი ამოსავალი თვითრეგულირებაზე ორიენტაცია უნდა ყოფილიყო (უნდა ეშინოდეს თუ არა მედიას მაუწყებელთა ქცევის კოდექსის? 2008). მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები – სახალხო დამცველის ოფისი, მედია საბჭო, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი მხარს უჭერდნენ სამაუწყებლო კოდექსის იძულებითი ხასიათის გაუქმებას (ქართული პრესის მიმოხილვა, 16 მაისი, 2008, Georgia: A Flickering Beacon of Democracy, 2008 p.145,).

საყურადღებოა, რომ საქართველოს ხელისუფლება სასამართლოში მიმართვის აკრძალვას მცირეწლოვანთა დაცვისა თუ პასუხის უფლების შემთხვევაში მაუწყებლებისადმი ყველაზე ლიბერალურ მიდგომად მიიჩნევს ევროპაში (Georgia’s Democratic Transformation, 2007). თუ საზღვარგარეთ დისკუსია სატელევიზიო მაუწყებლობაში მცირეწლოვანთა დაცვის შესახებ ძირითადად სასამართლოებში მიმდინარეობს, საქართველოში სასამართლოში მიმართვის აკრძალვას კი არ გამოუწვევია სამოქალაქო საზოგადოების ფართო პროტესტი. აღსანიშნავია, რომ ცალკეული პირების მიერ სასამართლოში მიმართვის აკრძალვის გაპროტესტების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში 2007 წლის მაისში (პირველი განმწესრიგებელი სხდომა, 2007), პროცესი მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ დაიწყო (როდესაც 10 თვეში უნდა დასრულებულიყო საქმის განხილვა), განხილვები დასრულდა 2008 წლის დეკემბერში (საქმე №421, 422, 2008), მაგრამ გადაწ-

ყვეტილება არ იყო გამოტანილი 2009 წლის ნოემბერშიც კი. ეს კიდევ ერთი მაჩვენებელია სამაუწყებლო ბიზნესის სერიოზული კავშირებისა ხელისუფლებასთან და მათი ზეწოლისა სასამართლოს სისტემაზე.

სამოქალაქო საზოგადოება მხარს უჭერდა მედიისთვის მეტი თავისუფლების მინიჭების მიზნით 2004-2006 წლების სერიოზულ ცვლილებებს სამაუწყებლო კანონმდებლობაში, მაგრამ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებსაც კი არ მიუქცევიათ ყურადღება, რომ ასეთი ლიბერალური მიდგომის შედეგად შეილახებოდა მცირეწლოვანთა უფლებები. მავნე ზემოქმედების მქონე მასალის შეფასების კრიტერიუმების გამოყენება შესაძლებელი იყო კანონით, სანამ არ იქნებოდა მიღებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მაგრამ კომისია ისევ არ განიხილავდა საჩივრებს მცირეწლოვანთა დაცვის საკითხებზე. 2004 წლიდან 5 წლის განმავლობაში ხდებოდა კოდექსის განხილვის გადადება, რაც ასევე ხელს აძლევდა სამაუწყებლო კომპანიებს, რადგან მათ შეეძლოთ დაუსჯელად გაეშვათ ნებისმიერი მასალა ეთერში დღის საათებში. ცალკეული რელიგიური ორგანიზაციების მიმართვების მიუხედავად მცირეწლოვანთა დაცვის მიზნით, არც კომუნიკაციების კომისიას და არც სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ამ შესაძლებლობაზე ყურადღება არ გაუმახვილებია. ამან ასევე ხელი შეუწყო მაუწყებელთა მიერ ყოველდღიურ დარღვევებს, რაც არაერთხელ აღინიშნა ევროკავშირის მიერ საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ანგარიშებში (Progress Reports Georgia, 2008, p.18: 2009, p.19).

2007-2008 წლებში იმდენად გაიზარდა ძალადობისა და სისასტიკის შემთხვევები მოზარდთა შორის, რომ არასამთავრობო სექტორმა საქართველოს პარლამენტთან კოალიციაც კი ჩამოაყალიბა, რომელმაც რამდენიმე შეხვედრა და კონფერენციაც კი მოაწყო, მაგრამ ამ

შეკრებებსა და არც მათ მასალებში საერთოდ არ იყო საუბარი მედიაში ძალადობის შეზღუდვაზე ან მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებებზე მაუწყებლობის კანონმდებლობაში (ბავშვთა და მოზარდთა ძალადობის შემსწავლელი ალიანსი, 2007; კანონმდებლობის ანალიზი მოზარდთა შორის ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად, 2008). საზღვარგარეთული კვლევა აჩვენებს უშუალო კავშირს მედია-ძალადობის ზემოქმედებისა კრიმინალის ან ავტოავარიების რაოდენობის ზრდაზე (Huesmann, L. R., Moise-Titus, J., Podolski, C. L., & Eron, L. D. (2003), Centerwall BS. 1989). გარკვეულად ასეთი ზემოქმედება შეიძლება საქართველოშიც დადასტურდეს, რადგან 2005 წლიდან მნიშვნელოვნად მატულობს მკვლელობათა და ავტოავარიების შედეგად დაღუპულთა რიცხვი.

ამრიგად, მედიაში მცირეწლოვანთა დაცვის საკითხში სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა – მედია, პოლიტიკური თუ არასამთავრობო სექტორის მოქმედება არსებითად არ არის განსხვავებული. განსხვავებულია მხოლოდ ცალკეული რელიგიური ორგანიზაციების მცირერიცხოვანი აქციები, რომლებიც მაუწყებლობაში არასრულწლოვანთა დაცვის ღონისძიებათა აღდგენას ითხოვენ, მართალია, ისინი აღწევენ გარკვეულ წარმატებებს სატელევიზიო ეთერის მონიტორინგის გამკაცრების, მაუწყებელთა გაფრთხილების თუ სამაუწყებლო კოდექსის განხილვათა გამწვავების მხრივ, მაგრამ კანონმდებლობაში მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებათა თანდათანობითი შემცირება და ევროპული სტანდარტების გაუქმება 2004, 2006, და 2009 წლებში თვალსაჩინოა და სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი აქტივისტების საქმიანობით უნდა აიხსნას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამაუწყებლო კოდექსი აქტიურად და ინტენსიურად განიხილებოდა 5 წლის მანძილზე სამოქალაქო სექტორის წამყვან წარმომადგენლების მონაწილეობით (10 საკონსულტაციო შეხვედრა) ორ უცხოელ

ექსპერტთან ევროპის საბჭოს ეგიდით (List of Activities for Georgia, 2007), შემდეგ კი ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ეგიდით (EU and CoE joint programes, 2009), ასევე IREX პროგრამის მედიის მდგრადი განვითარების პროგრამის სადისკუსიო შეხვედრებზე (Media Sustainability Index-*Georgia, 2008-2009)*. ამიტომ ძნელია ვივარაუდოთ საკანონმდებლო ვითარების გაუარესების მიზეზად ინიციატივათა ავტორების არაკომპეტენტურობა ან მათი დროის უკმარისობა, აქ უფრო საქმე მედიისთვის შეგნებული პრიორიტეტის მინიჭებაშია მცირეწლოვანთა დაცვასთან შედარებით.

სააგენტო media.ge-ს ინფორმაციათა ქცევის კოდექსის განხილვების შესახებ ანალიზი 4 წლის მანძილზე აჩვენებს, რომ დისკუსია სამაუწყებლო კოდექსის მიღებაზე საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა კომუნიკაციების კომისიაში და კოდექსის მიღება 7-ჯერ გადაიდო, რადგან არასრულწლოვანთა დაცვის ღონისძიებათა აღდგენის მცირერიცხოვანი მომხრეები წინააღმდეგობას უწევდნენ მაუწყებელთა კომერციულ ინტერესებს, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტით“ იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა და ინტენსიური განხილვებისა უცხოური კონსულტაციები არაეფექტური აღმოჩნდა ან საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული (როგორც საბოლოოდ მიღებული კოდექსიდან ჩანს), რადგან მცირეწლოვანთა დაცვა პრაქტიკულად ქართულ ტელესივრცეში აღარ ხდება.

საზოგადოებრივი ინტერესების ასეთი იგნორირება არ შეიძლება ახსნილ იქნეს მხოლოდ სამოქალაქო სექტორის სისუსტით, რასაც ზოგადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხშირად მიუთითებენ (Howard, 2003, მუსხელიშვილი 2006). ვარდების რევოლუციის შემდეგ არასამთავრობო სექტორის ლიდერთა ხელისუფლებაში გადანაცვლების გამო (გვ. 25, გურგენიძე, 2005) საზოგადოებრივი ინტერესების პრი-

ორიტეტი უფრო უნდა გაზრდილიყო. სამოქალაქო სექტორის სისუსტე აშკარაა რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაციების შემთხვევაშიც. ადგილი აქვს რელიგიური ორგანიზაციების არაეფექტურ მოქმედებას კოდექსის განხილვის დროს. მართალია, საპატრიარქო და წმინდა სინოდი აკეთებდნენ ზოგად განცხადებებსა და მიმართვებს, მაგრამ კონკრეტული რეკომენდაციები არ მიუწოდებიათ კოდექსის განხილვისთვის, როდესაც დიდ ბრიტანეთში ანგლიკანურმა ეკლესიამ საკუთარი რეკომენდაციები ოფიციალურად წარადგინა(Ofcom's strategy and priorities, 2004).

სამაუწყებლო კოდექსთან დაკავშირებით მხოლოდ ორმა რელიგიურმა ორგანიზაციამ გამოხატა აქტიურობა პრეს-კონფერენციების დონეზე და ერთმა მოაწყო ქუჩის აქციები. ეს კიდევ ერთხელ იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოში რელიგიური ორგანიზაციები არ არის მრავალრიცხოვანი, რაც მათ ერთგვარ ორგანიზაციულ სისუსტეს მიუთითებს. ანალოგიურ სიტუაციაში საზღვარგარეთ ყველა რელიგიური ჯგუფი თავს ვალდებულად ჩათვლიდა საჯაროდ გამოეხატა პროტესტი. სამაუწყებლო ქცევის კოდექსის საკომისიო განხილვაში ქართული საზოგადოების ფართო წარმომადგენლობას მონაწილეობა პრაქტიკულად არ მიუღია(იხ. საქართველოს კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის დადგენილება); მონაწილეობდნენ ცალკეული პირები და ორი მცირე რიცხოვანი რელიგიური ჯგუფი. ძნელია ეს შეფასდეს როგორც საქართველოს საზოგადოების ინტერესთა რეალიზაციად, რადგან მასმედია საერთოდ არ აწვდიდა ამ თემაზე ინფორმაციას-საზოგადოებას,

საყურადღებოა, რომ მაუწყებელთა უმეტესობა ფაქტიურად არც მონაწილეობდა განხილვებში, რომლებიც კომუნიკაციების კომისიაში ტარდებოდა, რადგან ბიზნესის ინტერესებს ფაქტიურად არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი" იცავდა (სააგენტო

„media.ge“, 29 მარტი, 2007), კომისიამ არაერთხელ მიმართა მაუწყებლებს ინტერესი გამოეჩინათ და წინადადებები მიეწოდებინათ ქცევის კოდექსის განხილვისთვის.

სამოქალაქო სექტორის მიერ საზოგადოებრივი ინტერესების ასეთი იგნორირება ახსნილი უნდა იქნეს ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორსა და ბიზნესს შორის მჭიდრო კავშირებით საქართველოში, რაც შეიძლება განპირობებულია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ძველი სახელისუფლო ნომენკლატურის გადანაცვლებითა და ძლიერი კავშირებით არასამთავრობო და ბიზნეს სექტორში.

2009 წლის სამაუწყებლო კოდექსში დაფიქსირებულ ნორმებს მინიმუმზე დაჰყავს მაუწყებლობაში მცირეწლოვანთა დაცვის ის შეზღუდვები, რომლებიც ჩვეულებრივია სხვა ქვეყნებში. თუ სხვაგან წყალგამყოფი 22 საათზე იწყება, საქართველოში ის 20 საათიდან იწყება და 20 საათიდან უკვე აღარ არის შეზღუდული უხამსობა, ბილწსიტყვაობა და შიშველი სხეულის დემონსტრირება *(მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009).* ამრიგად, პრაქტიკულად ყველა ევროპული სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებული იყო 2001 წლის სამაუწყებლო რეგულაციებში, უგულებელყოფილია (თანარეგულირება, ჯარიმების არსებობა კანონის დარღვევისთვის, სასამართლოში მიმართვის უფლება). რეგულაციის ევროპული სტანდარტების დანერგვის ცდა ფაქტიურად მარცხით დამთავრდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უკვე რამდენიმე წელია არ ახდენს ევროპის ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის კონვენციის რატიფიკაციას, რაც ასევე ბიზნესის ინტერესებით უნდა აიხსნას, რადგან რატიფიკაციას კონვენციის მოთხოვნათა შესრულება უნდა მოჰყვეს.

საყურადღებოა, რომ თუ საქართველოში მცირეწლოვანთა დაცვის ღონისძიებები უფრო და უფრო ლიბერალურ ხასიათს იძენს, ამერიკის

შეერთებულ შტატებში, პირიქით, უფრო მკაცრდება ზომები. აშშ-ში 2004 წლიდან სხეულის ნაწილის წამის 1/3-ით გაშიშვლების გამო მოხდა ჯარიმის გაზრდა 10-ჯერ 325 ათას დოლარამდე და დაინერგა პირდაპირი ტრანსლიაციის 7 წამით შეყოვნება **(Super Bowl XXXVIII, 2005)**, როდესაც საქართველოში 2009 წლიდან დაშვებულია: უხამსობისა და შიშველი სხეულის ტრანსლირება 20 საათიდან, ძალადობისა ან დაჭრილთა წამების ტრანსლირება 15 წამის განმავლობაში. აშშ-ში 2008 წელს შიშველი სხეულით სცენის ჩვენებისთვის 22 საათზე სატელევიზიო ქსელი 1,4 მილიონი დოლარით ჯარიმდება (FCC fines ABC over 'NYPD Blue', 2008), როდესაც საქართველოში ჯარიმები საერთოდ გაუქმებულია. ძალადობის სცენების 15 წამის განმავლობაში დაშვება სატელევიზიო ეთერში პრაქტიკულად ხსნის შეზღუდვას ფილმების უმეტესობის ჩვენებაზე.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ მედიაში მცირეწლოვანთა დაცვის საკანონმდებლო გარემო და პრაქტიკა პრინციპულად განსხვავდება 2004 წლამდე არსებული სიტუაციისგან და შესაბამისად ევროპული სტანდარტებისგან. საქართველოს მაუწყებლობაში მცირეწლოვანთა დაცვის ზომების დამკვიდრების ცდებმა აჩვენა, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო – კომუნიკაციების კომისია, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაც ბიზნეს-სექტორის ძლიერ გავლენას განიცდის, რაც მათ დამოუკიდებლობას ეჭვის ქვეშ აყენებს. თუ ევროპის უმეტეს ქვეყანაში თანარეგულირება საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს, საქართველოში საზოგადოებრივი ინტერესები მაუწყებლობისას მცირეწლოვანთა დაცვის თვალსაზრისით აბსოლუტურად იგნორირებულია და საზოგადოებრივი თანარეგულირების ნაცვლად მაუწყებელთა თვითრეგულირებაც კი არ ფუნქციონირებს.

Abstract

Giorgi Kipiani
Civil society and minor protection from media harmful content in Georgia

This paper aims to improve the understanding of following questions: What are the obstacles for citizen participation in media regulation? How have European Council, power elites and civil society contributed to the balance of broadcaster and public interests in Georgia? These questions were born out of a need to understand juridical changes established by:1) Georgian Law for the Protection of Minors (2001) which transposed of European Transfrontier TV convention and film classification of European countries; 2) Broadcasting Law approved by Georgian Parliament in 2006, which excluded European TV standard transposition, banned citizen right for appeal to the court or any administrative body in case of broadcaster refusal of the complaint and right to reply, while these documents recognize citizen interests and accountability of media. Civil society strategies in recent media policy debate are examined regarding citizen interests and freedom of media. Article discusses role of different stakeholders and members of Georgian civil society: political parties, human rights advocacy groups, faith based NGO-s, broadcasting companies and regulatory bodies in changes of minor protection measures. This paper concludes that as power elites (industry, political parties and advocacy groups) emphasize more neoliberal discourse in media policies, citizen and minor protection

interests had been neglected due to weakness of civil society and regulatory framework.

გამოყენებული და ციტირებული:

ადამიანის უფლებების მიმოხილვა №3(8), ივლისი-სექტემბერი 2003, http://www.nplg.gov.ge/civil/gacifruli%20wignebi/adamianis%20uflebaTa%20mimoxilva3%208.htm. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს.

ასანიშვილი გ. აქცენტების შეცვლა უმრავლესობისა და ოპოზიციის ურთიერთობებში, გაზეთი *24 საათი* 22 დეკემბერი 2006 წელი #285. http://www.ncp.ge/ge_media_chvens_shesaxeb.php?subaction=showfull&id=1166793418&archive=1170082263&start_from=&ucat=4&. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

ბელი რ. *ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში* 2001 თბ. : დიოგენე.

*ბავშვთა და მოზარდთა ძალადობის შემსწავლელი ალიანსი*2007., http://www.parliament.ge/files/1113_18770_198610_Aliansi-info.pdf

გურგენიძე, პ., *საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება*, 2005 : თბ. : კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, 2006. http://www.civicus.org/media/ CSI_Georgia_Country_Report.pdf. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს.

ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობა, 2005. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გვერდი., http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3200&info_id=3385. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

რეკომენდაცია(2000)23 წევრი სახელმწიფოებისთვის მაუწ-ყებლობის სექტორის მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდე-ბლობისა და ფუნქციების შესახებ. http://portal.coe.ge/downloads/recommendations/ ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს Recommenda-tion%20REC(2000)23%20geo.pd*კომუნიკაციების კომისიის გადაწ-ყვეტილება*N 218 / 16 – 07 მაისი 2004 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=2227. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება N 721 / 18 – 24 დეკემბერი 2004. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=2610. ნანახია 2009 წლის 10 ნოემ-ბერს

კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება N 558 / 18 – 22 ოქ-ტომბერი 2004 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=2433. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება N 775 / 22 – 16 დეკემბერი 2005http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=3637. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

კანონი მაუწყებლობის შესახებ 2004-12-23 http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=25. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შეს-ახებ 2001-09-28 http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=261. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

კონსერვატორები „ქცევის კოდექსს„ აპროტესტებენ., 19.03.09 http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?pg=&cur_d=&m

onth=11&year=2009&wth=&ct=1&id_news=30730. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

ლებანიძე თ. „*მხიარული საუბრები სექსსა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე*“,1998. თბ. : დიოგენე.

მუსხელიშვილი მ. *სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი.* სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის. თბილისი, 2006;

მხეიძე, დ. „გარეთ მზეა, ჩემ გულში კი ნისლია...“ : // *საქართველოს რესპუბლიკა.* – 2006. – 23 დეკემბერი. – 255 (5596). – 3 გვ.

*მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 http://www.gncc.ge/files/7060_7177_768808*_ქცევის %20 კოდექსი %20 – საბოლოო *%20-%20 geo_.pdf.* ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

მედიასთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს სამართლებრივი აქტები. კრებული № 3/ რედ.: ლაშა ჭელიძე და სხვ.] – თბ. : რეგთაიმი, 2004 – 378გვ.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ არქივი 15 12 2006 http://www.ncp.ge/ge_news.php?subaction=showfull&id=1166191494&archive=1170082263&start_from=&ucat=5&

პირველი განმწესრიგებელი სხდომა ახალ რეზიდენციაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2007 წლის 28 სექტემბერი . ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერსhttp://www.constcourt.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=6&info_id=182 ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

საგენტო „media.ge“, 16 დეკემბერი, 2005. http://www.media.ge/ka/node/21157 ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

საგენტო „media.ge“,13 დეკემბერი, 2006http://www.media.ge/ka/node/22411 ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

სააგენტო „media.ge“ 29 მარტი, 2007 http://www.media.ge/ka/node/22806 ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

სააგენტო „media.ge“ 4 ივლისი, 2008 http://www.media.ge/ka/node/24378 ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

სააგენტო „მედიანიუსი“ ქრისტიან-დემოკრატები მაუწყებელთა ქცევის კოდექსს აკრიტიკებენ. მარტი 17,2009. http://www.medianews.ge/geo/news/39639.html ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

საქართველოს კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის დადგენილება.http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7060&info_id=7177 ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

საქმე №421, 422 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2008, 19 დეკემბერი, ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

http://www.constcourt.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12&info_id=492

*უნდა ეშინოდეს თუ არა მედიას მაუწყებელთა ქცევის კოდექსის?*რადიო თავისუფლება“ 11.07.2008. http://www.tavisupleba.org/content/article/1558555.html. ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

ხაჩიძე, დ. სადა ხართ, მამებო! გაზეთი „*საქართველოს რესპუბლიკა*“. – 2006. – 5 დეკემბერი. – 238 (5579). – 7 გვ.

ხაჩიძე, დ. ჟურნალისტებო, იხსენით ქვეყანა! გაზეთი „*საქართველოს რესპუბლიკა*“.. – 2006. – 29 დეკემბერი. – 258 (5599). – 3 გვ.

ყიფიანი, გ., უზნეობას და აღვირახსნილობას კოდექსით ვაკანონებთ? გაზეთი „*საქართველოს რესპუბლიკა*“. – 2006. – 13 დეკემბერი. – 244 (5585). – 4 გვ.

ქართული პრესის მიმოხილვა/ 2006 წლის 18 დეკემბერი. http://www.parliament.ge/print.php?gg=1&sec_id=844&info_id=14295&lang_id=GEO . ნანახია 2009 წლის 10 ნოემბერს

ქართული პრესის მიმოხილვა / 2008 წლის 16 მაისი. სახალხო დამცველი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში" ცვლილებების შეტანის მომხრეა.http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=844&info_id=18888. Accessed 10 November 2009

Телевидение в Европе: регулирование, политика и независимость 2005 Open Society Institute.http://www.eumap.org/topics/media/television_europe/national/in_russian/media_rus2.pdf. Accessed 10 November 2009 Belitskaya A. Protection of Minors from Harmful Information in the Lawof Post-Soviet States. IRIS – *Legal Observations of the European Audiovisual Observatory* (IRIS plus 2006-6). http://www.obs.coe.int/oea_publ/iris/iris_plus/iplus6_2006.pdf.en. . Accessed 10 November 2009 Broadcasting and Citizens : Viewers' Participation and Media Accountability in Europe, EAVI 2004. http://www.eavi.eu/publications-a-reports/37-broadcasting-and-citizens. . Accessed 10 November 2009

Georgia: A Flickering Beacon of Democracy.Human Rights in Georgia in 2007p.145. http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Annual%20Report%20HRIDC%202008.pdf. Accessed 10 November 2009

Georgia's Democratic Transformation . 2007. Government of Georgia http://www.president.gov.ge/others/dem_transform_3.pdf. Accessed 10 November 2009

*EU and CoE joint p*rogrames. List of Activities for Georgia http://www.jp.coe.int/CEAD/Countries.asp?CID=40. Accessed 10 November 2009

FCC fines ABC over 'NYPD Blue', 2008, http://www.reuters.com/article/industryNews/idUSN2530635020080127. Accessed 10 November 2009

Follow-up expertise on the draft of the Code of Conduct for Georgian Broadcasters 23/01/2009. http://www.jp.coe.int/CEAD/Countries.asp?ID=23900. Accessed 10 November 2009

Liberty Institute, 2009. http://www.liberty.ge/eng/ menu_pages.php?menuId=8&subTitlesId=3&from=subTitles. Accessed 10 November 2009

List of Activities for Georgia http://www.dsp.coe.int/HR/media/CEAD/Countries.asp?CID=40. Accessed 10 November 2009

MarsdenC. T. *Co-Regulation in European Media and Internet Sectors*http://www.anglia.ac.uk/ruskin/en/home/faculties/fhsc/departments/primary_socialcare/regulation/christopher_marsden.Maincontent.0001.file.tmp/Coregulation%20in%20European%20Media%20and%20Internet%20Sectors.pdf. Accessed 10 November 2009

Progress Report Georgia Implementation of the European Neighbourhood Policy in 2008. Brussels, 2009. http://ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2009/sec09_513_en.pdf. Accessed 10 November 2009

Progress Report Georgia 'Implementation of the European Neighbourhood Policy in 2007'

Brussels, 2008. http://ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2008/sec08_393_en.pdf. Accessed 10 November 2009

Ofcom's strategy and priorities, 2004 http://www.ofcom.org.uk/consult/condocs/strategymedialit/responses/ah/cmc.pdf. Accessed 10 November 2009

Palzer C. Co-Regulation of the Media in Europe: European Provisions for the Establishment of Co-regulation Frameworks. IRIS, *Legal Observations of the European Audiovisual Observatory,* Issue 2002-6.http://www.obs.coe.int/oea_publ/iris/iris_plus/iplus6_2002.pdf.en. Accessed 10 November 2009

Super Bowl XXXVIII, 2005 http://en.wikipedia.org/wiki/Super_Bowl_XXXVIII_halftime_show_controversy. Accessed 10 November 2009

Workshop on a Code of Conduct for Broadcasters, 26.09.06

http://portal.coe.ge/enews/EEVAkVlApAEFlFUAoQ.php. Accesed 10 November 2009

მარი ხუტაშვილი

სოციალური ეკოლოგია და სოციოლოგია

საზოგადოება განვითარების ყველა სტადიაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარე სამყაროსთან გამოიყენებდა რა მასში არსებულ ბუნებრივ რესურსებს და სახეს უცვლიდა ბუნებას. საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთმოქმედებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო გასული საუკუნის მეორე ნახევარში. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა, რომელიც გამოიხატება არ მხოლოდ ადამიანის ზემოქმედებით გარემოზე, არამედ გარემოში მიმდინარე სასიცოცხლო და სამეურნეო მნიშვნელობის ურთიერთმოქმედების პროცესების უკუმოქმედებით ადამიანზე. შემთხვევითი არაა რომ 21-ე საუკუნე აღიარებულია ეკოლოგიური პრობლემების საუკუნედ.

პირველად ტერმინი „ეკოლოგია“ გამოიყენა გერმანელმა ბიოლოგმა ერნსტ ჰეკელმა (1868 წელს) თავის ნაშრომში „წარმოშობის ბუნებრივი ისტორია“ და საფუძველი ჩაუყარა ბიოეკოლოგიას. ეკოლოგია განვითარების საწყის სტადიაში მიეკუთვნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სისტემას, რადგან ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთმოქმედების სფეროში გამორიცხული იყო ადამიანი.

შემდგომში გარემოს ინტენსიურმა ათვისებამ გამოიწვია ბუნებაში არსებული წონასწორობის რღვევა, ამ უკანასკნელმა კი ეკოსისტემების კვლევის აუცილებლობა და XX სკ-ის 20-იანი წლების დასაწყისში ჩიკაგოს უნივერსიტეტში ბეროუზმა შექმნა „ენვაირონმენტოლოგიური“ სკოლა. ამ პერიოდში ეკოლოგიური კვლევის სფეროში შეისწავლიან ადამიანის ზემოქმედებას გარემოზე და პირიქით.

ტერმინი „ადამიანის ეკოლოგია“ პირველად გამოიყენეს ბერჯესმა და პარკმა, მაგრამ თავდაპირველად ადამიანის ეკოლოგია გაგებული იქნა როგორც მედიცინის ნაწილი, კერძოდ სამედიცინო ეკოლოგია, რომელიც სწავლობდა გარემოს ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეკოლოგიურმა ინტერესებმა ბუნებრივ ეკოსისტემების შესწავლასთან ერთად მოიცვა ადამიანისა და ეკოსისტემების ურთიერთმოქმედების შესწავლა. ეკოლოგია გასცდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სისტემას, თუმცა სამწუხაროდ, დღესაც ზოგიერთი ბიოლოგი მეცნიერი ეკოლოგიურ მეცნიერებას ბიოლოგიურ მეცნიერებად მიიჩნევს.

XX ს-ის 20-იანი წლებიდან ჩნდება ტერმინი „საზოგადოებრივი ეკოლოგია“. 1950 წელს ამოს ჰეივლეიმ გამოაქვეყნა ნაშრომი „საზოგადოებრივი ეკოლოგია-სტრუქტურული საზოგადოების თეორია“. საზოგადოებრივი თეორია არის ინტერდისციპლინარული სფერო, რომელიც იყენებს სხვადასხვა მეცნიერული კვლევის შედეგებს, სწავლობს გარემოს ზეგავლენას ადამიანის ქცევაზე, მათი ადაპტირების სტრატეგიას, ცდილობს დაეხმაროს ადამიანებს გადაჭრან ეკოლოგიური პრობლემები ოჯახურ და საზოგადოებრივ გარემოში და ხელს უწყობს პიროვნების, ოჯახის, საზოგადოების კეთილდღეობას.

ეკოლოგიის თავისებური დამაგვირგვინებელი ევოლუციური ციკლია კაცობრიობის ეკოლოგია, გლობალური ეკოლოგია, სოციალური ეკოლოგია, ეკონომიკური ეკოლოგია, პოლიტიკური ეკოლოგია, კონსტრუქციული ეკოლოგია, კოსმიური ეკოლოგია. რიგი მკვლევარი სავსებით მართებულად აღნიშნავენ, რომ კაცობრიობის ეკოლოგია, საზოგადოებრივი ეკოლოგია, გლობალური ეკოლოგია არ არის სამეცნიერო დისციპლინები, მოიცავენ ახალ სააზროვნო სივრცეს და ახდენენ სხვადასხვა მეცნიერების კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას, მა-

გრამ არა დისციპლინარული თვალსაზრისით, არ ფლობენ კვლევის მეთოდებს, გააჩნიათ მხოლოდ მასშტაბები. ამრიგად, ეკოლოგიამ დააკავშირა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებები ეკოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში. ამავე დროს გამოვლინდა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: თავდაპირველად დიფერენციაცია, ხოლო მოგვიანებით ინტეგრაცია.

დემოგრაფიულმა აფეთქებამ და სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ განაპირობა ბუნებრივი რესურსების გამოყენების კოლოსალური ზრდა, რომელმაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების გამოლევა, ეკოსისტემების რღვევა, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება და მთელი რიგი დაავადებების ზრდა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში გარემოს დახასიათებისას ხშირად გვხვდება ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა „ეკოლოგიური კრიზისი“, „ეკოლოგიური დესტაბილიზაცია“, „მკვდარი ზონები“, „ეკოლოგიური სისტემების გლობალური დეგრადაცია“, „ბუნებრივი სისტემების რღვევა“ და ა.შ. ამ პერიოდში შეიქმნა კაცობრიობის მომავლის პროგნოზირების სამეცნიერო ორგანიზაციები, რომლებიც კვლევას აწარმოებდნენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური განვითარების მოდელზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარა 1968 წელს დაარსებულმა მსოფლიო სისტემის განვითარების მოდელირებისა და პროგნოზირების არასამთავრობო ფუტუროლოგიური საერთაშორისო ორგანიზაციამ „რომის კლუბი“, რომელიც აერთიანებდა დასავლეთის ასამდე გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს.

შეიქმნა ალარმისტული მიმართულების ლიტერატურა, რომლის ძირითადი ლაიტმოტივია ეკოლოგიური კრიზისი და ბუნების გარდუვალი დაღუპვა. მათგან მნიშვნელოვანია: ჰ. და ა. ერლიხების „მოსახ-

ლეობა, რესურსები, გარემომცველი გარემო“, ბ. კომონერის „ჩაკეტილი წრე-ბუნება, ადამიანი, ტექნოლოგია“, ბ. უორდისა და რ. დიუბოს „მიწა მხოლოდ ერთია“, ჯ. ფორესტერის „მსოფლიო დინამიკა“, დ. მედოუზის „ზრდის საზღვრები“ და ა.შ.

სოციოეკოლოგიურმა პრობლემებმა მეცნიერების წინაშე დააყენა ეკოლოგიური პრობლემების კვლევისა და მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების ამოცანა. როდესაც სამყაროში ბატონობს ტექნიკური რევოლუცია, ტექნოგენური გარდაქმნები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეფუძნება გარემოში წონასწორობის შენარჩუნების საკმარის ცოდნას და აუცილებელია საზოგადოებრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიმართება ბუნების მდგომარეობისა და განვითარების ოპტიმალური მოთხოვნილებებისადმი. ამდენად, ეკოლოგია არ შემოიზღუდა მხოლოდ ბუნებრივი გარემოს დაცვით. გარემომცველი გარემო აუცილებელია ადამიანის ბიოლოგიური არსებობისათვის, კულტურული გარემო კი მისი სულიერი ცხოვრების ნაწილია. კაცობრიობას, როგორც ბუნების ნაწილს, შეუძლია იარსებოს ბუნებასთან ურთიერთმოქმედებით მხოლოდ ადამიანის მიერ გარემოს გონივრული მართვის პირობებში. გლობალური ეკოლოგიური სიტუაციის შესწავლა შეიცავს სოციოლოგიური ცოდნის სეგმენტსაც, ასე მაგალითად, კულტურის სოციოლოგია, ენვაირონმენტოლოგიური სოციოლოგია, მედიცინის სოციოლოგია, ქალაქის სოციოლოგია. თვითეული მათგანი იკვლევს ადამიანისა და მის საქმიანობას გარემოს კონკრეტულ ასპექტში.

სოციალური ეკოლოგია განვითარდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში გამოვლინდა ეკოლოგიური კრიზისი. 1966 წელს ვარნაში სოციოლოგების საერთაშორისო კონგრესზე სოციალური ეკოლოგიის პრობლემატიკასთან

დაკავშირებით შეიქმნა სოციოლოგების საერთაშორისო გაერთიანების კვლევითი კომიტეტი. სოციალური ეკოლოგია დისციპლინათაშორისო მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთმოქმედებას, ადამიანთა მოქმედების ორგანიზაციის პრინციპებს ეკოლოგიური კანონების ობიექტური მოთხოვნების გათვალისწინებით. სოციალური ეკოლოგია, იყენებს რა სხვა მეცნიერების კვლევის შედეგებს, ხელს უწყობს საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ფორმირებასა და განვითარებას და ძირითადი პრობლემების გადაწყვეტილების გზების ძიებას, რაშიც ეკოლოგიურ და სოციოლოგიურ განათლებას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. სოციალური ეკოლოგიის პრინციპებს სოციოლოგია კარნახობს, თუმცა აუცილებელია, როგორც ეკოლოგიური მეცნიერების სოციალიზაცია, ასევე სოციოლოგიის ეკოლოგიზაცია.

სოციალური ეკოლოგიის შესწავლის საგანია არა მხოლოდ ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედების პროცესი, არამედ რთული სოციოეკოლოგიური სისტემების ურთიერთმოქმედების პროცესი. კერძოდ, ადამიანთა ჯგუფების დამოკიდებულება ურბანიზებულ გარემოსთან, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ ეკოლოგიური პრობლემების აღქმა, გარემოს დაცვის მიზნით საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობის გაცნობიერება და ბუნებათდაცვითი ღონისძიებების პრაქტიკაში გამოყენება და გათვალიწინება, სოციოეკოლოგიური სისტემის კომპონენტების გაანალიზება.

სოციალური ეკოლოგია ინტერდისციპლინარული დარგია ბუნებათსარგებლობის სფეროში სოციალური ჯგუფების ინტერესების შესახებ.

სოციალური ეკოლოგიის შესწავლის ობიექტია საზოგადოების, სოციალური ფენისა და ჯგუფების ეკოლოგიური ცნობიერება,

ეკოლოგიური პრობლემები , წარმოქმნილი სოციუმში, რომელიც განსაკუთრებით მწვავდება განვითარებად ქვეყნებში და გამოვლინდება ინდივიდუალურად თვითეული ადამიანში.

სხვადასხვა შეფასებებით ეკოლოგიური პრობლემების შედეგები საზოგადოებისათვის ზოგადად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო კონფლიქტები. რეგიონალური, და ლოკალური ეკოლოგიური კრიზისი და კატასტროფები აისახება თითოეულ ადამიანსა და სოციალურ ფენებსა და ჯგუფებზე ჯანმრთელობის მდგომარების გაუარესებით, სიცოცხლის ხანგრძლიობის დონის შემცირებით. ამასთანავე, ეკოლოგიურ პრობლემებს არ გააჩნიათ საზღვრები და საბოლოოდ გლობალურ პრობლემად გარდაიქმნება და საფრთხეს უქმნის ცივილიზაციის მდგრად განვითარებას.

მსოფლიოს რიგ რეგიონებში ეკოლოგიური კრიზისი გარდაიქმნა სოციალურ-ეკოლოგიურ კატასტროფად. ეკოლოგიურ სისტემაში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემა მრავალწახნაგოვანია, ძნელად პროგნოზირებადი და გაუთვალიწინებელი. ასე მაგალითად, მსოფლიოში სინთეზირებულია 5 მლნ ქიმიურ შენაერთზე მეტი. ტოქსიკურ ნივთიერებათა გავრცელება ატმოსფეროში აბინძურებს ნიადაგს, წყალს, ბიოტურ გარემოს, იწვევს ადამიანთა ტოქსიკურ, ალერგიულ, ენდოკრინულ დაავადებას, ტყეების განადგურებას,ამ უკანასკნელის შედეგად ეროზიული პროცესების დაჩქარებას, საბოლოოდ ეკოსისტემის დეგრადაციას. 1952 წელს ქ.ლონდონში ორი კვირის განმავლობაში სმოგის შედეგად 4 000 კაცი დაიღუპა და 10 0000 სტაციონარში მოათავსეს, ძირითადად სასუნთქი და სისხლძარღვთა ორგანოების დაავადებით. ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად დიარჰოიალური დაავადებების შედეგად 5 მლნ ადამიანი კვდება და მათგან 3 მლნ ბავშვი. სამედიცინო ეკოლოგიური გამოკვლევებიდან ცნობილია ცოცხალ ორ-

განიზმებზე მხოლოდ ცალკეული ქიმიურ ელემენტთა და ზოგიერთ შენარევთა უარყოფითი ზეგავლენის შესახებ, რადგან სოციოეკოლოგიურ სისტემებში ნივთიერებათა ბრუნვა ბუნებრივ სისტემებთან შედარებით ხარისხობრივად განსხვავებულია და შეუთავსებელი. ამდენად, შეუძლებელია სოციოეკოსისტემაში სრულყოფილი კორელაციური ანალიზი, მითუმეტეს პერსპექტივის გათვალისწინებით. ამის მაგალითია ძველ რომში დიდგვაროვანთა წყალსადენებში ტყვიის მილების გამოყენება, რომელსაც რომის იმპერიის დასუსტებას უკავშირებენ, კერძოდ, დიდგვაროვანთა სამარხების ჩონჩხი დიდი რაოდენობით შეიცავდა ტყვიას, რაც არ აღმოჩნდა დანარჩენი მოსახლეობის ჩონჩხში, რადგან დიდგვაროვნების წყალსადენი ტყვიის მილისაგან კეთდებოდა, მოსახლეობის ფართე მასების კი – თიხის მილებისაგან დღეს დადგენილია კორელაცია ტყვიისშემცველ ნივთიერებებისა და მიოკარდულ ინფარქტებს, სკლეროზებს, ავთვისებიან სიმსივნეებს შორის.

სოციალური ეკოლოგიის მიზანია ინდივიდის, სოციალური ჯგუფების და მთელი საზოგადოების და ეკოსისტემის ურთიერთმოქმედების და დამოკიდებულების შესწავლა. აგრეთვე საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების და ეკოლოგიური განათლების ამაღლება.

ადამიანთა მოქმედების ორგანიზაციის პრინციპები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე,თუ როგორია მათი ეკოლოგიური შეგნების დონე ამ პრობლემასთან მიმართებით, რათა საზოგადოებამ სათანადოდ გაითვალისწინოს ეკოლოგიური კანონების ობიექტური მოთხოვნები.ამ თვალსაზრისით საინტერესო სამუშაო ჩააატარა ჯორჯ გელაპის საერთაშორისო ინსტიტუტმა /ქ.პრინსტონი/. სოციოლოგიურმა გამოკითხვამ „პლანეტის ჯანმრთელობა“ გამოავლინა პლანეტის 22 ქვეყნის მოსახლეობის აზრი თუ რა გავლენას ახდენს გარემო პირობები მათ ცხოვრებაზე; როგორი ეკოლოგიური სიტუაციაა ნაციონალურ და

გლობალური მასშტაბით; რა გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე; მათ საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობა 10 წლის წინ, დღეს, მომავალში; გარემოს დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები; გარემოს დაბინძურების პრობლემები; გარემოს გაუმჯობესების გზები და ა.შ. აღნიშნული მამაქვეყნიდან 15 ქვეყანამ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შორის ეკოლოგიური, ეკონომიკური და დამნაშავეობის პრობლემები დაასახელა.

საზოგადოების ინფორმირება და მისი მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აღიარებულია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის აუცილებელ საშუალებად და მძლავრ ინსტრუმენტად. ყველას აქვს უფლება, მიიღოს დროული და ზუსტი ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და მიიღოს მონაწილეობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმით ჩაატაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ქვეყნის მდგრადი განვითარება მოითხოვს ერთიანი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მიდგომის სტრატეგიას და არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გზების ძიებას.

Abstract

Mari Khutashvili
Social ecology and sociology

Ecologic interests with the ecosystem studies have connected the study of human and ecosystem interaction. Ecology has surpassed the systems of natural sciences, by connecting natural and social sciences with each other in the systems of ecologic sciences.

The socio-ecologic problems have raised questions of researching ecologic issues and avoiding possible disasters.

When the technical revolution has supremacy in all over the world technogenic transformations are possible only when it is based on sufficient knowledge of preservation balance and when it's necessary that socio-human creativity will be related to optimum needs for conditions and development of nature.

That is why, studies on the global ecologic conditions also contains the segment of social knowledge, for example sociology of culture, sociology of environment, sociology of medicine, urban sociology, each discipline researches human activities in specific environmental aspect. social ecology is interdisciplinary science, which studies interaction of society and environment, interests of social groups and social strata in use of nature, principles of organizing human activities, with the objective demands of ecologic principles; It promotes formation and development of ecological consciousness

of society and searching the ways to resolve to general problems, in which ecologic and social education has an important role.

Principles of sociologic ecology are distributed from sociologic principles, although the socialization of ecologic sciences is as inevitable as the ecologization of sociology.

Stable development of the state demands the common ecologic, social and economic strategic approaches and not the quest of independent resolving ways. Social ecology represents the significant discipline, which discusses the specific character of interaction of the society and the environment.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. გ. ბაბუნაშვილი, მ. ხუტაშვილი. ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა. თბ., თსუ, 2005
2. Горелов А.А. Социальная экология. Учебное пособие для студентов ВУЗов, М., 2009
3. Доклад о развитии человека 2007/2008 изд. Вес. 2007.
4. Прохоров б.б. Социальная экология. 4-е изд., Учебное пособие для студентов ВУЗов, М., Академия, 2009
5. Human Development Report, Published for the United Nations Development Programm (UNDP), New York , Oxford , 1998

ნინო ჯავახიშვილი, მაია ხოსიტაშვილი,
ნინო სირაძე, ლიკა ძაგანია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოჰან შნაიდერი
ზაარლანდის უნივერსიტეტი

ქართველ და გერმანელ მორწმუნეთა შედარება ლოცვის ასპექტების მიხედვით

რელიგიური რწმენის ინდიკატორია ლოცვა, რომელიც წარმოადგენს „რელიგიის სულსა და არსს" (Josephs, 1998). აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები საკმაოდ ხშირად ლოცულობენ (ამერიკელთა 90% ზოგჯერ მაინც ლოცულობს (Gallup Organization, 1993). ეს ეხება როგორც ეკლესიაში მოსიარულე მლოცველებს, ასევე მათ, ვინც ეკლესიაში არ დადის. კვლევების მიხედვით, ათეისტებიც კი ლოცულობენ. მლოცველთაგან უმრავლესობა სხვებთან ერთად ლოცვას ჩუმად ლოცვას ამჯობინებს. ასევე უმრავლესობას სწამს, რომ მათი ლოცვა შესმენილ იქნება (97%), პასუხიც გაეცემა, და რომ ლოცვა მათ უკეთეს ადამიანებად აქცევს (86%) (Josephs, 1998). მლოცველთა 77% კმაყოფილია ასეთი ცხოვრებით. მრავალი ადამიანი იყენებს ლოცვას, რათა გადაჭრას ცხოვრებისეული სირთულეები, დაძლიოს ჯანმრთელობის პრობლემები. ლოცვა დაძლევის სტრატეგიაა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრესულ სიტუაციებში, ავადმყოფობის, ფრუსტრაციის და სხვადასხვა მძიმე დანაკარგების დროს. უარყოფითმა და დადებითმა ემოციებმა შეიძლება გაზარდონ ლოცვის სიხშირე. უსიამოვნო სიტუაციაში იზრდება თხოვნითი ლოცვის სიხში-

რე, სასიამოვნოს დროს კი – მადლიერებითი ლოცვის სიხშირე (Harris, Schoneman, Carrera, 2005).

ლოცვის ინტიმურობიდან გამომდინარე, მისი ემპირიული აღწერა რთულია. საქმეს ისიც ართულებს, რომ სხვადასხვა რელიგიურ განზომილებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის არსებული კავშირის შესახებ მონაცემები ხშირ შემთხვევაში ორაზროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა. იგივე შეიძლება ითქვას ლოცვის კავშირზე ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან (Harris, Schoneman, Carrera, 2005).

მონაცემთა ამგვარი აღრევის მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს ლოცვის დეფინიციის საკითხთან, ტერმინის სტანდარტიზაციის პრობლემასთან. ითვლება, რომ ლოცვა ღმერთთან კომუნიკაციის გზაა, კომუნიკაციის ტერმინის ქვეშ შესაძლებელია მრავალგვარი ქცევა იგულისხმებოდეს. აქედან გამომდინარე, არსებობს ლოცვის ტიპებისა და ფუნქციების კლასიფიკაციის პრობლემა. ცნობილია ელკინის მიერ შემოთავაზებული ლოცვის ტიპები: გამომქომაგებელი (ქომაგი) და ჩაფიქრებული (მოაზროვნე); რიჩარდსის თხოვნითი და ურთიერთობის; მელონისა და ფინის ვერბალური და მედიტაციური ლოცვის ტიპები. მაგრამ ამ ტიპოლოგიებზე დაყრდონიბით ვერ მოხერხდა ლოცვის საკვლევი ვალიდური ტესტის შექმნა. იგივე სურათს ვხედავთ ლოცვის ფუნქციების კლასიფიკაციის შემთხვევაშიც, ლოცვის ფუნქციებს შორის გამოყვეს: მოთხოვნილების გამოხატვა, რწმენის განმტკიცება, რელაქსაცია, დესენსიტიზაცია და სხვა. მაგრამ ეს ფუნქციები ემპირიულად ვალიდური არ არის (Ladd, Spilka, 2002; Richards, 1991;Finney, Malony, 1985; Byrd & Boe, 2001; Harris, Schoneman & Carrera , 2005; Maltby, Lewis & Day, 1998).

რელიიგის ფსიქოლოგიაში არსებული „შეთანხმებულობის ჰიპოთეზის“ მიხედვით, ლოცვის სიხშირე და საერთოდ ადამიანის რელიგიურობა, რწმენა და ქცევები დამოკიდებულია იმაზე, იგი ამრიდებლური თუ მშფოთვარე ტიპია. პირველ შემთხვევაში ადამიანი ერიდება ურთიერთობებს სხვებთან, ადამიანებთან კონტაქტი მისთვის დისკომფორტს წარმოადგენს. მეორეს დროს საქმე გვაქვს უარყოფის და მიტოვების შიშთან. ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზემოთხსენებული ტიპები კავშირში იყო იმასთან, მიმართავდა თუ არა ლოცვას ადამიანი სტრესულ სიტუაციაში. ამრიდებლური ტიპი სტრესული სიტუაციის დროს არ მიმართავს ლოცვას, რადგან ლოცვა მხოლოდ გაზრდის მის დისკოფორტს. მისგან განსხვავებით, არაამრიდებლური ტიპი სტრესული სიტუაციების დროს მიმართავს ლოცვას. მშფოთვარე ტიპი ამგვარ სიტუაციებში მხოლოდ თხოვნით ლოცვას ამბობს (Byrd, Boe, 2001).

ლოცვის საინტერესო კლასიფიკაციას გვთავაზობენ პოლომა და პენდლეტონი. მათ მიერ გამოყოფილი ლოცვის ოთხი სახე სხვა ავტორებმა შემდგომ კვლევებში გამოიყენეს (Beasler, 2002;McCullough, Larson, 1999;Laird, Snyder, Rapoff, Green, 2004):

ჭვრეტით-მედიტაციური მლოცველს ღვთაებრივთან ინტიმური, პირადი ურთიერთობა აქვს; იყენებს დაძლევის რელიგიურ მექანიზმებს (სულიერი დასაყრდენის ძიება), რაც ხშირად დაკავშირებულია ცხოვრებისეული სტრესული სიტუაციის შემდგომ პერიოდთან; ამსუბუქებს და პოზიტიურ ცვლილებებს იწვევს ფსიქოლოგიურ სიმპტომატიკაში; იკლებს კუნთური დაჭიმულობა, ბრაზი, შფოთვა და დეპრესია ;

რიტუალური მლოცველი ლოცვანს კითხულობს ან დამახსოვრებულ ლოცვებს იმეორებს. ეს ტიპი დადებით კავშირშია ცხოვრებისეულ კეთილდღეობასთან, რელიგიურ კმაყოფილებასთან;

მთხოვნელი მლოცველი უფალს საკუთარი თავისა და სხვათათვის შესთხოვს; თხოვნა ლოცვის ყველაზე პრიმიტიული, პირველადი ფორმაა და პოზიტიური, რელიგიური თუ სულიერი, ფუნქციონირების მაჩვენებელია. ამგვარი ლოცვა ფსიქოსოციალური სტრესის ნიშანია და აღინიშნება ნეგატიური ცხოვრებისეული სიტუაციის შემდეგ. ლოცვის ამ სახეს იყენებენ ძლიერი ტკივილების რეგულირებისა და შემცირებისათვის;

საკუთარი სიტყვებით მლოცველი ესაუბრება ღმერთს; მისი თხოვნის ელემენტები უფრო სპეციფიური და კონკრეტულია, ვიდრე მთხოვნელი მლოცველის. ასეთ დროს ადამიანები უფლისაგან ითხოვენ: ძალას, გაძღოლას, სხვათა დალოცვას; ის ერთგვარი პროგრესის ამსახველია – ახალგაზრდობიდან ზრდასრულობამდე და პოზიტიურ კავშირშია ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან (Poloma, Pendleton, 1989; Poloma, Pendleton, 1990; Poloma, Pendleton, 1991).

გერტ ჰოფსტედეს მიხედვით, კულტურა გავლენას ახდენს რელიგიაზე, შესაბამისად, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს განსხვავებული რელიგიური შეხედულებები და ქცევები არა მხოლოდ თავად რწმენის დოგმებიდან, არამედ ამა თუ იმ კულტურასთან მიკუთვნებულობის გამო აქვთ. გამონაკლისს არც ქრისტიანობა და მასში გამოყოფილი სამი მსხვილი ჯგუფი – პროტესტანტები, კათოლიკები და მართლმადიდებლები წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტები, კათოლიკები და მართლმადიდებლები, რიგი სხვა დენო-

მინაციებისაგან განსხვავებით, თანხმდებიან, რომ არსებობს ერთი ჭეშ-მარიტება, მათ შორის არის სხვაობა ჰოფსტედეს მიერ გამოყოფილ ისეთ ფსიქოლოგიურ განზომილებებზე, როგორებიცაა:

- ძალაუფლების მანძილი
- ფემინურობა-მასკულინობა
- გაურკვევლობის თავიდან არიდება

ძალაუფლების მანძილის კონსტრუქტი აღნიშნავს, თუ რამდენად მისაღებია ორგანიზაციაში ნაკლები ძალაუფლების მქონე წევრისათვის ის მოსაზრება, რომ ძალაუფლების განაწილება თანაბარი არ არის. სხვა სიტყვებით, საზოგადოებები განსხვავდება ერთმანეთისაგნ იმისდა მი-ხედვით, უჭერენ თუ არა მისი წევრები მხარს იერარქიას საზოგადო-ებაში. პროტესტანტული რელიგიის მქონე ქვეყნებში ძალაუფლების მანძილი დაბალია, ეს უფრო დემოკრატიული ქვეყნებია, ხოლო კა-თოლიკურ და მართლმადიდებლურ ქვეყნებში ძალაუფლების მანძილი მაღალია. ქრისტიანულ ქვეყნებში ძლიერი, მასკულინური საზოგადოე-ბები ღმერთის მნიშვნელობის უმთავრესობას აღიარებენ. მასკულინური საზოგადოებისათვის მამა ღმერთის სახელი მნიშვნელოვანია, ხოლო ფემინურ საზოგადოებებში, და ასეთები ძირითადად პროტესტანტები არიან, უფრო შეიმჩნევა სეკულარიზმისაკენ ლტოლვა. გაურკვევლო-ბის თავიდან არიდება ნიშნავს, რომ ადამიანმა არ იცის, რა მოხდება ხვალ, მომავალი გაურკვეველია, ხოლო უკიდურესი გაურკვევლობა აუტანელ შფოთვას იწვევს. ყოველმა საზოგადოებამ ამ შფოთვის შემ-ცირების გზები მონახა. ეს ტექნოლოგიის, კანონმდებლობისა და რელი-გიის მეშვეობით მოხდა. რელიგია ადამიანის პირადი მომავლის მაკონ-ტროლებლად მიჩნეულ ტრანსცედენტურ ძალებთან დაკავშირების

საშუალებაა. რელიგია გვეხმარება ისეთ გაურკვევლობას შევეგუოთ, რომლისგანაც თავს ვერ დავიცავთ. ზოგიერთი რელიგია სიცოცხლის შემდეგ სიკვდილის, ან მოწინააღმდეგის დამარცხების საბოლოო გარკვეულობას გვთავაზობს (Hofstede, Hofstede, 2004).

მრავალი ქვეყნის მონაცემების საფუძველზე ჰოფსტედემ აჩვენა, რომ ზემოთ აღნიშნულ განზომილებებზე პროტესტანტებს ნაკლები ქულები აქვთ, ვიდრე მართლმადიდებლებს (Hofstede, Hofstede, 2004). ამრიგად, გამოიკვეთა საინტერესო განსხვავებები პროტესტანტებსა და მართლმადიდებლებს შორის. საინტერესოა, არის თუ არა განსხვავება სხვადასხვა კულტურის მორწმუნეებს შორის, მითუმეტეს, თუ ისინი სხვადასხვა რელიგიას მიეკუთვნებიან. ამ მიზნით შევადარეთ ერთმანეთს ქართველი – მართლმადიდებელი და გერმანელი – პროტესტანტი მორწმუნეები ლოცვის კუთხით. შევარჩიეთ ლოცვის რამდენიმე კომპონენტი

- ➢ ლოცვის და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე;
- ➢ ლოცვის სახეები;
- ➢ ლოცვით კმაყოფილება.

შესაბამისად, კვლევის კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რა განსხვავებებია ქართველ და გერმანელ მლოცველებს შორის

- ლოცვის და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირის
- ლოცვის სახეების და
- ლოცვის გავლენის მიხედვით?

მეთოდი:

გამოკითხვა ჩატარდა გერმანიაში და საქართველოში. ქართული შერჩევა შედგებოდა 184 მორწმუნისაგან, მათგან, 122 (66,5%) ქალი და 62 (33,5%) მამაკაცი; 110 (60,0%) არასტუდენტი და 74 (40,0%) სტუდენტი. ასაკი მერყეობდა 14 – 83 წლამდე, ხოლო საშუალო ასაკი იყო M = 34,74 (SD = 16,389). კვლევის 182 (98,9%) მონაწილე იყო მართლმადიდებელი, ხოლო 2 (1,1%) – არამართლმადიდებელი. გერმანიაში კვლევა ჩატარდა 206 ადამიანზე, მათგან, 133 (64,6%) ქალი და 79 (34,4%) მამაკაცი; 96 (46,8%) არასტუდენტი და 109 (53,2%) სტუდენტი. ასაკი მერყეობდა 14 – 83 წლამდე, ხოლო საშუალო ასაკი იყო M = 27,32 (SD = 162,657). კვლევის 175 (85,3%) მონაწილე იყო პროტესტანტი, ხოლო 30 (14,7%) – კათოლიკე.

ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ლოცვის სახეების საზომი სკალა, ლოცვის გავლენის საზომი სკალა და კითხვები ლოცვის და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირის შესახებ. ყველა კითხვა ლიკერტის სკალის ტიპისაა.

პოლომასა და პენდლეტონის ლოცვის საზომი სკალა მოიცავს 15 დებულებას, რომლებიც ადგენენ ლოცვის რომელ სახეს იყენებს უფრო ხშირად მლოცველი: რიტუალურს(2 დებულება), საკუთარი სიტყვებით ლოცვას(6 დებულება), მედიტაციურს(5 დებულება)თუ მთხოვნელს(2 დებულება). მაგ., დებულება – „რამდენად ხშირად კითხულობთ ლოცვანს?“ შეესაბამება რიტუალური ლოცვის სახეს. დებულება – „რამდენად ხშირად შეიგრძნობთ, რომ ღმერთი თქვენთანაა? შეესაბამება მედიტაციური ლოცვის სახეს და ა.შ. ლოცვის სკალის მაქსიმალური ქულაა 75.

ლოცვის გავლენის საზომი სკალა 9 დებულებისაგან შედგება. დებულებები ლოცვის დროს აღმოცენებულ ემოციურ დამოკიდებულებას

და განწყობებს აფასებს. სკალა მოიცავს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: „ლოცვა ამცირებს ჩემს შიშს“, „ლოცვა მანიჭებს უკეთეს ემოციებს“, „ლოცვა მამშვიდებს“ და სხვ. ლოცვის გავლენის საერთო მაქსიმალური ქულა არის 36.

ეს ორი სკალა ინგლისური ენიდან ქართულად ვთარგმნეთ, შემდეგ ისევ ინგლისურად. განსვლების აღმოფხვრის შემდეგ სკალები პილოტურ კვლევაში გამოვცადეთ, მცირეოდენი შესწორებების შემდეგ კითხვარი მზად იყო კვლევაში გამოსაყენებლად.

შედეგები:

რადგან ლოცვის სახეების და ლოცვის გავლენის სკალები საქართველოში პირველად ტარდებოდა, ქართულ შერჩევაზე სანდოობის შესამოწმებლად გამოვთვალეთ მათი α კოეფიციენტები. ლოცვის კითხვარის საერთო (15 დებულება) ქულის მიხედვით α= .8867. ლოცვის თითოეული ქვესკალის მიხედვით კი: რიტუალური ლოცვა α= .7205, საკუთარი სიტყვებით ლოცვა α= .8020, მედიტაციური ლოცვა α= .7390, მთხოვნელი ლოცვა α= .7167. ლოცვის გავლენის სკალის ალფა კოეფიციენტია α= .9179 ამრიგად, ყველა სკალა და ქვესკალა სანდოა.

ქვემოთ მოგვყავს ქართველი და გერმანელი მლოცველების მონაცემები:

ლოცვის სიხშირის მონაცემთა მიხედვით, ქართველი და გერმანელი მორწმუნეები არსებითად განსხვავდებიან ორი მაჩვენებლით: მეტი გერმანელი მორწმუნე არ ლოცულობს და შესაბამისად, ნაკლები გერმანელი მორწმუნე ლოცულობს დღეში ერთხელ ან დღეში რამდენჯერმე (χ^2= 98,373, df = 7, p < .000).

	ქართველები	გერმანელები
საერთოდ არ ლოცულობს	0.5%	8.7%
კვირაში რამდენჯერმე	13%	14.3%
დღეში ერთხელ	20%	13.9%
დღეში რამდენჯერმე	31.9%	24.2%
უფრო იშვიათად	34.6%	38.9
χ^2= 98.373, df = 7, p < .000		

ცხრილი №1 ლოცვის სიხშირე ქართველ და გერმანელ მორწმუნეებთან.

ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირის მიხედვით, ქართველებთან შედარებით, მეტი გერმანელი არასოდეს დადის ეკლესიაში, ხოლო ნაკლები დადის კვირაში რამდენჯერმე (χ2= 41, 551, df = 7, p< .000).

	ქართველები	გერმანელები
არასოდეს	5.9%	11.1 %
კვირაში ერთხელ	20.0%	22.7 %
კვირაში რამდენჯერმე	20.5%	8.9 %
უფრო იშვიათად	53.6%	57.3%
χ2= 41. 551, df = 7, p < .000		

ცხრილი №2 ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე ქართველ და გერმანელ მორწმუნეებთან.

ლოცვის სკალის მაქსიმალური 75 ქულიდან ქართველების შერჩევამ დააგროვა M = 51,11 (SD = 10,67). ლოცვის სკალაზე ქულები მერყეობდა 15-დან 70-მდე. ლოცვის ცალკეული სახის მიხედვით საშუალო მონაცემები ასეთია: რიტუალური ლოცვა M =6,82 SD = 2,164, საკუთარი სიტყვებით ლოცვა M = 22,76 (SD = 4,692), მედიტაციური

ლოცვა M =16,39 (SD = 3,841), მთხოვნელი ლოცვა M = 5,17 (SD = 2,257). გერმანელების შერჩევამ დააგროვა M = 44,89 (SD = 13,55). ლოცვის ცალკეული სახის მიხედვით საშუალო მონაცემები ასეთია: რიტუალური ლოცვა M =5,42 SD = 2,742, საკუთარი სიტყვებით ლოცვა M = 20,43 (SD = 5,298), მედიტაციური ლოცვა M =15,02 SD = 4,765, მთხოვნელი ლოცვა M = 4,09 SD = 2,763. F (3, 386)=1.153, p >.05

ლოცვის გავლენის სკალის მიხედვით მაქსიმალური 36 ქულიდან ქართველებმა დააგროვეს M = 28,79, SD = 5,695. ხოლო გერმანელებმა: M = 27,93, SD = 6,369. ამასთან, ლოცვის გავლენის სკალაზე ქულები მერყეობდა 9-დან 36-მდე.

კორელაციები:

აღმოჩნდა, რომ ქართველების შერჩევისათვის ლოცვის სკალა დადებით კორელაციაშია ლოცვის გავლენის სკალა სთან, ლოცვის სიხშირესა და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირესთან. ლოცვის გავლენის სკალა დადებით კორელაციაშია ლოცვის სიხშირესა და ღვთისმასახურებაზე დასწრების სიხშირესთან, ასევე თავად ლოცვის სიხშირესა და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირეებს შორისაც დაფიქსირდა დადებითი კორელაცია. ყველა ეს კორელაცია მნიშვნელოვანია p < .01 -ის დონეზე.

	ლოცვის სკალა	ლოცვის გავლენის სკალა	ლოცვის სიხშირე	ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე
ლოცვი ს სკალა	1	.566**	.482**	.457**
ლოცვის გავლენის სკალა	.566**	1	.421**	.462**
ლოცვის სიხშირე	.482**	.421**	1	.592**
ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე	.457**	.462**	.592**	1

ცხრილი №3: ლოცვის მაჩვენებლების პირსონის კორელაციები საქართველოს შერჩევის მიხედვით

გერმანელების შერჩევისათვის: ლოცვის სკალა დადებით კორელაციაშია ლოცვის გავლენის სკალასთან, ლოცვის სიხშირესა და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირესთან. ლოცვის გავლენის სკალა დადებით კორელაციაშია ლოცვის სიხშირესა და ღვთისმასახურებაზე დასწრების სიხშირესთან, ასევე თავად ლოცვის სიხშირესა და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირეებს შორისაც დაფიქსირდა დადებითი კორელაცია. ყველა ეს კორელაცია მნიშვნელოვანია $p < .01$ -ის დონეზე.

	ლოცვის სკალა	ლოცვის გავლენის სკალა	ლოცვის სიხშირე	ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე
ლოცვის სკალა	1	.746**	.763**	.660**
ლოცვის გავლენის სკალა	.746**	1	.671**	.473**
ლოცვის სიხშირე	.763**	.671**	1	.665**
ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირე	.660**	.473**	.665**	1

ცხრილი №4: ლოცვის მაჩვენებლების პირსონის კორელაციები გერმანიის შერჩევის მიხედვით

ქართველების შერჩევაში ლოცვის ყველა ქვესკალა: რიტუალური, საკუთარი სიტყვებით ლოცვა, მედიტაციური ლოცვა და მთხოვნელი ლოცვა კორელირებს ერთმანეთთან:

	რიტუალური	საკუთარი სიტყვებით ლოცვა	მედიტაციური	მთხოვნელი
რიტუალური	1	.584**	.609**	.177*
საკუთარი სიტყვებით ლოცვა	.584**	1	.764**	.346**
მედიტაციური	.609**	.764**	1	.323**
მთხოვნელი	.177*	.346**	.323**	1

ცხრილი №5:: ლოცვის სახეების პირსონის კორლაციები საქართველოს შერჩევის მიხედვით

გერმანელების შერჩევაშიც მსგავსი სურათია: ლოცვის ქვესკალები – რიტუალური, საკუთარი სიტყვებით ლოცვა, მედიტაციური ლოცვა და მთხოვნელი ლოცვა – კორელირებენ ერთმანეთთან.

	რიტუალური	საკუთარი სიტყვებით ლოცვა	მედიტაციური	მთხოვნელი
რიტუალური	1	.567**	.589**	.213*
საკუთარი სიტყვებით ლოცვა	.567**	1	.812**	.314**
მედიტაციური	.589**	.812**	1	.378**
მთხოვნელი	.213*	.314**	.378**	1

ცხრილი №6: ლოცვის სახეების პირსონის კორლაციები გერმანიის შერჩევის მიხედვით

შედეგების განხილვა:

განსხვავება გერმანელ და ქართველ მლოცველებს შორის პრაქტიკულად არ გამოვლინდა. სხვაობა ჩანს მხოლოდ ლოცვის და ეკლესიაში სიარულის სიხშირის მიხედვით: გერმანელები ნაკლებ ლოცულობენ, ვიდრე ქართველები და უფრო იშვიათად ესწრებიან ღვთისმსახურებას. ეს მაჩვენებელი გერმანული საზოგადოების შედარებით მეტ სეკულარიზმზე მეტყველებს, ჰოფსტედეს მიხედვითაც, პროტესტანტური, ფემინური საზოგადოებები უფრო სეკულარულები არიან (Hofstede, Hofstede, 2004).

როგორც ქართველ, ასევე გერმანელ მორწმუნეებთან ლოცვის სიხშირესა და ღვთისმსახურებაზე დასწრების სიხშირეს შორის დაფიქსირდა დადებითი კორელაცია. ანალოგიური შედეგი მიიღო შნაიდერმა

ერთ-ერთ კვლევაში: აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია ლოცვის სიხშირესა და ეკლესიაში სიარულს შორის (Schneider, 2004).

ქართველებისთვისაც და გერმანელებისთვისაც ყველა სკალა დადებით კორელაციაშია ერთმანეთთან. გამოდის, რომ ის ადამიანები, ვინც ხშირად ესწრებიან ღვთისმსახურებას, ასევე ხშირად ლოცულობენ და მიაჩნიათ, რომ ლოცვას მათზე პოზიტიური გავლენა აქვს და – პირიქით. სკალებს შორის კორელაციის კოეფიეციენტების მაჩვენებლები ამ ორ შერჩევაში მსგავსია, გერმანელებთან ეს კორელაციები ოდნავ უფრო მაღალია.

აღმოჩნდა, რომ ქართველებიც და გერმანელებიც ლოცვის ერთი და იგივე სახეებს იყენებენ. ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მიიღო საკუთარი სიტყვებით ლოცვამ, შემდეგ მედიტაციურმა ლოცვამ, შემდეგ, თითქმის თანაბრად რიტუალურმა და მთხოვნელმა ლოცვებმა.

მართალია, გერმანელების შერჩევის მხოლოდ 14% იყო კათოლიკე, მაგრამ შესაძლოა სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია კვლევის ასეთი შედეგი. როდესაც ჰოფსტედე განზომილებების მიხედვით ქრისტიანული რელიგიის შიგნით განსხვავებებზე საუბრობს, ძირითად აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ პროტესტანტები განსხვავდებიან მართლმადიდებლების და კათოლიკეებისაგან და ამავე დროს, მართლამადიდებლები და კათოლიკეები ერთმანეთთან შედარებით ახლოს დგანან. გარდა ამისა, ჰოფსტედე აღნიშნავს, რომ რელიგიური მიკუთვნებულობა კულტურული ღირებულებების მთლიანად შეცვლას არ იწვევს. მისი აზრით, „ძალაუფლების მანძილის, ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის, ფემინურობა მასკულინობის და გაუკრვევლობის თავიდან არიდების ღირებულებები რელიგიურ მოქცევებს გადაურჩა“ (Hofstede, Hofstede, 2004, p. 126).

Comparing Georgian and German Believers via Prayer aspects

Nino Javakhishvili, Maya Khositashvili,
Nino Siradze, Lika Dzagania

Tbilisi State University
Johan Schneider
Saarland University

The study looks at the differences in prayer in German (mainly Protestant) and Georgian (Orthodox) believers. Such aspects of prayer as: prayer and church attendance frequency, prayer types and prayer fulfillment were studied using Likert type scales. 184 Georgian and 206 German believers were questioned. The results yielded no significant difference in prayer types used by Georgian and German believers; neither prayer fulfillment revealed any difference. The reason might be a composition of German believers' sample that consisted of although relatively small, but still sub sample of Catholics.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Byrd, K. R. & Boe, A. (2001). The correspondence between attachment dimensions and prayer in college students. *The international Journal for the Psychology of Religion*, 11(1), pp. 9-24.
2. Finney, J., Malony, H. (1985) An empirical study of contemplative prayer as an adjust to psychotherapy. *Journal of Psychology and Theology,* 13, 284-290
3. Gallup Organization. (1993). GO LIFE Survey on Prayer. Princeton, NJ

4. Harris, J. I., Schoneman S. W. & Carrera S. R. (2005). Preferred prayer styles and anxiety control.*Journal of Religion and Health*, Vol. 44, No. 4, Winter pp. 403-412
5. Hauenstein H. U. (2002). Auf den Spuren des Gebets, Methoden und Ergebnisse der empirischen Gebetsforschung, Asanger Verlag, Heidelberg, Kroening, pp.49-64
6. Hofstede, G. Hofstede, G. (2004) Cultures and Organizations: Software of the Mind. Oxford University Press
7. Jospehs, I. (1998) Constructing One's Self in the City of the Silent: Dialogue, Symbols and the Role of `As-if~ in Self-Development. *Human Development*, 41, pp.180-195
8. Ladd, K., Spilka, B. (2002). Inward, Outward, and Upward: Cognitive Aspects of Prayer. *Journal for the Scientific Study of Religion* 41:3 475-484
9. Laird, S. P. Snyder, C. R., Rapoff, M. A. & Green, S. (2004). Measuring Private Prayer: Development, Validation, and Clinical Application of the Multidimensional Prayer inventory. *The International Journal For The Psychology of Religion,* 14(4), 251-272.
10. Maltby, J. Lewis, C.A. & Day, L. (1998). Religious orientation and psychological well-being: The role of the frequency of personal prayer. *British Journal of Psychology* (1999), 4, pp.363-378
11. McCullough, M. E., & Larson, D. B. (1999). Prayer. W. R. Miller (Ed.), *Integrating spirituality into treatment: Resources for practitioners* (pp. 85-110).
12. Poloma, M., Pendleton B. (1989). Exploring types of prayer and quality of life. *Review of Religious Research* 31:46-53.
13. Poloma, M., Pendleton, B. (1990). Religious domains and general well-being. *Social Indicators Research* 22:255-276.

14. Poloma, M., Pendleton. B. (1991). The effects of prayer and prayer experiences on measures of general well-being. *Journal of Psychology and Theology* 19:71-83.
15. Richards, D. (1991). The phenomenology and psychological correlates of verbal prayer. *Journal of Psychology and Theology,* 19, 354-363
16. Schneider J. F. (2004). Prayer and Inner Speech: is there a connection? *Psychological Reports*, 2004, 94, pp.1382 – 1384.